

თავი 8

სიტყუად ესე: „და შეკრიბნა ყოველნი მღვდელთმოძღუარნი და მნიგნობარნი ერისანი და იკითხვიდა მათგან: სადა შობად არს ქრისტე? ხოლო მათ ჰრქუეს: ბეთლემს ჰურიასტანისასა“ (2,4-5).

იხილვა, ვითარ ყოველივე სამხილებელად ჰურიათა იქმნებოდა? რამეთუ ვიდრემდის არა ეხილვა იგი, დაღაცათუ სმენითა ოდენ შობისა მისისადათა აღშფოთნეს, არამედ ჯერეთ შური იგი მათი არა აღტყინებულ იყო საჯუმილად დიდად, ამისთვის ჭეშმარიტებით მიუთხრნეს წამებანი იგი სანინანარმეტყუელთა ვმათანი ჰეროდეს. ხოლო უკუანაღსკნელ, ოდეს მიუთხრობელნი იგი სასწაულნი მისნი იხილნეს, აღეგზნეს შურითა მით საეშმაკოდათა და განმცემელ ჭეშმარიტებისა იქმნეს; არამედ ჭეშმარიტებად ყოვლით კერძო ბრწყინვიდა, და ვერარა ავნეს მას მტერთა მათ, არამედ ყოველივე საღმობად და ვნებად მათსავე თავსა მიექცა. და აქაცა იხილვ, ვითარ განგებულებით საკრველნი საქმენი იქმნებოდეს: რამეთუ ისწავეს ერთმანერთისაგან და ასწავეს ურთიერთას მოგუთა მათ და ჰურიათა; რამეთუ ჰურიათა ესმა მოგუთაგან, ვითარმედ ვარსკულავმან ქადაგა სპარსეთს შობად ქრისტესი, და კულად მოგუთა ისწავეს ჰურიათაგან, ვითარმედ რომელი-იგი ვარსკულავმან აუნყა მათ, ესე არს, რომელსა წინანარმეტყუელნი პირველ მრავლისა ჟამისა ქადაგებდეს, და გამოკითხვად იგი მოძღურებისა მიზეზ განცხადებულისად ექმნა ორთავე. და მტერნი იგი ჭეშმარიტებისანი იძულებით წინანარმეტყუელებასა მას ჭეშმარიტებისასა აღმოიკითხვენ და სიტყუათა მათ გამოსთარგმანებენ, დაღაცათუ არა ყოველთა; რამეთუ ჰრქუეს რად, ვითარმედ: „ბეთლემს ჰურიასტანისასა“, რამეთუ ესრეთ წერილ არს წინანარმეტყუელისა მიერ: „და შენ, ბეთლემ, ქუეყანად ეგე იუდაისი, არასადმე უმრწემეს ხარ მთავართა შორის იუდაისთა, რამეთუ შენგან გამოვიდეს მთავარი, რომელმან დამწყსოს ერი ჩემი ისრაჴლი“¹ შემდგომი ამისი დაიდუმეს, რამეთუ პატივ-სცემდეს და ესათნობოდეს ჰეროდეს უმეტეს ჭეშმარიტებისა. ხოლო რად იყო შემდგომი ამის სიტყუსა? „და გამოსავალნი მისნი დასაბამითგან დღეთაგან საუკუნეთა“.²

ეძიებენ უკუე ვიეთნიმე და იტყვან, ვითარმედ: რადსათჳს იყო ესე, რომელ ვინაფთგან წინანარმეტყუელ ქადაგებულ იყო წინანარმეტყუელთა მიერ ბეთლემით გამოჩინებად ქრისტესი, ნაზარეთს იქცეოდა იგი შემდგომად შობისა, და ამის გამო დაიფარვოდა სიტყუად იგი წინანარმეტყუელისა? არამედ არა ესრეთ არს ესე, რამეთუ ესევითართა ამით სახითა უფროდსლა გამოაცხადა სიტყუად წინანარმეტყუელისა, რომელ-იგი ნა-

¹ მათ. 2,6; მიქ. 5,2.

² მიქ. 5,2.

ზარეთს მკვდრ იყო დედად მისი და ჟამსა შობისასა იპოა ბეთლემს; გამო-
აცხადა, ვითარმედ განგებულებით იქმნა საქმე იგი. ამისთვისცა არა თუ
იშვა რად, მეყსეულად წარვიდა მიერ, არამედ ორმეოცი დღე დაყო ბეთ-
ლემს შინა, რადთა მისცეს ჟამი გამომეძიებელთა გამოძიებად ყოველივე,
რომელიცა ენებოს.

რამეთუ მრავალი იყო აღმძრველ მათა ძიებად საქმეთა მათ, უკუეთუმ-
ცა ენება განფრთხობად ძილისა მისგან უგულისწმოებისა; რამეთუ მოს-
ლვასა მას ზედა მოგუთასა აღიძრა ყოველი იგი ქალაქი და მათ თანა მეფე-
ცა ჰეროდე, და წინანარმეტყუელი შორის შემოვიდოდა, და მის მიერ თქუ-
მულნი აღმოიკითხვოდეს, და სამსჯავროდ დიდი შემზადნებოდა, და სხუად
მრავალი აღესრულებოდა ყოფასა მას მათსა ბეთლემს, რომელსაცა ლუკა
კეთილად წარმოიტყვს: მიქუმასა მას სკმეონისსა, სიტყუათა მათ ანაფსთა,
წინანარმეტყუელებასა ზაქარიაფსსა, დიდებისმეტყუელებასა ანგელოზთა-
სა, საკვრველებასა მას მწყემსთასა, და ესე ყოველი არა კმა იყოა მიზეზისა
მიცემად – პოვნად შობილისა მის? რამეთუ უკუეთუ მოგუთა სპარსეთით
მოსრულთა არა დაეფარა ადგილი იგი, ვითარმცა არა პოეს მკვდრთა და
მახლობელთა ადგილისათა? ამისთვის უკუე შობასა თვსსა გამოაჩინა თავი
თვსი მრავლითა საკვრველებითა უფალმან და, იხილა რად უგულისწმოე-
ბად იგი ჰურიათად და გულფიცხელობად, დაფარა თავი თვსი და იქცეოდა
ქუეყანასა ზედა ოცდაათ ნელ თვნიერ სასწაულთა და საკვრველებისა; და
მერმე კუალად გამოაჩინა დიდებულებად თვსი უბრწყინვალესად, რამეთუ
არღარა მოგუნი, არცა ვარსკულავი ქადაგებდა მას, არამედ მამად ზეგარ-
დამო ძედ საყუარელად სახელ-სდებდა წყალთა მათ ზედა იორდანისათა,
რადთა ცნან ყოველთა, ვითარმედ იგი არს ქეშმარიტად დაუსაბამოდ ძე და
სიტყუად მამისად; და სული წმიდად გარდამოვდა თავსა ზედა მისსა, რად-
თა აჩუენოს ყოველთა, ვითარმედ მისა მიმართ არს ვმად იგი მამისად; და
იოვანე ყოვლითა კადნიერებითა ყოველსა ზედა ჰურიასტანსა ქადაგებდა
და ესევითარითა მით მოძღურებითა აღავსებდა შენსა და უდაბნოსა; და
წამებად იგი სასწაულთად ლაღადებდა, და ქუეყანად და ზღუად და ყოველნი
დაბადებულნი ბრწყინვალითა ვმითა ვმობდეს დიდებულებასა მისსა.

ხოლო ჟამსა მას შობისასა ესოდენი იქმნა, რაოდენ ჯერ-იყო საცნაურ-
ყოფად შობილისა მის. რამეთუ რადთა არა თქუან ჰურიათა, ვითარმედ:
არა უწყით, თუ ოდეს იშვა ანუ რომელსა სოფელსა, ამისთვის აღესრულნეს
სასწაულნი იგი განცხადებულნი: ვარსკულავისა გამოჩინებად და მოგუთა
მოსლვად და ანგელოზთა დიდებისმეტყუელებად და სხუად იგი, რომელი
ზემო ვაწსენეთ, რადთა არცა ერთი მიზეზი აქუნდეს არა ძიებისად და არ-
ცა თაყუანის-ცემისად შობილისა მის. ხოლო შენ იხილე გამონულილვით
სიტყუად წინანარმეტყუელისად, რამეთუ არა თქუა, თუ: ბეთლემო, შენ
შორის დაადგრეს, არამედ: „შენგან გამოვიდესო მთავარი“, რადთა გამო-
აცხადოს, ვითარმედ ესრეთ ქადაგა პირველითგანვე წინანარმეტყუელმან

შობაჲ ოდენ ბეთლემს უფლისაჲ და არა ზრდილობაჲ ანუ დამკვდრებაჲ მას შინა. არამედ კუალად ჰურიანი, გუელნი იგი, ნაშობნი იქედნეთანი (რომელთათჳს იტყჳს დავით: „უცხო იქმნეს ცოდვილნი დედისაგან, რომელ არს ჭემმარიტებაჲ იგი ქადაგებისაჲ მის წინანარმეტყუელთაჲსა, რომლისაგან უცხო იქმნეს იგინი, სცთებოდეს საშოთგან, იტყოდეს სიცრუესა. გულისწყრომაჲ მათი მსგავს არს გუელისა მის, ასპიტისა ყრუჲსა, რომლისანი დაყოფილ არიან ყურნი მისნი; არა ესმინ მას ჴმაჲ მსახრვალისა ჴელოვანისა, არცა მიიღის წამალი წამლისმცემელისაგან ბრძნისა“¹), ესენი კუალად წინააღმდეგებიან და ბადეთა დამირწყვენ უუძღურესთა ქსელთა დედაზარდლისასა და იტყჳან, ვითარმედ: სიტყუაჲ ესე, ვითარმედ: „შენგან გამოვიდეს მთავარი, რომელმან დამწყოსოს ერი ჩემი ისრაჴლი“², ზორობაბელისთჳს თქუმიულ არსო. ან უკუე ვჴკითხოთ ყრუთა მათ ასპიტისა მსგავსთა, თუ რომელი შეწყობილებაჲ აქუს სიტყუასა ამას ზორობაბელისთჳს, ვითარმედ: „გამოსავალნი მისნი დასაბამითგან დღეთაგან საუკუნეთა“³, ანუ ვითარ მოეზავოს მას სიტყუაჲ ესე, თუ: „შენგან გამოვიდეს, ბეთლემო, მთავარი“? ვინაჲთგან ზორობაბელ არა ჰურიასტანს, არამედ ქუეყანასა ბაბილონელთასა იშვა, ამისთჳსცა ზორობაბელ ენოდა, რომელ ითარგმანების „თესული ბაბილონს“, ვითარცა უწყიან, რომელთა უსწავიეს ენაჲ ასურასტანელთაჲ; ვითარ უკუე მოეზავოს მას სიტყუაჲ წინანარმეტყუელისაჲ, რომელ-იგი განცხადებულად ჩანს, ვითარმედ ქრისტესთჳს იტყჳს, ვითარმედ: „შენ, ბეთლემ, ქუეყანაჲ ეგე იუდაჲსი, არასადმე უმრწემეს ხარ მთავართა შორის იუდაჲსთა“, და მიზეზსა ბრწყინვალეებისა მისისასა იტყჳს, ვითარმედ: „შენგან გამოვიდეს მთავარი, რომელმან დამწყოსოს ერი ჩემი ისრაჴლი“.

და ვინ არს უგულისჴმოდ იგი და უგუნური, რომელმან არამცა გულისჴმა-ყო, ვითარმედ შობისათჳს ქრისტესისა იქმნა ბეთლემი სახელოან და არა სხჳსა რაჲსათჳსვე? რამეთუ რომელ-იგი პირველ უცნაურ იყო და უნდო, შემდგომად შობისა უფლისა ესოდენ დიდებულ იქმნა და სახელოვან, რომელ კიდითგან ქუეყანისაჲთ მოვლენ ხილვად ქუაბსა მას და ბაგასა და ადგილსა მას ტალავრისასა, რომლისათჳსცა იტყოდა წინანარმეტყუელი: „არაჲთა უმრწემეს ხარ მთავართა შორის იუდაჲსთა“, – ესე იგი არს, სამთავროთა შინა იუდაჲს ნათესავთაჲსა, და სიტყჳთა ამით იერუსალჴმიცა მოასწავა, ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: არა უმცირეს ხარ სახელოანთა მათ სამთავროთასა, არცა თუ იერუსალჴმისა უმრწემეს ხარ.

არამედ ესე ყოველი არა შეესმოდა უგულისხმობთა მათ ჰურიათა, არცა ყურად-იღებდეს თჳსსა მას სარგებელსა; რამეთუ წინანარმეტყუელნი არა იტყოდეს ესოდენ სიმაღლესა მას ბუნებითისა დიდებისა მისისასა, რაოდენ ქველისმოქმედებისა მისისა სიმრავლესა, ვითარცა-იგი პირველ შობი-

¹ შდრ. ფსალმ. 57,4-6.

² მათ. 2,6; მიქ. 5,2.

³ მიქ. 5,2.

სა თქუა ანგელოზმან: „უწოდო სახელი მისი იესუ, რამეთუ მან იჯსნეს ერი თვისი ცოდვათა მათთაგან“.¹ და კუალად მოგუთა მათ არა თქუეს, თუ: სადა არს ძე ღმრთისაჲ? არამედ: „სადა არს შობილი იგი მეუფე ჰურიათაჲ?“² და კუალად ამას ადგილსა არა თქუა წინანარმეტყუელმან, ვითარმედ: შენგან გამოვიდეს ძე ღმრთისაჲ, არამედ: „შენგან გამოვიდეს მთავარი, რომელმან დამწყოს ერი ჩემი ისრაჴლი“;³ რამეთუ ჯერ-იყო დაწყებასა ახლისა მის ქადაგებისასა უძღურებასა მას მსმენელთასა თანამიყოლად, რადთა არა დაბრკოლდენ, და ცხორებისათჳს მათისა მითხრობაჲ, რადთა ამითა უმეტესად მოიყვანენ სარწმუნოებად; ამისთჳსცა რავდენნიცა წამებანი და ქადაგებანი იპოებიან დაწყებისა ახლისა რჩულისანი და მოსლვისათჳს უფლისა, რომელ-იგი ჟამსა ოდენ შობისა მისისასა აღესრულებოდეს, არარად დიდსა და მალალსა ქადაგებენ მისთჳს, ხოლო რავდენნი შემდგომისა მის ჟამისათჳს თქუმულ არიან, უმეტესად იტყვან დიდებულებისა მისისათჳს; რამეთუ შემდგომად სასწაულთა მისთა გამოცხადებისა, აღესრულებოდა რად ქებისა შესხმაჲ იგი ყრმათაჲ, ისმინე, ვითარ მოასწავა წინანარმეტყუელმან: „პირითა ყრმათა ჩჩვლთა მწოართაჲთა დაემტკიცოს ქებაჲ“;⁴ და კუალად: „ვიხილენ მე ცანი, ქმნულნი თითთა შენთანი, მთოარე და ვარსკულავნი, რომელნი შენ დაჰბადე“;⁵ რომლითა-ესე გამოაჩინა, ვითარმედ იგი არს დამბადებელი და მპყრობელი ყოვლისაჲვე.

და კუალად ამისა შემდგომად ამალლებისა მისისათჳს თქუმული წინანარმეტყუელებაჲ სწორებასა მას მისსა მამისა თანა მოასწავებს და იტყვს: „ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯუენით ჩემსა“;⁶ და ესაია იტყვს: „რომელი-იგი აღდგომად არს მთავრად წარმართთა, და მას წარმართნი ესვიდენ“.⁷ არამედ ამას ადგილსა სიტყუაჲ ჰურიათა მიმართ იყო, ამისთჳს თქუა: „რომელმან დამწყოს ერი ჩემი ისრაჴლი“,⁸ და მან ყოველივე სოფელი დამწყოს. არამედ, ვითარცა ზემო ვთქუ, არა გამოაცხადებს ჯერეთ სიტყუასა მას წარმართთა შეწყნარებისასა, რადთა არა მიზეზ დაბრკოლებისა სცეს ჰურიათა, რამეთუ ესე გულისჯმისსაყოფელ არს მარადის, რომელ ვითარცა-იგი უფალმან განაგო მოქალაქობაჲ მისი ქუეყანასა ზედა, მასვე წესსა და მასვე სახესა ზედა წინანარმეტყუელნიცა და მოციქულნიცა განაგებენ და შეჰმზადებენ სიტყუასა თჳსსა.

თქუას უკუე გამომეძიებელთაგანმან ვინმე, ვითარმედ: რად არა სამწყსო მისა იქმნა ერი იგი ისრაჴლთაჲ, ვითარცა იტყვს, თუ: „მან დამწყოს ერი ჩემი ისრაჴლი“? არამედ გულისჯმა-ყავნ მეტყუელმან მან ესევითარისამან, ვითარმედ არა დაშთა ესეცა სიტყუაჲ აღუსრულებელად, არამედ დამწყოს მან ერი ისრაჴლისაჲ, რამეთუ რაჟამს-იგი თქუა წინანარმეტყუელმან, თუ: „მან დამწყოს ერი ჩემი ისრაჴლი“, ისრაჴლად აქა

¹ მათ. 1,21. ² მათ. 2,2. ³ მიქ. 5,2. ⁴ ფსალმ. 8,3. ⁵ ფსალმ. 8,4. ⁶ ფსალმ. 109,1.

⁷ ესაია 11,10. ⁸ მიქ. 5,2.

მათ უნოდა, რომელთა ერისა მისგან ებრაელთადასა ჰრწმენა ქრისტე; ვითარცა პავლე თარგმნის ამას სიტყუასა და იტყვს, ვითარმედ: „არა ყოველნი ისრაჲლისაგანნი ესენი არიან ისრაჲლ, არცა არიან ნათესავნი აბრაჰამისნი ყოველნი შვილ, არამედ ისაკისაგან გენოდოს შენ ნათესავადო“.¹ ესე იგი არს, არა თუ შვილნი ჴორცთანი ესენი არიან შვილ ღმრთისა, არამედ შვილნი იგი აღთქუმისანი შერაცხილ არიან ნათესავად, და ამათ სიტყუათა მიერ გამოაჩინა მოციქულმან, ვითარმედ არა თუ ყოველთა ჴურიათა ენოდების ისრაჲლ ანუ შვილ აბრაჰამისა, – ნუ იყოფინ! – არამედ რომელთა ჴრწმენა ქრისტე და იქმნეს აღთქუმისა მის მამათადასა მკვდრ, იგინი არიან ისრაჲლ, მხილველნი იგი და მორწმუნენი ღმრთისანი; რამეთუ ესრეთ გამოითარგმანების ისრაჲლი – „გონებად მხილველი ღმრთისაჲ“. ან რომელნი-იგი არიან ესევეთარნი, მათცა ენოდების ერი ღმრთისა, და იგინი დაამწყსნა ქრისტემან, მწყემსმან მან კეთილმან, რომელმან თქუა: „მე ვარ მწყემსი კეთილი და ვიცნი ჩემნი იგი, და მიციან ჩემთა მათ“.² რომელნი-იგი იცნა, ვითარმედ მისნი არიან, მათცა ჰმწყსის და სული თვისი დადვა ცხოვართათვს.

ხოლო სხუანი იგი ჴურიანი, რომელთა არა ინებეს მეუფებად მისი მათ ზედა, არამედ ნეფსით თვისით იჯმნეს მისგან, არა ისრაჲლ არიან, არცა შვილ აბრაჰამისა, არამედ შვილნი არიან ეშმაკისანი, ვითარცა ეტყოდა მათ უფალი: „უკუეთუმცა შვილნი აბრაჰამისნი იყვენით, საქმეთამცა აბრაჰამისთა იქმოდეთ. ხოლო თქუენ იქმთ საქმესა მამისა თქუენისასა“;³ და მერმე გამოუცხადა, თუ ვინ არს მამად მათი, და თქუა: „თქუენ მამისა თქუენისა ეშმაკისაგანნი ხართ და გულისთქუმად მამისა თქუენისაჲ გნებავს ყოფად“.⁴ ესევეთარნი იგი არა იქმნეს სამწყსო ქრისტესა, არცა იგი მწყემს მათა, არამედ „მიცნენ იგინი, ვითარცა საცხოვარნი, ჯოჯოხეთსა, და სიკუდილი ჰმწყსიდეს მათ“.⁵ ჯერ-იყო უბადრუკთა მათდა თაყუანისცემად უფლისაჲ მოგუთა თანა და დიდებისა მიცემად ღმრთისა, რამეთუ მოინია ჟამი განახლებისა მათისაჲ და გამოჴსნისაჲ ცოდვათაგან; რამეთუ არარად ესმა ფიცხელი სიტყუად, არცა ქადებად სატანჯველთაჲ და შიში ბრალთა მოჴდისაჲ, არამედ ესმოდა მოსლვად მწყემსისა ტკბილისა და სახიერისაჲ, და არა მოდრკა ფიცხელი იგი გული მათი, არამედ ყოველივე ბოროტი იზრახეს მისთვის და თანაშემწე იყვნეს ჴეროდესა, ვითარცა ესერა მოგვთხრობს მახარებელი და იტყვს:

სახარებაჲ: „მამინ ჴეროდე იდუმალ მოუნოდა მოგუთა მათ და გამოიკითხა მათგან ჟამი იგი გამოჩინებულისა მის ვარსკულავისაჲ. და წარავლინნა ბეთლემად და ჴრქუა: მივედით და გამოიძიეთ ჴეშმარიტად ყრმისა მისთვის და, რაჟამს ჴპოოთ, მითხართ მე, რადთამცა მეცა მივიდე და თაყუანის-ვსცე მას“ (2,7-8).

¹ რომ. 9,6-7.

² იოან. 10,14.

³ იოან. 8,39,41.

⁴ იოან. 8,44.

⁵ ფსალმ. 48,15.

თარგმანი: ეჭა უკუანადსკნელი ესე უგუნურებად და სიბორგილე! ამას ყოველსა იტყოდა, რადთამცა უძლო პოვნად შობილისა მის მეუფისა და მოკლვად; და არა შეიკდიმა, არცა შეიგონა ესოდენისა მის საკვრველებისაგან და არა გულისწმა-ყო, ვითარმედ უზეშთაეს კაცობრივისა ბუნებისა და წესისა იყო საქმე იგი; რამეთუ ნოდებად იგი ვარსკულავისა მიერ მოგუთად მათ და მოსლვად იგი მათი შორით ქუეყანით თაყუანის-ცემად სახუეველთა შინა და ბაგასა მწოლარისა ყრმისა და ქადაგებანი იგი პირველთგან წინანარმეტყუელთანი უაღრეს წესისა მის კაცობრივისა იყვნეს, არამედ არარამან ამათგან გულისწმა-უყო ურჩულოსა მას, რამეთუ ესრეთ არს უკეთურებად, მარადის უგუნურებისა და სიცოფისა მომატყუებელ. და იხილეთ აქაცა გარდამატებული იგი გონებატომილება: უკუეთუ ჰრწმენა სიტყუად იგი წინანარმეტყუელისა და ცნა, ვითარმედ ჭეშმარიტ არს იგი, ვითარ გელ-ჰყოფდა წინაგანწყობად საღმრთოსა მის ძალისა? უკუეთუ კულა ურწმუნო იყო თქუმულთა მათ და არა მოელოდა აღსრულებასა მათსა, რადსათკს ეშინოდა და შიშისათკს მოკლვად განიზრახვიდა?

ორკერძოვე უკუე უგუნურებითა და სიცოფითა სავსე იყო ზაკულეზად იგი, და ესეცა დიდისა უგუნურებისა იყო საქმწ, რომელ ჰგონებდა, თუ მოგუთა მათ მისსა სიტყუასა უმეტეს პატივ-სცენ, ვიდრელა რომლისათკს აღმოსავალით მოვიდეს წინამძღურობითა ვარსკულავისადათა; რამეთუ უკუეთუ პირველ ხილვისა ესრეთ მოტყინარე იყვნეს სურვილითა მისითა, შემდგომად ხილვისა და თაყუანის-ცემისა ვითარმცა თავს-იდევს განმცემელ-ყოფად ცხორებისა მომცემელისა მის ყრმისა? არამედ უგუნურმან ჰეროდე ესე ყოველი არა გულისწმა-ყო, რამეთუ ბოროტად ცუნდრუკებდა, და მოუნოდა იდუმალ მოგუთა მათ და გამოიკითხა მათგან. ამისთკს იდუმალ მოუნოდა, რამეთუ ჰგონებდა, ვითარმედ ჰურიანი დიდითა წადიერებითა მირბიოდინ თაყუანის-ცემად მისა, და არა იცოდა გარდარეული იგი უკეთურებად მათი. ამისთკს ფარულად და იდუმალ გამოიკითხა მოგუთა მათგან, რადთა უცნაურად მოკლას იგი და არა აღძრას ყოველი ერი შეწვენად მისა. არამედ იგინი ესოდენითა სიბოროტითა სავსე იყვნეს, ვიდრელა თანაშემწნე ექმნეს ჰეროდეს ძიებასა მას მისსა, რადთამცა მოსრული იგი ცხორებად მათდა და განთავისუფლებად მისცეს ჯელთა მისთა. ამის ჯერისათკს იდუმალ მოუნოდა მოგუთა და გამოიკითხა ჟამი იგი არა ყრმისა, არამედ გამოჩინებულისა მის ვარსკულავისა; რამეთუ იგი პირველ მრავლისა ჟამისა ჩუენებულ იყო მათდა, რადთა ჟამი იგი წარმომართებისა მათისა და სლვისა და წარვდეს და ჟამსა ოდენ შობისა უფლისასა მოიწინენ. რამეთუ ესრეთ ჯერ-იყო, რადთა სახუეველითა მით შეხუეული პოონ ქრისტე და თაყუანის-სცენ, რადთა უზეშთაეს იყოს საკვრველებისა იგი საქმწ. ამისთკს პირველ მრავლისა ჟამისა იხილეს მოგუთა ვარსკულავი იგი; რამეთუ უკუეთუმცა ოდეს უფალი იმ-

ვა პალესტინეს, მაშინმცა გამოჩინებულ იყო ვარსკულავი აღმოსავალს, წარმომართებასა მას მათსა და სლვასა შინა გზისასა არა მცირედნი დღენი წარვდებოდეს, და არამცა ეპოვნა იგი სახუეველთა შინა. ამისთვსცა, მო-რად-სწყვდნა ჰეროდე ჩჩვლნი ბეთლემისანი, ორით წლითგან და უდარესნი მოსწყვდნა, ვითარცა მოგუთაგან ესნავა, და მანცა შესძინა უმეტესი რადმე ფრიადისა მის უკეთურებისა და გულისწყრომისაგან, რამეთუ ესრეთ უცთომელ ჰგონებდა განზრახვასა თვსსა, რადთა არა განერეს ჯელთა მისთა უფალი ყოველთაჲ, რომლისა ჯელთა შინა არს სულელები ყოველთა არსთაჲ. # სიბრმე იგი მისი! „წარვედით და გამოიძიეთო ყრმისა მისთვს და, რაჟამს ჰპოოთ, მითხართ მე, რადთა მეცა მოვიდე და თაყუანის-ვსცე მას“; თქულა, ურჩულოო, უკუეთუ ჭეშმარიტსა იტყვ, რადსათვს იდუმალ მოუნოდ? უკუეთუ კულა სტყუი და ზაკუვად არს გულსა შენსა, ვითარ არა გულისწმა-ჰყოფ, ვითარმედ იდუმალ მონოდებთა მით განცხადნებად არს მზაკუარებაჲ შენი? არამედ ვითარცა მრავალგზის მითქუამს, სული უკეთურებისაგან შეპყრობილი პირუტყუთაცა უუგუნურეს არს.

„წარვედით და გამოიძიეთო ყრმისა მისთვს“. არა თქუა, თუ: გამოიძიეთ შობილისა მისთვს მეუფისა, არამედ ყრმისათვს, რამეთუ ეშინოდა მეფედ წოდებად მისა, ნუუკუე ევნოს პატივისა თვსსა. ხოლო მოგუთა მათ ვერ აგრძნეს მისი იგი უკეთურებაჲ, რამეთუ ოდესმცა მოიგონეს, თუ ესე-ვითარსა საშინელსა საქმესა ჯელ-ყოს ბოროტმან მან, არამედ თვსისა მის სინწფოებისა მსგავსად ჰგონებდეს სხუათა მათცა. ამისთვს წერილ არს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე: „ხოლო მათ ვითარცა ესმა ესე მეფისა მისგან, წარვიდეს. და აჰა ესერა ვარსკულავი იგი, რომელი იხილეს აღმოსავალით, წინაუძლოდა მათ“ (2,9).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ამისთვს მიეფარა, რადთა საჯმარ იქმნას მათდა კითხვად ჰურიათად და ესრეთ განისმეს ყოველთა შორის საქმე იგი. ხოლო ვინათგან მიუთხრეს მეფესაცა და ყოველსა ერსა შობად იგი უფლისაჲ, და მათ იწყეს გამოძიებად საიდუმლოდსა მის და წინაწარმეტყუელისა თქუმული შორის შემოიღეს, და ყოვლით კერძო საქმე იგი დიდებული ცხად იქმნა, კულად ვარსკულავი იგი ეჩუენა, და მერმე ანგელოზი ეტყოდა. ესრეთ ყოველი წესიერად და კეთილად აღესრულებოდა. წარვიდეს უკუე იერუსალჴმით ბეთლემს წინამძღურობითა ვარსკულავისაჲთა, რადთა სცნა ამისგანცა, ვითარმედ არა იყო ვარსკულავი იგი ერთი მრავალთა მათ ვარსკულავთაგანი, რამეთუ არა არს საქმე ესე წესისა მის ვარსკულავთაჲსა; და უძლოდა მათ დღისი მზისა ბრწყინვალეებასა შინა, ვიდრემდე მიიყვანნა ბეთლემს. ხოლო თქუას თუ ვინმე, ვითარმედ: რადღა საჯმარ იყო მათდა წინამძღურობად ვარსკულავისაჲ, ვინათგან ცნეს, ვითარმედ ბეთლემს იშვა? არამედ დაღაცათუ ბეთლემს შობად ესმა, გარნა ვინაჲ უწყოდეს ადგი-

ლი იგი და სახლი? რამეთუ არა თუ ჳორციელითა და კაცობრივითა დიდებითა საცნაურ იყო, არამედ ყოვლით კერძო უნდობაჲ და სიგლახაკე გამოირჩია. ამისთვისცა, გამო-რად-ვიდეს მოგუნი იგი იერუსალჳმით, იხილეს კუალად ვარსკულავი, ვითარცა იტყვს მახარებელი:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე : „და აჰა ვარსკულავი იგი, რომელი იხილეს აღმოსავალით, წინაუძლოდა მათ, ვიდრემდე მოვიდა და დაადგრა ზედა, სადაცა იყო ყრმაჲ იგი. ხოლო მათ ვითარცა იხილეს ვარსკულავი იგი, განიხარეს სიხარულითა დიდითა ფრიად“ (2,9-10).

თ ა რ გ მ ა ნ ი : საკვრველ იყო ორივე ესე, მოსლვაჲცა აღმოსავალით მოგუთაჲ მათ და წინამძღურობაჲცა ვარსკულავისაჲ, და კმა იყო საქმე ესე ქვისა უფიცხესთაცა შეგონებად. რამეთუ უკუეთუმცა მოგუთა მათ ეთქუა, თუ ანგელოზი ეტყოდა მათ, ანუ თუ ჳმად წინანარმეტყუელთაჲ ესმა მათ, სიტყუაჲმცა ვიდრემე აქუნდა ჰურიათა თქუმაჲ, ვითარმედ სცთეს იგინი ანუ უცნებაჲ რადმე იხილეს; ხოლო ან ვარსკულავი იგი განცხადებულად ჩანს და ყოველთავე წინააღმდგომთა პირსა დაუყოფს, რომელი-იგი უძლოდა მოგუთა მათ ვიდრე ბეთლემადმდე და მერმე მივიდა და დადგა ზედა, სადაცა იყო ყრმაჲ იგი, რადთა უჩუენოს მათ, ვითარმედ მისდა ჯერ-არს თაყუანის-ცემად. ამისთვის იგინიცა აღივსნეს სიხარულითა დიდითა, იხილეს რად ვარსკულავი იგი. აღივსნეს სიხარულითა, რამეთუ არა ცუდ იქმნა შრომაჲ მათი, არამედ ღირს იქმნეს ხილვად, რად-იგი წინანარმეტყუელთა და მამათმთავართა სწადოდა ხილვად და ვერ იხილეს; აღივსნეს სიხარულითა, რამეთუ ღირს იქმნეს ყოველთა უპირატეს თაყუანის-ცემად მეუფისა მის მეუფეთაჲსა და ქადაგებად მისა ყოველსა სოფელსა; ესრეთ სავსე იყვნეს სურვილითა ქრისტესითა, რამეთუ სავსე იყვნეს ყოვლითა სიბრძნითა და გონიერებითა. ამისთვის ამათ უწოდა უფალმან, რამეთუ ესენი იყვნეს ყოველთა მათ მკვდრთა სპარსეთისათა უბრძნეს და ყოვლითავე სწავლულებითა სწავლულ. ჰხედავა, ვითარ ჯეროვნებით უჩუენა მათ ვარსკულავი? რამეთუ აჰა ესერა შემდგომად სიტყვსა მის მღდელთმოძღუართა და მწიგნობართაჲსა იხილეს რად ვარსკულავი, უმეტესითა სიხარულითა აღივსნეს და მისი ჰრწმენა წინამძღურობაჲ, ვიდრემდე მიიყვანნა იგინი და დაადგინნა ზედა, სადაცა იყო შობილი იგი ყრმაჲ, დამბადებელი და მპყრობელი ყოველთაჲ.

ჰრცხუენოდენ მარკონს, ჰრცხუენოდენ პავლეს სამოსატელსა, რომელთა არა ინებეს ხილვად, რად-იგი მოგუთა მათ იხილეს, შვილთა ეკლესიისათა; რამეთუ არა მრცხუენის ესრეთ წოდებად მათდა.

ჰრცხუენოდენ მარკონს და ხედევდინ ღმერთსა ჳორცთშესხმულსა და თაყუანისცემულსა მოგუთა მათ მიერ; ჰრცხუენოდენ სამოსატელსა მას პავლეს და ხედევდინ, ვითარ არა ლიტონი კაცი თაყუანის-იცემების. რამეთუ ჳორცთშესხმასა მისსა ბაგად იგი და სახუეველნი წამებენ; ხოლო რო-

მელ ჩჩკლისა მისთვის პირველ შობისავე ვარსკულავი აღმოსავალით ერყენა და მოიყვანნა მოგუნი იგი, კაცი დიდებული და სახელოანი, და შენირეს მათ ძღუენი, რომელ-იგი წეს იყო ღმრთისა შენირვად, ესე ყოველი წამებს, ვითარმედ არა კაცი იყო ლიტონი, არამედ ღმერთი ჳორცთშესხმული ცხო-რებისათს კაცთაჲსა.

პრცხუენოდენ ჰურიათაცა, ურჩულოთა მათ გულფიცხელთა, რომელნი ხედვენ მოგუთა მათ ბარბაროზთა შორით მოსრულთა თაყუანის-ცემად უფლისა, და არცა თუ მათ თანა ინებეს მისლვად და თაყუანის-ცემად. რამეთუ რად-იგი მაშინ იქმნებოდა, წესი იყო და სახე ყოფადთად მათ, და დაწყებისა მისგან საქმეთაჲსა ჩნდა, ვითარმედ უსწროს ერმან მან წარმართთამან კრებულსა მას ჰურიათასა შეწყნარებად უფლისა. რამეთუ წეს ესრეთ იყო, რადთამცა ჰურიანი პირველ მოსრულ იყვნეს სარწმუნოებასა ქრისტესსა. ხოლო ვინადთგან იგინი ნეფსით განმცემელ იქმნეს აზნაურებისა თვისისა, ამისთვის წინაუკუმო იქმნეს საქმენი იგი; და იხილა რად მათი გარდამატებული მედგრობად და უკეთურებად, ჰრქუა უფალმან მონაფეთა: „წარვედით, მოიმონაფენით ყოველნი წარმართნი“.¹ რამეთუ აქაცა არა ჯერ-იყო პირველ ჰურიათაჲსა თაყუანის-ცემად მოგუთად, არცა ესოდენისა სიშორისაგან სწრობად მკკდრთა მათ მის ქალაქისათა, არცა რომელთა არასადა ასმიოდა მისთვის, პირველ ცნობად მათსა, რომელნი წიგნთა შინა და სიტყუათა წინაწარმეტყუელთასა აღზრდილ იყვნეს; არამედ ვინადთგან ესრეთ უგულისწმო იპოვნეს ჰურიანი და ყოვლადვე არა ინებეს თვისისა უმჯობესისა ძიებად, ამისთვის მყოფთა მათ სპარსეთისათა უსწრვეს პირველ იერუსალჴმელთაჲსა თაყუანის-ცემად უფლისა, ვითარცა ოდესმე პავლე ეტყოდა ჰურიათა, ვითარმედ: „თქუენდა ჯერ-იყო პირველად რქუმად სიტყუად ესე ღმრთისაჲ. ხოლო თქუენ ეგერა განიშორებთ და არა ღირს გიშჯიან თავნი თქსნი ცხორებისათს საუკუნოჲსა. აჰა ესერა მივიტყევით წარმართთა მიმართ“.² და აქაცა მათ უღირდა მღვდარებად და სწავლად შობისათს უფლისა; ხოლო ესე რად არა ქმნეს, არამედ პირველ ეუწყა შორიელთა მათ და მოვიდეს სიხარულით და ესმა მათგან საკრველი იგი დიდებული, არავე მირბიოდეს უბადრუკნი იგი ჰურიანი თაყუანის-ცემად, არცა ინებეს ხილვად კეთილთა მათ მოუგონებელთა, საიდუმლოსა მას, რომლისა ხილვად სწადის ანგელოზთა. ამისთვისცა იგინი რად უდებ იქმნეს და ძილითა მით სიკუდილის მსგავსითა შეპყრობილ, უცხოთა მათ და შორიელთა მიიტაცეს მიუთხრობელი იგი ნიჭი და ღირს იქმნეს თაყუანის-ცემად მეუფისა.

¹ მათ. 28,19.

² საქმე 13,46.

სწავლად 9

კრძალულებით ზიარებისათვის წმიდათა საიდუმლოთასა და მონყალებისათვის და სივლტოლისათვის სახიობათაგან

ან უკუე ჩუენცა ვჰბაძვიდეთ მოგუთა მათ და ჩუეულებათა მათგან ბარბაროზებრივთა განვემორნეთ და ქუეყანად იგი ვნებათად დაუტეოთ, რადთა ღირს ვიქმნეთ ხილვად ქრისტესა, რამეთუ იგინიცა უკუეთუმცა არა შორს განშორებულ იყვნეს ქუეყანისაგან თვისსა, არამცა ღირსქმნილ იყვნეს ხილვად მისა. განვემორნეთ ჩუენცა საქმეთაგან ქუეყანისათა, რამეთუ მოგუნიცა იყვნეს რად ქუეყანასა და სოფელსა თვისსა, ვარსკულავი ხოლო იხილეს, და განვემორნეს რად სპარსეთით, ღირს იქმნეს ხილვად მზესა მას სიმართლისასა. განვემორნეთ ჩუენცა სოფლისაგან და საქმეთაგან მისთა. დაღაცათუ მრავალნი შეშფოთნებოდინ მეფენი და ერნი და მძღავრებითა მრავლითა გუაყენებდენ, ჩუენ უშიშად და დაუყენებლად ქრისტესა ვეძიებდეთ; უკუეთუ სურვილი და სიყუარული მისი განუშორებელ იყოს ჩუენგან, ყოველივე ძნელოვანი ადვილ იქმნას წინაშე ჩუენსა. უკუეთუმცა არა ეხილვა მათ ყრმად იგი ახალი, პირველ საუკუნეთა ღმერთი, არამცა განრომილ იყვნეს რისხვისა მისგან ჰეროდესისა; რამეთუ პირველ ხილვისა მისისა ყოვლით კერძო აღდგეს მათ ზედა ბრძოლანი, შიშნი და მწუხარებანი, ხოლო ვინაითგან ღირს იქმნეს ხილვასა და თაყუანის-ცემასა მისსა, დაწყნარებად და უშიშობად დიდი იქმნა მათ ზედა, და არღარა ვარსკულავი, არამედ ანგელოზი უძლოდა მათ, რამეთუ პატივცემულ იქმნეს ხილვითა ღმრთისა განჯორციელებულისადათა და შეწირვითა ძღუნისა რჩეულისადათა.

ან უკუე შენცა, მორწმუნეო, დაუტევე ერი იგი ჰურიითად და ქალაქი იგი აღშფოთებული, მძღავრი იგი მკლველი, უცნებად და სახიობად ყოველივე სოფლიოდ და მიისწრაფე ბეთლემდ, რომელ არს ტაძარი პურისა მის სულიერისად, წმიდად ეკლესიად, სადა-ესე მარადლე იხილვების უფალი მწოლარე საკურთხეველსა ამას ზედა წმიდასა, ვითარცა მაშინ ბაგასა ზედა. დაღაცათუ მწყემსი იყო და მოხვდე აქა, იხილო ყრმად იგი, ჩუენისა ცხორებისათვის მოსრული სავანესა ამას, და ნეტარ იყოს შენდა; დაღაცათუ მეფე იყო და არა მოხვდე, არცა ღირს იქმნა ხილვად მისა, არარას სარგებელ გეყოს შენ გვრგვნი იგი და პორფირი; დაღაცათუ მოგვ იყო, არა გექმნას ესე დამაბრკოლებელ, უკუეთუ ხოლო პატივად მოხვდე და თაყუანის-ცემად და არა დათრგუნვად ძისა ღმრთისა, უკუეთუ შიშით და სიხარულით მოუჭდე და არა შეურაცხებით და უდებებით. არამედ ეკრძალე, ნუ ჰეროდეს ემსგავსები და სთქუა: „მოვიდე მეცა და თაყუანის-ვსცე მას“¹ და მო-რად-ხვდე, მოკლვად მისი განიზრახო. იცია, თუ ვინ არიან

¹ მათ. 2,8.

ესენი? ესე არიან მსგავს ჰეროდესა, რომელნი უღირსებით ეზიარებოდნ ნმიდათა მათ საიდუმლოთა, რომელთათჳს იტყჳს მოციქული, ვითარმედ: „რომელი ჭამდეს პურსა ამას და სუმიდეს სასუმელსა ამას უფლისასა უღირსებით, თანამდებ არს იგი ჳორცსა და სისხლსა უფლისასა“.¹ ესევე-თართა მათ აქუს თავთა თჳსთა შორის მძლავრი იგი ბოროტი, შენუხებუ-ლი მეუფებისათჳს ქრისტესისა, უბოროტესი იგი პირველისა მის ჰერო-დესა, უკეთური ბელიარ, რომელმან მაშინ ჰეროდე მბრძოლად ღმრთისა აღადგინა და ანცა მორჩილთა მისთა ბევრეულთა ბოროტთა საბრჯე-სა შესთხვეს და მიავლენს მათ სახითა თაყუანის-ცემისადათა და საქმითა მკლველობისადათა.

გუემინოდენ უკუე ჩუენცა, ნუუკუე სახე მვედრებელთა და თაყუანის-მცემელთაჲ გუაქუნდეს და საქმე ნინააღმდგომთაჲ გუეტჯრთოს; ამისთჳს შიშით და ძრწოლით მოუჭდეთ თაყუანის-ცემად, განვაგდოთ ჩუენგან, რადცა ბოროტი გუაქუნდეს, შევნიროთ მისა ძღუნად, რადცა კეთილი და პატიოსანი იპოებოდის ჩუენ თანა: გინა თუ ოქროჲ, გინა თუ ვეცხლი, ანუ თუ სხუად რადმე საფასეთაგანი და პატივცემული კაცთა მიერ. ხოლო ვითარ შევნიროთ მისა? გლახაკთა განუყოთ, და შეინიროს მან თავისა თჳსისად. ნუ უდებ იქმნები, კაცო, ამას ზედა, რადთა არა დაისაჯო. უკუე-თუ მოგუნი აღმოსავალით მოვიდეს თაყუანის-ცემად და ძღუენი რჩეული მიუპყრეს, რად-მე მიუგო შენ, რომელი ყოლადვე არა სწყალობ გლახაკ-თა, არცა მცირესა უტევანსა თავს-იდებ სლვად და ხილვად უძღურისა ანუ პყრობილისა? არა უწყია, ვითარმედ თავისა თჳსისად შეჳრაცხავს უფალი, რად-იგი გლახაკთა თანა და უძღურთა და პყრობილთა და ყო-ველთა ჭირვეულთა თანა ვქმნათ? მოგუთა მათ უცხოთა და ბარბაროზთა ოქროჲ შენირეს, მური და გუნდრუკი, ხოლო შენ პურისაცა ნატეხსა ძლით მისცემ. მათ იხილეს ვარსკულავი იგი და განიხარეს, ხოლო შენ, იხილო რად ქრისტე, უცხოჲ, შიშუელი და ჭირვეული, არა ღმობიერ იქმნები. მით-ხარლა, ვინ თქუენგანმან თავს-იდვა ესოდენი შრომაჲ ქრისტესთჳს, ვითარ მოგუთა მათ, ყოვლითავე სიბრძნითა საესეთა? შრომაჲ დაითმინეს და გზად დიდი ვლეს სურვილითა თაყუანის-ცემისა მისისადათა. და რად ვიტყჳ ესოდენსა შრომასა? მრავალნი არცა თუ სახლისა თჳსისაგან თავს-იდებ-ბენ მისლვად ეკლესიად და ხილვად უფლისა სულიერსა მას ბაგასა ზედა მწოლარედ, უკუეთუ არა ცხენებითა და ეტლებითა იქმნას მისლვად მათი; სხუანი კუალად უცალოებათა ცუდთა ანუ თეატრონად მისლვათა ჰყოფენ მიზეზ აქა არაშემოკრებისა. ეჳა საკვრველი! უცხოთესლთა მათ და ბარბა-როზთა არცა ეხილვა იგი, არცა იცნობდეს და ესოდენი შრომაჲ თავს-იდ-ვეს სურვილითა ხილვისა მისისადათა. და შენ, კაცო მორწმუნეო, რომელსა გიხილავს დიდებად უფლისაჲ და ღირსქმნულ ხარ კეთილთა მათ მისთა,

¹ 1 კორ. 11,27.

არა ჰბაძავ მათსა მას მოსწრაფებასა, არამედ დაუტეობ უფალსა და მიხუ-
ალ ხილვად სახიობათა და როკვათა და სიმღერათა. რამეთუ მასვე ჴელ-
ვჰყოფ სიტყუად, რად-იგი პირველ ვთქუ: არა გსურის ხილვად უფლისად
სულიერსა მას ბაგასა ზედა მწოლარედ, არამედ გსურის ხილვად დედა-
თა მროკველთად. არა ღირს არსა საქმე ესე მეხის-ტეხისა და ცეცხლისა
დამწუველისა? მითხარლა, უკუეთუმცა მეფემან მიგინოდა პალატად და
შეგიყვანებდესმცა ხილვად მისა, საყდართა ზედა სამეუფოთა მჯდომარ-
რესა, თავს-იდევმცა დატეობად მისი და მისლვად მღერად და წარდგომად
თეატრონად, სადა-იგი სახიობათა უცნებანი იქმნებიან? და არაფე არს
ესოდენი სარგებელი ხილვასა შინა მეფისა მოკუდავისა და მინისაგანისა-
სა. ხოლო აქა, სადა მეუფე უკუდავი მჯდომარე არს, ღმერთი და უფალი
ყოველთად, და წინაგიყოფს ტაბლასა უოხჭნოსა, რომელსა ზედა ეგზების
ცეცხლი იგი შემწუველი ცოდვათად და განმანათლებელი სულისად, თანა-
წარჰჴდები და მიისწრაფი ხილვად მროკველთა და მსახიობელთა! ჰ დიდი
ესე სიბრმე! უფალი ზის წყაროსა ზედა უკუდავებისასა და წყალსა ცხოელ-
სა ასუამს მომავალთა მისა, ვითარცა ოდესმე სამარიტელისა ზე, და არა-
ვინ მოვალს სუმად, არამედ რომელნიმე ჴორცითაცა ამოთა და ცუდთა
საქმეთა შექცეულ არიან; და რომელნიმე დაღაცათუ ჴორცითა მოვიდენ,
გონებითა არა აქა არიან. ხოლო უფალი არავე განგუეშორების ესოდენსა
ამას უმადლოებასა ზედა, არამედ ზის სულგრძელებით და გუევედრების
სუმად სინმიდისა მის სინმიდით და ღალადებს: „წმიდად წმიდათა მიიღეთ“.
არა წყალსა ლიტონსა გუასუამს, არამედ ყოვლადწმიდასა და განმაცხოე-
ლებელსა სისხლსა მისსა, რომელი-იგი სახე არს და სასწენებელ სიკუდი-
ლისა მისისა და მიზეზ ჩუენისა ცხოვრებისა. ამათ ესევითართა კეთილთა
დაუტეობ, უბადრუკო, და საემმაკოთა საქმეთა ხედვად მიხუალა? რადმცა
იყო უძკრეს ამისა? არა უწყია, ვითარმედ ცეცხლსა ბრძოლათასა და სა-
ჴუმილსა ბილწებისასა აღატყინებ გულსა შინა შენსა ხედვითა პირთა მათ
ბოროტთადთა? უკუეთუ კულა იკადრო თქუმად, ვითარმედ: არა მევენების
ხედვითა მით, ურწმუნო არს სიტყუად შენი; დაღაცათუ სარწმუნო-ჰყო,
უმეტესისა ბრალისა თანამდებ ხარ, რომელ დამაბრკოლებელ სხუათა
იქმნები და მანუეველ შესაკრებელსა მას ბოროტსა მისლვად, რომლითა
სირცხვლეულ-ჰყოფ სულსაცა შენსა და სახელსაცა კაცობრივსა. გარნა
ვინ არს იგი, რომელსამცა არა ევენებოდა ხილვითა პირთა მათ მავნებელ-
თადთა? არავინ არს, ვითარ ვჰგონებ, გარნა იგინი, რომელნი განშორებულ
არიან ესევითართა ხილვათაგან; ხოლო რომელი მიისწრაფდეს ხილვასა
მას ბოროტსა, გულისთქუმათაგან შეკრული მიისწრაფის და თავსა თვსსა
თანამდებ-ჰყოფს გეჰენიასა ცეცხლისასა, რამეთუ უკუეთუ მიხედნეს ვინ
გულისთქუმით დედაკაცსა, იმრუშა, ვითარცა ბრძანებს უფალი, რომელი
დღე ყოველ უშუერებასა მას ხედვიდეს, არამცა სრულიად ტყუე გულის-
თქუმისა იქმნა?

გევედრები ყოველთა: განეშორენით ხედვასა პირთა ბოროტთადასა და სახიობათა საეშმაკოთა, წარმწყმედელთა სულისათა. გულისწმაცათ, ვითარ ოდეს სიტყუად სიქადულისად შემოვიდეს, იტყვთ, ვითარმედ: ქალაქი ჩუენი უაღრეს არს ყოველთა ქალაქთა, და ამიერ არს დასაბამი სახელისა მის ქრისტეანეთადასა; და ოდეს საქმეთა სინმიდისა და ღმრთისმოშიშებისათა ჯერ-იყოს ჩუენებად, უდარეს იპოებით მცირეთა და უსწავლელთა ქალაქთასა, და არა სირცხვლ-გიჩნსა?! ხოლო არიან ვიეთნიმე თქუენ შორის, რომელნი-იგი, რაჟამს ესევითართა სიტყუათა ვიტყოდნი, იტყვან: რად არს სიტყუად შენი, რომელ ყოვლისავე სიხარულისა და განცხრომისაგან გუაყენებ? ანუ რასა-მე გუანუევე ყოფად, წარსლვად უდაბნოთა და წესსა მონაზონებისასა შემოსადა? ესე არიან სიტყუანი უგუხურთა და უგულისხმოთანი; ამისთვის მელმის, რომელ ჰგონებთ, თუ მონაზონთა ხოლო თანააც სინმიდე და წესიერებად. არა უწყითა, ვითარმედ ქრისტემან რჩული ქრისტეანობისად ყოველთა ზოგად გუამცნო? რამეთუ იტყოდის რად, თუ: „რომელმან მიხედნეს დედაკაცსა გულისთქუმით“,¹ და შემდგომი ამისი, არა მონაზონთა ოდენ ეტყვს, არამედ ყოველთა ქრისტეანეთა; და სხუად ყოველივე მცნებად ზოგად მოცემულ არს ერისკაცთა და მონაზონთა, თვნიერ ხოლო ქორწინებისა. და უფროსად ამასცა ზედა კინლა და შეასწორებს ყოველთა მოციქული და იტყვს: „ჟამი ესე შემოკლებულ არს ამიერითგან; რომელთადა ესხნენ ცოლ, ვითარცა არა ესხნენ“,² რამეთუ წარმავალ არს ხატი ამის სოფლისადა.

ან უკუე ვეტყვ მათ, რომელნი მეტყვან, თუ: რად არს ესე? უდაბნოდ წარსლვად და მონაზონებად გკბრძანება? ვითარმედ უკუეთუმცა მისმენდით, განვემცა ესე სიხარულით, რამეთუ იქმნეს ან ქალაქნი და სოფელნი მსგავს სოდომისა და გომორისა. და ვითარმცა ვის არა ვანკე წარსლვად უდაბნოდ და მონაზონებად, გარნა არავის ვაიძულებ ამას ზედა, რამეთუ ესე კაცად-კაცადისა ნებასა ზედა არს; ხოლო ამას გეტყვ და გამცნებ, რადთა მცნებათა ქრისტესთა იმარხვიდეთ, რამეთუ თანამედებ ხართ; არა გაყენებ ქორწინებად, არამედ გამცნებ, რადთა სინმიდით და წესიერებით იყვნეთ და არა უწყობით და სავსე სირცხვლითა და მრავლითა ცოდვითა; არა ვაიძულებ უდაბნოდ განსლვასა, არამედ ვაიძულებ ყოველთავე ჩუეულებათა ცოდვისათა მოწყუედად და ყოფად სახლთა შინა თქუენთა სინმიდითა და სიმართლითა. რად ზიარებად არს თქუენი შესაკრებელთა მათ თანა საეშმაკოთა, სადა-იგი ჳმანი და სიტყუანი ცოდვისანი ითქუმიან, სადა-იგი ხილვანი ბილნებისანი იხილვებიან, სადა-იგი ისართა გულისთქუმისათა განუწონებს ეშმაკი გულსა მას მხედველთადასა? რად-იგი თქუმადცა არა ჯერ-არს, მას ხილვად დღე ყოველ ვითარ თავს-იდებ? ამას ესევითარ-

¹ მათ. 5,28.

² 1 კორ. 7,29.

სა ბოროტსა ჩუეულებასა გაიძულე მონყუედად და მცნებათა ქრისტესთა აღსრულებად შენვენითა მისითა.

ხოლო ან სიტყუად ესე ამის პირისა დავაცხრვო, რამეთუ უწყი, ვითარმედ არა დაგავიწყდეს მცნებად ესე. უკუეთუ კულა ამისა შემდგომად პირველსა მასვე უდებებასა დაადგრეთ, უფიცხესად აღვლესო მახვლი იგი მხილებისად და მჯდომი იგი ბოროტი ღრმად განვკუეთო; და არა დავსცხრე ბრძოლად, ვიდრემდე განვაბნო კრებული იგი და მწყობრი ეშმაკისად და წმიდა-ვყო შესაკრებელი ეკლესიისად, რათა განვერნეთ ამისცა სოფლისა სირცხვლსა და კდემასა გონებისასა და მერმისაცა მწარისა მის სირცხვლისაგან განვთავისუფლდეთ და საუკუნესა მას ცხორებასა ღირს ვიქმნეთ მაღლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისად არს დიდებად და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თავი 6

სიტყუად ესე: „და მოვიდეს სახლსა და იხილეს ყრმა იგი მარიამის თანა, დედისა მისისა, და დავარდეს და თაყუანის-სცეს მას“ (2,11).

ხოლო ლუკა ესრეთ იტყვს, ვითარმედ: „მიანვინა იგი ბაგასა, რამეთუ არა იყო მათა ადგილ სავანესა მას“.¹ ესე ესრეთ გულისწმა-ყავთ, ვითარმედ შვა რაჲ ნაშობი იგი საკვრველებით დიდებული დედამან მან და ქალწულმან, მიანვინა იგი ბაგასა სიტყვსაებრ ლუკასა, რამეთუ არა იყო ადგილ სავანესა მას, და მწყემსთა პოეს იგი მწოლარე ბაგასა, ხოლო კულად აღიქუა იგი დედამან მან უქორწინებელმან წიალად თვსად; და ეგრეთ მოვიდეს მოგუნი და პოეს იგი წიალთა დედისათა. რამეთუ მოსლვასა ოდენ ქალწულისასა ბეთლემდ აღივსნეს დლენი შობისა მისისანი, რაჲთა სცნა, ვითარმედ ყოველივე განგებულებით აღესრულებოდა, და ყოველივე ქადაგებულ იყო წინანარმეტყუელთა მიერ, და ყოველივე ძალითა მალლისაჲთა იქმნებოდა, რომელმანცა მოიყვანნა მოგუნი იგი სპარსეთით. და იხილეს რაჲ ყრმა იგი დედისა თანა, დავარდეს და თაყუანის-სცეს მას.

რაჲ იხილეს მუნ განსაკვრვებელი, რაჲ იხილეს უცხოჲ ანუ დიდებული კაცობრივთა გულისსიტყუათა ზედა, არა თუმცა მიუთხრობელი იგი მადლი და დიდებაჲ შობილისა მის განაკვრვებდა სულთა მათთა? ამისთვისცა არა თუ თაყუანის-სცეს ოდენ, ვითარცა იტყვს მახარებელი, არამედ აღაღესცა საუნჯეთა მათთა და მოართუეს ძლუენი: ოქროჲ, გუნდრუკი და მური. რამეთუ არა კაცსა ლიტონსა ხედვიდეს, არამედ ღმერთსა ჳორცშესხმულსა და მეუფესა ყოველთა არსთასა. ამისთვისცა მოართუეს გუნდრუკი, ვითარცა ღმერთსა, ოქროჲ, ვითარცა მეუფესა, მური, ვითარცა ჩუენთვის განკაცებულსა, რომელსა ეგულებოდა სიკუდილისა გემოჲსა ხილვად და სამ დღე საფლავსა დადებად, რამეთუ ამისი სახე იყო მური იგი. ესე ყოველი მადლმან საღმრთომან გულისწმა-უყო მათ, რომელმანცა ვარსკულავი წინამძღურად მისცა. და მო-რაჲ-ვიდეს, არარაჲ პოეს დიდებაჲ და სიმდიდრე კაცობრივი, არამედ ბაგად და სავანე უნდოჲ და დედაჲ სიგლახაკესა შინა. ხოლო მადლი შობილისაჲ მის მიუთხრობელ იყო, და სიმდიდრე იგი სულიერი – უაღრეს ყოველთა ბუნებათა, ვითარცა იტყვს წინანარმეტყუელი: „დაფარნა ცანი შუენიერებამან მისმან და ქებითა მისითა აღივსო ქუეყანაჲ“.² ამან მადლმან აღავსნა გულნი იგი მათ მოგუთანი და და განაბრძნნა გონებანი მათნი; ამისთვისცა არა გარეშესა მას ხედვიდეს სიგლახაკესა, არცა ვითარცა კაცსა გულისწმა-ჳყოფდეს ლიტონსა, არამედ ვითარცა ღმერთსა თაყუანის-სცემდეს და მაცხოარსა ყოველთასა. და შეწირეს ძლუენი არა მიმსგავსებული სიზრქესა მას ჳურიათასა – მსხუერ-

¹ ლუკ. 2,7. ² ამბ. 3,3.

პლები ცხოვრობდა და ზუარაკთადა, არამედ მახლობელი გონიერებასა მას ეკლესიისასა: ოქროდ, მური და გუნდრუკი, სახედ გულისწმის-ყოფისა, მორჩილებისა და სიყუარულისა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა : „და მოიღეს ბრძანება ჩუენებით, რადთა არა მოაქციონ ჰეროდესა, არამედ სხვით გზით განემორნეს და წარვიდეს სოფლად თჳსა“ (2,12).

თ ა რ გ მ ა ნ ი : იხილე აქაცა სარწმუნოება მათი, ვითარ არა დაბრკოლდეს, არცა თქუეს, ვითარმედ: უკუეთუ დიდ არს ყრმა ესე და აქუს ძლიერება რადმე, რად საწმარ არს ფარულად სივლტოლად ჩუენი, რომელნი-ესე ცხადად მოვედით და არად შევჰრაცხეთ ჰეროდე და ერი იგი ჰურიათა? რადსათჳს ან უცნაურად მეტყვს ჩუენება ესე წარსლვად? არამედ არარად ესევეითარი თქუეს, არცა მოიგონეს, რამეთუ იყვნეს იგინი ყოვლითა გონიერებითა სავსე, და ესე არს ჭემმარიტად საქმე სარწმუნოებისა, რადთა არა გამოეძიებდეს კაცი მოცემულთა მათ მცნებათა, არამედ შეუორგულელებლად ჰმორჩილებდეს ბრძანებათა მათ საღმრთოთა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა : „და ვითარცა განემორნეს იგინი, აჰა ანგელოზი უფლისადა გამოუჩნდა ჩუენებით იოსებს და ჰრქუა: აღდეგ, წარიყვანე ყრმა ესე და დედა მისი და ივლტოდე ეგვპტედ და იყავ მუნ, ვიდრემდე გრქუა შენ, რამეთუ ეგულების ჰეროდეს მოძიებად ყრმისა მისი, წარწყმედად ეგე. ხოლო იგი აღდგა და წარიყვანა ყრმა იგი და დედა მისი ლამე და წარვიდა ეგვპტედ და იყო მუნ ვიდრე აღსრულებამდე ჰეროდესა. რადთა აღსრულოს თქუმული უფლისა მიერ წინაწარმეტყუელისაგან, რომელ იტყვს: ეგვპტით უნოდო ძესა ჩემსა“ (2,13-15).

თ ა რ გ მ ა ნ ი : დალაცათუ მოგუთა მათ არარად ინებეს გამოძიებად, არამედ სარწმუნოებითა შეუორგულელებელითა შეინყნარეს ბრძანება, ხოლო ჩუენდა ღირს არს ძიებად მოგუთათჳსცა და ყრმისათჳსცა, თუ რადსათჳს არა ჰურისტანს დაადგრა უშიშად ჰეროდესაგან, არამედ უბრძანა ანგელოზმან მოგუთა ფარულად წარსლვად სპარსეთად და იოსებს ჰრქუა წარიყვანება ყრმისა მისი ეგვპტედ დედითურთ მისით. რად არს ესე? უკუეთუმცა მიეცა იგი ჴელთა ჰეროდესთა და ვერმცა უძლო მან მოკლვად მისა, არამცა სარწმუნო იქმნა, თუ ჴორცნი შეისხნა, არამცა შეწყნარებულ იქმნა სიტყუად იგი განკაცებისა, რამეთუ ესეცა იქმნა და სხუად მრავალი კაცობრივითა წესითა; და ეგრეთცა იკადრეს ვიეთმე თქუამად, ვითარმედ აჩუენა ოდენ ჴორცთა შესხმად და არა ჭემმარიტ იყო განკაცება მისი. უკუეთუმცა ყოველსავე ღმრთივშუენიერებით იქმნა და ძალსაცა ღმრთეებისა თჳსისასა გამოაჩინებდა, რადენ არა უმეტესადმცა დაამტკიცეს სიტყუად თჳსი მეტყუელთა მათ ურჩულოებისათა. ამისთჳს თავს-იდვა ეგვპტედცა სივლტოლად, რადთა ჭემმარიტება განკაცებისა მისისა სარწმუნო-ყოს.

ხოლო მოგუნი იგი წარავლინნა ადრე, რაფთა მოძღუარ ექმნენ ქუე-ყანასა სპარსთასა, და რაფთა მოიკიცხოს მძღავრი იგი ჰეროდე და ცნას, ვითარმედ შეუძლებელსა საქმესა ჴელ-ჴყოფს, და სიბორგილე იგი გულის-წყრომისა თვისისა დააცხრვოს და ცუდისა მის შრომისაგან განეყენოს, რაფთა ორკერძოვე ძლეულ იქმნას იგი: მოგუთაგან პირველად, კადნიერე-ბით შესღვისათჳს იერუსალჴმდ და ქადაგებისა მისთჳს განცხადებულისა, და მეორედ, ესრეთ ადვილად განკიცხვისა მისისათჳს. ეგრეთვე პირველ მეგჳპტელნიცა იგი საკიცხელ ისრაჴლთა ყვნა, რამეთუ ძალ-ედვა ცხადად სიმდიდრისა მის მეგჳპტელთაჲსა ჴელთა ისრაჴლთასა მიცემად, არამედ უბრძანა ცთუნებაჲ მათი და მოკიცხვით წარღებაჲ სიმდიდრისა მათისაჲ, რომელ-იგი არა უდარესად სხუათა მათ სასწაულთასა განსაკჳრვებელ წინააღმდგომთა იქმნა. ამისთჳსცა, ოდეს-იგი მიეცა კიდობანი ასკალონელთა და სხუათა მათ ქალაქთა, და სცა მათ წყლულებითა ფიცხელითა, და ეტყოდეს ქურუმნი იგი და მისანნი განვლინებასა მას კიდობნისასა, სხუათა მათ სასწაულთა თანა ესეცა შორის შემოიღეს და თქუეს: „რაფთაჲს განჴფიცხნებით, ვითარცა-იგი მეგჳპტელნი და ფარაო განფიცხნეს? და გუემნა იგინი გუემითა სასტიკითა. და ოდეს მოიკიცხნეს, მაშინ გამოუტევეს ერი იგი“.¹ ხოლო ესე თქუეს, რამეთუ სხუათა მათ ძლიერებათა სწორად შეერაცხა ესრეთ ადვილად მოკიცხვად მათი – სასწაულად უძლეველისა მის ძალისა მისისა, რომელ-იგი აქაცა იქმნა განსაკჳრვებელად მძღავრისა მის. რამეთუ გულისჴმა-ყავ, თუ რავდენ შენუხნამცა ჴეროდე და შეიშთვებო-და, ოდეს იხილა თავი თჳსი მოკიცხული მოგუთა მათგან. ხოლო თუ არა შეიგონა, ესე მისისა მის უგუზურებისა და უკეთურებისა გარდამატებუ-ლებად არს და არა ბრალობად კეთილადგანმგებელისა მის უფლისაჲ; რამეთუ უფალმან უჩუენა გზად გულისჴმის-ყოფად უძღურებისა თჳსისა და ვერშეძლებისა წინააღმდგომად ღმრთისა, ხოლო იგი უძკრესისა მიმართ წარემატა, რაფთა ამისთჳსცა უმეტესისა საშჳელისა ღირს იყოს უგუზური იგი და ურჩულოჲ.

ხოლო რაფთაჲს ეგჳპტედ წარვიდაო ყრმად იგი და უფალი? – იტყვან ვიეთნიმე; არამედ თქუა მახარებელმანცა მიზეზი წარსღვისა მისისაჲ: „რაფთა აღესრულოსო თქუმული უფლისა მიერ წინაწარმეტყუელისაგან, რომელსა იტყვს: ეგჳპტით უწოდი ძესა ჩემსა“.² ხოლო ამასცა გულისჴმა-ვჴყოფთ, ვითარმედ კეთილისა სასოებისა დანყებაჲ ექადაგებოდა სოფელ-სა, რამეთუ ვინაფთგან ბაბილონი და ეგჳპტე უფროჲს ყოვლისა სოფლისა შეპყრობილ იყვნეს სიბნელითა მით და არმურითა უღმრთოებისაჲთა, ჟამ-სავე შობისა მისისასა იწყო უფალმან ორთავე მათ სოფელთა კურნებად და სიბნელისა მის მათისა განათლებად, რაფთა აჩუენოს, ვითარმედ ორთავე-სა მიფენად ეგულების ნათელსა თჳსსა და სასოებაჲ ცხორებისაჲ მისცეს

¹ 1 მეფ. 6,6. ² მათ. 2,15.

ყოველთა წარმართთა. ამისთვისცა ბაბილოვნით უწოდა მოგუთა მათ და უჩუენა განკაცება თვისი; და მიავლინა იგინი ქადაგად ბაბილოვნელთა, ხოლო ეგვპტედ თავადი მივიდა დედისა თანა თვისისა. ამას ზედა სხუადცა მოძღურებად გუესნავების ჩუენ ამიერ, რადთა ვცნათ, ვითარმედ ჯერ-არს თავს-დეება განსაცდელთა და ბრძოლათა; რამეთუ იხილე, ვითარ შობითგანვე უფლისაით ესრეთ იქმნა, და ვიდრე სახუეველთადა შინა იყო, ბრძოლად აღუდგა მას მძლავრი ჰეროდე. ამისთვისცა ეგვპტედ ივლტის და უცხოებად წარვალს დედითურთ ცხოვრებისმომცემელი იგი ყრმად, რადთა შენ გესმას ესე, და რაჟამს სულიერსა რასმე მსახურებასა ღირს იქმნა ჯელ-ყოფად, და მერმე მოინინენ შენ ზედა განსაცდელნი და ბრძოლანი, გინა თუ ეშმაკთაგან, ანუ თუ კაცთაგან, არა შეშფოთნე, არცა უცხოდ აღგიჩნდეს და სთქუა: რად არს ესე? საქმესა საღმრთოსა ჯელ-ვყავ, და ჯერიყო, რადთამცა უფროდსად ღბინებად და განსუენებად ვპოვე, და აჰა ესერა განსაცდელნი მენინეს მე. არამედ მიჰხედნე სახესა ამას და მადლობით ყოველივე დაითმინო და გულისჯმა-ჰყო, ვითარმედ ესე არს წესი სულიერთა საქმეთად, რადთა მარადის თანაშერთულ იყვნეს ბრძოლანი განსაცდელთანი. რამეთუ ვინ არს იგი, რომელი ხედედეს დედასა უფლისასა საკვრველისა მისთვის და ცნობათა უადრესისა შობისა შორსა და უცხოთა ქუეყანასა ლტოლვილსა, და მას უცხო უჩნდეს თავს-დეება ჭირთა და განსაცდელთა და ბრძოლათა სოფელსა ამას შინა. ხოლო გულისჯმა-ყავ ესეცა საკვრველებად: ჰურიასტანი ებრძვის და სდევის უფალსა, და ეგვპტე შეინყნარებს და უვნებლად დაიცავს, რადთა ყოველივე იგი იქმნას დასასჯელად ჰურიათა.

ამისთვისცა, იხილა რად უმადლოდ იგი და უგუჟური გონებად მათი ანგელოზმან, ვითარმედ ჰეროდეს უმეტესად შეენევიან, ვიდრელა მაცხოვარსა და მესნელსა ყოვლისა სოფლისასა, გამოუჩნდა ჩუენებით არა ქალწულსა, არამედ იოსებს და ესრეთ ჰრქუა მას: „აღდეგ და წარიყვანე ყრმად ეგე და დედა მამისი“. არღარა ეტყვს ან, თუ ცოლი შენი, არამედ დედა ყრმისაო. ვინაითგან შობად იგი აღესრულა და ყოველივე იჭვ დაიწსნა და კაცი იგი მორწმუნე იქმნა, არღარა იყო მიზეზ ნოდებად ქალწულისა ცოლად მისა, არამედ „ყრმად ეგეო და დედა მამისი“. ვიდრემდე შობად იგი საკვრველი არა აღსრულებულ იყო და ძე იგი, ყოველთა მეუფე, არა შობილ იყო, ცოლად სახელ-სდებდა მიზეზთა მათთვის ზემოთქუმულთა, ხოლო ვინაითგან იშვა უფალი და გამოჩნდა, თუ ვისი დედა არს ქალწული იგი, ვითარლამცა ჰრქუა ცოლად მისა, რომელი-იგი უცხო იქმნა წესთაგან ქორწინებისათა და რჩულთაგან ბუნებისათა? ამისთვისცა ეტყვს ანგელოზი იოსებს: „აღდეგ და წარიყვანე ყრმად ეგე და დედა მამისი და ივლტოდე ეგვპტედ, რამეთუ ეგულების ჰეროდეს მოძიებად ყრმისა მამის, წარწყმედად ეგე“, ესე იგი არს, მოკლვად ეგულების ეგეო, რადთა წარწყმდეს და უჩინო იქმნას სახელი მისი. ხოლო იოსებ არავე დაბრკოლდა, არცა ჰრქუა, თუ: რად

არს სიტყუად ეგე? პირველ იტყოდე, ვითარმედ: „მან იწსნას ერი თვსი“,¹ და ან ვერცა თუ თავსა თვსსა ძალ-უცა გამოწსნად? არამედ გვწმს სივლტოლად შორთა ქუეყანათა. წინააღმდგომ ხარებისა მის შენისა არს საქმე ესე. არარად ესევეთარი თქუა, რამეთუ მორწმუნე იყო კაცი იგი, და არცა თუ უკუმოსლვისა ჟამი გამოიკითხა, ესმა რად ანგელოზისაგან, ვითარმედ: „იყავ მუნ, ვიდრემდე გრქუა შენ“, არამედ სიმწნით თავს-იდებდა ყოველთავე განსაცდელთა. რამეთუ, ვითარცა ვთქუ, ყოველსა კეთილსა საქმესა ჭირი თანაშეთხზულ არს, არამედ სახიერი ღმერთი ნუგეშინის-ცემასაცა შეჰრთავს განსაცდელთა თანა, რადთა არცა ჭირნი იყვნენ უნუგეშინისცემულ, არცა განსუენებად უჭირველად, არამედ ამით ორითავე შესთხზნის ცხორებასა მართალთასა. ეგრეთვე აქაცა ქმნა. და ესრეთ გულისწმა-ყავ: იხილა იოსებ ქალწული მიდგომილი და შენუხნა, რამეთუ იჭკ ცოდვისად მოუჭდა გულსა, ვითარ-იგი არასადა სმენილ იყო კაცთა შორის უთესლოდ მუცლად-ლებად. და მეყსეულად დაადგრა მას ანგელოზი და იჭკ იგი განუქარვა, და ყოველივე შიში გულისა მისისაგან განიოტა. და იხილა რად შობად უფლისად, აღივსო სიხარულითა. კუალად სიხარულსა მას შეუდგა მწუხარება და შიში, რაჟამს მეფე იგი ურჩულოდ ბორგდა და ერი ჰურითად აღშფოთნებოდა და შობილსა მას ეძიებდეს. არამედ ესეცა მწუხარება დააცხრვო მოსლვამან მოგუთამან და წინამძღურობამან ვარსკულავისამან. კუალად ამის ნუგეშინის-ცემისა შემდგომად მოინია შიში უმეტესი, ესმა რად, ვითარმედ: „ეგულების ჰეროდეს მოძიებად ყრმისა მაგის“, და ივლტოდე ეგვპტესო, – ეტყოდა მას ანგელოზი. ესე ამისთვის, რამეთუ არა ჯერ-იყო ჯერეთ სასწაულთა ქმნად, რამეთუ უკუეთუმცა სიჩრითგანვე იწყო სასწაულთა აღსრულებად, მრავალთამცა არა ჰრწმენა, ვითარმედ სრული კაცთა ბუნებად მიილო და ჭემმარიტად განწორციელდა. ამისთვისცა არა თავით თვსით შეემზადების ტაძარი იგი ყოვლადწმინდისა გუამისა მისისად, არამედ მიდგომილება უთესლოდ იქმნა, და ცხრა თუე საშოსა შინა დედისასა იყო, და შობად ჭემმარიტი აღესრულა უხრწნელებითა და ნოვნად სძისად და სიჩრით გუამისად და ზრდილობად, რადთა უთესლოდ მუცლად-ლებითა და უხრწნელებით შობითა ღმრთივშუენიერებად შობისა მისისად გამოჩნდეს, ხოლო წესითა მით შობისა და ჩჩკლებისა და ზრდილობისადთა ჭემმარიტებად განკაცებისა მისისად გულისწმა-ვყოთ. ამისთვისცა არარად ქმნა სასწაული, ვიდრე სრულ იქმნა ჰასაკითა მით გუამისადთა, რადთა განგებულებისა იგი სიტყუად სარწმუნო-ყოს და საიდუმლოდ იგი დაამტკიცოს.

იტყვან უკუე ვიეთნიმე, ვითარმედ: უკუეთუ ესე ესრეთ არს, რადსათვს ყოვლადე იქმნეს სასწაულნი იგი ჟამსა შობისა მისისასა: ხარებად ანგელოზისად, გამოჩინებად ვარსკულავისად, ზეცით წმანი ანგელოზთანი მწყემსთა მიმართ და სხუად ესევეთარი? ესე ყოველი იქმნა, საყუარელო,

¹ მათ. 1,21.

და სხუად იგი მსგავსი ამისი, რადთა გულსავსე იქმნას დედად იგი ქალწული, რადთა გულისწმა-ყოს იოსებ, რადთა იხილოს უფალი მოხუცებულმან სკმეონ, ეგულებოდა რად წარსლვად ამიერ, რადთა ცნან მწყემსთა მათ და მოგუთა და ჰურიათა, რომელთა არა ინებეს ცნობად. რამეთუ უკუეთუმცა ენება, აქუნდა მიზეზი გულისწმის-ყოფისად განცხადებული. ხოლო არა ინებეს რად აღხილვად თუალთა და ხილვად ნათელი იგი ბრწყინვალე, დადუმნა ვიდრე ჟამადმდე ნათლის-ლებისა მისისა და მიერთგან იწყო განცხადებულად ქადაგებად და შეწყნარებად მონაფეთა და ქმნად ნიშებისა და სასწაულებისა. არამედ ჟამსა სიყრმისასა არარად ქმნა ესევეთარი ზემოვსენებულთა მიზეზთათჳს, არამედ ივლტოდაცა პირისაგან ჰეროდესა და უცხოოდ ქუეყანად წარვიდა, რადთა არარად სათნობათაგან დაშთეს აღუსრულებელად მის მიერ, არამედ მოგუცეს ჩუენცა სახე უცხოებისად, რომელ-ესე ერთი არს მოღუანებათაგანი, და უფროესად, ოდეს-იგი ჩჩკლ იყოს შინაგანი კაცი ჩუენი, კეთილ არს უცხოებად, რამეთუ ჰეროდე ვნებად გამოითარგმანების, და ეგკპტე სახე არს ჭირთა და შრომათად. ან უკუე, ოდეს სულიერიითა მით ჰასაკითა ჩჩკლ ვიყვნეთ და შიში ვნებათად გუდევნიდეს, რომელთაცა სახე არს ჰეროდე, კეთილ არს ჩუენდაცა ბაძვად უფლისად, და ვითარცა იგი ივლტოდა ეგკტედ პირისაგან ჰეროდესა, ეგრეთცა ჩუენ უცხოებისა და სხვსა ყოვლისავე ჭირისა და შრომისა საქმე თავს-ვიდვათ, ვიდრემდე მოვაკუდინნეთ ვნებანი უენებლობითა.

ხოლო შთასლვად იგი ეგკპტედ და მიერ აღმოსლვად კუალად ჰურიასტანად იქმნა უმეტესად ქალწულისა ღმრთისმშობელისა სადიდებელად, რამეთუ ვინაფთგან ერი იგი ებრაელთად იქადოდა ამას ზედა, რომელ ეგკპტით ამოვიდეს მამანი მათნი, აღესრულა ესეცა ქალწულსა მას ზედა წმიდასა, და უფროესლა ერისა მის აღმოსლვად მიერ და პირველ მათსა მამათმთავრისად მის ამისსა მოასწავებდა შთასლვასა და აღმოსლვასა. რამეთუ მამინ ისრაჳლ და ძენი მისნი ლტოლვილნი სიყმილისაგან შთავიდეს ეგკპტედ, და ან – ქალწული, ივლტოდა რად ჰეროდესგან; იგინი შთავიდეს რად ეგკპტედ, განერნეს სიყმილისაგან, და ესე შთავიდა რად ეგკპტედ და ეტკრთა წიალითა მჯდომარე საყდართა ზედა ქერობინთა და დიდებული სერაბინთა მიერ, შემუსრნა ჴელითქმნულნი ეგკპტისანი და წმიდა-ყო ქუეყანად იგი მისლვითა მისითა. გულისწმა-ყავ უკუე, ვითარ მდაბალთა მათ საქმეთა თანაშეერთვიან მაღალნიცა გამომაჩინებელად ძალსა ღმრთეებისა მისისასა. ამისთჳსცა არა ჰრქუა ანგელოზმან იოსებს, თუ: მე წინაგიძლოდი შენ ეგკპტედ, და მე აღმოგიყვანო მიერ, ვითარცა პირველ იაკობს მამათმთავარსა, რამეთუ მეუფე იგი ანგელოზთა და კაცთა მათ თანა იყო მწსნელად ყოვლისაგან ბოროტისა, რომელმანცა ჟამსავე შობისა მისისასა შეცვალნა ბუნებანი საქმეთანი ჯერისაებრ და ყვნა მტერნი იგი და უცხონი თანაშემნედ განგებულებისა მის. და მოგუთა, ბარბაროზთა მათ სპარსთა, დაუტევეს მამული იგი ეშმაკთა მონებად და მოვიდეს თაყუანის-ცემად მი-

სა. და აგვსტოს კეისარი თანაშემწე იქმნა ბეთლემს შობისა მისისა ბრძანებითა მით, რომელი მათ ოდენ დღეთა გამოჴდა მის მიერ, რომელმანცა აიძულა იოსებისა და მარიამისა აღსლვად ბეთლემს აღწერისა მისთვის; და კუალად ეგვპტემან შეიწყნარა იგი ლტოლვილი ჰეროდესგან და მისცა მიზეზი შეწყალებისა თვისისა, რათა უკუანაღსკნელ, განვრცელდეს რად ქადაგება მოციქულთად ყოველსა სოფელსა, იქადოდის იგი, ვითარცა ყოველთა უპირატეს შემწყნარებელი. ჰურიასტანისადა მიცემულ იყო ნიჭი ესე, არამედ იქმნეს რად იგი უმადლო და არა ინება შეწყნარება უფლისა ღმობიერად, იპოა ეგვპტე უგონიერეს მისა და უმჴურვალეს.

სწავლად ღ ცხორებისათს მონაზონთადასა

და ან უკუეთუ მიხვდეთ უდაბნოთა მათ მეგვპტისათა, იხილნეთ იგინი უშუენიერეს სამოთხისა, იხილნეთ მუნ ბევრეულნი დასნი ანგელოზთანი კაცობრივითა ამით ჴორციითა, კრებულნი მონამეთანი და სიმრავლენი ქალწულთანი; იხილოთ მუნ ყოველივე მძლავრება ეშმაკისა დაჴსნილი და მეუფება ქრისტესი განბრწყინვებული; და ქუეყანად იგი ულუკთა და მისანთა და გრძნეულთა მშობელი, რომელმან მოიპოა ყოველი წესი გრძნეულებისად და მრავალთა სოფელთა უქადაგა, იხილო ან მოქადული მოძღურებასა მას ზედა მოციქულთასა, რომელი ეკიცხევს ან პირველსა მას საცთურსა და შემკობილ არს ჯურითა და სახარებითა და წიგნებითა მოციქულთადათ. და ესევეთარი ესე კეთილი არა ქალაქსა შინა ოდენ ჰპოო, არამედ უფროსად უდაბნოსა, რამეთუ სავსე არს ყოველი იგი ქუეყანად მკედრებითა ქრისტესითა, განწყობილითა მით ანგელოზთადათ, მოქალაქობითა მით უჴორცოთადათ. და ესე არა მამათა მიერ ოდენ იხილვების ასრულებულად, არამედ ბუნებისაგანცა დედათადასა, რამეთუ იგინიცა არათა უდარეს მამათასა განწყობილ არიან ბრძოლად ეშმაკისა, არა საჭურველითა რკინისადათა შეჭურვილნი, არამედ საჭურველითა მით ჴელითუქმნელითა სათნოებათადათ, რამეთუ ზოგად არს მამათა და დედათა ბრძოლად ეშმაკისა მიმართ, ძალთა მათ მიმართ ბნელისათა, და არასადა იქმნების უძღურება იგი ბუნებისა დამაბრკოლებელ ესევეთარისა მის ბრძოლისად. არა ძალითა ჴორცთადათ, არამედ ძალითა გონებისადათა აღესრულების ესევეთარი იგი ბრძოლად. ამისთვის დედანი უმეტეს მრავალთა მამათა განძლიერდეს განწყობილსა მას შინა.

არა ბრწყინავს ესრეთ ცაჲ სიმრავლითა მით ვარსკულავთადათ, ვითარ-იგი უდაბნონი ეგვპტისანი ბრწყინვენ საყოფლებითა მით მონაზონთადათ. უკუეთუ ვის უხილავს ძუელი იგი ეგვპტე, ღმრთისა მბრძოლი და განლიგებული მონებითა კერპთადათ, თაყუანისმცემელი კუერნებისა, ხახ-

კსად და ნიორისად, მან გულისწმა-ყოს ძალი ქრისტესი, თუ ვითარისა უგუნურებისა და სიცოფისაგან ვითარსა ღმრთისმეცნიერებასა მოიყვანნა იგინი. რამეთუ იპოებიან ანცა სასწაულნი პირველთა მათ სამსახურებელთა და საზორველთა მათთანი, და ან, რომელნი-იგი ესევეითართა სიბორგილითა და სიცოფითა შეპყრობილ იყვნეს, სავსე არიან საღმრთოთა მეცნიერებითა და საიდუმლოთა ზეცისათა ზრახვენ და მამულთა მათ წესთა ეცინიან და მამათა მათთა დიდად აბრალებენ და მათსა უბადრუკებასა იგლოენ და ფილოსოფოსთა მათ ამათა სიბრძნე საკიცხელად აქუს, რამეთუ ცნეს გონიერად, ვითარმედ ყოველი იგი მათ მიერ გამოთქუმული ზღაპარი არს ცუდი და ამოფ, ხოლო ქადაგებული იგი მეთევზურთა მიერ სიბრძნე არს ჭეშმარიტი და ზეცისა საიდუმლოთა გამომეტყუელი. ამისთვსცა ესე-ვითარსა მართლალსაარებასა და მართლგამომეტყუელებასა თანა სარწმუნოებისასა საქმესაცა სათნოებისასა და წესსა მოლუანებისასა უაღრეს ბუნებისა აჩუენებენ. რამეთუ აღიძარცუეს ყოველივე საქმე სოფლისა და ჯუარსა აცუნეს თავნი თვსნი და მერმელა უმეტესისა მიმართ რბიან, ვითარცა კეთილადმსრბოლნი მწედარნი. რამეთუ საქმესა ჴელთა მათთასა საზრდელად გლახაკთა წარაგებენ და არა თუ მარხვასა და მღვძარებასა კმა-ჴყოფენ, არამედ ჴელთა საქმესაცა ჴორცთა თვსთა აჭირვობენ, წარაგებენ ღამეთა ლოცვასა შინა და გალობასა და დღეთა ეგრეთვე ლოცვასავე შინა და ჴელთსაქმარსა, რადთა მობაძავ იქმნენ მოქალაქობისა მის სამოციქულოსა. რამეთუ ვითარცა-იგი მოციქული პავლე იტყოდა, იქმონდა რომელ შრომასა თანა ქადაგებისა და მოძღურებისასა საქმესაცა ჴელთასა, დღე და ღამე მოსწრაფე იყო, და ჴმსახურებდეს ჴელნი მისნი საჴმარსა მისსა და რომელნი იყვნეს მის თანა, ეგრეთვე ნეტარნი ესე იქმან: დაუცხრომელად ილოცვენ და საქმესა ჴელთასა არა უდებ იქმან, რადთა მისგან მოირენონ, რად-იგი უწმდეს მიცემად გლახაკთა. და ან ჩუენცა გურცხუენოდენ, სიმდიდრითა გარდამატებულთა, მათისა მის მოსწრაფებისაგან, რამეთუ უკუეთუ იგინი, რომელთა სრულიად უვარ-უყოფიან ჴორცნი და გემონი სოფლისანი, ესრეთ მოლუანე გლახაკთა არიან, რად-მე სიტყუად ვპოთ ჩუენ დღესა მას სასჯელისასა, რომელნი-ესე არცა თუ ნამეტნავსა ფრიადისა სიმდიდრისასა მივსცემთ გლახაკთა? ესრეთ უაღრეს ყოვლისა სოფლისა არიან მოლუანენი იგი სანატრელნი, შემკობილნი ყოვლითა სათნოებითა, განშორებულნი ყოველთაგან გემოთა ჴორციელთა და შუებათა სანუთროსათა. ესრეთ შეცვალა ეგვპტე ქრისტემან მოსლვითა მისითა, რამეთუ დაღაცათუ ქადაგებად იგი უკუანადკნელ განეფინა შემდგომად ამალლებისა მისისა, არამედ მაღლი მისი მიერთგანვე დაეთესა, შე-რადვიდა მას შინა ჩჩკლი. ეჴა საკვრველი! სადა-იგი უფროფს ყოვლისა სოფლისა იყო უფლებულ ვნებათა სიმრავლე და მონებად გემოთად და მუცლისად, სადა-იგი იყვნეს სიავნი სავსენი ჴორციითა, ვითარცა თქუეს ჴურიათა, სადა-იგი იყო ყოველი საცთური, ან მკვდრთა მის ქუეყანისათა შეინყნარეს

ცეცხლი სურვილისა საღმრთოდაც, და სრულიად ფრთოვან იქმნეს სულნი მათნი მიწევნად სავანეთა მათ ზეცისათა, და ყოვლითავე ქველისსაქმითა მობაძავ არიან ანგელოზთა ზეცისათა.

უნყის ჩემ მიერ თქუმული ესე, რომელიცა მისრულ არს სავანეთა მათ მათთა და უხილავს მოქალაქობად მათი, ხოლო რომელსა არა უხილვან იგინი თუალითა, გულისწმა-ყავნ მან მოქალაქობად იგი ანგელოზთა მიმსგავსებულისა მის, რომელი შემდგომად მოციქულთა, მობაძავი მოციქულთად, ეგვპტით გამოჩნდა. სანატრელსა მას ვიტყვ, დიდსა ანტონის, რომელი მისვე ქუეყანისა იყო, ვინაცა ფარაო, არამედ არა ევნო ქუეყანისა მისგან, რამეთუ ღირს იქმნა იგი ხილვასაცა საღმრთოსა და ესევეთარი ცხორებად მოიგო, ვითარ-იგი მცნებანი ქრისტესნი ბრძანებენ. და ესე ცნას განცხადებულად, რომელიცა მისსა მას მიემთხვოს ცხორებასა, რომელი ღირსმან მან და ნეტარმან ათანასი აღწერა ალექსანდრიელმან, რომელსა შინა დიდი პოოს მოლუანებისა საზომი და ფრიადი საქმე სასწაულთა და მადლი წინანარმეტყუელებისა. რამეთუ განცხადებულად წინანარმეტყუელა ყოფადისა მისთვის არიანობთა მიერ შფოთისა ეკლესიათადასა, რომელი-იგი კეთილად გამოუცხადა მას უფალმან. არამედ რაათა არა ჩემგან გიწმდეს ესევეთარისა მისთვის მოქალაქობისა მითხრობად, თქუენ აღმოიკითხეთ კაცად-კაცადმან წიგნი იგი და ყოველივე კეთილად ისწაოთ და იხილოთ მუნ სიბრძნე საღმრთოდ ჭეშმარიტი. ხოლო ამას გვედრები, რაათა არა აღმოვიკითხოთ ოდენ, არამედ ვჰბაძვდეთცა კეთილთა მათ საქმეთა და ნუმცა რას ვმიზეზობთ: ნუცა სოფელსა ბოროტისმოქმედსა, ნუცა მშობელთა უკეთურებასა, ნუცა ზრდილობასა ვნებულსა, რამეთუ უკუეთუ ვინებოთ კეთილისა საქმე, არარად ამათგანი იქმნას დამახრწველ ჩუენდა. რამეთუ აბრაჰამისცა მშობელნი უკეთურ იყვნეს, არამედ იგი სათნო-ეყო ღმერთსა; და ეზეკია ძე იყო აქაზისი და მონა ღმრთისა იქმნა; და იოსებ შორის ეგვპტესა მიიღო გვრგვნი სინმიდისა; და სამნი ყრმანი ბაბილონს იყვნეს სახლსა ნაბუქოდონოსორისსა, და აიძულებდა მათ საჭურისთმთავარი იგი შუებად და ფუფუნებად, ხოლო მათ სრული იგი აჩუენეს სიბრძნე; და მოსე ეგვპტეს იყო, და პავლე სოფელსა შინა ვიდოდა, და ვერარამან უძლო დაბრკოლებად მათდა კეთილისა მის გზისაგან სათნოებათადასა.

ან უკუე ჩუენცა გულისწმა-ვყოთ ესე ყოველი და ყოველივე მიზეზი ცუდი და ამაოდ განვაგდოთ და შრომასა მას სათნოებათასა გულსმოდგინებით წელ-ვყოთ. და იხილოს რად ღმერთმან გულსმოდგინებად ჩუენი, მოგუცეს მწრაფლ მისმიერი შეწევნად, და ღირს ვიქმნეთ მიმთხუევად საუკუნეთა მათ კეთილთა მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თავი 10

სიტყუაჲ ესე: „მაშინ ჰეროდე ვითარცა იხილა, რამეთუ მოიკიცხა მოგუთა მათგან, განრისხნა ფრიად“ (2,16).

არა განრისხებდა ჯერ-იყო, არამედ უფროდსად შეშინებდა და შეკდიმებად და ცნობად, ვითარმედ შეუძლებელთა საქმეთა ჯელ-ყოფად არა უკმს, არამედ არა შეიკდიმა უკეთურმან მან, არცა შეიგონა. რამეთუ ოდეს ფიცხელი და უკურნებელი სული იპოოს, შეპყრობილი სენითა საეშმაკოთა, არარას შეინყნარებს ღმრთისა მიერ მოცემულსა წამალსა. და ან იხილე ურჩულოდ იგი, ვითარ გარდაჰმატებს უკეთურებასა თქსსა და მკლველობასა ზედა მკლველობათა შესძინებს და უფსკრულად ჯოჯოხეთისა სულსა თქსსა შთაჰჰდის. რამეთუ სრულიად განცოფნა იგი ეშმაკისა მისგან რისხვისა და შურისა და არარას ჰრიდებდა, არამედ ყოვლითურთ მბრძოლ ბუნებისა კაცთადას იქმნა და რისხვისა მისთვის, რომელ განრისხნა მოგუთა მათთვის, შური იძია უბრალთა მათ ზედა ჩჩულთა და ქმნა ჰურიასტანს საქმე უძკრესი ეგვპტეს შინა პირველქმნილისა მის, ვითარცა ესერა აღმოვიკითხავთ:

სახარებაჲ: „რამეთუ წარავლინნა და მოსწყვნა ყოველი ყრმები, რომელნი იყვნეს ბეთლემს და ყოველთა საზღვართა მისთა, ორით წლითგანი და უდარესი, ჟამისა მისებრ, ვითარცა გამოიკითხა მოგუთა მათგან“ (2,16).

თარგმანი: ამათ სიტყუათა განმარტებასა კეთილად ყური მოყავთ, რამეთუ მრავალნი მრავალსა ცუდადმეტყუელებენ ყრმათა მათთვის და ზრახვენ, ვითარმედ უსამართლოდ ევნო მათ; და რომელნიმე უგონიერესადრე იკითხვენ, ხოლო სხუანი ფრიად უგუნურად და სიცოფით. ან უკუე, რაჲთა მათი იგი სიცოფე განვაქარვით და მათი უმეცრებად, ისმინეთ, რასა-ესე ვიტყვ წინამდებარისა ამის საქმისათვის: უკუეთუ მაცილობელ ამისთვის არიან მეტყუელნი იგი ამაოთა სიტყუათანი, თუ რად მიშუებულ იქმნა მოწყუედად იგი ყრმათა მათ, აბრალებდენ სადმე მოწყუედისა ამისთვისცა მწედართა მათ, რომელნი სცვიდეს პეტრეს, რამეთუ ვითარცა ესერა აქა ყრმად იგი, უფალი ყოველთად, ვერ პოა ურჩულომან ჰეროდე და ყრმები იგი ბეთლემისად მოსწყვნა, ეგრეთვე მაშინ, განჰსნა რაჲ ანგელოზმან პეტრე ჯაჭუთაგან და განიყვანა საპყრობილისაგან, მსგავსმან მან ამის მძღავრისამან სახელითაცა და საქმითა, მოიძია რაჲ და ვერ პოვა იგი, მწედარნი, მცველნი მისნი, მის წილ მოსწყვნა.

და რაჲ არსო ესე სიტყუაჲ? – იტყვან მეტყუელნი იგი, – ესე არა საძიებელისა მის თარგმანებად არს, არამედ უფროდსად შეძინებდა სხვსაცა საძიებელისად; ხოლო ესე მეცა უწყი, არამედ ამისთვის ყოველსა ესევითარსა შორის შემოვიღებ, რაჲთა ერთბამად ყოველივე განგიმარტო. ან უკუე რაჲ-მე არს ამის ესევითარისა განმარტებად, ანუ რაჲ ვთქუათ ამათ საქმე-

თავს? მე ესრეთ ვიტყვ, ვითარმედ არა ქრისტე იქმნა მიზეზ მონყუედისა მის ყრმათაჲსა, არამედ ურჩულოებაჲ იგი და უწყალოებაჲ ჰეროდესი, ვითარცა-იგი არცა მუნ პეტრე იქმნა მიზეზ მონყუედისა მის მცველთაჲსა, არამედ უგულისხმოებაჲ იგი ჰეროდესი, რამეთუ უკუეთუმცა ეპოვნა კედელი განჯურეტილი ანუ კარი განღებული, აქუნდამცა ვიდრემე სიტყუაჲ ბრალობისაჲ მცველთა მიმართ და შესმენაჲ უდებებისაჲ; ხოლო ოდეს-იგი ყოველივე პოვა წესსა ზედა თვისსა, კარნი კლიტულნი და ჯაჭუნი ჴელთა შინა მცველთაჲსა, რამეთუ უმეტესისა კრძალულებისათჲს მას თანა შეკრულ იყვნეს ორნი იგი მჴედარნი, უკუეთუმცა იყო მის თანა ცნობაჲ გონიერი, რად არა თქუა, თუ საქმე ესე არა კაცობრივითა წესითა იქმნა, არამედ ზეგარდამოფთა ძალითა, რომლისა წინააღდგომაჲ შეუძლებელ არს? ამის ესევითარისაჲ ჯერ-იყო თქუმაჲ და თაყუანის-ცემად ღმრთისა, რომელმან ყვის საკრველი მხოლომან. რამეთუ ესრეთ ქმნა ღმერთმან საქმე იგი საკრველებით, რაჲთა ყოვლად არარაჲ აქუნდეს მძლავრსა მას სიტყუაჲ ბრალობისაჲ მცველთა მათ მიმართ, არამედ უფროსად მოვიდეს სარწმუნოებაჲ ღმრთისა; ხოლო უკუეთუ იპოვა იგი უმაღლო და უგულისჴმო და არა ინება კურნებაჲ სენისა თვისსაჲ, რაჲ ბრალობაჲ არს ამისგან ჴელოვნისა მის მკურნალისა სულთაჲსა, რომელმან ყოველივე ქმნა საკურნებლად ბოროტისა მის წყლულებისა მისისა?

ეგრეთვე მონყუედისა ამისთვისცა ყრმათაჲსა ჯერ-არს თქუმაჲ: რაჲსათჲს განჴრისხენ, # ჰეროდე, რაჲჲამს-იგი მოიკიცხე მოგუთა მათგან? არა გულისჴმა-ჴყავა, ვითარმედ შობაჲ იგი საკრველ იყო და შობილი იგი საკრველთმოქმედ? არა შენ მოუნოდეა მღდელთმოძღუართა და შეჴკრიბენ მნიგნობარნი ერისანი? და შემო-რაჲ-ვიდოდეს იგინი შენდა, არა შემოიყვანესა მათ თანა წინაწარმეტყუელი სამსჯავროსა მას შენსა, რომელი წინაჲთვე ღაღადებდა ბეთლემს შობასა მეუფისასა? არა იხილეა, ვითარ ძუელნი იგი ახალსა ამას ეწამებოდეს? არა გესმაა, ვითარმედ ვარსკულავმანცა უქადაგა იგი აღმოსავალისათა? არა შეიკდიმეა მოსწრაფებისა მისგან ბარბაროზთაჲსა? არა განგიკვრდაა მათი იგი კადნიერებაჲ? არა განსცვბრდია სიტყუათა მათგან წინაწარმეტყუელისათა? ვითარ ამის ყოველისაგან არა გულისჴმა-ჴყავ, ვითარმედ არა მოკიცხვაჲ მოგუთაჲ იყო საქმე იგი, არამედ განგებულებაჲ ზეგარდამოჲ და საქმე ძალისა მის საღმრთოსაჲ? ხოლო დაღაცათუ მოიკიცხე მოგუთა მიერ, რაჲ ბრალი არს ჩჩვლთა მათ უმანკოთაჲ?

მეტყვან უკუე მეძიებელნი იგი ამათ საქმეთანი, ვითარმედ: ჴე, კეთილად სთქუ ესე ყოველი და უსიტყუელ-ჴყავ ჰეროდე და მისი იგი მკლველობაჲ გამოაჩინე, არამედ სიტყუაჲ იგი, თუ რაჲსათჲს უბრალოთა მათ ესევითარი შეემთხვა, ჯერეთ არა განგიმარტებიეს, რამეთუ დაღაცათუ ჰეროდე ურჩულოჲ იყო და უჯეროდ იქმოდა საქმესა მას ბოროტსა, არამედ ღმერთმან რად მიუშუა? ამის ესევითარისა სიტყუსათჲს იგი ვთქუათ, რომელსაცა მარადის ვიტყვ ეკლესიასა შინა, და მნებავს, რაჲთა კეთილად

უწყოდით სიტყუად იგი, რამეთუ კანონი არს დაწესებული, მომზავებელი ყოვლისავე ესევეთარისა პირისათჳს; და რად არს კანონი და სიტყუად იგი? „მრავალნი არიან მავნებელნი, ხოლო ვნებულ არცა ერთი“. და რადთა არა ძნელ გიჩნდეს გულისწმის-ყოფად ამის სიტყუსად, განგიმარტო ძალი მისი. მრავალნი არიან მავნებელნი: რომელიმე მოჰკლავს მეორესა, რომელიმე სტყუენავს, რომელიმე სცემს, რომელიმე დილეგსა შთაადგებს, და სხუასა მრავალსა ესევეთარსა იქმან კაცნი კაცთა მიმართ. ან ესე მავნებელნი მრავალ არიან სოფელსა შინა, ხოლო ვნებული ამათგან არავინ არს. და ისმინეთ, თუ ვითარ არავინ არს ვნებული: გინა თუ მოვიკლნეთ სხუათაგან, გინა თუ დავიტყუენნეთ, გინა თუ ვიგუემნეთ, გინა თუ სხუად რადმე შეგუემთხვოს, ანუ ცოდვათა აღსაჯოცელად შეგვრაცხის ღმერთმან ჭირი იგი და ვნებად, ანუ სასყიდლისა მომატყუებელად. და რადთა განცხადებულადრე გულისწმა-ვჰყოთ სიტყუად ესე, შემოვილოთ სახეცა ამის პირისაჲ: უკუეთუ იყოს მონად ვინმე, რომელსა თანადევას უფლისა თჳსისაჲ საფასე ფრიადი, და დაესხნენ მას ვინმე ძკრისმოქმედნი და წარიტაცონ მცირედი რადმე საფასე მისი, ხოლო უფალსა მისსა ძალ-ედვას დაყენება მათი საქმისა მისგან და არა დააყენნეს, არამედ მიუშუას წარტყუენვად მცირედი იგი საფასე მონისაჲ მის და მწუხარებისა მისთჳს, რომელ შეემთხვა მას, მიუტეოს ყოველივე იგი თანანადები მრავალთა მათ საფასეთაჲ, რომელ თანადევას უფლისა თჳსისაჲ, და უმეტესი კადნიერებაჲ მისცეს წინაშე მისსა და საკუთრობასა დიდსა ღირს-ყოს, ევნო-მეა მონასა მას მავნებელთა მათგან, ანუ არა უფროსად დიდად სარგებელ ეყოა? ჰე, ჭემმარიტებით დიდად არგეს მას მავნებელთა მათ. ან უკუე ჩუენცა ესე შეგუემთხუევის, უკუეთუ სხუათა მიერ მომავალნი განსაცდელნი მოვითმინნეთ; და რადთა სცნათ, ვითარმედ რადცა ჭირი ამას სანუთროსა შეგუემთხვოს, ნაცვლად მისა ანუ ცოდვათა შენდობასა ვჰპოებთ, ანუ მიზეზ გვრგვნთა გუექმნების, უკუეთუ ცოდვანი არა გუაქუნდენ. ისმინეთ, რასა იტყუს პავლე კორინთელთა მიმართ მისთჳს, რომელი-იგი სიძვასა მას ბოროტსა შთავარდა: „მიეცით ეგე-ვითარი იგი ეშმაკსა სატანჯველად ჯორცითა, რადთა სული ცხონდესო“.¹

ხოლო უკუეთუ ვინმე თქუას, ვითარმედ საძიებელი ჩუენი მათთჳს არს, რომელნი მოძღუართაგან სარგებელად სულისა განიწურთებიან კანონითა და შეურაცხებითა, არამედ არარად არს ამას შინა წინააღმდეგომად, რამეთუ ჩუენ ამას ვისწრაფით გამოჩინებად, ვითარმედ არად ვნებად არს კაცისაჲ ჯორციელთა განსაცდელთაგან, არამედ უფროსად სარგებელი. ხოლო რადთა უმახლობელესცა საძიებელისა მაგის თქუენისა მოვიყვანო სიტყუად ჩემი, მოივსენეთ დავითისი, ოდეს-იგი სემიე გამოვიდა ძკრისმეტყუელად, სწყევდა და ქვითა ესროდა დავითს და მტუერსა გარდაასხმიდა, და ერისთავთა მათ ენება მოკლვად მისი, რად-იგი ჰრქუა მათ მეფემან, ვი-

¹ 1 კორ. 5,5.

თარმედ: „აცადეთ, მგმობდეს და მწყევდეს, რადთა იხილოს უფალმან დამ-
დაბლებად ესე ჩემი და მომაგოს მე კეთილი წყევლისა მის წილ“.¹ და კუალად
ფსალმუნთა შინა იტყვს: „იხილე, რამეთუ მტერნი ჩემნი განმრავლდეს და
სიძულილით ამაოდ მომიძულეს მე, და შენ მომიტევენ ყოველნი ცოდვა-
ნი ჩემნი“.² და ლაზარე ამისთვის მიემთხვა განსუენებასა, რამეთუ მრავალ-
ნი ჭირნი შეემთხვნეს სოფელსა შინა უძღურებისა და გლახაკებისანი და
მრავალნი წუნობანი და შეურაცხებანი მდიდრისა მისგან. ამისთვის ვიტყვ, ვითარმედ:
არარად ევნების კაცსა მონვენულთაგან მის ზედა ჭირთა და
შეურაცხებათა და განსაცდელთაგან, უკუეთუ ახოვნად თავს-ისხნეს იგი-
ნი, არამედ უფროსლა დიდად სარგებელ ეყოფის, გინა თუ ღმრთისა მიერ
მოივლინნეს მის ზედა განსაცდელნი, გინა თუ ეშმაკისა მიერ იტანჯებოდის
და იგუემებოდის, ანუ თუ კაცთაგან ძკრი შეემთხუეოდის.

თქუას უკუე მეტყუელთაგანმან ვინმე, ვითარმედ: კეთილ არს სიტყუად
ეგე კაცთათვს ჰასაკითა სრულთა, რომელნი მრავალთა ბრალთა თანამ-
დებ არიან, ხოლო რასა იტყვ ჩჩკლთა მათთვის, რომელნი პირველ ჰასაკისა
უჟამოდ მოისრნეს? რომელნი ცოდვანი აქუნდეს მათ, რადთამცა აღიწოც-
ნეს იგინი განსაცდელისა მის მიერ მინვენულისა? არამედ ამისთვის პირველ
ვთქუ, ვითარმედ: უკუეთუ ცოდვანი არა აქუნდენ, მომატყუებელ გვრგვინთა
და სასუფეველისა ბჭეთა განმლებელად ექმნებიან მონვენანი ჭირთა და
განსაცდელთანი. რად უკუე ევნო ყრმათა მათ, რომელნი მოისრნეს აქა და
წარვიდეს მუნ ნავთსაყუდელსა მას მყუდროსა? ვინ უწყისო, თუ ვიეთნიმე
მათგანნი დიდმცა ქმნილ იყვნეს სათნოებითა, უკუეთუმცა დაშთომილ იყ-
ვნეს სოფელსა შინა. არამედ ესეცა არავე მცირე იყო, რომელ ქრისტესთვის
მოსწყდეს და წამებისა გვრგვინი მიიღეს. და კუალად ამასცა გულისწმა-
ვჰყოფთ, ვითარმედ უკუეთუმცა იცოდა ღმერთმან, თუ ცხონდენ სოფელსა
ამას შინა, დიდსა რასმე და უაღრესსა საზომსა მინვენად იყვნეს, არამცა მი-
ეშუა მოწყუედად მათდა; რამეთუ უკუეთუ ცოდვასა და ურჩულოებასა შინა
მყოფთად ოდეს იცოდის, თუ მოქცევად ეგულების, სულგრძელ ექმნების,
არამცა უფროსად ყრმანი იგი დაიცვნა, უკუეთუმცა უაღრესისა რასმე
საზომისა მიმართ ეგულებოდა წარმართებად? არამედ იცოდა უფალმან,
ვითარმედ არა ეპოების ყრმათა მათ ჟამი და საქმე უაღრეს ამისა, რომელ
სახელისა და მიზეზისა მისისათვს მოსწყდეს. ამისთვისცა შეუნდო მონვენად
მათ ზედა მოწყუედად იგი და შეინწყნარნა სავანეთა მათ ზეცისათა.

ესე არიან სიტყუანი ჩუენ მიერ მოწყუედისა მისთვის ყრმათადასა და
სხვსა ესევითარისათვს თქუმულნი, არამედ არა ყოველნივე ესე არიან, არა-
მედ სხუანიცა არიან ამათსა ფრიად უღრმესნი, რომელნი-იგი უწყნის დამ-
ბადებელმან და განმგებელმან ცხორებისა ჩუენისამან ღმერთმან. მას უკუე
მიუშუათ ცნობად ესევითართა საიდუმლოთად და ჩუენ შემდგომისა მის

¹ 2 მეფ. 16,11-12.

² შდრ. ფსალმ. 24,19,18.

სიტყუათადას ვიდოდით და სხუათა ზედამონევენულთა განსაცდელთაგან ვისწავლიდეთ თავს-დებად მომავალთა ჭირთა; რამეთუ არა მცირე განსაცდელი მოინია მაშინ ბეთლემსა ზედა, რაჟამს-იგი წარიტაცებოდეს ყრმანი ძუძუთაგან დედათადასა და უმანკონი იგი უბრალოდ კლვად მიიყვანებოდეს უწყალოთა მათ მტარვალთა მიერ. ვინ-მე გამოსახოს სიტყუთა ჯეროვნად საქმისა მის სიმნარე, გოდებისა იგი სიმრავლე, ვაებისა იგი აღრეული ჳმად მამათა და დედათა და ყრმათად? იგინი შვილთათეს ცყებასა იქმოდინ, ესენი სანყალობელად სიკუდილად მიმავალნი ტიროდიან. ვითარ ვინ გამოსახოს კუალად მტარვალთა იგი მკლველობის სახე, ვითარ მახვლითა ნუდილითა ჩჩვლთა მათ ზედა დგიან უწყალოდ მონყუედად, ერთითა ჳელითა ჩჩვლსა წიალთაგან დედისათა გამოუღებენ და მეორითა მახვლი ნუდილი ეპყრის. ხოლო დედად იგი ჳელითა ჩჩვლსა მას წიალად თესად მოიზიდავენ და ქედსა მიუპყრობენ სიკუდილად, რადთა არა იხილოს თუალითა თესითა კლვად იგი შვილისა. ვითარ ვინ წარმოთქუას მამათა მათთა ვაებად, უკუანადსკენელი იგი ნაშობთა თესთა ამბორის-ყოფად, დედათა იგი გოდებად, ბუნებისა იგი აღტყინებული ცეცხლი, ვითარ სანყალობელთა მათ ჩჩვლთა შეიტკობდეს და წიალთა შინა თესთა მონყუედასა მათსა ხედვიდეს; ვითარ უბადრუკი იგი დედად თითოეულისა ძუძუსა მისცემნ შვილსა და სისხლსა მას მისსა შეინყნარებენ წიალსა მას, და მრავალგზის ფიცხელად ცემითა მახვლისადათა დედაცა შვილისა თანა მოკლის მტარვალმან, და ერთი მდინარე სისხლისა დედისა და შვილისა იქმნის. ხოლო ვინადთაგან ესეცა იყო ურჩულოსა მას ჳეროდეს ბრძანებასა შინა, რადთა არა ახლადმოზილნი ოდენ, არამედ ორისაცა წლისანი მოისრნენ, უძკრესი ამისგან ვნებად და უმნარესი განსაცდელი გამორჩნდების, რამეთუ მრავალგზის ორთა შვილთა დედა ქმნილ იყვნინ რომელნიმე, და ესევითარი არნ მათ ზედა ჭირი: ორნი მტარვალნი ერთსა ზედა წარდგომილ იყვნინ დედასა; ერთი იგი უხუცესსა მას ზიდავენ მოკლვად, და მეორე იგი მწოარსა მას წიალთაგან მისტაცებნ. რადმცა ყო ამას ზედა სანყალობელმან მან დედამან? ოდეს-იგი ორთა მიმართ შვილთა განყოფილ არნ ბუნებად და ორთაგანვე საწუმილი სასტიკი გულსა მისსა ეგზებინ, არა უწყინ, რომელსა-მე ბოროტთა მათ მტარვალთაგანსა მისდევდეს, რაჟამს ერთი იგი ერთკერძო და მეორე სხუადკერძო ზიდავენ ჩჩვლთა მათ მონყუედად, ორთაგვე ტირილი ესმინ და მახვლითა ორპირითა გული დაეკლვინ, რადმცა ყო, ვისსამცა ჳმასა თანა მიაყვანა თესი იგი ვაებად, რომლისამცა სიკუდილსა ზედა ვაებად?

ეჳა საქმე უჯეროებისა! ეჳა ბრძანებად უწყალოებისა! ჳ მოსისხლეო და ურჩულოო, რად იყო ბრალი უმანკოთად მათ, რადსათეს ძუძუსმწოარნი იგი, ვითარცა ავაზაკნი, მოსწყედენ?! ვის ეძიებდი მოკლვად? რომლისათეს ვარსკულავმან მოგუთა აუნყა, მას ეძიება? ჳ უგუნურო და ცოფო! უკუეთუ ჳელთა შინა მისთა არიან ცანი და ვარსკულავნი და ესოდენ ძალუც, რომელ ვარსკულავთა, ვინადცა ენებოს, წარავლენს, ვითარმცა უძლე

შენ დამორჩილებად იგი და მოკლვად? უკუეთუ კულა ცხორებად და სიკუდილი მისი წელთა შინა შენთა არს, რაფსათვს გეშინიან მისგან, ანუ რასა ეძიებ მოკლვად, რაფსათვს ამაოდ დაიკრიბე შენ ზედა სისხლი ესოდენტა მათ უბრალოთად? † უბადრუკო და დაბრმობილო!

ხოლო თქუენ, მორწმუნენო, რომელთა ესე სიტყუანი გესმიან, ნუ სულმოკლე იქმნებით, ნუცა იტყვთ, თუ შეურაცხ იქმნა კლვად იგი ყრმათად მათ. არა ეგრეთ, არამედ იგინი ნათელსა მას ზეცისასა ღირს იქმნეს, ხოლო ურჩულოსა მას ზედა მოსისხლესა მძლავრსა რისხვად ღმრთისად მოინია და შური იძია შემსგავსებულად მისისა უკეთურებისა, რამეთუ სიკუდილითა მწართა და სანყალობელითა წარჰჴდეს სულნი და თვთმკლველ თავისა თვისსა იქმნა. და პირველ სიკუდილისაცა მრავალი ბოროტი შეემთხვა, რომელ-იგი უკუეთუ ვის ენებოს ცნობად, აღმოიკითხენ აღწერილი იგი იოსიპოფსი და მისგან ყოველივე გულისჴმა-ყოს, რომელ-იგი არა ჯერ-ვიჩინე აქა თქუმად, რადთა არა უმეტეს ზომისა განვაგრძო სიტყუად და განმარტებასა ამას სახარებისასა დაბრკოლება-ვსცე. ამისთვის პირველსავე მას სიტყუასა მოვიდეთ.

სახარებად: „მაშინ აღესრულა თქუმული იგი იერემია წინაწარმეტყუელისად: ჴმად ჰრამადთ ისმა გოდებისა და ტირილისა და ღალადებისად; რაქელ სტიროდა შვილთა თვსთა და არა უნდა ნუგეშინის-ცემის, რამეთუ არა არიან“ (2,17-18).

თარგმანი: ვინათგან ჴამბავი წარმოთქუა შემანუსხებელი მსმენელთად უჯეროფსა მისთვის ყრმათა მოწყუედისა, უწყალოფსა მისთვის და ურჩულოფსა სასჯელისა, ნუგეშინის-სცემს და ეტყვს, ვითარმედ: ნუვინ შეშფოთნების თქუმულსა ამას ზედა, არა თუ ვერ ძალ-ედვა ღმერთსა დაყენებად ურჩულოფსა მის, ანუ არა თუ პირველითგან უმეტარ იყო საქმესა მას, არამედ წინაწარ იცოდა და წინაწარმეტყუელსა გამოუცხადა და ყოველთა მის მიერ აუნყა. ამისთვის უკუე ნუ შეურვებულ იქმნები, ნუცა გულისსიტყუანი ორგულებისანი მოგივლენ, არამედ მიუნთომელსა მას სიღრმესა განკითხვათა მისთასა მიხედენ, ვითარ რომელსამე აღასრულებს განგებულებით და რომელთამე მიუშუებს, რომლისათვს მან თავადმან უწყის, ვითარცა-იგი სხუასაცა ადგილსა აუნყა მონაფეთა. რამეთუ ოდეს-იგი წინაწარ ეტყოდა მოწვენადსა მათ ზედა: ყოვლისა სოფლისაგან ბრძოლასა და წარდგინებასა მათსა შესაკრებელთა წინაშე და მძლავრთა და მიყვანებასა მათსა წინაშე მეფეთა და მთავართა, აუნყა სიტყუად ნუგეშინის-ცემისად და ჴრქუა: „ანუ არა ორი სირი ასარისა განისყიდებისა? და ერთიცა მათგანი არა დავარდების ქუეყანასა ზედა თვნიერ მამისა თქუენისა ზეცათაფსა“.¹ ხოლო ამას ეტყოდა, რადთა უჩუენოს, ვითარმედ არა-

¹ მათ. 10,29.

რად თვნიერ ცნობისა მისისა იქმნების, რამეთუ ყოველივე იცის ყოფადი, არამედ არა ყოველსავე იქმს, გარნა კეთილსა ოდენ და სახიერებასა. ესრეთ უკუე ასწავებს მონაფეთა, ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: ნურას შეორგულდებით, ნუცა გულისსტყუანი მოგივლენ, რამეთუ რომელმან-ესე უწყი ყოველივე მომავალი თქუენ ზედა და ძალ-მიც დაყენებად, საცნაურ არს, ვითარმედ უმჯობესისა თქუენისათს არა დავაყენებ. ესევითარი ესე სიტყუად ჩუენცა გულისწმა-ვყოთ, ოდეს განსაცდელი რამე მოიწიოს, და ვთქუათ: ამისთს მოუშუა ღმერთმან განსაცდელსა ამას ჴორციელსა ჩუენ ზედა, რამეთუ იცის სადმე, ვითარმედ ესრეთ არს უმჯობეს ჩუენდა; და ესე გულისსიტყუად დიდად ნუგეშინისმცემელ გუექმნას.

ხოლო რად ზიარებად არს რაქელისი ბეთლემსა თანა, – თქუას ვინმე, – რომელ იტყვს, ვითარმედ: „რაქელ სტიროდა შვილთა თსთა“, ანუ ჰრამასა რად ზიარებად აქუს რაქელს თანა? – რაქელ დედად იყო ბენიამენისი, და ოდეს მოკუდა იგი, დაეფლა გზასა ზედა ეფრათასა, ესე იგი არს ბეთლემი. ვინაფთგან უკუე ჰრამად ნაწილი იყო ბენიამენის ტომთად, ხოლო ბენიამენ ძე იყო რაქელისი, და რაქელის საფლავი მახლობელ იყო ადგილსა მას, ამისთს, ბენიამენის გამო და საფლავისა მისთს, სამართლად მონყუედითა მათ ყრმათა შვილად რაქელისა სახელ-სდებს. ხოლო ენება გამოჩინებად წინანარმეტყუელსა, ვითარმედ დიდ იყო წყლულება იგი და უწყალო დაწყუედად იგი უმანკოთად მათ, ამისთს თქუა, ვითარმედ: „არა უნდა ნუგეშინის-ცემის, რამეთუ არა არიან“. კუალად აქაცა ვისწავებთ, რასა-იგი პირველ ვიტყოდე, რადთა არა შევშფოთნეთ, ოდეს რამე წინააღმდეგომ აღთქუმისა საღმრთოფსა იქმნას. რამეთუ აჰა ესერა მო-რად-ვიდა იგი ცხორებად სოფლისა, და პირველვე თქუა ანგელოზმან, ვითარმედ: „იწსნას მან ერი თსი“; იხილე, ვითარ იქმნა დაწყებად განკაცებისა მისისად: დედად მისი ივლტოდა, ეტკრთა რად წიაღითა ყოველთა უფალი, და ქუეყანად იგი, რომელსა შინა იშვა, ესევითართა განსაცდელთა მიეცა, და სიმრავლე იგი ყრმათად მოისრა საწყალობელად და მწარედ, და ჴმად გოდებისა და ტირილისა ყოველთა მათ საზღვართა ისმოდა. არამედ ნუ შეორგულდები, რამეთუ ესრეთ მარადის წინააღმდეგომთა საქმეთა მიერ განგებულებასა თსსა აღასრულებს, რადთა უმეტესად საცნაურ იქმნას ძალი მისი. ეგრეთვე მონაფეთა თსთა ქადაგებად აღასრულა და წინააღმდეგომითა წინააღმდეგომი განაგო, რადთა საკრველებად იგი უმეტეს იყოს. ამისთს იგინი იგუემებოდეს და იდევენებოდეს და მდევარნი იგი და მტანჯველნი დაიმორჩილნეს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „ხოლო რაჟამს აღესრულა ჰეროდე, აჰა ანგელოზი უფლისად გამოეცხადა ჩუენებით იოსებს ეგვპტეს და ჰრქუა: აღდეგ, წარიყვანე ყრმად ეგე და დედად მაგისი და წარვედ ქუეყანად ისრაჴლისა, რამეთუ მოსწყდეს, რომელნი ეძიებდეს სულსა მაგის ყრმისასა“ (2,19-20).

თ ა რ გ მ ა ნ ი: აჰა ესერა შემდგომად განსაცდელისა მის მოვიდა ნუგე-
შინის-ცემადცა, რამეთუ არღარა ეტყვს, თუ: ივლტოდე, არამედ: „წარვე-
დო ქუეყანად ისრაჴლისა“; და მოიქცეს უცხოებისა მისგან სოფლად თჳსად
და მკლველი იგი ყრმათად იხილეს მოკლული. ხოლო მო-რად-ვიდეს სახედ
თჳსა, კუალად ნეშტი პოეს პირველთა მათ განსაცდელთად, რამეთუ ძე
მძღაფრისად მის მეფობდა ჰურიასტანს, ვითარცა ესერა აღმოვიკითხეთ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „ხოლო იგი აღდგა და წარმოიყვანა ყრმაჲ იგი და დედაჲ
მისი და მოვიდა ქუეყანად ისრაჴლისა. და ვითარცა ესმა, რამეთუ არქელა-
ოზ მეფობს ჰურიასტანს ჰეროდეს წილ, მამისა მისისა, შეეშინა მისლვად
მუნ; და ბრძანებაჲ მოიღო ჩუენებით და წარვიდა ქუეყანად გალილეასა.
და მოვიდა და დაეშენა ქალაქსა, რომელსა ჰრქვან ნაზარეთ, რაჲთა აღეს-
რულოს თქუმული იგი წინანარმეტყუელისა მიერ, ვითარმედ: ნაზარეველ
ენოდოს“ (2,21-23).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ვითარ მეფობდა არქელაოზ ჰურიასტანს, სამთავროსა
მას პონტოელისა პილატესსა? ამისთჳს, რამეთუ ახლად მომკუდარ იყო
ჰეროდე და არღა განყოფილ იყო სამეფოდ იგი მრავალ სამთავროდ, არ-
ცა მოვლინებული იყო ჯერეთ კეისრისა მიერ პონტოელი პილატე, არამედ
მო-რად-კუდა ჰეროდე, მეყსეულად დაიპყრა ადგილი მისი ძემან მისმან ჰე-
როდეს წილ, მამისა თჳსისა. რამეთუ ძმასაცა მისსა ესრეთვე ეწოდებოდა,
ამისთჳს თქუა მახარებელმან: „ჰეროდეს წილ, მამისა თჳსისა“. ხოლო ვი-
ნადთგან ჰურიასტანს მისლვად შეეშინა არქელაოზისთჳს, ჯერ-იყო გალი-
ლეასცა შიში ჰეროდესთჳს, ძმისა მისისა. ესე ამისთჳს ქმნა, რაჲთა შეცვა-
ლებითა მით სოფლისაჲთა დაიფაროს საქმე იგი. რამეთუ გულისწყრომაჲ
და რისხვაჲ მათ მძღაფრთაჲთა ყოველივე ბეთლემისა მიმართ იყო და საზ-
ღვართა მისთა, და მონყუედასა მას შინა ყრმათასა ჰგონებდა არქელაოზ,
ვითარმედ რომელსა ეძიებდეს მოკლვად, იგიცა მათ თანა მოიკლა. და კუა-
ლად, იხილა რაჲ მამად თჳსი ესე ვითარითა ბოროტითა სიკუდილითა მომ-
კუდარი, ვერღარა იკადრებდა შეძინებად სხჳსაცა ურჩულოებისა, რაჲთა
არა მასცა ეგრეთვე შეემთხვოს.

ხოლო იოსებ მოვიდა ნაზარეთად, ერთად – შიშისათჳს არქელაოზი-
სა, და მეორედ – სადა-იგი დაშენებულ იყო, ენება მუნვე დამკვდრებაჲ,
ვინადთგან ანგელოზისაგანცა მოიღო ბრძანებაჲ. ხოლო ლუკა არა ესრეთ
იტყვს, თუ: ბრძანებაჲ მოიღო ჩუენებით და მისთჳს წარვიდა ნაზარეთს,
არამედ: „ვითარცა აღასრულესო ყოველი მსგავსად შჯულისა, მოიქცეს
და წარვიდეს გალილეად, ქალაქად თჳსა ნაზარეთად“.¹ რაჲ უკუე ვთქუათ
ამისთჳს? რამეთუ ლუკა რასა-იგი იტყვს, ჟამისა მისთჳს იტყვს პირველ
ეგჳპტედ შთასლვისა, რამეთუ არცა ეგებოდა პირველ ტაძრად მიყვანებისა

¹ლუკ. 2,39.

შთასლვად ეგვპტედ, რადთამცა არარად იქმნა გარეგან რჩულისა, არამედ დაყვეს ბეთლემს, ვიდრემდის აღესრულნეს დღენი იგი განწმედისა მათისანი შჯულისა მისებრ მოსესისა. და მერმე მოვიდეს ტაძრად, ვითარცა იტყვს ლუკა, ვითარმედ: „აღმოიყვანეს ყრმად იგი იერუსალჴმდ წარდგინებად წინაშე უფლისა, ვითარცა წერილ არს შჯულსა უფლისასა“¹, და მიერ წარვიდეს ნაზარეთად და მერმელა შთავიდეს ეგვპტედ და, აღმო-რად-ვიდეს მიერ, მიიღეს ბრძანება მისლვად ნაზარეთსვე.

ხოლო პირველი იგი მოსლვად, მო-რად-იქცეს იერუსალჴმით, არა ბრძანებითა ანგელოზისადათა იყო, არამედ წესისაებრ თვისსა, რამეთუ მუნ იყო მკვდრობად მათი. და არა თუ სხვსა რადასათვსმე აღსრულ იყვნეს ბეთლემდ, არამედ ბრძანებისა მისთვის აღწერისა, რომელ გამოჴდა მათ დღეთა აგვსტოს კეისრისაგან, და არცა ადგილი აქუნდა საყოფლად ბეთლემს. და აღასრულეს რად საქმე იგი, მოინინეს დღენიცა შობისა მის საკვრველისანი. ამისთვის დაყვეს მუნ ვიდრე აღსრულებამდე დღეთა მათ განწმედისათა წესისაებრ რჩულისა და, მო-რად-იყვანეს ყრმად იგი ტაძრად და ყოველივე აღასრულეს წესი, მიიქცეს ნაზარეთს. ხოლო შთავიდეს რად ეგვპტედ და აღმოვიდეს, არლარა თავით თვისით, არამედ ბრძანებითა ღმრთისა მიერ მოვლინებულისა ანგელოზისადათა მივიდეს ნაზარეთად, და ესეცა არავე ცუდად იყო, არამედ რადთა აღესრულოსო თქუმული იგი წინანარმეტყუელისა მიერ, ვითარმედ: „ნაზარეველ ეწოდოს“. და რომელმან წინანარმეტყუელმან თქუა ესე, ნუ გამოეძიებ, რამეთუ არა იპოების სიტყუად ესე ჩუენდა მოწვეულთა ამათ საწინანარმეტყუელოთა შინა, და ესე ამისთვის, რამეთუ მრავალნი წიგნნი წინანარმეტყუელთანი წარწყმდეს. და ესე სცნა წიგნისა მისგან ნეშტთადასა,² რამეთუ იყვნეს ჰურიანი ფრიად დაჴსნილ და ზედასზედა მიიქცეოდეს უღმრთოებად; და რომელნიმე წიგნნი თვთ თავით თვისით დაწუნიან და რომელნიმე უდებ-ყვნიან და წარწყმდიან, და სხუანი კუალად ტყუეობასა მას ბაბილოვნელთასა დაიწუნეს; და ესე საქმენი საცნაურ არიან წიგნისაგან მეფეთადასა, რამეთუ წერილ არს მას შინა, ვითარმედ დღეთა იოსია მეფისათა იპოა წიგნი მეორისა რჩულისადა, დაფლული ყურსა ერთსა და დაძულებული, და პოვა იგი ქელკია მღდელმან და მიუთხრა საფანს, მწიგნობართმოძღუარსა მეფისასა, მითხრობად მეფისა, ვითარმედ: „მატიანი შჯულისადა ვპოვე სახლსა უფლისასა“.³ ესე იყო წიგნი მეორისა შჯულისადა. ხოლო უკუეთუ ოდეს-იგი არცა ზედამოსლვად ბარბაროზთად იყო, არცა ტყუეობად, ესრეთ შეურაცხ-ეყვნეს და წარენყმიდნეს წიგნნი წინანარმეტყუელთანი, რად სთქუათ მოწვევასა მას ტყუეობისასა? არამცა უმრავლესი წარწყმდაა? და რომელიმე ცეცხლით დასაწუველ იქმნა; და ამისთვის დღეს არა იპოების სიტყუად ესე საწინანარმეტყუელოთა ამათ შინა. ხოლო მახარებელმან იცოდა მადლითა მით სულისა წმიდისადა-

¹ ლუკ. 2,22-23.

² 2 ნეშტ. 34,14; 35,19.

³ 4 მეფ. 22,8.

თა თქუმული იგი წინაწარმეტყუელთად, და სხუათაცა მოციქულთა იცოდეს ყოველთა. ამისთვის იგინიცა მრავალსა ადგილსა ნაზარეველად უწოდენ.

თქუან უკუე ვიეთმე: ვინადგან ერთმან მან წინაწარმეტყუელმან თქუა, ვითარმედ: „ბეთლემით გამოვიდეს“, ვითარ სხუანი იტყოდეს, თუ: „ნაზარეველ ეწოდოს“? ესე არა წინააღმდეგომ მის სიტყვსა არს. ნუ იყოფინ! არა არს წინააღმდეგომ სიტყუათა შინა საღმრთოთა, რამეთუ აჰა ესერა ვხედავთ, ვითარ ორივე აღესრულა: ბეთლემით გამოვიდა, რამეთუ მუნ იშვა ქალწულისაგან, და ნაზარეთს აღიზარდა, რაათა სცნა, ვითარმედ ყოველივე წინაწარმეტყუელთა მიერ პირველვე აუწყა ღმერთმან სოფელსა. და ამისთვისცა ზრდილობად იგი ნაზარეთისად უფროსად გამოძიებად აღადგენდა ერსა მისთვის, ვითარცა-იგი ნათანაელ ამის გამოძიებად მოვიდა და ჰრქუა: „ნაზარეთით შესაძლებელ არსა კეთილი რაიმე ყოფად?“¹ რამეთუ შეურაცხი იყო სოფელი იგი და ყოველი იგი კერძო გალილეადსი. ამისთვისცა იტყოდეს ფარისეველნი: „გამოიძიე და იხილე, რამეთუ გალილეადთ წინაწარმეტყუელი არა აღდგომილ არს“.² არამედ უფალსა არა სირცხვლ-უჩნდა წოდებად შეურაცხისა მის ქალაქისა მოქალაქედ, რაათა გულისწმა-ვყოთ, ვითარმედ არარად კაცობრივი საწმარ იყო მისდა. და მონაფენიცა თვსნი გალილეადთ გამოირჩინა, რაათა გულისწმა-გვყოს, ვითარმედ უკუეთუ სათნოებანი მოვიგნეთ და შიში ღმრთისად გუაქუნდეს, არარად კაცობრივი გუეწმაროს ჩუენცა.

ამისთვის უფალმან ყოველივე მდაბალი და შეურაცხი თავს-იდვა და არცა სახლი აქუნდა, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს“;³ და ჰეროდესგან ივლტოდა; და იშვა რად, ბაგასა მიიწვინა; და დედად არა მდიდართაგან გამოირჩინა, რაათა ამით ყოვლითა ზუაობისა ვნებად განაქარვოს კაცთაგან და გულისწმა-გვყოს, ვითარმედ არარად ამათგანი ბოროტ არს, არცა ესევეითარისა რაღსმე კაცობრივისა პატივისა ჯერ-არს ძიებად, არამედ მცნებათა ხოლო ღმრთისათად, ვითარმცა გუეცყოდა: რაღსთვის სიმდიდრისათვს მშობელთაღსა და სიმრავლისათვს მამულთაღსა ჰზუაობთ, კაცნო? ყოვლისაგანვე სოფლისა უცხო-ყოფასა გიბრძანებ, რაათა ესევეითარი იქმნეთ, რომელ არა ღირს იყოს თქუენდა ყოველივე სოფელი. ესეოდენ შეურაცხ არიან საქმენი ესე, ვიდრელა არცა თუ წარმართთა მათ ფილოსოფოსთა აქუნდა იგი ღირსად პატივისა, არამედ გარეგან ჩუენისა ბუნებისა უწესდეს და არად საწმარ სახელ-სდებდეს.

და ვითარ პავლე მოციქულსა არა შეურაცხად აქუსო წესი ესე, რამეთუ იტყვს: „რჩეულებისა მისგან საყუარელ მამათათვს“.⁴ აჰა ესერა მამათათვს თქუა საყუარელ-ყოფად შვილთად, მეტყვან ჩუენ ვიეთნიმე; არამედ რომელნი ამას იტყვთ, იხილეთ, თუ ოდეს თქუა მოციქულმან სიტყუად ესე და ვიეთთვს, ანუ ვიეთ მიმართ იყო სიტყუად მისი. რამეთუ წარმართთა-

¹ იოან. 1,46.

² იოან. 7,52.

³ ლუკ. 9,58.

⁴ რომ. 11,28.

განნი მორწმუნენი ზუაობდეს სარწმუნოებისათს და შეურაცხ-ჰყოფდეს ებრაელთაგან მოქცეულთა, და უძვრესი განხეთქილებად შევიდოდა მათ შორის. ამისთვის თქუა ესევეთარი სიტყუად, რადთა მათიცა ზუაობად დაამდაბლოს და ესენიცა ღმრთისმსახურებად და შურად კეთილისა მოიყვანნეს. უკუეთუ არა, ოდეს-იგი ინყო სიტყუად ახოვანთა მათთვის და დიდთა მამათ-მთავართა, ისმინე, რასა იტყვს, ვითარმედ: „ალიარეს, რამეთუ სტუმარ და წარმავალ არიან ქუეყანასა ზედა. და რომელნი ამას იტყვან, გამოაჩინებენ, რამეთუ მამულსა ეძიებენ. და თუმცა მას მოიწესენებდეს, ვინაჲ-იგი გამოვიდეს, აქუნდამცა ჟამი მუნ მიქცევისაჲ. ხოლო ან უმჯობესსა მას გული ეტყვს, ესე იგი არს, ზეცისასა“.¹ და კუალად იტყვს: „სარწმუნოებით მოსწყდეს ესე ყოველნი, და არლა მოელო მათ აღნათქუემი იგი, არამედ შორით იხილეს იგი და მოიკითხეს“.² და კუალად იოვანე ნათლისმცემელი ეტყოდა მომავალთა მისა: „ნუ იტყვთ გულთა თქუენტა: მამად გვკვის ჩუენ აბრაჰამი“.³ და კუალად მოციქულივე იტყვს, ვითარმედ: „არა ყოველნი ისრაჲლისაგანნი ესე არიან ისრაჲლი, და არცა თუ შვილნი ჳორცთანი ესენი არიან შვილ ღმრთისა“.⁴

რამეთუ იხილეთლა, თუ რად სარგებელ ეყო ძეთა სამოელისათა შვილებად ესევეთარისა მამისაჲ, ვინაჲთგან არა დაიმკვდრეს სათნოებაჲ მისი? ანუ მოსესთა რად ერგო, რაჟამს სიკეთესალა მისსა და ღმრთისმოყუარებასა არა ჰბაძვიდეს? ამისთვის არცა მიიღეს წინამძღურობად ერისაჲ, არამედ იგინი იყვნეს შვილ მისა ნოდებულ, ხოლო ერისთავობად იგი და ნაცვალობად მოსესი სხუასა მიეცა, რომელი-იგი იყო სათნოებითა ძე მისი. კუალად ძემან ნოესმან რად ირგო შვილობითა მისითა, რომელი-იგი მონა იქმნა აზნაურებისა მის წილ? იხილეთ, ვითარ პატიოსნებაჲ მამისაჲ არას ერგო, რამეთუ უკეთურებაჲ გონებისა მისისაჲ მძლე ექმნა რჩულთა მათ ბუნებისათა და არა ოდენ პატიოსნებისა მისგან მამულისა, არამედ აზნაურებისაგანცა სრულიად უცხო-ყო. ეგრეთვე ესაჲ არა ძე ისაკისი იყო? და მის კერძო იყო მამად მისი, რამეთუ სწადოდა, რადამცა მან მიიღო კურთხევაჲ იგი, არამედ ვინაჲთგან უკეთური იყო იგი, არარაჲ ამისგანი ერგო მას, არამედ დალაცათუ უხუცე ჰასაკითა იყო და მამად თჳსი აქუნდა შემწედ, ვინაჲთგან ღმერთი არა მის თანა იყო, ყოველივე ცუდ იქმნა. ხოლო ტიმოთეს მამად წარმართი იყო. რად უკუე ევნო მას, ანუ რად დაბრკოლება ეცა სათნოებასა მისსა?

ამისთვის უკუე რადსათს იქადი, კაცო, დიდებულებისათს მშობელთა და პაპთაჲსა? იხილენ ესე ყოველნი სახენი და გულისწმა-ყავ, ვითარმედ არა სარგებელ არს მშობელთა სიკეთე, უკუეთუ ჩუენ არა კეთილად ვიქცეოდით. გითხრა სხუადცა უსაკრველესი: ისრაჲლთა შვილ ღმრთისა ეწოდა, ვითარცა წერილ არს: „მე ვთქუ: ღმერთნი სამე ხართ და შვილნი მაღლისანი თქუენ ყოველნი“,⁵ არამედ არაჲ ერგო პატივისა ამისგან, ვი-

¹ ებრ. 11,13-16. ² ებრ. 11,13. ³ მათ. 3,9. ⁴ რომ. 9,6,8. ⁵ ფსალმ. 81,6; იოან. 10,34.

ნადთგან ურჩულო იქმნეს. რამეთუ რომელი შვილ ღმრთისა ინოდოს, უკუეთუ არა ღირსად სახელისა მის მოქალაქობდეს, უძკრესადლა დაისაჯების. და ესე ძუელსაცა და ახალსაცა შჯულსა იხილვების, რამეთუ იტყვს იოვანე ღმრთისმეტყუელი: „ხოლო რავდენთა-იგი შეინწყნარეს, მოსცა მათ ჴელმნიფებაჲ შვილ ღმრთისა ყოფად“.¹ არამედ ამათ შვილთაგანნი მრავალნი იპოებიან განმცემელ თვისისა მის აზნაურებისა და შთავარდებიან ცოდვათა და იქმნებიან შვილ წარწყმედისა და მკკდრ ჯოჯოხეთისა.

ხოლო ესე ყოველი ამისთჳს ვთქუ, რაჲთა არცა სიმდიდრისათჳს, არცა დიდებულთა შვილებისათჳს ვზუაობდეთ; ნუცამცა სიგლახაკისათჳს შეურვებულ ვართ, არამედ მას ოდენ ვეძიებდეთ სიმდიდრესა, რომელი საქმეთა მიერ კეთილთა იქმნების, და სიგლახაკისა მისგან ვივლტოდით, რომელი ცოდვათა მიერ მოინევის, რომლისათჳსცა მდიდარი იგი ყოველთა უგლახაკეს იპოა, ვიდრელა არცა თუ ნუეთისა ერთისა წყლისა უფალ იყო, რომლისათჳს ესოდენი ვედრებაჲ შენირა და ვერ მიემთხვა სათხოელსა მას. არა ყოვლისა სიგლახაკისა უძკრეს იყოა მისი იგი სიგლახაკე? ვინმცა იპოა ესოდენ გლახაკი სოფელსა შინა, რომელ არცა თუ ნუეთისამცა ერთისა წყლისა აქუნდა ჴელმნიფებაჲ? არავინ არს ესევეითარი. ხოლო მდიდარი იგი ეგოდენ დაგლახაკნა, რომელ ესეცა არა ეპოა. და უძკრესი ესე იყო, რომელ არასადადთ პოა ნუგეშინის-ცემაჲ ჭირისა მის და სიგლახაკისა თვისისაჲ.

სწავლად თ ვეცხლისმოყუარებისათჳს

ან უკუე, ჳ მორწმუნენო, რაჲსათჳს საფასეთა მიმართ აღგმტკმიეს პირები და შთანთქმად ყოვლისა ვეძიებთ? რად ესრეთ დამკკდრებულ არს ჩუენ შორის სიყუარული მათი, ვინადთგან ვერ ძალ-უც მათ შეყვანებაჲ ჩუენი სასუფეველად? მითხართლა, საყუარელნო, უკუეთუმცა ბრძანა მეფემან, ვითარმედ: რომელთაცა აქუს საფასე, არა ღირს არიან ყოვლადვე პალატად შემოსლვად, არცა პატივისა მიღებად ჩემ მიერ, არამცა ყოველივე განაზნიეთა? ხოლო უკუეთუ ქუეყანისა პალატისაგან და პატივთა წარმავალთაგან არაგანვრდომისათჳს მზა ვართ ყოვლისავე საფასისა დათხევად, რად არს ესე, რომელ ქრისტე დღითი-დღე გკბრძანებს, ვითარმედ: „ძნიად შევიდენ მდიდარნი კარსა სასუფეველისასა“,² და არა შეურაცხ-ვჳყოფთ საფასეთა, არცა განვაგდებთ ჩუენგან, რაჲთა ღირს ვიქმნეთ კადნიერებით შესლვად სასუფეველსა ცათასა. და ვითარ ღირს ვიქმნეთ ჩუენ წყალობასა, რომელნი ესრეთ შევიტკობთ განმყრელსა მას ჩუენსა სასუფეველისაგან და არა კიდობნებსა შინა ოდენ ვჳმაღავთ, არამედ მიწასა ში-

¹ იოან. 1,12. ² შდრ. მათ. 19,23.

ნაცა დაფვლით. ჯერ-იყო, რადთამცა ფასისსაცავსა მას ზეცისასა მივეციოთ იგი ნამარხევად. ხოლო ან ეგრეთ ვიქმთ, ვითარმცა მუშაკსა უგუნურსა ვინ მისცის თესლი დათესვად ქუეყანასა კეთილსა, ხოლო მან წარიღომცა და შთაასხა იგი მღვმესა ერთსა, რადთა არცა მას ერგოს და იფქლიცა იგი დალპეს და წარწყმდეს.

არამედ იტყვან ვეცხლისმოყუარენი მიზეზსა ცუდსა და ამოხსა: დიდი ნუგეშინის-ცემად არსო, ოდეს საფასე ჩუენი ვიცოდით უცთომელსა და უცნაურსა ადგილსა დამარხულად. ხოლო მე ვიტყვ, ვითარმედ: უფროსად იგი არს ნუგეშინის-ცემად დიდი, ოდეს ვიცოდით, თუ არა არს საფასე ჩუენი დამარხული, რამეთუ რომელთა საფასენი აქუნდენ, დაღაცათუ სიყმილისაგან არა ეშინის, არამედ სხვსა მრავლისა განსაცდელისა შიში განჰლევს მათ: შიში სიკუდილისაჲ, შიში ბრძოლისაჲ, შიში მპარავთაჲ, შიში მეფისაჲ, შიში ერისაჲ. არა ესე უძკრეს არიანა შიშსა სიყმილისასა? რამეთუ სიყმილისაგან არა მრავალნი მიხილვან მეყსა შინა მომკუდარად, არამედ მრავალი რად იპოების ნუგეშინისმცემელი ჭირისა მის, ხოლო საფასეთათჳს მრავალნი მოკლულნი გიჩუენენ, რომელნიმე იდუმალ მოკლულნი და რომელნიმე ცხადად, და სავსე არიან ამით ესევითარიოთა სახითა გზანი, სავსენი არიან სამშჯავრონი და უბანნი. და რად ვიტყვ გზათა ოდენ და სამსჯავროთა? ზღუადცა აღვსებულ არს სისხლითა, რამეთუ არა ჳმელი ოდენ დაიპყრა ამან მძლავრმან, არამედ ზღუასაცა შევიდა დიდითა უმსჯავროებითა. და რომელნიმე ვლენ ზღუათა შინა ოქროსათჳს, და რომელნიმე მოიკლვიან ოქროსათჳსვე; და ერთმან მან მძლავრმან ვნებამან ერთი იგი ვაჭრობად განიყვანა და მეორე კაცისა კლვად. ან უკუე რადმცა იყო უბოროტეს მამონაჲსა, რომლისათჳს ვლენ კაცნი ზღუათა შინა? რომელნიმე დაინთქმიან, და რომელნიმე მოიკლვიან. ამისთჳს თქუმულ არს, ვითარმედ: „ვინმცა შეინყალა მსახრვალნი გუელცემული?“¹ რამეთუ ჯერ-იყო სივლტოლად ბოროტისა მის მძლავრისაგან და განგდებად უღელი იგი მწარისა მის მონებისაჲ და აღმოფხურად გულთაგან ჩუენთა ტრფიალებად იგი საფასეთაჲ.

და ვითარ იქმნასო განგდებაჲ მისი? უკუეთუ შემოვილოთ სულთა ჩუენთა სხუად ტრფიალებად, ესე არს კეთილთა მათ ზეცისათაჲ, განიდევნოს ტრფიალებად იგი საფასეთაჲ, რამეთუ რომელსა სუროდის სასუფეველისათჳს ცათაჲსა, შეურაცხ-ყოს მან სრულიად ვნება იგი ანგაჰრებისაჲ; რომელი ღირს იქმნას მონებად ქრისტესა, არღარა დაემონის იგი მამონას, არამედ უფროსად ეუფლოს მას, რამეთუ რომელი ევლტოდის, მას მისდევეს იგი, და რომელი მისდევედეს მას, ივლტის მისგან, არა პატივ-სცემს ესრეთ მოყუარეთა თჳსთა, ვითარ მოძულეთა. არავინ არს ესრე საკიცხელ მისა, ვითარ მოყუარენი მისნი, და არა ეკიცხევს ოდენ, არამედ მძიმითა ჳელბორკილითა შეჰკრავს მათ.

¹ ზირაქ. 12,13

არამედ ჩუენ, # მორწმუნენო, განვხეთქენთ აპაურნი და საკრველნი მისნი და განვაგდოთ ჩუენგან უღელი მისი. რადასათჳს დავამონებთ პირმეტყუელსა მას სულსა უსულოსა მის ნივთისა, დედისა მის ყოველთა ბოროტთადასა? # საქმე საკიცხელი! ჩუენ ვებრძვით მას სიტყვით, და იგი გუებრძვის საქმით და გუზიდავს ყოველგან შემდგომად მისა, ვითარცა მონათა სყიდულთა, ფრიად შეურაცხთა. რამცა იყო უკუე უბოროტეს ამისა? უკუეთუ ნივთსა უსულოსა ვერ მძლე ვექმნებით, ვითარ მძლე ვექმნეთ ძალთა მათ უხილავთა? უკუეთუ მინასა და ქვასა ვერ დავიმორჩილებთ, რომელ არს ოქროდ და ვეცხლი, ვითარ დავიმორჩილნეთ მთავრობანი იგი და ჳელმნიფებანი, ვითარ მოვიგოთ სინმიდე და ქალწულებად? უკუეთუ ფერი ვეცხლისად მიმიზიდავს ჩუენ, ვითარმცა თანანარვჳყედით ფერსა პირისა მავნებელისასა? რამეთუ ფრიად უმძლავრეს არს იგი ვნებად ამისსა. ხოლო უკუეთუ უდარესისა ამისგან ესრეთ ვიძლევით, უძლიერესსა მას ვითარ წინააღუდგეთ? რამეთუ ესრეთ მწარედ ძლეულ არიან ვიეთნიმე ამის ვნებისაგან, ვიდრელა ტრფიალებად არს გულსა მათსა ოქროსა მიმართ. და იტყვანცა, ვითარმედ აშუნს დიდად თუალთა ფერი ოქროსადა. ნუ ეკიცხევ, კაცო, თავსა შენსა, რამეთუ არარად ესრეთ ავნებს თუალთა სულიერთაცა და ჳორციელთა, ვითარ სიყუარული ოქროსა და ვეცხლისადა.

ამან ბოროტმან ტრფიალებამან ანგაჳრებისამან დაშრიტნა სანთელნი იგი ხუთთა მათ ქალწულთანი და განყარნა იგინი სასძლოსა მისგან. ამან უკეთურმან არა შეუნდო საწყალობელსა იუდას სმენად ჳმად იგი მეუფისადა, არამედ შიშთვილად მიიყვანა, განხეთქა შორის და განაზნინა ყოველნი ნაწლენი მისნი და მერმე გეჳენიასა ცეცხლისასა შთაჳჳადა. რამცა იყო უკუე უძკრეს და უმწარეს ამის ვნებისა? სავსე არს იგი სისხლითა კაცთადათა, არა განძლების კლვითა მათითა, უბოროტეს არს ყოვლისა მჳეცისა; რომელნიცა მიეცნენ შუათა მისთა, უწყალოდ მოაკუდინებს მათ. და უძკრესი ესე არს, რომელ არცა თუ შეუნდობს ცნობად ტკივილისა მის ნამღეანისა ნაკბენთა მისთასა, რამეთუ უკუეთუმცა სცნობდეს, ძალ-ედვა ნოდებად სხუათა და შეწვენად მათდა და გამოჳსნად პირისაგან მძვნვარისა მის მჳეცისა. ხოლო მათ უმეტესად ეჳამებიედ ნაკბენი იგი, ვიდრე მოინიის დლე სიკუდილისადა, და მაშინლა აღიხილნიან თუალნი და იხილნიან უკურნებელნი იგი წყლულებანი, რომელნი დასხნა უწყალომან მან მჳეცმან მათ ზედა.

არამედ გევედრები, ანვე აღვიხილნეთ თუალნი და ვივლტოდით პირისა მისგან მჳეცისა, განვკურნნეთ წყლულებანი ჩუენნი, რომელნი დასხნა ჩუენ ზედა მჳეცმან მან ველურმან, და შორს-ვყოთ გესლი მისი ჩუენგან, რადათა ამასცა სოფელსა შინა უმფოთველნი დღენი და ცხორება კეთილი მოვიგოთ და მერმესა მას საუკუნესა მივემთხვნეთ საუნჯეთა მათ დაუსრულებელისა კეთილისათა მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომელსა შეუენის დიდებად, ჰატივი და თაყუანის-ცემად თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თავი ი

სიტყუაჲ ესე: „მათ დღეთა შინა მოვიდა იოვანე ნათლისმცემელი, ქადაგებდა უდაბნოსა ჰურიასტანისასა და იტყოდა: შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათაჲ“ (3,1-2).

რომელნი არიან დღენი იგი, რომელ იტყვს, თუ: „მათ დღეთა შინა“? რამეთუ არა თუ მათ დღეთა, ოდეს იესუ ყრმაღა იყო და ნაზარეთად მოვიდა ეგვიპტით, იქმნა ქადაგებაჲ იგი იოვანესი, არამედ შემდგომად ოცდაათისა წლისა, ვითარცა ლუკა წამებს. ვითარ უკუე ამან მახარებელმან, აღასრულა რაჲ თხრობაჲ იგი შობისათჳს უფლისა და თქუა ეგვიპტედ შთასლვაჲ და კუალად ჰურიასტანს მოსლვაჲ და ნაზარეთს დაშენებაჲ, მეყსეულად დაურთო: „მათ დღეთა შინა მოვიდა იოვანე ნათლისმცემელი“? წეს არს წერილთა შინა მარადის ესე ვითარისა სახისა წმარებად, არა მათ საქმეთათჳს ხოლო, რომელნი პირველთქუმულსა მას შეუდგებოდნ, არამედ მათთჳსცა, რომელნი შემდგომად მრავლისა ჟამისა აღესრულებოდნ, იტყვს მრავალგზის წერილი ესრესახედ, ვითარცა-ესე ან ქმნა მახარებელმან. ამისთჳსცა, ოდეს-იგი ჯდა უფალი მთასა ზეთისხილთასა და მოუჭდეს მას მონაფენი მისნი და ჰკითხვიდეს, თუ ოდეს იყოს დარღუევაჲ იგი იერუსალჴმისაჲ, ანუ ოდეს იყოს მეორედ მოსლვაჲ მისი, უწყით, თუ რავდენი განყოფილებაჲ იყო და რავდენი სიშორე შორის ჟამისა მის იერუსალჴმისა წარტყუენვისა და მეორედ მოსლვისა უფლისა, ხოლო უფალმან მიუთხრა რაჲ დარღუევისათჳს იერუსალჴმისა და აღასრულა სიტყუაჲ იგი და ეგულებოდა სიტყუად მეორედ მოსლვისათჳს, პირველთქუმულთა მათ ზედა დაურთო და თქუა: „მაშინ უკუეთუ ვინმე გრქუას თქუენ: აჰა აქა არს ქრისტიე, გინა იქი, ნუ გრწამნ“.¹ არა თუ ამას მოასწავებდა, თუ დღეთა მათ იერუსალჴმისა წარტყუენვისათა იყოს მოსლვაჲ იგი ანტესი, არამედ პირველი იგი სიტყუაჲ აღასრულა, და იწყებდა რაჲ ანტესთჳს და სახეთათჳს მეორედ მოსლვისათა, თქუა, ვითარმედ: „მაშინ უკუეთუ ვინმე გრქუას თქუენ“, და შემდგომი ამისი. ეგრეთვე ამას ადგილსა ქმნა მახარებელმან; „მათ დღეთა შინაო“, არა თუ პირველთქუმულისა საქმისა დღეთა, არამედ მათ დღეთა, რომელთა შინა იქმნა, რომელსა-იგი ან ეგულების თქუმად.

ხოლო გამოეძიებენ ვინმე და იტყვან, ვითარმედ: რაჲსათჳს შემდგომად ოცდაათისა წლისა მოვიდა ნათლის-ღებად იესუ? ვთქუათ უკუე ამისთჳს, ვითარცა უფალმან მომცეს სიტყუაჲ. ეგულებოდა უფალსა შემდგომად ნათლის-ღებისა დაწსნად წესთა ძუელისა მის შჯულისათა; ამისთჳს დაადგრა ვიდრე მის ჰასაკისამდე, რომელი-იგი ყოველთა ცოდვათა შემწყნარებელ არს, და აღასრულა ყოველივე წესი წინანარმეტყუელისაჲ მის, რაჲთა ვერ-

¹მათ. 24,23.

ვის ჯელ-ენიფოს თქუმად, ვითარმედ ვერ ეძლო აღსრულებად წესთა მათ შჯულისათა და ამისთვს დაჰჳსნნა იგინი. ვინათგან უკუე ჟამსა სიჭაბუკისასა გუმძლავრებენ ჩუენ ვნებანი, რამეთუ პირველისა მის ჰასაკისა ჟამსა გუმძლავრობს უგუნურებად და სულმოკლეობად, და მერმე, აღორძნდეს რად ჰასაკი, შემოვალს მძლავრებად გულისთქუმათა, და განვმწესნით რად, მოგჳდის სურვილი საფასეთად და ცუდისა დიდებისად. ამისთვს არა მოვიდა უფალი ნათლის-ლებად, ვიდრემდე ყოველნი იგი ძნელოვანნი ჰასაკნი წარვლნა და ყოველთავე შინა დაუკლებელად აღასრულა წესი შჯულისად, და არა იპოა ყოლადვე ბრალი მის თანა, არცა კუალი უდებებისად, და მერმელა მოვიდა ნათლის-ლებად და ყო იგი აღასრულ სხუათა მათ მცნებათა აღსრულებისა. და რადთა სცნა, ვითარმედ ესე უკუანაძსკნელ იყო რჩულიერთა მათ მცნებათა აღსრულებისად, ისმინე, რად-იგი ჰრქუა წინამორბედსა: „ესრეთ შეჰგავსო ჩუენდა აღსრულებად ყოველივე სიმართლე“.¹ ხოლო სიტყვსა მის ძალი ესე არს, ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: ყოველივე წესი და მცნებად შჯულისად აღგჳსრულებიეს, არცა ერთსა მცნებასა გარდასრულ ვართ, ვინათგან უკუე ესე ოდენ ნაკლულევან არს, ჯერ-არს ამისიცა შეძინებად და ესრეთ აღსრულებად ყოველივე სიმართლე. ხოლო სიმართლედ ამას ადგილსა აღსრულებასა მას ყოველთავე მცნებათასა უწოდა. საცნაურ არს უკუე, ვითარმედ ამისთვს მოვიდა ქრისტე ნათლის-ლებად მეოცდაათესა წელსა. ხოლო თუ რად იყო განგებულება იგი ნათლის-ლებისად, რამეთუ ესე ცხად არს, ვითარმედ არა თავით თჳსით მოვიდა იოვანე ნათლის-ცემად, არამედ ღმერთმან უბრძანა მას, ვითარცა გუასნავებს ლუკა და იტყვს, ვითარმედ: „იყო სიტყუად უფლისად იოვანეს მიმართ, ძისა ზაქარიასა, უდაბნოს“,² და თავადი იოვანე იტყოდა: „მე არა ვიცოდე იგი, არამედ რომელმან მომავლინა მე ნათლის-ცემად წყლითა, მან მრქუა მე: რომელსა ზედა იხილო სული გარდამომავალი და დადგრომილი მას ზედა, იგი არს, რომელმან ნათელ-სცეს სულითა წმიდითა“.³ ან უკუე ესე საცნაურ არს, ვითარმედ ღმრთისა მიერ მოივლინა, ხოლო ამას ვეძიებთ, თუ რადსათჳს მოივლინა ნათლის-ცემად. თქუა ამისიცა მიზეზი ნათლისმცემელმანვე, ვითარმედ: „მე არა ვიცოდე იგი, არამედ რადთა გამოეცხადოს ისრაჳლსა, ამისთვს მოვედ მე წყლითა ნათლის-ცემად“.⁴ და უკუეთუ ესე ოდენ იყო მიზეზი, ვითარ იტყვს ლუკა, ვითარმედ: „მოჰვლიდა ყოველსა მას გარემო სოფლებსა იორდანისასა და ქადაგებდა ნათლის-ცემასა სინანულისასა მისაბევებელად ცოდვათა“?⁵ და არა აქუნდა ნათლის-ცემასა მას მოტევებად ცოდვათად, არამედ ესე ნიჭი შემდგომად მისა მოცემულისა მის ნათლის-ლებისად იყო, რომლითაცა თანადავეფლენით მას, ვითარცა მოციქული იტყვს: „და ძუელი იგი კაცი ჩუენი მაშინ ჯუარს-ეცუა მის თანა“;⁶ და პირველ ჯუარისა არასადა ჩანს მოტევებად, რამეთუ მოტევებად

¹ მათ. 3,15. ² ლუკ. 3,2. ³ იოან. 1,33. ⁴ იოან. 1,31. ⁵ ლუკ. 3,3. ⁶ შდრ. რომ. 6,6.

ცოდვათაჲ სისხლითა მისითა მოგუეცა, ვითარცა იტყვს მოციქული პავლე: „არამედ განიზანენით, არამედ განინმიდენით, არამედ განჰმართლდით არა თუ ნათლის-ღებითა იოვანესითა, არამედ სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა და სულითა ღმრთისა ჩუენისაჲთა“.¹ და სხუასა ადგილსა იტყვს: „იოვანე ნათელ-სცემდა ნათლის-ცემასა სინანულისასა“; და არა იტყვს, თუ: ცოდვათა მოტევეებისასა. „და იტყოდაო, რაჲთა ჰრწმენეს მომავალისა მის შემდგომად მისა“;² რამეთუ ვიდრელა მსხუერპლი იგი არა შენირულ იყო და სული წმიდაჲ არა გარდამოსრულ იყო, არცა ცოდვათა ჴელითწერილი განხეთქილ იყო, არცა მტერობაჲ დაჴსნილ იყო, არცა წყევლაჲ იგი განქარვებულ იყო, ვითარმცა მოეცემოდა ცოდვათა მოტევებაჲ?

ხოლო ვინაჲთგან ესე ესრეთ არს, რაჲსათჳს იტყვს მახარებელი, ვითარმედ: „ქადაგებდა ნათლის-ცემასა სინანულისასა მისატევებელად ცოდვათა“? უმაღლონი იყვნეს ჰურიანი და უგუზურნი და არაოდეს იჴსენებდეს ცოდვათა თჳსთა, არამედ სავეს იყვნეს ყოვლითა ბოროტითა და მარადის თავთა თჳსთა განიმართლებდეს. და ამან საქმემან უფროჲს ყოვლისა წარწყმიდნა იგინი და განაშორნა სარწმუნოებისაგან ქრისტესისა. და ამას მოასწავებს პავლე, ვითარცა იტყვს მათთჳს ბრალობით, ვითარმედ: „უმეცარ იყვნეს იგინი სიმართლესა ღმრთისასა და თჳსსა მას ნებასა ეძიებდეს დამტკიცებად და სიმართლესა ღმრთისასა არა დაემორჩილნეს“.³ და კუალად იტყვს: „ან უკუე რაჲ-მე ვთქუათო? წარმართნი, რომელნი არა ეძიებდეს სიმართლესა, ენინეს სიმართლესა, და ისრაჴლი შეუდგა შჯულსა მას სიმართლისასა და შჯულსა მას სიმართლისასა ვერ მისწუთა. რაჲსათჳს-მე? რამეთუ არა სარწმუნოებისაგან, არამედ ვითარცა საქმისაგან შჯულისა“.⁴ ვინაჲთგან უკუე ესე იყო მიზეზი ბოროტთა მათთაჲ, უმეცრებაჲ ცოდვათა თჳსთაჲ და არა სინანული, ამისთჳს მოვიდა იოვანე, რაჲთა მოიყვანნეს იგინი მეცნიერებად ცოდვათა თჳსთა, და სახეცა მისი ამას მოასწავებდა, რამეთუ სინანულისა და აღსაარებისა მომასწავებელი იყო; და ქადაგებაჲ მისი ამას გამოაჩინებდა, რამეთუ ესრეთ იტყოდა, ვითარმედ: „ყავთ ნაყოფი, ღირსი სინანულისაჲ“.⁵

ვინაჲთგან უკუე არამეცნიერებაჲ ცოდვათა თჳსთაჲ განაშორებდა მათ ქრისტესგან, სიტყვსა მისებრ მოციქულისა, ხოლო მეცნიერებაჲ ბრალთა თჳსთაჲ სურვილად მოიყვანებდა მჴსნელისა და შევრდომად მისა და მიღებად მოტევეებისა, ამისთჳს მოვიდა იოვანე, რაჲთა გულისჴმა-უყვენეს ცოდვანი მათნი და აწუევდეს სინანულად, რაჲთა არა იტანჯნენ, არამედ შეიმუსრნენ სინანულითა და დამდაბლდენ და აბრალონ თავთა თჳსთა და მირბიოდინ მოღებად მოტევეებისა ცოდვათაჲსა. და იხილე, ვითარ ჯეროვნად აღწერა მახარებელმან მან, ვითარმედ: „ქადაგებდა ნათლის-ცემასა სინანულისასა“, და მერმე დაურთო: „მისატევებელად ცოდვათა“;⁶ ვითარმცა

¹ მდრ. 1 კორ. 6,11. ² საქმე 19,4. ³ რომ. 10,3. ⁴ რომ. 9,30-32. ⁵ ლუკ. 3,8. ⁶ ლუკ. 3,3.

იტყოდა, ვითარმედ: ამისთვის დაარწმუნებდა აღსარებად და სინანულად ცოდვათა, არა თუ რაფთამცა შენამებითა მით აღსარებისათა იტანჯნეს, არამედ რაფთა უადვილესად მომავალი იგი ქრისტეს მიერ მოტევება ცოდვათა შეიწყნარნეს. უკუეთუმცა არა აბრალეს თავთა თვსთა და მოვიდეს სინანულად, არცამცა მადლი იგი მოტევებისა ითხოეს, და უკუეთუმცა არა ითხოეს, არცამცა მიიღეს.

ან უკუე ესე ნათლის-ცემად წინამორბედი იყო მომავალისა მის. ამის-თვისცა იტყოდა: „რაფთა ჰრწმენესო მომავალისა მის შემდგომად მისა“¹; რამეთუ პირველთქუმულისა მის თანა ესე არს მეორე მიზეზი მოსლვისა მისისა იორდანედ, ვინაფთგან მოვლინებული იყო იგი წინამორბედად და მონამედ ქრისტესა. ვითარმცა აღსრულებულ იყო ნამება მისი თვნიერ ამის ჯერისა, რამეთუ ესრეთ უჯერო იყო, რაფთამცა კართი კარად ვიდოდა ქრისტეს თანა და ეტყოდამცა ყოველთა, ვითარმედ: „ესე არს ქრისტე, ამისი გრწმენინ“². ამისთვის რომელი ჯეროვან იყო და სამართალ, იგიცა იქმნა: მოვიდა ნათლის-ცემად და ქადაგებად სინანულისა. ესმა ერსა ყოველსა, ვითარმედ მოვიდა ძე ზაქარიაჲსი უდაბნოეთ და ნათელ-სცემს იორდანეს, და ყოველნი შეკრებოდის მისა, და ყოველთა ეტყოდა, ვითარმედ: „შემდგომად ჩემსა მოვალს უძლიერესი. მისა გრწმენინ!“³ მერმე განისმა რად ყოველსა მას სოფელსა და იქმნა კრება დიდი, მოვიდა იესუცა და ნათელილო. და მოინია ზეცით წმად მამისა და სული წმიდა და სახედ ტრედისა, და აღესრულა ჭეშმარიტებად ნამებისა მის იოვანესი.

ამისთვის მოვიდა ნათლის-ცემად, რამეთუ სახელი იგი ნათლისმცემელისა მის და სახე იგი ნათლის-ღებისა ყოველსა მას იერუსალჴმისა და გარემო ჰურიასტანსა განიყვანებდა იორდანედ, და კრება დიდი შეკრბა მდინარესა მას. ხოლო შემოკრბეს რად, იწყო ბრალობად ცოდვათა მათათავს, რაფთა დაამდაბლოს ზუაობად მათი და გულისწმა-უყოს, ვითარმედ ბოროტისა სატანჯველისა თანამდებ არიან, უკუეთუ არა შეინანონ, და რაფთა დაუტეონ სიქადული იგი აბრაჴამის შვილებისა და შეუვრდენ მომავალსა მას შემდგომად მისა; რამეთუ მუნ ჟამამდე არა განცხადებულ იყო გამოჩინება ქრისტესი, არამედ საგონებელ იყო უმრავლესთა მიერ, ვითარმედ მოიკლა მონყუედასა მას შინა ყრმათა ბეთლემისათა; რამეთუ დაღაცათუ იქმნა რად ათორმეტის წლის, გამოაცხადა კნინოდენ თავი თვისი ტაძარსა მას შინა, ვითარცა ლუკა იტყვს, არამედ მეყსეულად დადუმნა და იქცეოდა კაცთა შორის, ვითარცა იგივე მახარებელი ნამებს, ვითარმედ: „მოვიდა ნაზარეთად და იყო დამორჩილებულ მათა“³.

ამისთვის უკუე ჯერ-იყო, რაფთა განცხადებისა მისისა დასაბამი ბრწყინვალე და დიდებულ იქმნას, რომლისათვისცა მოივლინა იოვანე წინამორბედად და ქადაგად. და იწყო ქადაგებად, რად-იგი არღა ასმიოდა ჰურიათა:

¹ შდრ. საქმე 19,4.

² შდრ. იოან. 1,30.

³ ლუკ. 2,51.

სასუფეველისათვის ცათადა და სატანჯველთათვის ჯოჯოხეთისათა, რომელ-ესე არავის წინანარმეტყუელთაგანსა ეთქუა ესრეთ განცხადებულად, რამეთუ დაწყებასა მებრ ქადაგებისა მისისასა ესე ლალატ-ყო ბრწყინვალითა ჳმითა: „შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათად“.¹ ხოლო სასუფეველად ცათად მოსლვასა მას უფლისასა სახელ-სდებდა, პირველსაცა და უკუანაჲსკნელსა; და ამისთვის ესრეთ იტყოდა, რაჲთა ოდეს-იგი ვერ გულისჳმა-ჳყოფდენ ძალსა მას თქუმულთასა, ჳკითხონ, თუ რომელი არს სასუფეველი იგი ცათად, რომლისა მოახლებასა გუაუნყებ, და უჩუენოს მათ ქრისტე და ჰრქუას: ესე არს, რომელსა ვქადაგებ, ესე არს სასუფეველი ცათად, ესე არს მეუფე ყოველთაჲ. ამისთვისცა უცხოჲმან მან და ჳმამალმან ქადაგებამან ესრეთ განაღვძნა იგინი უდებებისაგან, ვიდრელა მეზუერენიცა და მჳედრობად განწესებულნი შეკრებოდეს მისა და ჳკითხვიდეს, თუ რაჲ ჯერ-არს ყოფად, რამეთუ ყოველივე, რაჲ-იგი ესმოდა და რასა-იგი ხედვიდეს, განაფრთხოდა გულთა მათთა უდებებისა მისგან და მცონარებისა და მერმეთა მათ საიდუმლოთა გულისჳმა-უყოფდა.

და ნანდკლვე განსაკვრებელ იყო ხილვაჲ კაცისა სახელოანისაჲ, ოცდაათ ნელ უდაბნოთა დამკვდრებულისაჲ, რომელი-იგი ძჳ იყო მღდელთმოძღურისა დიდისაჲ; და სიყრმითგანვე დაემკვდრა უდაბნოთა და არარაჲ კაცობრივი იჳმია, ყოვლადვე ჰატიოსან იყო სახელითაცა და საქმითა, ხილვითაცა და წესითა. ესე მეყსეულად მოვიდა უდაბნოთ; თანააქუნდა ესაიაცა წინანარმეტყუელი სულითა, რომელი-იგი უღალადებდა ერსა, ვითარმედ: ესე არს, რომლისათვის წინაჲსწარვე ვიტყოდე და ვთქუ: „ჳმაჲ ლალადებისაჲ უდაბნოსა ზედა: განჳმზადენით გზანი უფლისანი და წრფელ-ყვენით ალაგნი მისნი“.²

რამეთუ ესოდენ მოსწრაფე იყვნეს წინანარმეტყუელი ქადაგებად მოსლვასა უფლისასა, რომელ არა თუ მეუფისათვის ოდენ წინანარმეტყუელებდეს, არამედ ქადაგაცა და წინამორბედსა მისსა მოასწავებდეს და ადგილთა მათ ქადაგებისა მისისათა და სახეთა მოძღურებისათა იტყოდეს. და აწ იხილე, ვითარ ერთ არს ძალი სიტყუათა მათ ესაია წინანარმეტყუელისაჲ და იოვანე ნათლისმცემელისათაჲ; ესაია იტყუს, ვითარმედ: „ესრეთ ლალად-ყოს ჳმამან მან ლალადებისამან: განმზადენით გზანი უფლისანი, წრფელ-ყვენით ალაგნი მისნი“. ხოლო იოვანე იტყოდა: „ყავთ ნაყოფი, ღირსი სინანულისაჲ“.³ და ორთავე ამათ სიტყუათა ძალი ერთ არს, რამეთუ ესე არს განმზადებაჲ გზათა უფლისათა, ქმნაჲ ნაყოფთა მათ სინანულისათა; და ამისთვის მოვიდა, ვითარცა ზემო ვთქუ, და ვითარცა წინანარმეტყუელი იტყუს, და ვითარცა იგი თავადი ლალადებს, რაჲთა წინარბიოდის და განმზადებდეს სულთა მათ, რომელთა ეგულეობდა შეწყნარებად უფალი, არა თუმცა ნიჭი იგი ცოდვათა მოტევებისაჲ მიანიჭა, ვითარცა ღმრთის-

¹ მათ. 3,2.

² ესაია 40,3.

³ მათ. 3,8.

მეტყუელიცა იოვანე იტყვს: „რადთა წამოსო ნათლისა მისთჳს, და რადთა ყოველთა ჰრწმენეს მისგან“.¹ და კუალად ლუკა მახარებელი შემდგომსაცა ამას ესაიას წინანარმეტყუელებისასა წარმოიტყვს: „ყოველი ჴევნები აღმოივსოსო, და ყოველნი მთანი და ბორცუნი დამდაბლდენ; და იყოს გულარძნილი იგი მართლად, და ფიცხელი გზად წრფელად. და იხილოს ყოველმან ჴორციელმან მაცხოვარებად ღმრთისად“.²

იხილუა, ვითარ წინათვე ყოველივე თქუა წინანარმეტყუელმან: შემოკრებად იგი ერისად და უმჯობესისა მიმართ შეცვალებად საქმეთად და წარმართებად იგი საღმრთოესა მის ქადაგებისად და მიზეზი ესევეითართა ამათ განგებულებათად? დაღაცათუ იგავისსახედ წარმოიტყვს, რამეთუ წინანარმეტყუელებად იყო, და ესრეთ არს წესი წინანარმეტყუელებისად, რადთა არა განცხადებულ იყოს სიტყუად და ყოველთა მიერ საცნაურ, არამედ რომელთა ასხენ ყურნი სმენად საღმრთოთა სიტყუათა, მათ მიერ საცნაურ იყოს. რამეთუ სიტყუათა მით, ვითარმედ: „ყოველი ჴევნები აღმოივსოს, და ყოველნი მთანი და ბორცუნი დამდაბლდენ; და იყოს გულარძნილი იგი მართლად, და ფიცხელი გზად წრფელად“, ამას მოასწავებს, ვითარმედ: დამდაბლებულნი იგი და შემუსრვილნი ამაღლდენ, და მაღალნი და ამპარტავანნი დამდაბლდენ. და ეგრეცა იქმნა, რამეთუ მოსლვითა უფლისადთა ბუნებად კაცთად, დამდაბლებული და შემუსრვილი, შთაჴდილი ჴევთა მათ და უღალთა ჯოჯოხეთისათა, ამაღლდა უფროეს ყოველთა სიმაღლეთასა, და სიმაღლე იგი ეშმაკისად და ზუავი იგი ანპარტავანებად მისი დაეცა და შეიმუსრა და საკიცხელ მორწმუნეთა იქმნა და დასათრგუნველ მონათა ქრისტესთა. ეგრეთვე კაცთა შორისცა, რომელნი მდაბალ იყვნეს და შემუსრვილ, ამაღლდეს: იხილენ წმიდანი მოციქულნი და ყოველნი, რომელნი შეუდგეს კუალსა მათსა; და ანპარტავანნი დაეცნეს: იხილენ მღდელთმოძღუარნი იგი ჴურიათანი და სხუანი მსგავსნი მათნი. ამას გამოაჩინებს წმიდად ღმრთისმშობელიცა გალობასა მას შინა თჳსსა და იტყვს: „გარდამოსთხინა ძლიერნი საყდართაგან, აღამაღლნა მდაბალნი; მშიერნი აღავსნა კეთილითა და მდიდარნი განაზნინა ცუდნი“.³ ეგრეთვე გულარძნილიცა იქმნა მართლად, და ფიცხელი – გზად წრფელად. ესე იგი არს, ვითარმედ სიბნელე იგი და სიფიცხე ძუელისა მის შჯულისად სიადვილედ და სინრფოებად სარწმუნოებისა შეიცვალოს, რამეთუ არღარა იყოს ჴირი იგი და შრომად, არამედ მაღლი და შენდობად ცოდვათად, რომლისა მიერ ადვილ იყოს და წრფელ და უცთომელ გზად იგი ცხორებისად.

ხოლო რაჴამს ესე ყოველი მოასწავა წინანარმეტყუელმან, მერმე მიზეზიცა გუაუწყა ამის ესევეითარისად: „იხილოსო ყოველმან ჴორციელმან მაცხოვარებად ღმრთისად“.⁴ არა თუ ჴურიათა ოდენ და მწირთა, არამედ ყოველმან ქუეყანამან და ზღუამან და ყოველმან ბუნებამან კაცთამან იხი-

¹ იოან. 1,7.

² ლუკ. 3,5-6; ესაია 40,4-5.

³ ლუკ. 1,52-53.

⁴ ესაია 40,5.

ლოს მაცხოვარებად ღმრთისად, რომელი მოვიდა ჴსნად ჩუენდა ტყუეობი-საგან და მონებისა მის ეშმაკისა. ესრეთ იქმნა ფიცხელი იგი გზად წრფე-ლად, ხოლო გულარძნილიცა იქმნის მართალ. რად იყო გულარძნილი იგი? ცხორებად კაცთად, სავეს მრავლითა ბოროტითა და სრულიად განწრწნილი ცოდვათაგან, რამეთუ რომელნიმე მეზუერე იყვნეს და რომელნიმე მეძავ, სხუანი ავაზაკ და სხუანი მოგუნი, აღსავესენი ცოდვითა. ესე ყოველნი გუ-ლარძნილთა მათ და ჯოჯოხეთს მიმყვანებელთა ალაგთა ვიდოდეს პირ-ველ და მოსლვითა ქრისტესითა პოეს გზად იგი მართალი, ვითარცა ეტყჳს უფალი ჰურიათა, ვითარმედ: „მეზუერენი და ცოდვილნი წინაგძლოდიან თქუენ სასუფეველსა ღმრთისასა“,¹ რამეთუ ჰრწმენა. ხოლო ამათვე სიტყუათა ძალი სხუასაცა ადგილსა გუაუნყა წინანარმეტყუელმან და თქუა: „მაშინ ძოვდეს მგელი კრავთა თანა, და განისუენებდეს ვეფხი თიკანთა თანა“;² რამეთუ ვითარცა აქა ჴევნები თქუა და მთანი და ბორცუნი, რადთა გამოაჩინოს, ვითარმედ უნესოდ იგი წესი განქარდეს, და ყოველნივე კაცნი, რომელთაცა ინებონ, ერთად ღმრთისმსახურებისა წესად შემოკრებენ, ეგრეთვე მუნ სახესა მას პირუტყუთასა მიაშგავსნა თითოფერნი იგი წესნი და ჩუეულეზანი კაცთანი და კუალად ერთად ღმრთისმსახურებისა ზიარე-ბად შემოკრებად მათი მოასწავა. და ვითარცა-ესე აქა თქუა მიზეზი კე-თილთად მათ, ვითარმედ: „იხილოს ყოველმან ჴორციელმან მაცხოვარებად ღმრთისად“, ეგრეთვე მუნ იტყჳს, ვითარმედ: „იყოსო, რომელი-იგი აღ-დგომად არს, მთავრად წარმართთა, და მას წარმართნი ესვიდენ“.³ რამე-თუ ყოველსა ქუეყანასა განეფინა ძალი იგი სახარებისად და მჴეცებრივთა მათ წესთაგან და ბოროტისა მის გულფიცხელობისაგან მოაქცია ნათესავი კაცთად და ასწავა მათ სიმჴედე, სიმდაბლე, ღმრთისმსახურებად და სხუად ყოველივე კეთილი.

ჴეშმარიტად უკუე იხილა ყოველმან ჴორციელმან მაცხოვარებად ღმრთისად, და აღივსო ყოველი სოფელი მეცნიერებითა მისითა, რამეთუ მოვიდა სასოებად იგი წარმართთად, მოვიდა და მაცხოვრნა ჩუენ, რომლისა წინამორბედად მოივლინა დიდი იოვანე სახითა მით და წესითა საკურველი-თა, ვითარცა ესერა აღმოიკითხეთ, რამეთუ იტყჳს მახარებელი:

ს ა ხ რ ე ბ ა დ : „ხოლო თავადსა იოვანეს ემოსა სამოსლად მისა თმისა-გან აქლემისა, და სარტყელი ტყავისა წელთა მისთა“ (3,4).

თ ა რ გ მ ა ნ ი : იხილე, ვითარ რომელიმე წინანარმეტყუელთა თქუეს და რომელიმე მახარებელთა დაუტევეს თქუმად. ამისთჳსცა მათე წინა-წარმეტყუელისაცა თქუმული აღწერა და თჳსიცა შეჴმატნა, რამეთუ არა უჴმარ იყო სახისაცა და წესისა მართლისა მის თქუმად, რადთა ვცნათ მოთ-მინებად იგი მოლუანებისა მისისად და ცხორებად ანგელოზებრივი, რომელი

¹მათ. 21,31.

²ესაია 11,6.

³შდრ. ესაია 11,10.

მოიგო მან ჯორცთა შინა. ამისთვისცა ჰურიანი მოიზიდნა შემოკრებად და სმენად სიტყუათა მისთა, რამეთუ ხედვიდეს მის თანა წესსა მას ელიაფსსა და ჯსენებად საქმეთა მის ნეტარისათად განცხადებულად იხილვებოდა ამას თანა; და უფროხსდა უმეტესად განსაკრვებელ იყო ესე, რამეთუ ელია ქალაქთაცა შევიდოდა და სახლად ვიეთთამე მივიდოდა, ხოლო ესე ყოველი-თურთ უდაბნოთა დაემკვდრა სიჩროთგან. და ნანდკლვე ესრეთ ჯერ-იყო, რადთა წინამორბედი დამჯსნელისად მის ყოველთა მათ ძუელთა საქმეთად-სა, სასჯელისა მის და განჩინებისა, რომელ დაედვა კაცთა ზედა, ესე იგი არს: შრომისა მის და წყევლისად, მწუხარებისა მის და რუდუნებისა, ურვისა მის და ოფლითა პურის-ჭამისად, უზეშთაეს იყოს სასჯელისა მის, განთავისუფლებულ მისგან, და აქუნდეს მას სახე მოცემადისა მის ქრისტეს მიერ ნიჭისად. ამისთვის არა ინება მან ჯნვად ქუეყანისად, არცა განფენად ურნატთად, არცა ოფლითა პირისა მისისადთა ჭამად პურისად, არამედ იყო ტაბლად მისი უშრომელად დაგებულ ნაყოფითა მით უდაბნოხსადთა, და სამოსელი უადვილესი ტაბლისა მის, და სამკვდრებელი უუზრუნველესი სამოსლისა, რამეთუ არა იქმია მან სართული, არცა ცხედარი, არცა ტაბლად, არცა სხუად ესევეითარი რადმე, არამედ ანგელოზებრივი ცხორებად სოფელსა ამას შინა მოიგო. ამისთვის სამოსელიცა მისი თმისად იყო, რადთა ასწაოს კაცთა სივლტოლად შუებისა და ფუფუნებისაგან და ძიებად პირველისა მის აზნაურებისა, რომელი-იგი აქუნდა ადამს, ვიდრელა არა ჯმარებულ იყო მისა სამოსელთა საბურველი. ესრეთ უკუე აქუნდა სახესა მას ნათლისმცემელისასა წესი სინანულისა და აზნაურებისა მის და უფლებისა ვნებათადსა.

ხოლო ეძიებენ ვიეთნიმე, ვითარმედ: ვინად იყო მისა სამოსელი იგი თმისად და სარტყელი უდაბნოთა გარე? და არად არს საკვრველ ესე, არცა საძიებელ, არამედ იგი არს უმეტესად საკვრველ, ვითარ იქცეოდა უდაბნოთა შინა ყინულთა მათ ზამთრისათა და სიცხეთა ზაფხულისათა; და უფროხსად, ვიდრე იგი ყრმალა და ჩჩკლ იყო გუამითა, ვითარ დაუთმო ბუნებამან სიჩროებისამან სიფიცხესა მას ჰაერთასა და უცხოებასა მას და ნაკლულევანებასა საზრდელისასა და ყოველსა მას ჭირსა და შრომასა უდაბნოხსასა; რომელმან ყოველივე კაცობრივი განსუენებად უარ-ყო და მოქალაქობად ზეცისად ჯორცთა შინა მოიგო უდაბნოთა მათ შინა, ვინაცა ვითარცა ანგელოზი ზეცით მოვიდა სოფლად მოღუანე იგი ღმრთისმსახურებისად, გვრგუნოსანი მადლითა, სიბრძნესა მას ზეცისასა სწავლული, და ესე ყოველი უძლო წარმართებად, ოდეს არლა დაჯსნილ იყო ცოდვად, არლა დაცხრომილ იყო წესი შჯულისად, ოდეს არლა შეკრულ იყო სიკუდილი, არლა შემუხრვილ იყვნეს ბჭენი რვალისანი და მოქლონი რკინისანი, არამედ ვიდრელა ძუელი იგი მოქალაქობად უფლებდა. რამეთუ სულნი იგი ახოანნი ესრეთ არიან უზეშთაეს წესთა მათ ბუნებისათა. ესე ყოველი არს საკვრველ ნეტარისა მის; ხოლო თუ ვინად იყო სამოსელი იგი თმისად, რად საკვრველი არს? რამეთუ ყოველთავე მეუდაბნოეთა ეპოების ვინადვე

მცირედი იგი ჯორცთა საბურველი, რავდენ უფროდსად მასმცა ეპოა, გინა თუ ჯელითა ანგელოზისადათა, გინა თუ ღმრთისმსახურთა ვიეთმე კაცთადათა.

და ამასაცა იტყვან მეძიებელნი იგი ესევითარისანი, ვითარმედ: რად იჯმარა სარტყელი იგი ტყავისაჲ? წესი იყო ესე ძუელთა მათ მოლუანეთად სახედ მოკუდინებისა ჯორცთაჲსა და სახედ სიმჯნისა და მუშაკობისა და სახედ დაჯსნილობათა და შუებათა განშორებისა. ამისთვისცა მოციქულნი მარადის შერტყმულ იყვნეს წესიერად, ვითარცა წერილ არს პავლესთვის: „კაცისაჲ, რომლისაჲ არს სარტყელი ესე“;¹ ეგრეთვე ელია მორტყმულ და აღკუართულ იყო და ყოველნი წმიდანი, მომასწავებელად, ვითარმედ მარადის საქმე უპყრიეს და არაოდეს უქმად დგანან, და ამისთვისცა, რადთა იყვნეს ყოვლისა ჯორციელისა შემკულებისა დამორგუნველ და მოლუანებისა მოყუარე, რომელ-ესე საქმე არს სათნოებისაჲ. ამისთვისცა აქებს უფალი წესსა ამას იოვანეს მოლუანებისასა და იტყვს: „რასა გამოხუედით ხილვად? კაცისა, ჩჩკლითა სამოსლითა მოსილისა? აჰა ესერა რომელნი ჩჩკლითა სამოსლითა შემოსილ არიან, სახლთა შინა სამეუფოთა არიან“.²

ესრეთ მარადის საკვრველ და საქებელ იყო მოქალაქობაჲ სანატრელისაჲ მის. ხოლო უკუეთუ წმიდაჲ იგი და ცისა უბრწყინვალესი და უზეშთაესი ყოველთა წინანარმეტყუელთაჲ და უფროდსი ნაშობთა დედათაჲსა ესრეთ აჭირვებდა ჯორცთა თვსთა და ყოვლისაგანვე შუებისა და განსუენებისა განეშორა და მარხვითა და მოლუანებითა აღასრულა ცხორებაჲ ესე, რად-მე ვყოთ ჩუენ, რომელთა მცნებანი ქრისტესნი გუასმიან და ესოდენი ტვრთი ცოდვათაჲ გვტვრთავს და არცა თუ კნინოდენსა ნაწილსა მოლუანებისა მისისასა თავს-ვიდებთ, არამედ მთრვალობითა და ნაყროვნებითა, სამოსლითა ჩჩკლითა და ცხებითა ნელსაცხებელთა სურნელთაჲთა და სხვთა ყოვლითავე შუებითა ნარვაგებთ დღეთა ცხორებისა ჩუენისათა და ვჰყოფთ თავთა ჩუენთა ადვილად საძლეველ ეშმაკისა მიერ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „მაშინ განვიდოდა მისა იერუსალჴში და ყოველი ჰურიასტანი და გარემო სოფლები იორდანისაჲ. და ნათელს-ილებდეს იორდანესა ზედა მისგან და აღუვარებდეს ცოდვათა მათთა“ (3,5-6).

თ ა რ გ მ ა ნ ი : იხილეთ, რავდენ უძლო მოსლვამან მან წინანარმეტყუელისამან? ვითარ ერი იგი განალჴა ძილისა მისგან მცონარებისა, ვითარ მოიყვანნა იგინი ჯსენებასა ცოდვათა თვსთასა? რამეთუ საკვრველებისა ღირს იყო საქმე მისი, რომელსა იქმოდა ჯორცითა ამით მოკუდავითა და კადნიერებითა კეთილითა: მხილებად ერისაჲ მის და მადლი იგი საღმრთოდ, რომელი იყო პირსა ზედა მისსა. განაკვრვებდა კუალად ერსა გამოჩინებაჲ იგი წინანარმეტყუელისაჲ, რომელი არა ეხილვა მრავლით ჟამითგან, რამე-

¹საქმე 21,11. ²მათ. 11,8.

თუ მოკლებულ იყო მათგან მაღლი ესე და ან ოდენ გამოჩინებულ, და სახეცა ქადაგებისა მისისაჲ უცხოჲ იყო და შეცვალეზული, რამეთუ არა ესმოდა მისგან, რასა-იგი ჩუეულ იყვნეს სმენად სხუათაგან წინანარმეტყუელთა: ჰომთა და ბრძოლათა და ძლევათა ერისათა, სიყმილთა და სიკუდილთა, წარტყუენვასა ქალაქისასა, ბაბილოვნელთათჳს და სპარსთა და სხუად იგი, რომელი სანინანარმეტყუელთა შინა წერილ არს. არამედ ესმოდა ამის ნეტარისაგან საქმეთათჳს ზეცისათა და სასუფეველისათჳს და სატანჯველისა მისთჳს გეჰენისა, და ყოველნი შეკრებოდეს მისა.

არა მცონარე იქმნა ერი დიდძალი შეკრებად, არცა შეშინდეს მოწყუელისა მისგან, რომელი შეემთხვა პირველ მცირედისა ჟამისა უდაბნოს განდგომილთა მათ იუდას თანა და თევდას, რამეთუ არა ესევეითარისათჳს იყო კრებად იგი, ვითარ მათ ყვეს ავაზაკებისათჳს და განდგომილებისა, არამედ ასწავლიდა აქა უმეტესი იგი წინანარმეტყუელთაჲ სინანულსა და უჩუენებად გზასა სასუფეველისასა; ასწავლიდა შეურაცხებასა სოფლისასა და საქმეთა მისთა და ძიებად ზეცისა კეთილთასა; ასწავლიდა, რადთა ჰრწმენეს მომავალისა მის შემდგომად მისა. აუარებდეს იგინიცა ცოდვათა თჳსთა, და ესრეთ ნათელ-სცემდა და წარავლენდა სახედ თჳსად კაცად-კაცადსა, რამეთუ კრებული დიდი შეკრებოდა ხილვად მოქალაქობასა მას ანგელოზებრსა და სმენად სიტყუათა მათ საღმრთოთა.

სწავლად ი

სინანულისათჳს ცოდვათაჲსა და ლოცვისათჳს

ხოლო ჩუენცა, საყუარელნო, მივხედნეთ მოქალაქობასა მისსა და ვისმინოთ მოძღურებად მისი და ვიჯმნათ შუებათაგან და მთრვალობათა და მოვიგოთ ცხორებად მოლუანებისა, რამეთუ ჟამი არს აღსარებისა და სინანულისაჲ, რადთა განვიბანნეთ ბილწებანი იგი ცოდვათა ჩუენტანი და გონებითა დაუსჯელითა მოუწდეთ წმიდასა მას ტრაპეზსა და ღირს ვიქმნათ დაუსჯელად მოღებად საუნჯეთა მათ ზეცისათა. ვიჯმნათ უკუე დაწსნილისა ამის და საშუებელთა მეძიებელისა ცხორებისაგან, რამეთუ არა შესაძლებელ არს შუებითა და განცხრომითა აღსარებად და სინანული, და ესე ისწავეთ დიდისა წინამორბედისა იოვანესგან. იხილეთ სამოსელი მისი და საზრდელი და საყოფელი. არამედ მრქუათ მე, ვითარმედ: რად არს სიტყუად ეგე შენი? ნათლისმცემელისა ბაძვად გუასწავლია? და მსგავსად მისა უდაბნოდ განსლვასა გუბრძანება? ჰე, გასწავლი და განუევე, რამეთუ იგიცა კაცი იყო ჴორციელი, განშორებული ცოდვათაგან. ხოლო უკუეთუ განშორებული იგი ცოდვათაგან ესრეთ ჰქენჯნიდა ჴორცთა თჳსთა, არა უმეტესად ჩუენ თანაგუაცა, შებლალულთა ამათ მრავლითა ცოდვითა, ჭირვე-

ბად ჯორცთა ამათ მაჭირვებელთა ჩუენთა, რომელნი ურიცხუთა ბრალთა სიღრმესა შთავსთხინით და ვნებათა სამკვდრებელ ვყავთ?

ხოლო უკუეთუ ესე ვერ ძალ-გვც – განსლვად უდაბნოს და მსგავსებად მოქალაქობასა მისსა, ვაჩუენოთ სახლთაცა შინა ჩუენთა სინანული, რამეთუ მოახლებულ არს ჟამი სასჯელისა მის საშინელისაჲ. დაღაცათუმცა შორს იყო, არავე ჯერ-არს უდებებაჲ, რამეთუ კაცად-კაცადისა აღსასრული კართა ზედა არს. და რომელი-იგი წარვიდეს ამიერ სოფლით, მის ზედა მონვენულ არს ჟამი სასჯელისაჲ. ხოლო რაჲთა სცნათ, ვითარმედ არა შორს არს დიდისა მისცა სასჯელისა ჟამი, ისმინე, რასა ჰავლე ღალადებს: „ღამე იგი განგუეშორა, და ნათელი შემოგუეახლა“;¹ და კუალად იტყვს: „მცირედლა, ნუთერთ, მომავალი იგი მოვიდეს და არა ყოვნოს“.² რამეთუ სასნაულნიცა აღსრულებულ არიან მოახლებისა მის დღისანი, ვითარცა იტყვს უფალი, ვითარმედ: „იქადაგოს სახარებაჲ ესე სასუფეველისაჲ ყოველსა სოფელსა სანამებულად ყოველთა წარმართთა, და მაშინ მოინიოს აღსასრული“.³ გულისწმა-ყავთ კეთილად თქუმული ესე. არა თქუა, თუ: ოდეს ჰრწმენეს ყოველთა კაცთა, არამედ: ოდეს იქადაგოსო ყოველთა მიმართ; და ამისთვის თქუა, ვითარმედ: „სანამებულად წარმართთა“, რაჲთა ვცნათ, ვითარმედ არა თუ მოელის, რაჲთა ყოველთა ჰრწმენეს და ესრეთ მოვიდეს; რამეთუ სიტყუაჲ იგი, თუ: „სანამებულად წარმართთა“, ამას მოასწავებს, ვითარმედ შემასმენელად, სამხილებელად და დასასჯელად მათა, რომელთაცა არა ჰრწმენა.

ხოლო ჩუენ ესე ყოველი გუესმის, გუძინავს და სიზმართა ვხედავთ, ვითარცა შუალამეს შეპყრობილნი მთრვალობითა, რამეთუ ჭეშმარიტად არარაჲთა განყოფილ არიან სიზმართაგან საქმენი ამის სანუთროფსანი, გინა თუ სიხარულისა მომატყუებელ იყვნენ, გინა თუ მწუხარებისა. ამისთვის გევედრები, ძმანო ჩემო, განვიღვძოთ ძილისა მისგან მცონარებისა და მივხედნეთ მზესა მას სიმართლისასა, რამეთუ არავის მძინარესა ჯელ-ენიფების ხილვად მზისაჲ, არცა განმხიარულებად თუალთა თვსთაჲ შუენიერებითა მით ბრწყინვალეებისა მისისაჲთა, არამედ სიზმართა ხედავენ და უცნებათა. ხოლო ჩუენ განვიღვძოთ და გულისწმა-ვეყოთ, ვითარმედ ფრიადი ღმობიერებაჲ საჯმარ არს ჩუენდა, აღსარებაჲ ცოდვათაჲ და ნაკადულნი ცრემლთა მჭურვალეთანი, რამეთუ ცოდვათა დიდთა და მრავალთა თანამდებ ვართ და რამეთუ უღმობელად და უნანელად წარგვკვიან დღენი ჩუენნი. და ვიცი, მრავალნი თქუენგანნი მენამნენ, ვითარმედ ჭეშმარიტსა ვიტყვ და არა ვტყუი.

ვიცნნეთ, ძმანო, თავნი ჩუენნი, განვიცადნეთ წყლულებანი ჩუენნი, რაჲთა ნამლისაცა დადებად ვისწრაფოთ, რამეთუ რომელი წყლულებათა თვსთა უმეცარ იყოს, ვითარ ისწრაფოს დადებად ნამლისა? მრავალთა

¹ რომ. 13,12.

² ებრ. 10,37.

³ მათ. 24,14.

ცოდვათა მიერ შებღალულ ვართ, არამედ არა გამოცუებულ ვართ სინანულისაგან, უკუეთუ გუენებოს, რამეთუ ჯერეთ სავაჭროდ დგას და ქადაგებად სინანულისად იქადაგების. უკუეთუ დაბერებულ ხარ და მიახლებულ ბჭეთა სიკუდილისათა, ნუ ჰგონებ, თუ განვრდომილ ხარ სინანულისაგან, ნუცა წარიკუთეთ სასობასა შენისა ცხორებისასა, არამედ გულისწმა-ყავ ავაზაკი იგი, რომელი ჯუარსა ზედა წამსა შინა ერთსა განთავისუფლდა ცოდვათაგან, რამეთუ რადმცა იყო უმოკლეს ჟამისა მის, ოდეს-იგი ეკიდა ჯუარსა ზედა? არამედ კმა-ეყო მას მცირე იგი ჟამი სინანულად და განთავისუფლებად ცოდვათაგან. უკუეთუ ჭაბუკ ხარ, ნუ მიენდევები სიჭაბუკესა შენსა და იტყვ, ვითარმედ შორს არს ჟამი იგი სიკუდილისად, რამეთუ „დღე იგი უფლისად, ვითარცა მპარავი, მოვიდისო ღამით“.¹ ამისთჳს უცნაურყო ჟამი აღსასრულისა ჩუენისად უფალმან, რადთა საცნაურ და ჭეშმარიტ ვყოთ მოსწრაფებად ჩუენი და მოქცევად ცოდვათაგან. არა ჰხედავა, ვითარ ჩჩვლნი წარიტაცებიან სიკუდილისაგან, ჭაბუკნი ურიდად მოსწყდებიან?! ამისთჳს წერილ არს: „ნუ ჰყოფნი მოქცევად უფლისა, ნუცა სდროებ დღითი-დღე, ნუუკუე ვიდრე-იგი ჰყოფნიდე, წარიტაცო ჴელითა მით წარმყვანებელთადათა“.²

ესრეთ ბერთაცა და ჭაბუკთა, კაცად-კაცადმან ისწავენ მოძღურებად იგი, რადთა არცა ვინ უზრუნველ იყოს, არცა სასონარკუეთილ, რამეთუ დაღაცათუ მრავალ არიან ცოდვანი ჩუენნი, არამედ უკუეთუ შევიწინათ, არა მოტევებად ხოლო ვპოოთ, არამედ ცხორებადცა საუკუნოდ დავიმკვდროთ და გვრგვნი სასუფეველისად მოგუეცეს. რამეთუ ნუ ამას ოდენ ვხედავთ, ვითარმედ ცოდვითა შებღალულ ვართ, არამედ ესეცა ვიხილოთ, ვითარმედ მეუფე ჩუენი კაცთმოყუარე არს. უკუეთუ შევიწინათ, ყოველივე აღწოცოს ცოდვად ჩუენი. ხოლო სინანულსა ვიტყვ მოქცევასა ბოროტისაგან და ქმნად კეთილისასა, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „ყავთ ნაყოფი, ღირსი სინანულისად“.³ რად არს ესე, ვითარმედ: „ყავთ ნაყოფი, ღირსი სინანულისად“? რადთა წინააღმდეგომი ცოდვისა ჩუენისა სათნობად აღვასრულოთ. ესე იგი არს, უკუეთუ მოგიტაცებიეს სხვსად, მიეც შენიცა გლახაკთა; სიძვითა შებღალულ ხარ, – განემორე სრულიად გულისთქუმათა, განეყენე მეუღლესაცა შენსა განჩინებულთა დღეთა სინანულისათა, მოიგე მარხვად, მოისპენ გულისსიტყუანი ცოდვისანი გულისაგან შენისა, განიბანენ ბილწებანი იგი ცრემლითა და სულ-თქუმითა; გიგინებიეს და შეურაცხ-გიყოფიეს მოყუასი, – პატივ-ეც და კეთილ-უყავ; თავს-იდევ შეურაცხებად და გინებად, აკურთხევედი მაგინებელთა და ძკრისმყოფელთა შენთა. ესე არს ნაყოფი, ღირსი სინანულისად, მოქცევად ბოროტისაგან და ქმნად კეთილისად. რამეთუ არა კმა არს აღმონუდად ხოლო ისრისპირისად ნაგუემისა მისგან, არამედ წამლისადცა ჯერ-არს დადებად. უკუეთუ შუებიითა და

¹ შდრ. 2 პეტ. 3,10.

² შდრ. ზირ. 5,8-9.

³ ლუკ. 3,8.

მთრვალობითა წარგიჟდიან გარდასრულნი დღენი შენნი, მოიგე მარხვად და წყალსა იჴუმევედ, რადთა ვნებად იგი მთრვალობისად აღმოჴფხურა; უკუეთუ თუალთა ვნებულთა მიგიხედვან განცდად სიკეთესა პირთასა, აღკრ-ასხენ თუალთა ყოლადვე არა ხედვად დედათა. ესრეთ თუ ჰყოფ-დე, იქმნე აღმასრულებელ სიტყვსა მის, ვითარმედ: „მოიქეც ბოროტისაგან და ქმენ კეთილი“;¹ და კუალად: „დააცხრვე ენად შენი ბოროტისაგან და ბაგენი შენნი ნუ იტყვან ზაკუფასა“.² ისმინე შემდგომიცა ამისი: „მოიძიე მშკდობად და მისდევდი მას“.³ არა კაცთა მიმართ ხოლო ვიტყვ, არამედ ღმრთისა მიმართცა. და კეთილად თქუა: „მისდევდი მას“, რამეთუ განვიოტეთ იგი და განვდევნეთ, და ივლტოდა რად ჩუენგან, დაუტევა ქუეყანად და ზეცას წარვიდა. არამედ ძალ-გვც კუალად უკუმოყვანებად მისა, უკუეთუ მჴურვალედ მოვიძიოთ და მივსდევდეთ მას, უკუეთუ განვიოტნეთ ჩუენგან ვნებანი, რომელთა განიოტეს იგი სულთაგან ჩუენთა, რომელ არს: ზუაობად, ანჰარტავნებად, მრისხანებად, ანგაჰრებად, დიდებისმოყუარებად და სხუანი მსგავსნი ამათნი. რამეთუ ესევეთართა მათ განიოტეს ჩუენგან მშკდობად და მტერ ღმრთისა გუყვენეს და მბრძოლ ურთიერთას. ან უკუე მათებელნი იგი მშკდობისანი განვიოტნეთ და ვევედრნეთ უფალსა ცრემლითა მჴურვალთა, რადთა მოგუცეს მშკდობად იგი, რომელი აღუთქუა მონაფეთა თვსთა და ჰრქუა: „მშკდობასა მოგცემ თქუენ, მშკდობასა ჩემსა დაგიტევებ თქუენ“.⁴

ვილოცოთ ტკბილისა მის მშკდობისა მიმთხუევად. ვილოცოთ ამისთვის ნუ ერთსა ხოლო ანუ ორსა დღესა, არამედ ყოველთა დღეთა ცხორებისა ჩუენისათა, რამეთუ თვთ ლოცვად ნაყოფთაგანი არს სრულისა მის მშკდობისათად და დანყებად დაგებისა ღმრთისად. ესე შევიყუაროთ და დაუცხრომელად შევიტკბოთ. დაღაცათუ არა მოგუეცეს, რომელსა-იგი ვითხოვდეთ, ნუ დავსცხრებით ლოცვისაგან, რადთა მოგუეცეს. დაღაცათუ მოგუეცეს, ნუვე უდებ ვიქმნებით, რადთა მოცემული იგი ნიჴი სამარადისოდ ეგოს ჩუენ თანა. რამეთუ არა თუ ღმერთსა ჰნებავს გვანად მოცემად სათხოვლისა მის ჩუენისად, არამედ დროებითა მით ჰნებავს მოცემად ჩუენდა მიზეზისა მარადის ვედრებად მისდა. ამისთვის დრო-სცის თხოისა ჩუენისა აღსრულებად, რადთა დავადგრეთ ლოცვასა შინა, და მრავალგზის გვხილნეს რად უდებებით ლოცვასა შინა და ვედრებასა, მოგვკლინის განსაცდელიცა რადმე მიშუებითა მისითა, რადთა მჴურვალედ მივივლტოდით მისა და, მივივლტოდით რად, ვეგნეთ განუშორებელ მისგან. ეგრეთ ქმნიან მრავალგზის მშობელთაცა შვილისმოყუარეთა. იხილის რად დედამან შვილი თვსი უნესოდ მიმავალი, სადა-იგი არა ჯერ-არნ, უბრძანოს მონათა შეშინებად მისა, რადთა მივივლტოდეს ნიალთა დედისათა. ეგრეთვე ღმერთმან გვხილოს რად, ვითარმედ უგუნურებითა გონებისადთა განვეშორებით მას, მი-

¹ ფსალმ. 33,15.

² ფსალმ. 33,14.

³ ფსალმ. 33,15.

⁴ შდრ. იოან. 14,27.

უშვს განსაცდელსა რასმე, რადთა მოვიწესნოთ უფალი და მივივლტოდით მისა. უკუეთუ კულა ერთმცა ვიყვენით ჟამსა განსაცდელისა და შუებისასა, არასადამცა მოინინეს განსაცდელნი.

და რად ვიტყვ ჩუენთვს? წმიდათაცა და სრულთა დიდად სარგებელ ეყოფოდა ამით წესითა. ამისთვისცა წინანარმეტყუელი იტყვს: „კეთილ არს ჩემდა, რამეთუ დამამდაბლე მე“;¹ და თავადი მოწაფეთა ეტყოდა: „სოფელსა შინა ჭირი გაქუნდეს“;² და პავლე იტყვს: „მომეცა მე სანერტელი ჯორცთაჲ, ანგელოზი მწდომი, რადთა დამქენჯნიდეს მე“.³ ამისთვისცა ვევედრა განყენებად მისგან ჭირი იგი განსაცდელთაჲ და არა მიემთხვა თხოასა მას, რამეთუ დიდად სარგებელ ეყოფოდა, ვითარცა ჰრქუა უფალმან, ვითარმედ: „ძალი ჩემი უძღურებასა შინა სრულ იქმნების“.⁴ უძღურებად თქუა ჭირი იგი განსაცდელთა და წინააღმდგომთაჲ, რომელთაცა საქენჯნელად უწოდა.

ხოლო დავითის ცხორებაჲ უკუეთუ ვაწესნოთ, ვპოოთ იგი განსაცდელთა შინა განბრწყინებული და სხუანი იგი მსგავსნი მისნი. ესრეთ განბრწყინდა იობ, ესრეთ მძლედ გამოჩნდა იოსებ, ესრეთ აღასრულა ცხორებაჲ თვისი იაკობ და თავადმანცა აბრაჰამ. და სხუანი ყოველნივე, რომელნიცა განბრწყინდეს სინმიდითა და გვრგვნი ძლევისანი მიიხუნეს, ჭირთა და განსაცდელთა მიერ წარემართნეს და რჩეულ იქმნეს უფლისა.

ან უკუე ჩუენცა ესე ყოველი გულისწმა-ვეოთ, და ოდეს განსაცდელი რად მოინიოს, ნუ სულმოკლე ვიქმნებით და ვისწრაფით განგდებად ჩუენგან სარგებელისა მის, არამედ ვისწრაფოთ ახოვნებით მოთმინებად და ნუ გამოვეძიებთ, ნუცა გამოვიკულებთ, თუ რაჲსათვს მოინია, ანუ თუ ოდეს-მე განქარდეს, რამეთუ ჟამი განქარებებისა მისისაჲ უფალმან უწყის, რომელმან სარგებელად ჩუენდა მოავლინა. ხოლო ჩუენი ესე არს, რადთა სულგრძელებით მოვითმინოთ და მადლობით თავს-ვიდვათ, რადთა იხილოს ღმერთმან ერთგულებაჲ და სიკეთე გონებისა ჩუენისაჲ და მოგუცეს მისმიერი წყალობაჲ, რადთა აქაცა გამოცდილ და გამოჭურვებულ ვიპოვნეთ და მას საუკუნესა ბრწყინვალე წინაშე ღმერთისა. რამეთუ უკუეთუ ყოველსავე მოწევენულსა განსაცდელსა მადლობით შევიწყნარებდეთ და გულსავე ვიყვენთ, ვითარმედ უფალმან უაღრეს ჩუენსა იცის უმჯობესი ჩუენი, და ვადიდებდეთ მას ყოველსავე ზედა, ვპოვოთ ესევითართა ამით სახითა მოტევებაჲ ცოდვათა ჩუენთაჲ და საუკუნესა მას მერმესა მოვილოთ გვრგვნი იგი დაუჭნობელნი მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუენითი უკუენისამდე, ამენ.

¹ ფსალმ. 118,71.

² იოან. 16,33.

³ 2 კორ. 12,7.

⁴ 2 კორ. 12,9.

თავი ია

სიტყუაჲ ესე: „და ვითარცა იხილნა ფარისეველნი იგი და სადუკე-ველნი, მომავალნი ნათლის-ღებად მისგან, ჰრქუა მათ: ნაშობნო იქედნეთა-ნო, ვინ გიჩუენა თქუენ სივლტოლაჲ მომავალისა მისგან რისხვისა?“ (3,7).

ვითარ უკუე უფალი იტყვს, ვითარმედ: „არა ჰრწმენა იოვანესი“,¹ და აქა იტყვს, ვითარმედ: „მოვიდეს ნათლის-ღებად მისგან?“ ესე ამისთვის, რამეთუ არა სარწმუნოებაჲ იყო მათი იგი მისლვაჲ მისა, ვინაჲთგან რომელსა-იგი ქადაგებდა, მისი არა ჰრწმენა, რამეთუ იგინი იტყოდეს, ვითარმედ: „გურნამს რჩული მოსესი და სიტყუანი წინანარმეტყუელთანი“, არამედ მათიცა თქუა, ვითარმედ: „არა ჰრწმენა“, ვინაჲთგან არა შეინყნარეს მათ მიერ ქადაგებული იგი, ვითარცა იტყვს: „უკუეთუმცა გრწმენა მოსესი, გრწმენამცა ჩემიცა“;² და კუალად: „გამოეძიებთ წიგნთა და ჰგონებთ თავთა თქუენტა, ვითარმედ ცხორებაჲ გაქუს საუკუნოჲ; და იგინი არიან, რომელნი წამებენ ჩემთვის, და არა გინებს მოსლვაჲ ჩემდა“.³ და კუალად ამისა შემდგომად ჰკითხა რაჲ უფალმან, ვითარმედ: „ნათლის-ღებად იოვანესი ვინაჲ იყო: ზეცით ანუ კაცთაგან?“ იტყოდეს იგინი: „უკუეთუ ვთქუათ: ზეცით, გურქუას ჩუენ: და რაჲსათს არა გრწმენა მისი? უკუეთუ ვთქუათ: კაცთაგან, გუეშინის ერისა მის“.⁴

ამის უკუე ყოვლისაგან საცნაურ არს, ვითარმედ მივიდეს მისა და ნათელ-ილეს, გარნა სარწმუნოებასა მას ზედა ქადაგებისა მისისასა არა დაადგრეს; ვითარცა-იგი ღმრთისმეტყუელი იოვანე გამოაჩინებს უკეთურებასა მათსა, ვითარმედ: „მიავლინეს ჰურიათა კითხვად მისა, ვითარმედ: ვინ ხარ შენ? ელია ხარა შენ ანუ ქრისტე ხარა?“⁵ ამისთვისცა თქუა მახარებელმან, ვითარმედ: „მივლინებულნი იგი იყვნეს ფარისეველთაგანნი“.⁶ ხოლო ერსა მას არა ეგრეთვე ეგონაჲ? ჰე, ერსაცა ეგრეთ აქუნდა, გარნა ერსა მას აქუნდა გულისსიტყუად იგი გონებითა მარტივითა, ხოლო ფარისეველნი ზაკუვით ჰკითხვიდეს, რამეთუ ვინაჲთგან საცნაურ იყო, ვითარმედ თესლისაგან დავითისა და ბეთლემით მომავალ იყო ქრისტე, ხოლო იგი ტომისაგან ლევიტელთაჲსა იყო, მახესა დაურწყვიდეს მას უკეთურნი იგი, რაჲთა უკუეთუ ესევითარი რაჲმე თქუას, ჴელნი დაასხნენ მას. და ესე-ვითარი იგი ზაკულებად მათი შემდგომითაცა სიტყუთა გამოაჩინა ღმრთისმეტყუელმან, რამეთუ თქუა რაჲ ნათლისმცემელმან, ვითარმედ: „არა ვარ მე ქრისტე, არცა ელია, არცა წინანარმეტყუელი იგი“,⁷ ჰრქუეს მას ბრალობით: „და რაჲსათს ნათელ-ჰსცემ შენ, უკუეთუ არა ხარ ქრისტე, არცა ელია, არცა წინანარმეტყუელი იგი?“⁸ და რაჲთა სცნა, ვითარმედ სხვთა

¹ შდრ. მათ. 21,32. ² იოან. 5,46. ³ იოან. 5,39-40. ⁴ მათ. 21,25-26. ⁵ შდრ. იოან. 1,19-21.

⁶ იოან. 1,24. ⁷ შდრ. იოან. 1,20-21. ⁸ იოან. 1,25.

გონებითა მივიდეს ფარისეველნი და სხვთა – ერი იგი, ესეცა მოასწავა მახარებელმან, რამეთუ ერისა მისთვის თქუა, ვითარმედ: „განვიდოდეს მისა და ნათელსაცა იღებდეს და აღუვარებდეს ცოდვათა მათთა“,¹ ხოლო ფარისეველთათს არა ესრეთ, ვითარმედ იტყვს: „და ვითარცა იხილნა ფარისეველნი იგი და სადუკეველნი, მომავალნი ნათლის-ღებად, ჰრქუა მათ: ნაშობნო იქედნეთანო, ვინ გიჩუენა თქუენ სივლტოლად მომავალისა მისგან რისხვისა?“² ეჰა სიბრძნე მისი და ჭემმარიტებად, ვითარ თუალუხუავად ამხილა კაცთა მათ მოსისხლეთა, დამთხვეველთა სისხლისა წინანარმეტყუელთადას, უბოროტესთა გუელთა და იქედნეთასა, ვითარ კადნიერებით შეურაცხ-ყვნა იგინიცა და მშობელნი მათნი.

თქუან უკუე ვიეთმე, ვითარმედ: კადნიერებად მისი და თუალუხუავად მხილებად დიდ არს, გარნა რადსათს ესრეთ ამხილა, ვინადთგან არა ცოდვასა შინა პოვნა, არამედ სინანულსა? და ამისთვის არა ბრალობად უღირდა, არამედ მადლობად, რომელ დაუტევეს ქალაქი და სახლნი მათნი და მოვიდეს მისა სმენად ქადაგებისა მის. რად უკუე ვთქუათ ამისთვის? გარნა ესე, ვითარმედ არა საქმესა მას ხედვიდა, რომელსა გარეშე იქმოდეს, არამედ დაფარულსა გონებისა მათისასა განიცდიდა გამოცხადებითა ღმრთისადათა და ზუაობასა მათსა და სიქადულსა დაამწობდა, ვითარცა იგი პირველ ესაია ქმნა, რომელი-იგი მთავრად სოდომელთა უწესს მათ და ერად გომორელთა.³ და სხუად წინანარმეტყუელი იტყვს: „არა შვილნი ჰინდოთანი თქუენ ხართა?“⁴ და ყოველნივე ესრეთ აყუედრებენ მათ. არამედ წინანარმეტყუელნი ცოდვასა შინა ყოფისა მათისათს იტყოდეს ესე ვითარსაო, ხოლო აქა მოქცევასა შინა იხილვებიან და სარწმუნოებასა, რადსათს უკუე ესრეთ იტყვს? ვითარცა ვთქუ, დაფარულსა მას გონებათა მათთასა ხედავს და ყოფადსა მას მათ მიერ ქრისტეს მიმართ განდგომილებასა მოასწავებს, ხოლო აწინდელსა ამას საქმესა ზედა არა აბრალებს, არამედ უფროსად აქებს მოსლვასა მას მათსა ნათლის-ღებად, რამეთუ არა თუ ესრეთ ჰრქუა, თუ: რად მოხუედით ჩემდა, არამედ უფროსად უკვრს მოსლვად იგი, თუ ვითარ უძლეს ფრიადისა მის უკეთურებისაგან განფრთხობად და სინანულისა მოსსენებად, ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: რად არს საკვრველი ესე, ვითარ თქუენ მოიგონეთ მოსლვად სინანულად, ნაშობნო იქედნის მსგავსთა მათ მშობელთანო და აღზრდილნო ყოვლითა სიბოროტითა, ვითარ იქმნა უცხოვ ესე შეცვალება? ვინ მოალბნა ფიცხელნი ეგე გულნი თქუენნი, ვინ განჰმართნა განდრეკილნი ეგე და უკურნებელნი გონებანი? და იხილე, ვითარ დაწყებასავე სიტყვასა ჳსენებითა მით საუკუნეთა სატანჯველთადათა შეაძრწუნნა, რამეთუ არა ჰრქუა, ვითარ-იგი სხუანი იტყოდეს წინანარმეტყუელნი, ვითარმედ: ვინ გიჩუენა სივლტოლად ბრძოლათაგან და ზედამოსლვისაგან ბარ-

¹ შდრ. მათ. 3,5-6.

² მათ. 3,7.

³ ესაია 1,10.

⁴ ამოს 9,7.

ბაროზთაჲსა, ტყუეობისაგან და სიყმილისა? არამედ სხუად სატანჯველი წინაუყო, რომლისა წსენებაჲ ყოვლადვე არა აქუნდა მათ, რამეთუ ესე-ვითარი ძალი აქუს სიტყუასა მას მისსა, ვითარმედ: ვინ-მე დაგარწმუნა თქუენ, ნაშობნო იქედნეთანო, ვინ გასწავა სივლტოლაჲ სინანულითა ამით მომავალისა მისგან რისხვისა? მიკვრს ბოროტთა მათ გონებათა თქუენთა შეცვალებაჲ და მოსლვაჲ ესე სინანულად.

ხოლო კეთილად უწოდა მათ ნაშობად იქედნეთა, რამეთუ იქედნისათჳს თქუმულ არს, ვითარმედ ნაშობნი მისნი შემჭამენ საშოსა კბილითა თჳსითა და ეგრეთ გამოვლენ მიერ. ესრეთ იყვნეს ესენიცა მშობელთა მკლველნი, რამეთუ სულიერთა მათ მშობელთა და მოძღუართა ჭეშმარიტთა მოსწყუედდეს, და თითოსახითა სიკუდილითა მოკლნეს მათ და მამათა მათთა ყოველნივე წინანარმეტყუელნი. ესრეთ უკუე ეტყჳს ქადაგი იგი ჭეშმარიტებისაჲ, ვითარმედ: საკვრველ არს თქუენი, ნაშობნო იქედნეთანო, მოქცევაჲ სინანულად და სივლტოლაჲ მომავალისა მისგან რისხვისა, რომელი მოწვევად არს ჟამსა მას საშჯელისასა უღმრთოთა და ცოდვილთა ზედა. გარნა ნუ ჰგონებთ მოსლვითა ამით იორდანედ რისხვისა მისგან განრომასა, არამედ უკუეთუ ჭეშმარიტად სივლტოლაჲ გნებაჲს რისხვისა მისგან, სიტყუად ჩემი ისმინეთ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო ა : **„ყავთ უკუე ნაყოფი, ღირსი სინანულისაჲ“** (3,8).

თ ა რ გ მ ა ნ ი : იცოდა ღმრთისა მიერ დაფარულნიცა გულისა მათისანი და რაჲ-იგი ეგულებოდა ყოვად. ამისთჳს ეტყჳს, ვითარმედ: არა კმა არს თქუენდა მოსლვაჲ ესე ნათლის-ლებაჲ სივლტოლაჲ რისხვისა მისგან, არამედ უკუეთუ ჭეშმარიტად სივლტოლაჲ გნებაჲს, ნულარა მიაქცევთ უკეთურებისავე თქუენისა, არამედ ყავთ ნაყოფი, ღირსი სინანულისა და ნათლის-ლებისა მის, რომელსა ვქადაგებ, რამეთუ არა მსგავს არს აწინდელი ესე ძუელსა მას, რომლისათჳს წინანარმეტყუელნი გეტყოდეს, არამედ ფრიად უაღრეს და უზეშთაჲს არს აწინდელი ესე, რამეთუ ესერა თავადი უფალი მოვალს, თავადი მეუფე დიდებისაჲ, და მიუწოდს ზეცას მორწმუნეთა მისთა და სასუფეველსა მას საუკუნესა მიანიჭებს. ამისთჳსცა სიტყუასა მას გეჰენიისასა და სხუათა მათ სატანჯველთასა წინაგყოფ, რაჲთა სცნათ, ვითარმედ კეთილნიცა იგი მომავალნი და რისხვაჲცა იგი დაუსრულებელ და უკუდავ არიან. აწ უკუე ნუ პირველსავე უკეთურებასა მიიქცევით, ნუცა ჩუეულებისაებრ თქუენისა მიზეზთა მათ ცუდთა მოიპოებთ და იქადთ შვილებისათჳს აბრაჰამისა, ისაკ და იაკობისა. ამას ეტყოდა, რამეთუ მამინდელთა გონებათა მათთა ხედვიდა და მომავალიცა უწყოდა წინანარმეტყუელებით, ვითარ-იგი ეგულებოდა მათ თქუმად, ვითარმედ: „მამად ჩუენი აბრაჰამი არს“¹; და კუალად: „ნათესაენი აბრაჰამისნი ვართ და არავის სადა

¹ იოან. 8,39.

ვჭმონებდით“.¹ ვინაფთგან უკუე ამას ზედა ზუაობდეს და ამან გულისსიტყუამან წარწყმიდნა იგინი, ამისთს ისწრაფის წინამორბედი განქარვებად მისა, და იხილე, ვითარ პატივითა მამათმთავრისაფთა ქმნა განმართლებად გულისსიტყუსად მის, რამეთუ თქუა რად, ვითარმედ: „ნუ ჰგონებთ და იტყვთ თავით თვსით: მამად გვვის ჩუენ აბრაჰამი“, არა შესძინა, ვითარმედ: ვერარად გარგოს თქუენ მამათმთავარმან, არამედ გონიერად შეჭმზადა სიტყუად თვსი: „გეტყვ თქუენო, ვითარმედ: შემძლებელ არს ღმერთი ქვათა ამათგან აღდგინებად შვილად აბრაჰამისა“.² იტყვან ვიეთნიმე, ვითარმედ წარმართთათვს თქუა ესე, რომელთაცა ქვად სახელ-სდვა, ვითარმედ უკუეთუ თქუენ უღირსად იპოვნეთ, მოუწოდოს ღმერთმან წარმართთა და ყვნეს იგინი შვილად აბრაჰამისა, და ეგრეთცა იქმნა. ხოლო მე ამას თანა სხუასაცა ძალსა გულისწმა-ვჰყოფ ამის სიტყუსასა, ვითარმცა ეტყოდა: ნუ ჰგონებთ, უკუეთუ თქუენ წარწყმდეთ, თუმცა უშვილოდ დაშთა მამათმთავარი. არა ესრეთ არს. ნუ იყოფინ! რამეთუ ძალ-უც ღმერთსა ქვათაგანცა კაცთა გამოყვანებად და მიცემად შვილად აბრაჰამისა. რამეთუ პირველითგანცა ესრეთ იქმნა, ბერწისა მისგან და ქვათა მსგავსისა საშოფსა უნაყოფობითა მისცა შვილი, რომლისათვსცა იტყვს წინანარმეტყუელი: „მიხედენით მყარსა მას კლდესა, რომლისაგან გამოიკუეთენით, და სიღრმესა მას მღვმისასა, რომლისაგან აღმოითხარენით; მიხედენით აბრაჰამს, მამასა თქუენსა, და სარრას, მშობელსა თქუენსა“.³ ამას უკუე წინანარმეტყუელეფასა ანცა მოაწსენებს მათ და უჩუენებს, ვითარმედ უკუეთუ მაშინ ესრეთ საკვრველებით მისცა მას შვილი, ვითარმცა ქვათაგან აღდგინა, უნაყოფოფსა მისგან და ბერწისა საშოფსა, ძალ-უც ანცა ეგრეთვე ქმნად. ხოლო არა თქუა, თუ აღუდგინებინ, რადთა არა წარუკუეთოს სასოებად, არამედ: „შემძლებელ არს აღდგინებადო“. და არა თქუა, თუ: შემძლებელ არს ქვათაგან აღდგინებად კაცთა, არამედ რომელი-იგი უზეშთაეს ამისა იყო, ვითარმედ: შემძლებელ არს შვილად აბრაჰამისა ყოფად აღდგომილთა მათ ქვათაგან.

ესრეთ განაყენნა იგინი აბრაჰამის თვსებისათვს სიქადულისაგან და ასწავა, რადთა სხუასა არას ესვიდენ, არამედ წყალობასა ღმრთისასა და ქველისსაქმესა თვსსა, რამეთუ განაგდო თვსებად იგი ჯორცთად და შემოილო თვსებად იგი სარწმუნოებისად. ხოლო იხილე შემდგომიცა სიტყუად, ვითარ აღმაორძინებელ შიშისა მის და ზრუნვისა არს, რამეთუ იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე : **„რამეთუ ესერა ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს“** (3,10).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ყოვლით კერძო შესაძრწუნებელ-ყო სიტყუად თვსი, რამეთუ მასცა დიდსა კადნიერებასა მისცემდა სიმაღლე იგი სათნოებათა მისთად, და იგინიცა დიდისა მხილებისა და შეშინებისა ღირს იყვნეს, რამეთუ

¹ იოან. 8,33. ² მათ. 3,9. ³ ესაია 51,1-2.

ქუეყანად იგი გულთა მათთად მრავლით ჟამითგან დაკორდებულ იყო, სრულად უნაყოფო და უქმ. ამისთვის ეტყვის: გარქუ თქუენ, ვითარმედ: უკუეთუ უკეთურებასა ზედა თქუენსა ეგნეთ, განჰვარდეთ სრულიად შვილებისაგან აბრაჰამისა და სხუანი იხილნეთ შესრულნი თქუენსა მას პატივსა. არამედ ნუ ჰგონებთ, თუ აქამდის ოდენ იყოს პატიჟი თქუენი, არამედ უმეტესსაცა ღირს იქმნეთ ტანჯვასა, „რამეთუ ანვე ესერა ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს“.

არარად არს უსაშინელეს ამის იგავისა, რამეთუ არღარა მანგალსა შემოიღებს მფრინვალესა, არცა დარღუევასა ზღუდისასა და მოჭდასა ღობისასა და დათრგუნვასა ვენაჯისასა, არამედ ცულსა აღლესულსა, და უსაშინელესი იგი არს, რომელ ძირთა თანა ძეს. ესე იგი არს, „ახლოს არს, კართა ზედა“.¹ რამეთუ ვინადთგან წინანარმეტყუელთა მიერ თქუმულსა ურწმუნო ექმნებოდეს და იტყოდეს: სადა არს დღე იგი უფლისად? და: „მოვედინ გაზრახვად წმიდისა მის ისრაჴლისად, რადთა ვიხილოთ“.² რომელ მრავალგზის წინადაწარმეტყუელება იგი შემდგომად მრავლისა ჟამისა აღესრულის, ამისთვის ჰრქუა მათ ქადაგმან ჭეშმარიტებისამან, ვითარმედ ახლოს არს ძირსა თანა ხეთასა მდებარე მონვენადი იგი განდგომილთა ზედა რისხვად, რამეთუ არღარად არსო შორს, არამედ მახვლი ანვე ძირსა მიახლებულ არს. არა თქუა, თუ: რტოთა ზედა მდებარე არს ანუ ნაყოფსა, არამედ ძირთა ზედა, რადთა მოასწავოს სრულიად აღმოფხურად მათი და მოსპოლვად. რამეთუ არა მონად არს მოსრული ესეო, ვითარცა პირველნი იგი, არამედ თავადი მეუფე და უფალი, მოსაჯული ცხოელთა და მკუდართად, რომელსა წელმწიფებად აქუს ტანჯვად და მიცემად გეჰენიასა. ხოლო არა თქუა, თუ: ანვე ცული ჰკუეთს ძირსა ხეთასა, არამედ: ძესო ძირთა თანა, რადთა გულისწმა-უყოს, ვითარმედ ამისთვის ძეს, რამეთუ სინანულსა მოელის; უკუეთუ კულა გამოჩნდეს და დამტკიცდეს უნანელობად თქუენი, მზა არს მოკუეთად.

ამით ყოვლითა აღაორძინებს შიშსა მას და ყოვლით კერძო მიიზიდავს სინანულად; რამეთუ განვრდომად იგი შვილებისაგან მამათმთავრისა და შესლვად სხუათად ადგილსა მათსა და დადებად ცულისად ძირთა ზედა, რადთა სრულიად აღმოჰფხურნეს, და უნაყოფოთად მათ ცეცხლსა დადებად – ესე ყოველი ამისთვის წარმოთქუა, რადთა სრულიად უდებნიცა და დაწსნილნი განაფრთხვნეს და მოიყვანნეს სინანულად. ამას მოასწავებს პავლეცა და იტყვის: „სიტყუად შემოკლებული ყოს უფალმან ყოველსა ქუეყანასა ზედა“.³ არამედ ნუ გეშინინ! და უფროჲსლა ესრეთ ვთქუა: გეშინოდენ, გარნა ნუ წარიკუეთ სასოებასა, რამეთუ არსლა სასოებად სინანულისად, უკუეთუ გენებოს. არა მოკუეთად მოვიდა ცული იგი; უკუეთუ არა, რად აყენებდა მას მოკუეთად, ვინადთგან ძირთა ზედა ძეს? არამედ რადთა შიშითა მით

¹ მათ. 24,33; მარკ. 13,29.

² ესაია 5,19.

³ რომ. 9,28.

მოკუეთისადათა მოგაქციოს სინანულად და ნაყოფისა გამოღებად. ამის-
თვსცა შეჰმატა და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „ყოველმან ხემან რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კე-
თილი, მოკუეთოს და ცეცხლსა დაედვას“ (3,10).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ოდეს „ყოველი“ თქუას, არავის გარეგან დაუტეობს, ვი-
თარმცა იტყოდა, ვითარმედ: დაღაცათუ აბრაჰამის შვილ იყო, დაღაცათუ
ყოველნი მამათმთავარნი თვს გეყვოდინ, უკუეთუ უნაყოფოებასა შინა და-
ადგრე, ცეცხლსა მიეცემი. ამით სიტყვთა მაშინ ყოველნივე შეაშინნა: ფა-
რისეველნი და მეზუერენი, მწედრობად განწესებულნი, რაათა არცა მოქ-
ცევისათვს უსასო იყვნენ, არცა უნაყოფოებისათვს უზრუნველ.

არა შიშისა ოდენ მომატყუებელ არს სიტყუად ესე, არამედ ნუგეშინის-
ცემადცა ფრიადი აქუს, რამეთუ ვინაფთგან თქუა, თუ: „ყოველმან ხემან
რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი“, გამოაჩინა, ვითარმედ რო-
მელმან გამოიღოს ნაყოფი კეთილი, ყოვლისავე სატანჯველისაგან განრო-
მილ არს.

იტყვან ვიეთნიმე: ვითარ უძლოთო ნაყოფისა გამოღებად, ვინაფთგან
მოკუეთად მოახლებულ არს და ჟამი ესრეთ შემოკლებულ არს და ცეცხლი
აღგზებულ არს? ჰე, შემძლებელ ვართ, უკუეთუ გუენებოს, რამეთუ არა
ესრეთ არს ესე ნაყოფი, ვითარცა ხეთა მათ ხილულთად, რომელთა ჟამისა
სიგრძე უწმს და ჰაერთა სიმარჯუე და სხუად მრავალი კაცობრივი შრომად.
ხოლო აქა კმა არს ნებად ოდენ კეთილი, და მეყსეულად ხე იგი სულიერი
გამოიღებს ნაყოფსა. რამეთუ არა ბუნებად ხოლო ხისად მის, არამედ ჯე-
ლოვნებადცა იგი მუშაკისად მის ფრიად შემწე არს ნაყოფისა გამოღებისა.
ამისთვსცა, რაათა არავინ ჰრქუას მას, ვითარმედ: ყოვლით კერძო ფიცხელ
არს სიტყუად შენი, რამეთუ ცულსა მოასწავებ მდებარესა ძირსა თანა ხე-
თასა და მწრაფლ მოკუეთასა და ცეცხლად დადებასა, უჩუენა სიადვილე
იგი ნაყოფიერებისად, უკუეთუ ინებონ, და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „მე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა სინანულად; ხოლო
შემდგომად ჩემსა მომავალი უძლიერეს ჩემსა არს, რომლისა არა შემძლე-
ბელ ვარ მე საბელისა ჯამლთა მისთა განჯსნად. მან ნათელ-გცეს თქუენ
სულითა წმიდითა და ცეცხლითა“ (3,11).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ამით ყოვლითა გამოაჩინა, ვითარმედ სარწმუნოებად
ხოლო საჯმარ არს და გონებად კეთილი, და მეყსა შინა ნაყოფიერ იქმნას
ხე იგი სულიერი, რამეთუ ვითარცა ადვილ არს ნათლის-ღებად, ეგრეთვე
ადვილ არს ნაყოფისა სულიერისა გამოღებად, უკუეთუ გუენებოს. შეაძ-
რწუნნა პირველ გონებანი მათნი შიშითა მით სასჯელისადათა და სახელი-
თა მით ცულისა და მოკუეთისადათა და უცხო-ყოფითა აბრაჰამის შვილე-
ბისაგან და აღდგინებითა სხუათა შვილთადათა და დადებითა მით უნაყო-

ფოდსადათა ცეცხლსა ზედა; და ამით ყოვლითა მოაღბნა რად ფიცხელნი იგი გულნი მათნი, მაშინლა შემოილო სიტყუად ქრისტესთვის და იწყო გამორჩინებად დიდებისა მისისა და თუ რავდენ უზეშთაეს არს მისა; და არა ყო შემსგავსებად მისი თავისა თვისისა თანა, არამედ საქმეთაგან ყო განყოფილება, რამეთუ არა თქუა მეყსეულად, ვითარმედ: „არა შემძლებელ ვარ საბელსა ჯამლთა მისთასა განჯსნად“, არამედ პირველად უნდოებად თვისისა მის ნათლის-ცემისა აჩუნა, ვითარმედ სხუად არარად აქუს გარნა სინანულად მოყვანებისა მათისა. რამეთუ არა თქუა, თუ: მე ნათელ-გცემ წყლითა ცოდვათა მოტევებისადათა, არამედ: „ნათელ-გცემო წყლითა სინანულად“, და მერმე უჩუნა მისისა მის ნათლის-ცემისა გარდამატებული მადლი, ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: ნუუკუე გესმას: „შემდგომად ჩემსა მომავალი“, და უგულებელს-ჰყოთ იგი, ისნავეთ ძალი ნიჭისა მისისა და გულისჯამა-ჰყოთ, ვითარმედ არავე მითქუამს ღირსი სიტყუად, რომელ-იგი ვთქუ, თუ: „ვერ შემძლებელ ვარ საბელსა ჯამლთა მისთასა ტკრთვად“. ამისთვისცა ოდეს გესმას, თუ უძლიერეს ჩემსა არს, ნუ ჰგონებთ, თუ მსგავსებასა რასმე ვიქმ ჩემსა მის თანა. რამეთუ არცა თუ მონად მისა ღირს ვარ შერაცხვად, და მონად შეურაცხად, ვერცა შემძლებელ ვარ ყოვლისა უდარესისა მსახურებისა მისისა ჴელ-ყოფად. ამისთვის არა თქუა, თუ: ვერ შემძლებელ ვარ ჯამლთა განჯსნად, არამედ: „საბელსა ჯამლთასა“, რომელ-იგი უმცირეს ყოვლისა არს, ესოდენ არა ღირს ვარ მიახლებად მისა.

ხოლო რად-მე არს საბელი იგი ჯამლთა, რომელსა იტყვს ნათლისმცემელი ვერშემძლებად განჯსნად, ახალი იგი ელია, უმეტესი ყოველთა წინაწარმეტყუელთა, შუამდგომელი ძუელისა და ახლისა შჯულისა, რად-მე არს იგი? ვჰგონებ, განკაცებისა მის ჩუნდა მოსლვისა მის საიდუმლოსა მოასნავებს, რომლისა ვერცა თუ უმცირესსა რასმე ნაწილსა შემძლებელ ვართ გონებითა მიწოთმად და სიტყვთა აღჯსნად არა თუ ჩუნ და მსგავსნი ჩუნნი, არამედ ვერცა თუ მსგავსნი იოვანესნი სულითა.

ვინადათგან უკუე თვისი უდარესობად გამოაჩინა და მონებად, მისსაცა საკრველებასა მიუთხრობს, რადთა ჭეშმარიტ იყოს სიტყუად მისი: „მან ნათელ-გცესო სულითა წმიდითა და ცეცხლითა“. იხილეა სიბრძნე იგი ნათლისმცემელისა? ოდეს თვისსა ქადაგებასა იტყოდეს, ყოველსავე საშინელსა და შესაძრუნებელსა წარმოიტყვს და, რაჟამს ქრისტესთვის იწყოს სიტყუად, სახიერებისა და სიტკობებისა გარდამატებულებასა აჩუნებს. რამეთუ არა შემოილო შორის არცა ცული, არცა მოკუეთად ხისად, არცა ცეცხლსა დადებად, არცა მომავალი იგი რისხვად აჯსენა, არამედ მოტევებად ცოდვათა და სატანჯველთა დაჯსნად, სიმართლე, სინმიდე და გამოჯსნად, შვილებად ღმრთისა და მკვდრობად სასუფეველისა და ზიარებად უხრწნელებისა და მონიჭებად სულისა წმიდისა, რამეთუ ესე ყოველი მოასნავა, რაჟამს-იგი თქუა: „მან ნათელ-გცეს თქუნ სულითა წმიდითა“. შემ-

ზადებითა მით სიტყვსადათა სიმდიდრე იგი მადლისად გამოაჩინა, რამეთუ არა თქუა, თუ: მოგცეს სული წმიდაჲ, არამედ: „ნათელ-გცესო სულითა წმიდითა“ – სრულიად მადლსა შინა მისსა განგებანნეს და დაგვარნეს; და კუალად სახელითა მით ცეცხლისადათა სიმჭურვალე იგი და გარდამატებულეზად მადლისად მის მოასწავა.

ამისთვის ცეცხლი იგი ავსენა, რაჲთა მოაწესენნეს მათ ძუელნი იგი ჩუენებანი და აუნყოს, ვითარმედ უაღრეს დიდთა მათ წინანარმეტყუელთასა ყოფად არიან, რომელნი ღირს იქმნენ მადლსა მას სულისა წმიდისასა მიღებად ქრისტეს მიერ, რამეთუ უმრავლესნი პირველთა მათ ხილვათანი ცეცხლითა იხილნეს. ესრეთ ეტყოდა მოსეს ღმერთი მაცხოვრანსა მას შინა, და ეგრეთვე კუალად მთასა სინასა ერი იგი ხედვიდა, ეგრეთვე კუალად ეზეკიელს – ქერობინთა ზედა. და იხილე სიბრძნე ნეტარისად მის, ვითარ უკუანაძსკნელ ყოფადი იგი პირველ მიუთხრა. რამეთუ პირველად ჯერიყო დაკლვად ტარიგისად მის და განქარვებაჲ ცოდვისად, დაწსნაჲ მტერობისად, აღსრულებად დაფლვისა და აღდგომისად და ეგრეთლა მოსლვად სულისა წმიდისად. ხოლო მან არარად თქუა ამათგანი, არამედ უკუანაძსკნელ ყოვლისა ყოფადი იგი პირველ მიუთხრა, რომლისათჳს ყოველივე იქმნა, და რომელი-იგი უმეტეს ყოვლისა ქადაგებდა დიდებასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, რაჲთა ოდეს ესმეს მსმენელსა მას მოცემად სულისა წმიდისად, ძიება-ყოს თავსა შორის თჳსსა, თუ ვითარ იყოს ესე, ვიდრელა სუფევს ჩუენ ზედა ცოდვად, რაჲთა პოოს გონებაჲ მისი სურვიელი ცნობად საიდუმლოსა მას და მერმე ადვილად მიუთხრას სიტყუად იგი ქრისტეს ვნებისად, რაჟამს სასოებითა მოცემადისა მის ნიჭისადათა შიში დაბრკოლებისად არა იყოს.

ამისთვისცა კუალად ღაღადებდა: „აჰა ტარიგი ღმრთისად, რომელმან აიხუნეს ცოდვანი სოფლისანი“.¹ არა თქუა, თუ: რომელმან მიუტევენეს, არამედ რომელი-იგი უმეტესისა სახიერებისა მომასწავებელ არს: „აღიხუნესო“. რამეთუ არა სწორ არს მიტევებად და თავით თჳსით ტკრთვად, რამეთუ იგი უშრომელად იქმნების, ხოლო ესე – სახითა მით სიკუდილისადათა. და კუალად თქუა, ვითარმედ: „ესე არს ძე ღმრთისად“;² არამედ ვერ გულისწმა-ჰყოფდეს იგინი, რამეთუ არლა უწყოდეს ბუნებითისა და ჭეშმარიტისა ძისა ღმრთისა გულისწმის-ყოფად, არამედ მოცემითა მით სულისადათა ესეცა გამოჩნდებოდა, ვითარცა-იგი ღმერთმან ჰრქუა იოვანეს: „რომელსა ზედა იხილო სული წმიდაჲ გარდამომავალი და დადგრომილი მას ზედა, იგი არს, რომელმან ნათელ-სცეს სულითა წმიდითა“.³ ამისთვისცა იტყოდა იგი: „მე ვიხილე და ვწამე, რამეთუ ესე არს ძე ღმრთისად“.⁴ რამეთუ ერთისა მისგან მეორე იგი იცნობებოდა, გარდამოსლვითა სულისადათა გულისწმაიყოფებოდა ძე ღმრთისად.

¹ იოან. 1,29.

² იოან. 1,34.

³ იოან. 1,33.

⁴ იოან. 1,34.

ვინაიდან უკუე ყოველივე ესე სიტკბოებისა სახე წარმოთქუა, რად-
თა არა უშიშ იქმნენ კუალად და უზრუნველ ჰურიანი, რამეთუ ესე საქ-
მე იყო უგუნურებისა მათისაჲ, ამისთვის კუალად შემაშინებელი სიტყუად
წარმოიღო:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „რომლისა ნიჩაბი ჳელთა მისთა, განწმიდოს კალოდ
თვისი და შეიკრიბოს იფქლი მისი საუნჯესა, ხოლო ბზე დანუას ცეცხლითა
უშრეტითა“ (3,12).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ზემო სატანჯველი ოდენ ავსენა, ხოლო აქა მსაჯულსა-
ცა გვჩუენებს და ტანჯვისა მის დაუსრულებლობასა წარმოიტყვს: „ბზე
დანუასო ცეცხლითა უშრეტითა“. ჰხედავა, ვითარმედ იგი არს უფალი
ყოვლისაჲვე და იგი არს მოქმედი ყოველთაჲ, დაღაცათუ სხუასა ადგილ-
სა მამასა იტყვს მოქმედად: „მამად ჩემი მოქმედი არსო“.¹ რამეთუ ერთ
არს ბუნებაჲ და არსებაჲ და ძალი მამისა და ძისაჲ. ხოლო ვინაიდან ზემო
თქუა, ვითარმედ: „ესერა ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს“, რადთა არავინ
ჰგონებდეს, თუ შრომაჲ რადმე სავმარ არს მისდა, ამისთვის სხვთა სახითა
გულისწმა-გვყოფს სიადვილესა მას, რომელ არს მისდა ყოველსავე შინა,
რავდენი ენებოს ქმნად, და ეგრეთვე განრჩევასა მას კეთილთა და ბოროტ-
თასა და განწმედასა სოფლისასა ყოვლისაჲვე არანმიდებისაგან, და იტყვს:
„რომლისა ნიჩაბი ჳელთა მისთა, განწმიდოს კალოდ თვისი და შეიკრიბოს
იფქლი მისი საუნჯესა, ხოლო ბზე დანუას ცეცხლითა უშრეტითა“. რამე-
თუ ან ყოველივე აღრეულად მდებარე არს, დაღაცათუ ბრწყინავს იფქლი
იგი, არამედ ბზეს თანააღრეულ არს და ვითარცა კალოსა ზედა ძეს, არა
ვითარცა საუნჯესა; ხოლო მაშინ ადვილ და უცთომელ იყოს განრჩევად იგი
და განყოფად, და შეკრებაჲ იფქლისაჲ საუნჯეთა, დღესა მას განკითხვისა-
სა, რომელ არიან მართალნი, ხოლო ბზისაჲ მის, რომელ არიან ცოდვილნი,
შთათხევად ცეცხლად უშრეტად.

ს ა დ ა არ ი ა ნ, რომელნი-იგი ურწმუნო იქმნებიან გეჰენისათვის ცეცხლი-
სა მის უშრეტისა? ისმინონ აქა ნათლისმცემელისაჲ, რამეთუ ორი ესე თქუა:
„ნათელ-სცესო მორწმუნეთა სულითა წმიდითა“ და „დანუნეს ურწმუნონი
იგი ცოდვილნი“; ხოლო უკუეთუ ერთი იგი სარწმუნო არს, ეგრეთვე მე-
ორე ესე სარწმუნო არს. რამეთუ ამისთვის ორი წინანარმეტყუელებაჲ თქუა:
ერთი იგი ან აღსრულებაჲ და ერთი იგი – მერმესა მას მოსლვასა, რადთა
ან აღსრულებულისა ამის მიერ იგიცა გურწმენეს. ვითარცა უფალიცა მრ-
ვალგზის ესრეთ ჰყოფდა: ოდესმე ერთსა ზედა საქმესა და ოდესმე წინააღ-
მდგომთა პირთა ზედა ორი იგავი შემოიღის, და ერთი იგი აქავე უჩუენის
აღსრულებულად და მეორე იგი საუკუნესა მას თქვს აღსრულებად, რადთა
აქა ყოფილისა ამისგან იგიცა გურწმენეს, რომელი მაშინ ყოფად არს.

¹ იოან. 15,1.

ეგრეთვე იოვანე ქმნა ამას სიტყუასა ზედა ორისა ამის სახისა შემო-
 ლებითა: „ნათელ-სცესო სულითა ნმიდითა“ მორწმუნეთა მისთა და „გან-
 ნმიდოს კალოე თვისი“, რომელ არს სოფელი ესე, და იფქლი იგი შეკრიბოს
 საუნჯესა, „ხოლო ბზე დაწუას ცეცხლითა უშრეტითა“. ან უკუე ესრეთ
 გულისწმა-ვყოთ: უკუეთუ არა ნათელ-სცა სულითა ნმიდითა მოციქულ-
 თა და მარადლე ყოველთავე მორწმუნეთა ნათელ-სცემს, აქუნდეს რამე
 მიზეზი, რომელნი მეორესა მას ზედა ურწმუნო იქმნებიან, ხოლო უკუეთუ
 რომელი-იგი უაღრეს იყო ცნობათა და ჭეშმარიტად ძნელ, აღესრულა და
 მარადლე აღესრულების, ვითარ შეორგულდებიან უადვილესა მას და გან-
 ცხადებულსა ზედა საქმესა? რამეთუ თქუა რაჲ, ვითარმედ: „ნათელ-გცეს
 სულითა ნმიდითა და ცეცხლითა“, და აღუთქუა კეთილი ესე უზემთაესი,
 რაჲთა არავინ მოტევებისათჳს გარდასრულთა მათ ცოდვათაჲსა უდებ იქ-
 მნას, ამისთჳს გკთხრობს ნიჩაბსა და განრჩევასა მას კეთილთა და ხენეშ-
 თასა: ნუ ჰგონებთო, ვითარმედ კმა არს ნათლის-ღებაჲ თქუენდა, უკუ-
 ეთუ შემდგომად ნათლის-ღებისა უკეთურებასავე და ცოდვასა მიიქცეთ,
 რამეთუ ჯერ-არს შემდგომად ნათლის-ღებისა აღსრულებაჲ მოცემულთა
 მათ უფლისა მიერ მცნებათა. ამისთჳსცა პირველ დადებაჲ ცულისაჲ ძირთა
 თანა ხეთასა თქუა, რაჲთამცა მოიყვანნა იგინი სარწმუნოებად და ნათ-
 ლის-ღებად; ხოლო შემდგომად ნათლის-ღებისა ნიჩაბსა მას გვჩუენებს,
 განმრჩეველსა კეთილისა და ბოროტისასა, და დაწუვასა ბზისა გუასნა-
 ვებს, რაჲთა მოშიშ ვიყვნეთ და არა ვემსგავსნეთ ბზესა, არამედ იფქლსა.
 და პირველსა მას სიტყუასა შინა არარაჲ აჩუენა განყოფილებაჲ, არამედ
 თქუა ერთბამად, ვითარმედ: „ყოველმან ხემან რომელმან არა გამოილოს
 ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას“; რამეთუ ყოველთავე
 ურწმუნოთათჳს იტყოდა, რომელნი არა მოუწდეს მადლსა მას ნათლის-ღე-
 ბისასა. ხოლო შემდგომად ნათლის-ღებისა განყოფილებაჲ ქმნა კეთილთა
 და ჯერკუალთა და თითოეულსა უწოდა სახელი შემსგავსებული: რომელ-
 თამე იფქლად და რომელთამე ბზედ, რამეთუ იცოდა, ვითარმედ მრავალთა
 მორწმუნეთა ეგულებოდა არალირსად სარწმუნოებისა მის მოქალაქობად,
 რომელთაცა განაკრძალებს ესევეითარიითა მით სიტყუთა, რაჲთა არავინ
 ცეცხლისა მის უშრეტისა მკვდრად გამოჩნდეს.

სწავლად ია საუკუნოჲსა მის სასჯელისათჳს

და ან, საყუარელნო, გევედრები, ნუმცა ვინ იქმნების ბზე, ადვილად
 წარსატაცებელ ქართა მიერ ვნებათაჲსა და სუბუქად მიმოსაქცეველ ბო-
 როტთა გულისთქუმათაგან. უკუეთუ იფქლ იქმნე შენ, ძმაო, დაღაცათუ
 განსაცდელი შეგემთხვოს, არარაჲ გევენოს, რამეთუ იფქლიცა კალოსა შინა

მრავალგზის ურემმან დათრგუნის, და კევრთა ზედანარვლიან დღე ყოველ, არამედ არავე შეიმუსრის; ხოლო ბზე შეიმუსრის და დანრკლდის. ეგრეთვე უკუეთუ ბზე იქმნა შენ, ამასცა სოფელსა ფრიადი შემუსრვილებად და შეურაცხებად შეგემთხვოს და მერმესა მას უშრეტსა მას ცეცხლსა მიეცე, რამეთუ ყოველნივე ესევითარნი პირველ საუკუნოჲსა მისცა ცეცხლისა აქავე საჭმელ პირუტყუებრივთა მათ ვნებათა იქმნებიან, ვითარცა-იგი ბზე საჭმელი არს პირუტყუთა, და კუალად მუნ – ნივთ და საზრდელ ცეცხლისა მის უშრეტისა.

ამისთვის გამოსაცხადებულად ჭეშმარიტებისა თითოსახენი იგავნი გამოსახნა უფალმან მოძღურებასა შინა თვისსა და ავსენა კალოდ და სამკალი და ვენაჯი და სანნეხელი და ყანად სათესავი და თესვაჲ ლუარძლისად მტერისა მიერ, და კუალად – სათხეველნი და თევზობად და საცხოვარი და ყოველივე, რომელსა ჩუეულ იყვნეს კაცნი, რადთა ესევითარითა სახითა გულისწმა-უყოს განყოფად იგი მართალთად და ცოდვილთად. ეგრეთვესახედ ქმნა ნათლისმცემელმანცა და სასწაული დიდი ჭეშმარიტებისა თვისისად გჭრუნა – მოცემად იგი ქრისტეს მიერ სულისა წმიდისად, რადთა გულისწმა-უყოთ, ვითარმედ ყოველივე ძალ-უც მას: მოტევებად ცოდვათად და მოცემად სულისა წმიდისად და კუალად ურწმუნოთა და ცოდვილთა მიცემად ცეცხლსა მას სასჯელისასა; ესრეთ გამოაცხადა საიდუმლოდ იგი აღდგომისად და განკითხვისად.

ხოლო იტყვან ვიეთნიმე, ვითარმედ: რად არა მიუთხრა ყოფადთა მათთვის ქრისტეს მიერ სასწაულთა და ნიშებისა მის ურიცხვსად? ესე ამისთვის, რამეთუ რად-იგი თქუა, უაღრეს იყო ყოვლისავე, და რომლისა მიერ ყოველივე იქმნა; ამისთვის თავი იგი საქმისა მის დიდებულისად თქუა და ყოველივე მისგან საცნაურ-ყო; ესე იგი არს, მოცემად სულისა წმიდისად. ამითა ყოველი გუაუნყა: დაწსნად სიკუდილისად, მოტევებად ცოდვათად, განქარვებად წყევისად, უჩინო-ყოფად დაუგებელისა მის ბრძოლისად, შეყვანებად ბუნებისა ჩუენისად სამოთხედ, მოქალაქობად ანგელოზთა თანა, ზიარებად საუკუნეთა მათ კეთილთად, რამეთუ ესე არს წინდი და სიმტკიცე მოცემადისა მის მართალთად სასუფეველისა. ამისთვის ესე აუნყა და მის მიერ მოასწავა აღდგომად გუამთად, აღსრულებად სასწაულთად, მკვდრობად სასუფეველისად და კეთილნი იგი, რომელნი თუალმან არა იხილნა, და ყურსა არა ესმა, და გულსა კაცისასა არა მოუჭდა. რამეთუ ესე ყოველივე მადლითა მით სულისა წმიდისადთა მოგუანიჭა. ხოლო სასწაულთა მათთვის, რომელნი შემდგომად მცირედისა ხილვად იყვნეს მათ მიერ, არა საწმარ იყო თქუამად, არამედ რად-იგი უხილავ იყო და რომელი იჭუეულ იყო მათ მიერ, მისაცა ჯერ-იყო თქუამად წინამორბედისა მიერ, ვითარმედ ჭეშმარიტ არს ძე ღმრთისად და უძლიერეს არს და უზეშთაეს იოვანესა შეუმსგავსებულად, და ვითარმედ იგი არს ამღებელი ცოდვათა სოფლისათა, და მან მიაგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მისთაებრ, და იგი არს განმნმედელი სოფლი-

სადა და შემკრებელი მართალთადასასუფეველად და ცოდვილთა მიმცემელი ცეცხლად საქმეთა მათთაებრ, რამეთუ ესე ყოველი თუალითა სახილველ ნუთლა არა იყო, ამისთვის ჯერ-იყო ნათლისმცემელისა მიერ უწყება ესე-ვითარისა და დამტკიცება სიტყვთა თვისთა.

ან უკუე რომელთა ესე ყოველი გუესმის და უწყით, ვისწრაფოთ ზრუნვად თავთა ჩუენთა, ვიდრელა ვართ კალოსა შინა, რომელ არს სოფელი ესე, რამეთუ შესაძლებელ არს, ვიდრელა აქა ვართ, ბზისაგან იფქლისა ბუნებად შეცვალება, ვითარცა-იგი მრავალნი იფქლ იყვნეს და ბზედ შეიცვალნეს. ხოლო ჩუენ ნუ დავიწსნებით, ნუცა მიმოვიტაცებით ქართაგან, ნუცა ძმათა ჩუენთაგან განვიწვალებით, დაღაცათუ მცირენი იყვნენ და შეურაცხნი. რამეთუ იფქლიცა ბზესა საზომითა უმცირეს არს, ხოლო ბუნებით – უაღრეს. ნუ ხედავ გარეშეთა მათ სამკაულთა და უცნებათა, რამეთუ ცეცხლისათვის განმზადებულ არიან, არამედ საღმრთოსა მას სიმდაბლესა ხედვედი, რომელ-იგი არს მტკიცე და განუღვენელ და არცა მახვლითა განიკუეთების, არცა ცეცხლითა დაინუვის; და ამათ ესევითართათვის ბზესა მასცა სულგრძელ ექმნების ღმერთი, რაფთა მახლობელობითა მით იფქლისაფთა შეიცვალნენ, უკუეთუ ენებოს. ამისთვის არღარა მოინევის სასჯელი, რაფთა ყოველნი გკრგკნოსან ვიქმნეთ, უკუეთუ გუენებოს, რაფთა ვპოოთ ჟამი უკეთურებისაგან მოქცევად სათნოებისა წესიერებად.

შევძრუნდეთ უკუე, გუესმოდის რაფთა იგავი ესე. რომელი იგავი? „ხოლო ბზე დანუასო ცეცხლითა უშრეტითა“. შევძრუნდეთ, რამეთუ უშრეტ არს ცეცხლი იგი. და ვითარ უშრეტ არსო? არა ჰხედავა მზესა ამას, ვითარ ინუების, ვინაფთაგან დაიბადა დღენდელად დღემდე და არა დაშრტების? არა გასმიესა მაცულოვანისა მისთვის, ვითარ იტყვს, ვითარმედ: „მაცულოვანსა მას ეტყინებოდა ცეცხლი, და მაცუალი იგი არა შეინუებოდა“¹ და შენცა უკუეთუ გნებავს განრომად აღისა მისგან, განაგდე შენგან ნივთი ვნებათა და ბზე იგი ცოდვისა და არა შეინუა ცეცხლისა მისგან, რამეთუ უკუეთუ გრწმენეს აქა თქუმული იგი უფლისა მიერ და წმიდათა მისთა და განაკრძალო თავი შენი, მიხვდე რაფთა მუნ, არცა თუ იხილო ცეცხლი იგი. უკუეთუ კულა აქა ურწმუნო იქმნე, მუნ საქმით სცნა, ოდეს-იგი არღარა ჴელ-გენიფებოდის განრომად აღისა მისგან, რამეთუ თანანარუვალ არს სატანჯველი იგი მოქმედთათვის ბოროტისათა, და არავის კმა-ეყოფის სარწმუნობადა ხოლო, არამედ კეთილისა საქმე თანაგუაც. არა თუ ეშმაკნიცა არა ძრწიან ღმრთისაგან და იციან, ვითარმედ იგი არს ღმერთი ჭეშმარიტი და მეუფე ყოველთა? არამედ არა იწსნებიან ამისთვის ცეცხლისა მისგან საუკუნოფსა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „ეშმაკთაცა ჰრწამს და ძრწიან მისგან“² არამედ „სარწმუნობადა თვნიერ საქმეთასა ცუდ არს“³.

¹გამ. 3,2.

²იაკობ 2,19.

³იაკობ 2,20.

ამისთვის გვლირს დიდი კრძალულება, რადთა ვცოთ ცხორება ჩუენი სათნო ღმრთისა, რამეთუ ამისთვის აქა შემოგკრებ თქუენ, რადთა ნაყოფი კეთილი გამოიღოთ სწავლითა და სმენითა საღმრთოთა სიტყუათათა. უკუეთუ კულა უნაყოფობასა შინავე ეგნეთ, რად სარგებელ არს შემოკრება ეკლესიად? უკუეთუ შვილნი ჩუენნი მივიდოდინ მარადლე სასწავლოდ და არარას ისწავლიდენ, არა მაბრალობელ მოძღუართა მათ ვიქმნებით? ხოლო ან სულიერსა ამას მოძღურებასა ზედა რად-მე ყოფად არს, უკუეთუ უსარგებლო იყოს კრება ესე და სწავლა? რამეთუ აქა უმრავლესნი არიან მოძღუარნი, ვიდრელა ჳორციელსა მას სამოძღუროსა შინა. იხილენით, ვინ არიან მოძღუარნი ესე, რომელნი დადგინებულ არიან სწავლად თქუენდა: წინანარმეტყუელნი, მოციქულნი, მამათმთავარნი და მართალნი. გრცხუენოდენ პატიოსნებისა მის და სინმიდისა მათისაგან და ნუ უდებ ხართ მოძღურებისა მათისა აღსრულებად. ნუ ჰგონებთ, თუ შემოკრება ესე ეკლესიად და მცირედი ფსალმუნება კმა არს ცხორებად სულთა თქუენთა, უკუეთუ სხუანიცა მცნებანი არა დაიმარხნეთ. ისმინეთ, რასა იტყვს ღმერთი პირითა წინანარმეტყუელისადათა, ვითარმედ: „ერი ესე ბაგითა პატივ-მცემს მე, ხოლო გული მათი შორს განდგომილ არს ჩემგან“.¹ ხოლო თქუენ უკუეთუ გნებავს, რადთა არა გესმას ესე, აღწოცეთ ყოველივე წერილი ცოდვისად, რომელი დაწერა ეშმაკმან გულთა შინა თქუენთა, და მოიღეთ წიგნი იგი გონებათა თქუენთა, განწმედილი ყოვლისაგანვე ბილწებისა, რადთა დავწერო მას ზედა, რად-იგი ჰნებავს უფალსა. რამეთუ ან არარად იპოების მას შინა წერილი კეთილი, არამედ ყოველივე, რად-იგი აღწერა ეშმაკმან: ანგაჰრებად, მიხუეჭად, შური, ჳდომად, გულისთქუმანი ბოროტნი, სიძულილი მოყუსისად, დიდებისმოყუარებად და სხუად მსგავსი ამათი. ამისთვისცა, ოდეს ჳელად-ვიხუენ წიგნი გულთა თქუენთა, ვერ განვაგებ კითხვასა მათსა, რამეთუ არა ვპოებ წერილსა მას, რომელი მე ყოველთა კურიაკეთა აღწერი, არამედ უცხო რადმე და ფრიად ხენეში, და ოდეს შრომით აღვწოცი ნაჩხრეკი იგი და დავწერი წერილი შუენიერი მელნითა ოქროსადათა, წარხვდით კუალად და მიუპყრით კაცად-კაცადმან წიგნი გულისა თვისსად მოძღუარსა მას ურჩულოებისასა, ეშმაკსა, და აღწოცის მან ჩემ მიერ აღწერილი იგი და თვისი გესლოანი წერილი დაწერის, სავსე სიმყრალითა და უშუერებითა. რად-მე უკუე იყოს ამისი აღსასრული? დაღაცათუ მე არა ვთქუა, არამედ კაცად-კაცადისა გონებად წამებს, ვითარმედ მოინიოს ნიჩაბი იგი საშინელი, რომელ არს ბრძანებად უფლისად, და ესევითარნი იგი წიგნი, ვითარცა ბზენი, „შთასთხინეს ცეცხლსა მას უშრეტსა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენად კბილთა“.²

ან უკუე მე არასადა დავსცხრე ბრძანებულისა ამის ჩემდა მსახურებისა აღსრულებად და წერილისა მის საღმრთოდა წერად. ხოლო უკუეთუ

¹ესაია 29,13.

²მათ. 3,12; 13,42.

თქვენ ჰყოცდეთ წერილსა მას, მე სასყიდელი იგი მსახურებისა ჩემისა და უკლებელად მოვილო; გარნა თქვენ სასჯელი ძნელი მოგეწადოს დღესა მას საშინელსა. არამედ გლოცავ, საყუარელნო, და გევედრები, მტკიცე იყავნ და აღუწოცელ გულთაგან თქუენთა საღმრთოდ წერილი. მიემსგავსენით მცირეთა ყრმათა: მათ პირველ ისწავიან ანბანი და მერმე აღმოკითხვად ასოეულად და კუალად წარემართნიან კეთილად კითხვასა. და ესრეთ ინყიან სწავლად სობრძნესა და მცირედ-მცირედ იქმნიან ფილოსოფოს. ეგრეთვე ჩუენცა ვიქმოდით. განვყვნეთ სათნობანი: პირველად ვისწაოთ არატყუილი, არაფიცი, არაძკრის-ზრახვა; მერმე კუალად სხუასა მუჭლსა ველ-ვყოთ წურთად: აღმოვფხურნეთ გულისსიტყუანი და გულისთქუმანი ბოროტნი, აღმოვიფხურათ შური, ჯდომად და დიდებისმოყუარება, მოვიძულოთ ნაყროვანება, მთრვალობად და უდებება, რადთა ამიერ კუალად სულიერთა მიმართ საქმეთა სწავლად აღვიდეთ: მარხვისა და სინმიდისა, სიმართლისა და სიმდაბლისა; მერმე შეუძლოთ მოგებად ღმობიერებით ლოცვად, მდინარენი ცრემლთანი, სიყუარული, სიხარული და მშკდობად, სულგრძელება, სიტკბობად, სახიერება, სარწმუნობად, ყუდროება, მოთმინება; მერმე შეუძლოთ მაღლითა და შეწენითა უფლისადათა ჯუარ-ცუმად ჯორცთა ჩუენთა ვნებითურთ და გულისთქუმით და ცხოელ ვიყვნეთ სულითა, სულითაცა ვეგნეთ. ესრეთ ვიქმნეთ იფქლ, შესაკრებელ საუნჯეთა მათ ზეცისათა.

ამას ესევითარსა დავსწერ, საყუარელნო, გულთა ზედა თქუენთა, მამანო და დედანო, მოხუცებულნო და ყრმანო, მთავარნო და გლახაკნო, და გევედრები, რადთა აღუწოცელად ეგნენ წერილნი ესე სულიერნი. ილუანეთ თითოეულისა ამის სათნობისა წარმართებად. აღწოცეთ პირველად ჩუეულებად ვნებათად, და მერმე ადვილად აღინეროს საქმე სათნობათად, და ოდეს გარდაჰქდეს ვინ აღწერილთა ამათ მცნებათაგანსა რომელსამე, ნუ დაუტეობნ თავსა თვსსა განუპატიჟებელად, რადთა ვერლარა იკადროს გარდასლვად შიშითა მით პატიჟისადათა. ხოლო რად არს პატიჟი გარდასლვისა მცნებათადასა? იგიცა არავე უსარგებლო არს, არცა უჭმარ, არა ზღვევად არს, არამედ შეძინება; ესე იგი არს, რადთა ოდეს გარდაჰქდეს კაცად-კაცადი ერთსა მცნებათაგანსა, განპატიჟოს თავი თვსი მარხვითა, მუჭლთდრეკითა, ჯმელსა ზედა ნოლითა, ცრემლით შევრდომითა უფლისადათა და ყოვლისა პირველ აღსაარებითა მონვენულისა მის ბრალისადათა, რადთა ცოდვისა მისცა შენდობად პოოს, და მერმე არლარა სწადოდის ცოდვად შიშითა მით სინანულისადათა.

ამას ესევითარსა წესსა დღესითგან ვინყოთ, ჰ მორწმუნენო, ამას ასპარეზსა შევიდეთ, ქრისტესმოყუარენო, შეჭურვილნი მაღლითა სულისა წმიდისადათა; დაღაცათუ ვის შეემთხვოს დაცემად, კუალად აღდეგინ ზემონერილითა მით წესითა. დაღაცათუ მრავალგზის შეგემთხვოს წყლულება ასპარეზსა მას შინა და დაცემად, ჰ კაცო, ნუ სასონარკუეთილ იქ-

მნები, არამედ კუალად აღდეგ და კუალად ერკინე წინააღმდეგომსა მას და ნუ დასცხრები, ვიდრემდის გვრგვნი ძლევისა მითლო და ვითარცა იფქლი რჩეული საუნჯესა მას ზეცისასა დაემკვდრო. არა ჰხედავა მვედართა, შერად-ვიდენ ბრძოლად, რავდენცა მოიწყლნენ, უკუეთუ არა დაემორჩილნენ მბრძოლთა მათ, არამედ ჰბრძოდინ, მრავალთა მათთვს წყლულებათა უმრავლესთა ნიჭთა ღირს იქმნებიან. ხოლო ჩუენი ესე ფრიად უმჯობეს არს ჳორციელისა მის მვედრობისა, რამეთუ იგინი უკუეთუ დაეცნენ ბრძოლასა შინა, ძლით შეუძლიან აღდგომად, ხოლო შენ რავდენგზისცა დაეცე, უკუეთუ გენებოს, დაუყენებლად აღსდგები; და უმეტესად მითლო სასყიდელი, რომელ წყლულებანიცა შეგემთხვნეს და დაცემანი და არავე დასცხერ ბრძოლად მტერისა.

ამისთვს არა ჯერ-არს ყოლადვე წარკუეთად სასოებისა, არამედ ბრძოლად მტერისა დაუცხრომელად, რამეთუ უძკრეს ყოვლისა ცოდვისა სასონარკუეთილებად არს. მიხედენ იუდას, მიმცემელსა, ვითარ უგუნური მვედარი იყო და უგულოდ. ამისთვსცა წარკუეთა სასოება, და ესე რად იხილა მტერმან, ზედამიუჭდა და დართვად-სცა ძკრი ძკრსა ზედა. რამეთუ წარვიდაო, შიშთვილ-იბა და მოკუდა ღირსად ბოროტისა მის გონებისა მისისა. ხოლო პეტრე, მყარი იგი კლდე, დალაცათუ დიდითა დაცემითა მოიწყლა, არამედ ვითარცა მვედარი ჳელოვანი არა დაიწსნა, არცა წარკუეთა სასოება, არამედ მეყსეულად აღხლდნა და შეწირნა ცრემლნი მწარენი გულისაგან შეურვებულისა. იხილა იგი მბრძოლმან მან და ვერ უძლო, რამეთუ ვითარცა ცეცხლითა დაიწუა სინანულისა მისისაგან. ამისთვს ივლტოდა მისგან გოდებით და მეოტი საწყალობელად იდევნებოდა.

ესრეთვე შენცა, ძმაო, ეკრძალე, რადთა არა შეგემთხვოს წყლულებად, ხოლო უკუეთუ შეგემთხვოს, კუალად განიკურნე პირველთქუმულითა მით წესითა და მერმე დაეჩვო შეწევნითა ქრისტესითა ყოვლადვე არა დაცემად, არამედ დღითი-დღე უაღრესისა მოქალაქობისა მიმართ წარემართო, რამეთუ ვითარცა ყოველი საქმე ჩუეულებითა მტკიცე იქმნების, ეგრეთვე ყოვლისა უფროსად – სათნოება. უკუეთუ ესრეთ აღვასრულოთ ცხორება ჩუენი მონებასა შინა უფლისასა, ამასცა სოფელსა მყუდროებით ვიყვნეთ და კეთილად და აღვსებულნი სიმდიდრითა სულიერითა მივიწინეთ ქალაქსა მას ზეცისასა და გვრგვნი იგი დაუჭნობლნი მოვიხუნეთ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისად არს დიდება და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თავი იბ

ს ი ტ ყ უ ა დ ე ს ე : „**მაშინ მოვიდა იესუ გალილეათ იორდანედ იოვანესა ნათლის-ღებად მის მიერ**“ (3,13).

მონათა თანა მეუფე, ბრალეულთა თანა და დასჯილთა მსაჯული იგი უბრალოდ მოვიდა ნათლის-ღებად, არამედ ნუ შესძრწუნდები, რამეთუ სიმდაბლითა ამით უმეტესად გამობრწყინდების სიმალლე და დიდება მისი. რამეთუ რომელმან-იგი თავს-იდვა საშოსა ქალწულისასა დამკვდრებად და შობად მისგან ჩუენითა ამით ბუნებითა შემოსილი, და კუალად უკუანად-სკნელ თავს-იდვა ყურიმლის-ცემად და ჯუარ-ცუმად და სხუად ყოველივე იგი ვნებად, რად გიკვრს, უკუეთუ ნათლის-ღებადცა თავს-იდვა და სხუათა თანა მოსლვად მონისა მიმართ? რამეთუ განსაკვრვებელი ესე იყო, რომელ თავსა იდვა ღმერთმან განკაცებად, ხოლო ვინათგან ესე იქმნა, სხუად ყოველივე წესისაებრ თვისსა აღესრულა. ამისთვისცა იოვანე წინათვე თქუა, რად-იგი თქუა, ვითარმედ: „არა ღირს ვარო საბელსა ჳამლთა მისთასა განწსნად“,¹ და ვითარმედ იგი არს მსაჯული ყოველთა და განმრჩეველი ბოროტთა და კეთილთა და მიმგებელი კაცად-კაცადისა საქმეთა მისთაებრ და მიმცემელი მადლსა მას სულისა წმიდისასა, რადთა ოდეს იხილო იგი მომავალი ნათლის-ღებად, არარად მოგიწდეს გულისსიტყუად მდაბალი და არალირსი საქმისა მის. ამისთვისცა, მო-რად-ვიდა ნათლის-ღებად, აყენებდა მას, ვითარცა წერილ არს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „**ხოლო იოვანე აყენებდა მას და ეტყოდა: მე მიწმს შენ მიერ ნათლის-ღებად, და შენ ჩემდა მოხუალა?**“ (3,14).

თ ა რ გ მ ა ნ ი : რამეთუ ვინათგან ნათლის-ღებად სინანულისა სასნა-ული იყო და აღსარებად ცოდვათა მოიყვანებდა, რადთა არავინ ჳგონებდეს, თუ იგიცა მითვე გულისსიტყუათა მოვალს, ვითარცა სხუანი, პირველვე განჳმარტა იჳჳ ესე ნათლისმცემელმან, რაჳამს უწოდა მას „ტარიგად ღმრთისა“ და მწსნელად სოფლისა ცოდვათაგან, რამეთუ რომელსა ძალედვა ყოვლისა სოფლისა ბრალთა აღებად, უბრალო იყო თავადი და სრულიად უცოდველ. ამისთვისცა არა თქუა, ვითარმედ: აჳა უცოდველი, არამედ რომელ-იგი ფრიად უადრეს იყო, ვითარმედ: „აჳა ტარიგი ღმრთისად, რომელმან აიხუნეს ცოდვანი სოფლისანი“;² რადთა გულისწმა-ჳყო და შეინწყნარო ყოველივე ზემოთქუმული იგი და სცნა, ვითარმედ სხვსა უმაღლესისა განგებულებისათვს მოვიდა ნათლის-ღებად, ამისთვის, მო-რად-ვიდა, ეტყოდა მას: „მე მიწმს შენ მიერ ნათლის-ღებად, და შენ ჩემდა მოხუალა?“ არა თქუა, თუ: შენ ნათელ-იღებ ჩემგან, რამეთუ ამისაცა თქუმად

¹ შდრ. იოან. 1,27. ² იოან. 1,29.

შეძრუნუნდა, არამედ: „შენ ჩემდა მოხუალო“. ხოლო ქრისტემან, ვითარცა უკუანაფსკნელ, ოდეს-იგი პეტრე აყენებდა დაბანად ფერჯთა, ჰრქუა მას: „რომელსა მე ვიქმ, არა იცი ან, ხოლო სცნა ამისა შემდგომად“,¹ ეგრეთვე აქა, აყენებდა რად იოვანე, ჰრქუა მას იესუ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე: „აცადე ან, რამეთუ ესრეთ შეჰგავს ჩუენდა აღსრულებად ყოველი სიმართლე“ (3,15).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ესმა ბრძანებად მეუფისაჲ და მეყსეულად მორჩილ ექმნა, რამეთუ არა იყო მაცელობელ უნესოდ, არამედ შიშიცა იგი და სიყუარული აჩუენა და მორჩილებაცა წინაუყო. ხოლო იხილე, ვითარ უბრძანებს უფალი, „ესრეთ შეჰგავსო“, რამეთუ ვინაფთგან იგი ჰგონებდა, თუ შეუმსგავსებელ არს საქმე ესე, რაფთამცა მონისაგან ნათელ-ილო უფალმან, ამისთვის ეტყვს, ვითარმედ: რომელსა-ეგე ჰგონებ შეუმსგავსებელად, უფროდსა შეჰგავს და ჯეროან არს. აცადე უკუე ან, რამეთუ არა მარადის ესრეთ ყოფად არს, გარნა ან განგებულებისა მისთვის.

„აცადე ან, რამეთუ ესრეთ შეჰგავს ჩუენდა აღსრულებად ყოველი სიმართლე“. სიმართლედ ამას ადგილსა აღსრულებასა მას იტყვს მცნებათა რჩულისათა: ვინაფთგან ყოველნი მცნებანი აღმისრულებიან და ესე ხოლო ნაკლულევან არს, ჯერ-არს ამისიცა აღსრულებად, რამეთუ ამისთვის მოვედ, რაფთა დავჴსნა წყევად იგი, რომელი დადებულ არს გარდასლვისათვის შჯულისა. ესრეთ უკუე შეჰგავს, რაფთა პირველად მე აღვასრულო ყოველივე და გიჴსნე თქუენ სასჯელისაგან და ესრეთ დავაცადო წესი იგი შჯულისაჲ. შეჰგავს უკუე ჩემდა აღსრულებად შჯული იგი ყოველით კერძო, რაფთა ესრეთ დავჴსნა წყევად იგი, აღწერილი თქუენთვის შჯულსა შინა, რამეთუ ამისთვის ჴორცნი შევიმოსენ და გამოვჩნდი ქუეყანასა ზედა. ესმა ესე ნათლისმცემელსა და ძრწოლით ჰმსახურა ბრძანებასა მას მეუფისასა, ვითარცა მონამან კეთილმან.

პირველად ეტყოდა: „მე მივმს შენ მიერ ნათლის-ლებად, და შენ ჩემდა მოხუალო?“ სანთელი იგი მზესა ეტყვს, ჴმად იგი – სიტყუასა, მეგობარი – სიძესა, უმეტესი ნაშობთა შორის დედათასა – პირმშოსა მას ყოველთა დაბადებულთასა, რომელი-იგი ჰკრთებოდა საშოფთგან – თაყუანისცემულსა მას საშოსა შინა, წინამორბედი იგი და წინამსრბოლადი – გამოჩინებულსა ქუეყანასა ზედა და გამოჩინებადსა ჯოჯოხეთსა შინა აღმოყვანებად შეყენებულთა მათ. „მე მივმს შენ მიერ ნათლის-ლებად, და შენ ჩემდა მოხუალო?“ – ამით მოასწავა სიტყუაფცა წინაწარმეტყუელებისაჲ, რამეთუ იცოდა, ვითარმედ სიბოროტითა მით ჰეროდესითა წარვიდეს იგი წინაფსწარქადაგად მყოფთა ჯოჯოხეთისათა, და მერმე სიბოროტითა მით ჰურიათაფთა და უმსჯავროებითა პილატესითა მივიდეს უფალი მისა და სხუათა

¹ იოან. 13,7.

მათ პირველ შეწყუდეულთა და გამოიჯსნენს ყოველნივე. ხოლო ესმა რად უფლისაგან, ვითარმედ: „აცადე ან, რამეთუ ესრეთ შეჰგავს ჩუენდა აღსრულებად ყოველივე სიმართლე“, ჰმონა შიშით მეუფისა სიტყუასა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „და ნათელ-ილო იესუ და მეყსეულად აღმოვიდა ნყლი-სა მისგან. და აჰა განეხუნეს ცანი, და იხილა სული ღმრთისაჲ, გარდამომავალი, ვითარცა ტრედი, და მომავალი მის ზედა. და ჴმად იყო ზეცით და თქუა: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ“ (3,16-17).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ნათელ-ილო იესუ და აღმოვიდა ნყლისაგან, რამეთუ თანააღმოჰყვანდა ყოველივე ბუნებაჲ კაცთაჲ, დანთქმული ცოდვითა, და იხილნა ცანი განხუმულნი, რომელნი დაუჴშნა ადამ თავსა თვსსა და შვილთა თვსთა, ვითარცა-იგი მახვლითა მით ცეცხლისაჲთა სამოთხე, და სული ნმიდაჲ ენამებოდა ღმრთეებასა მას ძისასა, რამეთუ მსგავსისა მის ზედა მოვიდოდა, და ჴმად იყო ზეცით, რამეთუ ზეცითცა გარდამოჴდა ცხორებაჲ კაცთა, ნათელღებული იგი იოვანესგან. რამეთუ ვინაჲთგან მრავალნი ჰგონებდეს, თუ იოვანე უმეტეს არს ქრისტესსა ამისთვის, რომელ-იგი სიყრმითგანვე უდაბნოთა აღზრდილ იყო და ძე იყო მღდელთმოძღურისაჲ და სამოსლითა უცხოთა მოსილ იყო და ყოველთა ნათლის-ღებაჲ მოუნოდდა, და ბერწისაგან იცოდეს ყოველთა შობაჲ მისი, ხოლო ქრისტესი ქალწულისაგან შობაჲ არა მრავალთა მიერ საცნაურ იყო ჯერეთ, არამედ ჰგონებდეს წესითა მით ბუნებითითა შობილად და აღზრდილად კაცთა შორის, რამეთუ ერსა შორის იქცეოდა და სამოსელი ემოსა მსგავსი ყოველთაჲ, ამის ესევითარისათვის ჰგონებდეს მას უდარეს იოვანესა, რამეთუ არარად იცოდეს საიდუმლოთაგანი. ხოლო მაშინ მოვიდაცა და ნათელ-ილო იოვანესგან, რომელ-იგი უმეტესად დაამტკიცებდა ესევითარსა მას იქუსა, რამეთუ იტყოდეს, ვითარმედ: ესე ვითარცა ერთი მრავალთაგანი არს; არა თუმცა ვითარცა ერთი ერისა ამისგანი იყო, არამცა მოვიდა ნათლის-ღებაჲ მსგავსად სხუათა მათ. ხოლო ნათლისმცემელი და მოძღუარი, ძე ზაქარიაჲსი, უდაბნოთ მოსრული, ფრიად უაღრეს და უზეშთაეს მისსა არს, კაცი ყოველითურთ საკვრველი.

ამისთვისცა, რადთა ესევითარი იგი გულისსიტყუაჲ არა დაემტკიცოს გონებასა მას შინა ერისასა, განეხუმინ ცანი, ნათელ-ილო რად იესუ, და სული ნმიდაჲ გარდამოვალს, და გარდამოსლვასა მას თანა სულისასა ჴმად ისმის ზეცით, მქადაგებელი პატივისა მას მხოლოდშობილისა ძისა ღმრთისასა. ხოლო ვინაჲთგან ჴმად იგი, რომელი ისმა, ვითარმედ: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი“, მრავალთა მიერ იოვანესთვის საგონებელ იყო თქუმულად, რამეთუ არა თქუა ჴმამან მან, ვითარმედ: ესე ნათელღებული, არამედ: „ესე არსო“, და სხუაჲ არარად შესძინა, და რომელთა ესმა, ჰგონებდა კაცად-კაცადი, ვითარმცა ნათლისმცემელისა მისთვის იტყვს, არა ნათელღებული-სათვის, ზემოთქმულთა მათ მიზეზთათვის და პატიოსნებისათვის ნათლის-

მცემელისა; ამისთვის მოვიდა სული წმიდად ხილვითა ტრედისადათა და ჴმად იგი იესუს ზედა მოილო, რაათა აუნყოს ყოველთა, ვითარმედ თქუმული იგი – „ესე არს ძე ჩემი საყუარელი“ – არა იოვანესთვის იყო ნათლისმცემელისა, არამედ იესუსთვის ნათელღებულისა, რამეთუ იგი არს მხოლოდშობილი ძე ღმრთისაჲ.

თქუან უკუე ვიეთმე, ვითარმედ: ამას ყოველსა ზედა ვითარ არა ჰრწმენა ჰურიათა ქრისტე? არამედ ნუვის უკვრს ესე, დაღაცათუ ფრიად საკვრველი არს, რამეთუ უკეთურებისა მათისა და ფრიადისა მის გულ-ფიცხელობისაგან იყო ესე. და მოსეს ზეცა მრავალი საკვრველება იხილეს, დაღაცათუ ესევითარი არა ეხილვა, და შემდგომად მის ყოვლისა: ჴმათა მათ საშინელთა, ელვისა მის და ქუხილისა და სხვსა მის, რავდენი იხილეს, ქმნეს მათ ჴბოჲ ქორებს და შენირეს ბელფეგორესა. ესე ყვეს მამათა მათთა. და კუალად ამათ იხილეს ლაზარე, ოთხისა დღისა მკუდარი, ბრძანებითა ქრისტესითა აღდგომილი, და ესოდენ არა შეიგონეს, ვიდრელა მოკლვაჲცა მისი განიზრახეს. ამისთვის მათისა მის უკეთურებისაგან არა საკვრველ იყო, რომელ-იგი არა ჰრწმენა ზეცით მოსრულსა მასცა ჴმასა ზედა და გარდამოსლვასა სულისა წმიდისასა; რამეთუ ოდეს იპოოს სული უმადლოდ და უფლებული ვნებათაგან და უფროსლა შურისაგან, არავინაჲ შეიგონებს, არცა მოვალს გულისჴმის-ყოფად; ვითარ-იგი ოდეს იპოოს სული გონიერი და კეთილი, ყოვლით კერძო გულისჴმის-ყოფად მოვალს. ნუ ამას იტყვ უკუე, ვითარმედ რად არა ჰრწმენა, არამედ ესე გამოიძიე, უკუეთუ აქუნდა რად მიზეზი არარწმუნებისაჲ, ვითარცა-იგი წინანარმეტყუელისა ესაიაჲს მიერ იტყვს ღმერთი, რამეთუ ვინაჲთგან ეგულებოდა ჰურიათა თვისისა უკეთურებისაგან წარწყმედაჲ და უკუანაჲსკნელთა სატანჯველთა მიცემაჲ, რაათა არავინ იქმნას მაბრალბელ ღმრთისა, ამისთვის იტყვს: „და ან კაცმან იუდაჲსმან და რომელნი ხართ იერუსალჴმს, საჯეთ ჩემდამო და შორის ვენაჴისა მის ჩემისა. რაჲღამცა უყავ სავენაჴესა მას ჩემსა, და არა უყავ მას?“¹ ეგრეთვე აქაცა გულისჴმა-ყავ, თუ რაჲ შეჴგვანდა ყოფად, და არა იქმნა მოყვანებად მათა სარწმუნობად; უკუეთუ კულა არა ინებეს მოსლვად, ესე მათისა მის ურჩულოებისა გარდამატებულებაჲ იყო და სხუად არარაჲ.

ესე სიტყუად გაქუნდინ მარადის მათა მიმართ, რომელნი განგებულე-ბათა ღმრთისათა ჴელ-ჴყოფენ უგუნურებით ბრალბად, რამეთუ იხილე, ვითარნი საკვრველებანი აღესრულებოდეს, მომასწავებელნი მომავალ-თანნი, რამეთუ არა სამოთხე, არამედ ცანი განეხუმიან, და სული წმიდაჲ იხილვების, და ჴმაჲ ზეგარდამო ისმის, ხოლო უგულისხმონი იგი და ორ-გულნი არავე მოვლენ მეცნიერებად. გარნა ჰურიათა მიმართ სიტყუად სხუად ჟამად დამარხულ იყავნ ჩუენდა, ხოლო ან შენეენითა ღმრთისადათა

¹ ესაია 5,3-4.

წინამდებარისა ამისთვის ვიტყვით ძალისაებრ ჩუენისა, ვითარცა მომცეს ჩუენ სიტყუად უფალმან, რომლისაგან არს ყოველი ნიჭი კეთილი: „და ნათელ-ილო იესუ და მეყსეულად აღმოვიდა წყლისა მისგან. და აჰა განეხუნეს ცანი“. რადსათვს განეხუნეს ცანი? რადთა სცნა, ვითარმედ შენცა რაჟამს ნათელ-ილებდე, ესრეთვე იქმნების, რამეთუ მოგიწოდს ღმერთი ზეცისა სასუფეველად და გასწავებს, რადთა არცაღა ერთი ზიარებაჲ გაქუნდეს საქმეთა თანა ქუეყანისათა. ხოლო უკუეთუ არა ჰხედავ თუალითა შენითა განხუმასა მას ცათასა, ნუ ურწმუნო იქმნები ამისთვის, რამეთუ დაწყებასა სულიერთა და დიდებულთა საქმეთასა ხილულნი გამოჩნდებიან საკვრველებანი უგულისხმოთათვს, რომელთა უვს ესევეთარი ხილვაჲ და ვერ შემძლებელ არიან უხილავთა საქმეთა სარწმუნოებითა გულისწმისყოფად, რადთა ამისა შემდგომად, ოდეს არღარა გამოჩნდეს ესევეთარი რადმე, პირველ ხილულისა მისგან უხილავისაცა ჰრწმენეს; რამეთუ მოციქულთაცა ზედა მოვიდა რად სული წმიდაჲ, იქმნა ოხრაჲ, ვითარცა ქარისა სასტიკისაჲ, და ხილვანი ცეცხლისა ენათანი. არა თუ მოციქულთათვს იქმნა ესრეთ, არამედ მუნ მყოფთა მათ ჰურიათათვს, და რადთა შემდგომთა მათ ჰრწმენეს. რამეთუ დაღაცათუ ან ხილულნი სასწაულნი არა იქმნებიან, არამედ პირველქმნილთაგან აწინდელსაცა გულისწმა-ვჰყოფთ და სარწმუნოებით შევიწყნარებთ.

ხოლო სული წმიდაჲ ამისთვის გამოჩნდა მაშინ, ვითარცა ტრედი, რადთა ვითარცა თითითა, ესრეთ ცხადად უჩუენოს იოვანესცა და ერსა მას შემოკრებულსა მხოლოდშობილი იგი და საყუარელი ძე ღმრთისაჲ, და კუალად ამისთვისცა, რადთა სცნა, ვითარმედ რაჟამს-იგი ნათელ-ილებდე შენ, მორწმუნეო, შენ ზედაცა სული წმიდაჲ გარდამოვალს. ხოლო უკუეთუ არა ჯორციელითა ხილვითა იქმნების ესე, ნუ გიკვრს, რამეთუ სარწმუნოებით გულსავსე ვართ, ვითარმედ ესე ჭეშმარიტად იქმნების, და ვიცით, ვითარმედ სასწაულნი ხილულნი ურწმუნოთათვს არიან, არა მორწმუნეთათვს. რადსათვს ხილვითა ტრედისაჲთა იხილვა სული წმიდაჲ? ვინათგან ყოვლადწმიდაჲ იგი სული სული სიმშკდისაჲ არს და სინმიდისაჲ. ხოლო უფროჲს ყოველთა მფრინველთა ტრედი არს მშკდ და უმანკო და მოყუარე სინმიდისა და სურნელებისა; ამისთვის სახითა მისითა იხილვა, რამეთუ პირველითგანცა წეს არს, რადთა ტრედი მოასწავებდეს დაცხრომასა წყლითრლუნისასა, რამეთუ ოდეს-იგი დაინთქმოდა წყალთა შინა და აღიწოცებოდა ყოველივე აღმდგომი და იძრვისი ქუეყანისაჲ და ბუნებაჲ ჩუენი შიშსა შინა იყო სრულიადისა მოსპოლვისასა, ამან მფრინველმან მოილო მაშინ ხარება დაცხრომისაჲ მოწვეწულისა მის რისხვისა და აღსასრული დიდისა მის ზამთრისაჲ აუნყა და რტოჲ ზეთისხილისაჲ აქუნდა მახარებელად დაწყნარებისა მის და მშკდობისა ყოვლისა სოფლისაჲ, რომელი-იგი ყოველივე სახე იყო ყოფადთაჲ მათ; რამეთუ მაშინცა ბოროტად იქცეოდა ნათესავი კაცთაჲ და უძკრესისა სატანჯველისა ღირს იყვნეს, და რაჟამს-

იგი ესრეთ წარკუეითილ იყო და განწირულ სასოებად ცხორებისა მათისად, ყო ღმერთმან წყალობად და არა ავოცა სრულიად ბუნებად ჩუენი, არამედ დაჰმარხა ნოე და მისთანანი იგი და კუალად განავრცელა და განამრავლა ნათესავი კაცთად და მოწვეწულითა მით რისხვითა ცოდვისა იგი სიმრავლე ავოცა და მუშაკი იგი სიმართლისად გამოიყვანა სოფელსა შინა ხარებითა მით და უწყებითა ტრედისადათა. ამისთვის უკუე ანცა ხილვითა ტრედისადათა გამოჩნდა სული წმიდად, რაათა მოაწსენოს კაცთა საქმე იგი, ვითარმედ ვითარცა მაშინ წარირღუნა და უჩინო იქმნა საქმე ცოდვისადა, და რომელ-იგი საგონებელ იყო, ვითარმედ ვერ შესაძლებელ არს აურაცხელისა მის ცოდვისა დაცხრომად, მსწრაფლ იქმნა ბრძანებითა უფლისადათა, და ვითარცა ახალი კაცი, ესრეთ გამოვიდა ნოეე ქუეყანად, განთავისუფლებული ბოროტთა მათგანცა მახლობელთა გმირთა მათ და უღმრთოთა კაცთაგან, დაწსნილი ზამთრისა მისგანცა მძაფრისა და მოწვეწულისა მის რისხვისა; ეგრეთვე ან მოსლვითა უფლისადათა დაიწსნა და უჩინო იქმნა ძალი ცოდვისადა და დაინთქა წყალთა მათ შინა იორდანისათა, სადა-იგი დაჰვლდა უფალმან დაძუელებული იგი კაცი და აღმოიყვანა ბუნებად ჩუენი მიერ განთავისუფლებული, რომელიცა შემდგომად მცირედისა განათავისუფლოს სრულიად თქსითა მით ვნებითა და სიკუდილითა და ბოროტნი იგი გმირნი – ეშმაკნი – და ყოველი ძალი მათი დაანთქნეს სიღრმეთა ქუესკნელისათა.

ამისთვის იხილვა სული წმიდად ხილვითა ტრედისადათა, რაათა აუწყოს კაცთა, ვითარმედ აღესრულა ანცა განწირულთა მათ კურნებად, ვითარცა მაშინ, და უფროჲსად; ვითარცა ვთქუ, მაშინდელი იგი ამისა იყო სახე და მომასწავებელ, არამედ მაშინ დაწსნად იგი და უჩინო-ყოფად ცოდვისადა მის და განწირულისა მის სენისა კურნებად ტანჯვითა და გუემითა და რისხვითა მით მოწვეწულითა იქმნა, ხოლო ან – სიტკბოებითა და მადლითა გამოუთქუმელითა და ნიჭითა სახარულევეანითა. ამისთვისცა სული წმიდად ხილვითა ტრედისადათა გამოჩნდა. არა ზეთისხილისა რტომ მოაქუნდა, არამედ განმაქარვებელსა მას ბოროტთასა და განმათავისუფლებელსა კაცთასა უჩუენებდა და ახარებდა სოფელსა სიხარულსა დიდსა და სასოებასა ცხორებისასა აუწყებდა. არა კაცისა ერთისა კიდობნით გამოსლვასა მოასწავებდა, არამედ ყოვლისა სოფლისა ზეცად აღყვანებასა განაგებდა და რტოჲსა წილ ზეთისხილისა შვილებად ღმრთისად მოართუა ნათესავსა კაცთასა. გულისწამა-ყავთ უკუე ნიჭისა ამის მის მიერ მოცემულისა სიმაღლე და ადიდებდით მას თანა მამით და ძითურთ. ნუ ემსგავსებით უღმრთოებასა მათსა, რომელნი ჰგმობენ მას და ხილვითა მით ტრედისადათა გამოჩინებასა უდარესობად პატივისა მისისა ჰგონებენ და აღმოუტეობენ პირით თქსით ზრახვათა მათ ეშმაკისათა. რამეთუ მის მიერ ბირებულნი იტყვან, ვითარმედ: ვითარცა-იგი ფრიადი განყოფად არს შორის კაცისა და ტრედისა, ეგრეთვე შორის ქრისტესსა და სულისა წმიდისა; ამისთვისცა ქრისტე ბუნებითა ჩუენითა, ხოლო სული წმიდად სახითა ტრედისადათა იხილვა.

რად უკუე ვთქუათ მათთვის? გარნა ესე: დაანთქენ იგინი, უფალო, და მიმოდაყვენ ენანი მათნი, რამეთუ შეიყუარეს ყოველი სიტყუად დაქცევისად და ენად მზაკუვარი. ამისთვის ჰრცხუენოდენ უღმრთოთა და შთაჴდენ იგინი ჯოჯოხეთად, უტყუ იქმნენ ბაგენი მზაკუვარნი, რომელნი იტყვან ურჩუ-ლოებასა, და დაიყავნ პირი მათი, რომელნი იტყვან სიცრუესა, რამეთუ არა იციან, არცა რასა იტყვან, არცა ვიეთთვის დაამტკიცებენ; და უფროსლა იციან, არამედ ნეფსით ეშმაკისა თანაშემწე არიან. ამისთვის ვჰრქუათ მათ, ყრუთა მაგათ: ისმინეთ! და ბრმათა მაგათ: აღიხილენით თუალნი, უგუ-ნურნო და უგულისჴმონო! გულისჴმა-ყავთ, ვითარმედ არა არს განყოფი-ლებად შორის მამისა და ძისა და სულისა წმიდისა არცა ერთი, თჴნიერ გუ-ამოვნებისა და თჴთებისა, არა არს ერთიცა წმიდისა სამეებისაგანი უდარეს, ანუ დაბადებულ, ანუ უკუანაღსკნელ შემოსრულ, ვითარმცა პირველ არა იყო და უკუანაღსკნელ იქმნა, არამედ ერთ არს დიდებად მამისა და ძისა და სულისა წმიდისად, ერთი ბუნებად, ერთი ძალი, ერთი სიმტკიცე. და ვითარ-ცა-იგი ვიტყვთ ძისათჴს, ვითარმედ: ნათელი – ნათლისაგან, ღმერთი ჴემ-მარიტი – ღმრთისაგან ჴემმარიტისა, ხატი და მსგავსებად შეუცვალებელი ბუნებისა მის და ღმრთეებისა მამულისად, სიტყუად გუამოვანი, სიბრძნე – შემოქმედი ყოველთა არსებათად, და ძალი – ყოველთა დაბადებულთა მჰყრობელი, ძე ჴემმარიტი – ჴემმარიტისა მამისად, უხილავი – უხილავი-სად, დაუსაბამოდ – დაუსაბამოსად, უკუდავი – უკუდავისად და დაუსრუ-ლებელი – დაუსრულებლისად; ეგრეთვე სულისა წმიდისათჴს: გურნამს ერთი სული წმიდად, უფალი და ცხოველსმყოფელი, რომელი მამისაგან გა-მოვალს და რომლისა მიერ მოეცემის კაცთა, თაყუანისსაცემელი მამისა და ძისად, მიზეზი ყოველთა ცხორებისად, სინმიდე მომცემელი სინმიდისად, რომლისა მიერ იცნობების და გამოჩნდების ღმერთი მამად, რომელი-იგი არს ყოველთა ზედა და ყოველთა შორის; და ღმერთი ძე, რომელი-იგი არს ყოველთა ზედა, და ყოველი – მის მიერ. ღმერთი არს ჴემმარიტი სული წმიდად, მსგავსად მამისა და ძისა, ნათელი და განმანათლებელი, სული ჴემ-მარიტებისად, სული შვილებისად, სული სიბრძნისად, მეცნიერებისად, გუ-ლისჴმის-ყოფისად, სული სახიერებისად. რასა მრავალსა ვიტყვ? რამეთუ ენად კაცობრივი, არცა თუ ანგელოზთად, ჯერისაებრ ვერ იტყვს საიდუმ-ლოსა ამას. გარნა ამას ვიტყვთ და გურნამს, ვითარმედ ყოველი, რავდენი-ცა არს მამისად, ძისად არს, თჴნიერ უშობელობისა; ყოველი, რავდენი არს ძისად, სულისად არს, თჴნიერ შობისა. მამად უშობელი და ძე დაუსაბამოდ შობილი და სული წმიდად მამისაგან გამომავალი, რომელ-ესე არიან თჴთე-ბანი სამგუამოვნისა მის სამეებისანი. ხოლო სხჴთა ყოველითავე ერთ არს წმიდად სამებად, განუყოფელი და შეუცვალებელი, ერთი ღმრთეებად, დი-დებული უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

ვითარ უკუე თქუენ, † სავსენო სულითა მით საეშმაკოთა, ხილვი-სა მისთვის სახითა ტრედისადთა უდარესობისა თქუმად იკადრეთ სულისა

წმიდისა? ვაჲ თქუენდა, უდარესნო და უძკრესნო ყოველთა დაბადებულთასა! ხოლო თქუენ, შვილნო ეკლესიისანო, სიტყუსა ამის განმარტებაჲ ისმინეთ: უკუეთუ ენებოს მგმობართა მათცა, ისმინონ, უკუეთუ არა, ჰრცხუენოდენ და კდემებოდენ. უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან, მხოლოდშობილმან მან ძემან ღმრთისამან, ჩუენისა ცხორებისათჳს მიიღო ბუნებაჲ კაცობრივი და იქმნა ყოველითურთ ჭეშმარიტი კაცი, თჳნიერ ცოდვისა, და აღვიარებთ მას სრულად ღმრთად და სრულად კაცად. ხოლო სულმან წმიდამან არა თუ ბუნებაჲ ტრედისაჲ მიიღო. ნუ იყოფინ! ამისთვისცა მახარებელმან არა თქუა, თუ: გარდამოჴდა სული წმიდაჲ ბუნებითა ტრედისაჲთა, არამედ ხილვითა ტრედისაჲთა. და სხუაგან თქუა: „სული წმიდაჲ, გარდამომავალი, ვითარცა ტრედი“.¹ რამეთუ ესევეითართა ხილვითა გამოჩნდა მაშინ და მიერიტგან არღარა ხილულ არს ესევეითართა სახითა, რამეთუ არა ბუნებაჲ შეიმოსა ტრედისაჲ, არამედ ხილვითა ტრედისაჲთა გამოჩნდა. იხილვნეს ქერობინნიცა სახითა ლომისა და ზუარაკისა და კაცისა და არწივისაჲთა, არამედ არცა ერთისა ამათგანისა ბუნებაჲ აქუნდა. გამოჩნდეს ანგელოზნიცა სახითა კაცთაჲთა, არამედ არა აქუნდა ბუნებაჲ კაცთაჲ. და თავადი ღმერთი წინანარმეტყუელთა თითოფერიტა სახითა ეჩუენა, არამედ არარას მათ სახეთაგანსა მსგავს არს ბუნებაჲ მისი. ეგრეთვე სული წმიდაჲ ხილვითა ტრედისაჲთა გამოჩნდა, არამედ არა ბუნებითა ტრედისაჲთა. ხოლო ძემან ღმრთისამან ჭეშმარიტად ბუნებაჲ კაცთაჲ მიიღო, და არს იგი ღმერთი და კაცი სრული.

სხუად არს უკუე ჭეშმარიტებაჲ იგი განგებულებისაჲ, და სხუად არს ჟამიერისა ხილვისა ჩუენებაჲ. უკუეთუ კულა რომელი-იგი ხილვითა ტრედისაჲთა გამოჩნდა, შეურაცხებად გიჩნს თქუენ, ჰ უგუნურნო, რამეთუ თქუენდავე მოვაქციო სიტყუად, შეურაცხ-ჰყოთ ვიდრემე სასუფეველიცა ცათაჲ, რამეთუ მარცუალსა მდოგჳსასა მიამსგავსა იგი უფალმან და თესლსა კეთილსა და სათრომელსა ბადესა. ხოლო ოდეს მეუფისა ქრისტესთვისცა გესმას, ვითარმედ: „აჰა ტარიგი ღმრთისაჲ“,² და სხუასა ადგილსა გესმას იგი „კრავად“ ნოდებული და კულად „მარგალიტად“ და „ცუარად“, ნუ-უკუე ამისთვის შეურაცხ-ჰყოთ, ჰ უგულისჴმონო საღმრთოთა საიდუმლოთანო? არამედ მოიცალეთ და გულისჴმა-ყავთ და ნუ ხართ უმაღლონი ქველისმოქმედისა მიმართ, ნუცა ჰგმობთ მომნიჭებელსა მას ნეტარებისასა, სახიერსა მას და ყოვლადწმიდა სულსა, რომლისა მიერ მოგუეცა შვილებაჲ ღმრთისაჲ, მოტევებაჲ ცოდვათაჲ და აურაცხელთა მათ კეთილთა ნიჭნი. არამედ ესე კმა იყავნ უგულისჴმოთა მათ მიმართ.

ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ წინამდებარისა ამის თქუამდ. ჯერ-იყო ნათლის-ღებისა მის ჰურიათაჲსა დაცხრომად და ჩუენისა ამის დაწყებაჲ. ამისთვისცა რაჲ-იგი პასექსა მას იქმნა, აქაცა იქმნე-

¹ მათ. 3,16. ² იოან. 1,29.

ბის, რამეთუ მუნცა ორივე ქმნა უფალმან, ძუელიცა და ახალიცა; და ერთი იგი დააცხრვო, ხოლო მეორისა ამის ყო დასაბამი. ეგრეთვე აქა აღასრულა რჩულიერი იგი ძუელისაჲ ნათლის-ღებად და საეკლესიოჲსა ამის ნათლის-ღებისა კარი განადო. და ვითარცა პასექსა მას ერთსა ზედა ტრაპეზსა ორივე პასექი აღასრულა, ეგრეთვე აქა ერთსა შინა მდინარესა აჩრდილიცა იგი გამოსახა და ჭეშმარიტებაჲცა სრულ-ყო. რამეთუ ნათლის-ღებასა მას იოვანესსა ვერ ჴელ-ენიფებოდა მონიჭებაჲ სულისა წმიდისაჲ, არამედ ამას ქრისტეს მიერ მოცემულსა ნათლის-ღებასა აქუს ნიჭი იგი სულისა წმიდისაჲ, ამისთვისცა სხუათა მათ ნათელღებულთა ზედა, რომელთა ნათელ-სცემდა იოვანე, არარაჲ ეგვევითარი იქმნა; ხოლო მო-რაჲ-ვიდა მომცემელი იგი ახლისა ამის ნათლის-ღებისაჲ, ცანი განეხუნეს, და სული წმიდაჲ გარდამოჴდა, რამეთუ არა ნათლისმცემელისა მის სინმიდე, არამედ ნათელღებულისა მის ძალი იქმოდა ამას, რადთა ძუელისა მისგან შემიყვანნეს ჩუენ ახლად მოქალაქობად; ამისთვის ბჭენი ცათანი განგვხუნა, და სული წმიდაჲ გარდამოჴდა წოდებაჲ ჩუენდა მამულსა მას ზეცისასა, და არა ესრეთ ლიტონად გვწოდა, არამედ დიდითა პატივითა, რამეთუ არა ანგელოზ გუყვნა და მთავარანგელოზ, არამედ გუყვნა ჩუენ შვილ ღმრთისა და საყუარელ მეუფისა და ესრეთ აღმიყვანებს ჩუენ სამკვდრებელსა მას ზეცისასა.

სწავლად იბ

ვითარმედ ქრისტეანემან უკუეთუ არა აჩუენოს მოქალაქობად სათნოდ, უმეტესად იტანჯოს

ხოლო შენ, საყუარელო, რომელსაცა გესმიან სიტყუანი ესე და მეცნიერ ხარ საიდუმლოთა ამათ, გულისწმა-ყავ ყოველივე ესე და მოიგე მოქალაქობად ღირსი სიყუარულისა მის, რომლითა შეგიყუარა უფალმან, და პატივისა მის, რომლითა პატივ-გცა, და წოდებისა მის, რომლითა გინოდა, და ბრძანებისა მის, რომელი გამცნო: ჯუარს-აცუ თავი შენი სოფლისა და სოფელი თავისა შენისა და ცხორებდ მოქალაქობითა მით ზეცისაჲთა. ნუ ჰგონებ, თუ ვინაჲთგან გუამი შენი არა ამაღლებულ არს ზეცას, ზიარებაჲ რაჲმე გაქუს ქუეყანასა ზედა. ნუ იყოფინ! რამეთუ „თავი“ ჩუენი ზეცას მჯდომარე არს, რომელი-იგი ამისთვის მოვიდა ქუეყანად – ყოველთა მეუფე – და ანგელოზთა დასნი მოიყვანნა და ბუნებაჲ ჩუენი ზეცას აღიყვანა, რადთა ჩუენცა ვცნათ, ვითარმედ მუნ გვღირს აღსლვაჲ, და პირველ აღსლვისა ესრეთ ვიყვენთ ქუეყანასა ზედა, ვითარცა მკვდრნი ზეცისანი, სადა-იგი არს სამკვდრებელი ჩუენი. ამისთვის თანაგუაც დამარხვად აზნაურებისა მის, რომელი მოგუეცა უფლისა მიერ, და ძიებაჲ მარადღე სასუფეველსა მას ცათასა და საწუთროჲსა ამის ყოვლისავე შერაცხვად აჩრდილად და სიზმრად.

ესე ყოველი, საყურელო, გაქუნდინ მარადის გულსა შენსა და რბიოდე გზასა მას მცნებათა ქრისტესთასა. გულისწმა-ყავ, ვითარმედ უკუეთუმცა მეფემან ქუეყანისამან გპოა შენ გლახაკობასა შინა დიდსა და აღგილომცა და გყო შენ ძედ თვსად, აღგიყვანა პალატად და პატივი იგი სამეუფოდ შეგმოსა, თავს-იდევლამცა ტალავრისა მის შენისა პირველისა, უნდოვსა მის და შეურაცხისა, დამკვდრებად და დაბებკულისა მის სამოსლისა შემოსად და კუალად თხოად პურისა განსლვად? ეგრეთვე ან ნულარას პირველისა მის უნდოებისასა ეძიებ, ნუცა გნადის, რამეთუ ფრიად უაღრესისა მიმართ ნოდებულ ხარ ან, ვიდრელა უკუეთუმცა მეფისა მის მიწისაგანისა ძედ ინოდე, რამეთუ მწოდებელი იგი შენი მეუფე არს ანგელოზთა და კაცთა, და კეთილნი იგი, რომელთა მოგცემს, უზეშთაეს არიან ყოვლისა სიტყვსა და ყოვლისა გონებისა, რამეთუ არა თუ ქუეყანითი ქუეყანადვე გინოდს, ვითარცა მეფე ესე მიწისაგანი, არამედ ქუეყანით – ზეცად, და ბუნებისაგან მოკუდავისა – უკუდავებად, და სიგლახაკისა ამისგან და უბადრუკებისა ფრიადისა – დიდებისა მის მიმართ მოუგონებელისა, რომელი-იგი მაშინ ოდენ უძლოთ კეთილად გულისწმის-ყოფად, ოდეს ღირს ვიქმნეთ დამკვდრებად სავანეთა მათ ზეცისათა.

ან უკუე რომელი-ეგე ესევითართა კეთილთა მკვდრად ჩინებულ ხარ, რაფსათვს ყოლადვე გაწსოვსცა წარმავალი ესე და უწმარი სანუთროდ და საფასენი და სიმდიდრენი მისნი განხრწნადნი და ამაონი, რომელ-იგი ყოველივე ძონძისა მის სანეხუეთაგან შეკრებულისა უუნდოეს და უხენეშეს არს? ანუ ვითარ მიემთხვო სანატრელსა მას პატივსა, რად მიუგო სიტყუად მეუფესა მას, რომელმან გინოდა შვილებად მისა, ესევითარისა მაგისა უგუნურებისათვს? ანუ ვითარ არა მრავლისა გუემისა და ტანჯვისა ღირსად გამოსჩნდე, უკუეთუ შემდგომად ესევითართა მათ ნიჭთა მოღებისა პირველსავე შეურაცხებასა მიიქცე, ვითარცა ძალლი ნათხევარსა თვსსა. რამეთუ უმეტესად იტანჯო შენ, რომელმან შვილებად ღმრთისად შეურაცხ-ჰყავ, ვიდრელა რომელნი არღა ღირსქმნილ არიან პატივსა მას. და გექმნას პატივი იგი უმეტესისა სატანჯველისა მომატყუებელ; რამეთუ სოფელსაცა შინა უკუეთუ ძე იპოოს ბოროტისმოქმედ, უმეტესისა სასჯელისა ღირს არს, ვიდრელა მონად, რავდენ უფროდს ღმრთისა მიერ ესრეთ განენესოს.

უკუეთუ ადამ მკვდრ იქმნა რად სამოთხესა შინა და გარდასლვისათვს მცნებისა მის შემდგომად ესევითარისა მის პატივისა ესოდენტა ბოროტთა განსაცდელთა მიეცა, რად-მე იყოს ჩუენდა, რომელთა მოგუეცნეს ცანნი სამკვდრებელად და ვიქმნენით თანამკვდრ ძისა ღმრთისა და მერმელა მორჩილებასა შინა ბოროტისა მის გუელისასა ვიპოვნეთ? რამეთუ არღარა იგი გუესმას, ვითარმედ: „მინად ხარ და მინად მიიქცე“,¹ და „ეკალსა და კუროსთავსა აღმოგიცენებდეს შენ“,² და სხუად იგი ესევითარი, არამედ

¹ დაბ. 3,19. ² დაბ. 3,18.

ფრიად უმწარესნი იგი და უძნელესნი სიტყუანი: წარსლვად ბნელად გარეს-კნელად და ცეცხლად უშრეტად და შეკრვად ჴელით და ფერჴით საკრვე-ლითა მით განუჴსნელითა და მიცემად მატლთა მათ წამლეანთა, სადა-იგი არს ტირილი სამარადისოდ და ღრჴენად კბილთად; და სამართლად შეგუემ-თხვოს ესე ყოველი, რამეთუ რომელთა პატივი იგი დიდი არა შეიშუენონ, ჯერ-არს მათი უკუანადსკნელთა სატანჯველთა მიცემად.

ესე ყოველი, საყუარელო, გულისჴმა-ყავ და თავსა შენსა ეკრძალე. განხუმულ არიან ცანი და გზად მუნ აღსლვისად მზა არს. ელიაცა ოდეს-მე განახუნა ცანი და დაჴჴშნა, არამედ გარდამოყვანებად და დაყენებად წჴმისა; ხოლო შენ არა ესრეთ განგეხუმიან ცანი, არამედ რადთა აღხვდე და შეხვდე მიუთხრობელთა მათ კეთილთა; და საკრველი ესე არს, რამეთუ არა თუ აღსლვად ოდენ ჴელ-გენიფების, არამედ სხუათაცა აღყვანებად, უკუეთუ გენებოს. ესრეთ მოუცემიეს შენდა უფალსა ესევითარი ესე კად-ნიერებად საქმეთა მათ შინა მალალთა და დიდებულთა.

ან უკუე ვინაფთგან ზეცას არს სამკვდრებელი შენი, მუნ დაიუნჯე ყო-ველივე და ნურარას დაუტეობ აქა, რადთა არა ყოველივე წარსწყმიდო, რამეთუ აქა დაღაცათუ კლიტენი დასხნე და მოქლონი საუნჯეთა შენთა, დაღაცათუ მონანი და მჴედარნი მცველად დაადგინე, დაღაცათუ მძლე ექმნა მპარავთა და მლილთაგან დაიცვა და დაძუელებისაგან ჟამთაფსა, რომელ-ესე შეუძლებელ არს, სიკუდილსა ვერსადაფთ განერები, არამედ წამსა შინა თუალისასა ყოველივე მოგელოს ჴელთაგან შენთა, და მრავალ-გზის მტერთა შენთა დაიმკვდრონ მონაგები შენი. ხოლო უკუეთუ სავანესა მას ზეცისასა წარსცე სამარხველად, ყოვლისავე შიშისა უზეშთაეს იქმნე, სადა-იგი არცა კარი საჴმარ არს, არცა კლიტენი, არცა მცველნი, ესრეთ უშიშ არს და უცთომელ ქალაქი იგი. ვითარ უკუე ფრიადისა უგუნურებისა საქმე არს ესე – მარხვად საუნჯეთად, სადა-იგი არა იმარხვიან, და სადა-იგი არა არს ყოლადვე შიში წარწყმედისად, არამედ უფროფსად განმრავლდების და აღორძნდების საუნჯე, მუნ არცა თუ მცირედისა საუნჯისა მოგებად, სა-და-იგი უწყით, ვითარმედ გუეგულების უკუე დამკვდრებად.

ამისთვისცა წარმართნი ურწმუნო არიან სიტყუათა ჩუენთა, რამეთუ არა სიტყუათაგან, არამედ საქმეთაგან ეძიებენ წამებასა და რაჟამს იხილ-ნენ ქრისტეანენი მოსწრაფედ ჴორციელთა ამათ საქმეთა შინა, აღაშენებ-დენ რად სახლებსა შუენიერებსა და შეჴმზადებდენ სამოთხებსა და აბა-ნოებსა, აგარაკთა და ვენაჴთა, და კუალად ესმას, ვითარმედ: მწირ ვართ ქუეყანასა ზედა, ხოლო სამკვდრებელი ჩუენი ზეცას არს, ურწმუნო არიან სიტყუასა მას, რამეთუ იტყვან, ვითარმედ: უკუეთუმცა ესე ესრეთ იყო, არამცა ყოველივე ესე წარსაგებელი, რომელსა იქმან აქა, მუნმცა წარავ-ლინესა საუნჯედ წარუპარველად? და ნანდვლვე საკრველ არს, რომელ სადა-ესე მცირედ ჟამ არს მკვდრობად ჩუენი, სადა-ესე მსხემ ვართ და წარ-მავალ, მოსწრაფებით და ხარკებით მოვიგებთ მოსაგებელსა და არცა თუ

სისხლთა ჩუენთა ვჰრიდებთ ცუდთა მათ და განხრწნადთა მონაგებთათჳს, ხოლო კეთილთა მათ ზეცისათა მოსყიდად და სავანეთა მათ განუხრწნელთა აღსაშენებელად არცა თუ ნამეტნავსა მას და უჰმარსა საფასესა წადიერ ვართ მიცემად, სადა-იგი სასყიდლისა მცირედისა გჳკვს მიცემად და სამკვდრებელისა საუკუნოხსა გუექმნების მოგებად, რომელი-იგი არლარასა-და მიმილოს ვინ ჴელთაგან ჩუენთა, უკუეთუ ერთგზის ოდენ ვეუფლნეთ მას. ამის უკუე ესევითარისა უგულისჴმოებისათჳს და გულფიცხელობისა დიდთა სატანჯველთა ღირს ვართ, ოდეს-იგი შიშუელნი და გლახაკნი მივიდეთ მუნ, და არა ჩუენისა ხოლო გლახაკებისათჳს, არამედ რომელ-იგი სხუათაცა ესევითარისა მის გლახაკებისა მიზეზ ვექმნებით, სასჯელი მოგუეჴადოს. რამეთუ ოდეს გჳხილნენ ჩუენ წარმართთა ესრეთ სოფლისმოყუარე და შემსჴუალულ სანუთროხსა, ვითარ მათ უარყონ სიყუარული სანუთროხსად? და ესრეთ, რომელთა-ესე თანაგუედვა სწავლად მათდა სიძულილსა სოფლისასა, ოდეს უფროხსად სიყუარულსა ვასწავლიდეთ და სახე ბოროტისა ვექმნებოდით და მიზეზ წარწყმედისა, არა ნაკუერცხალნი ცეცხლისა მის უშრეტისანი დავიკრიბნეთა თავთა ზედა ჩუენთა? არა უწყითა, ვითარმედ ნათლად დაბნელებულთა და მარილად სოფლისა განწესებულ ვართ უფლისაგან, რაფთა განხრწნილთა მათ და დაყროლებულთა ვნებათა მიერ მოვიყვანებდეთ სურნელებად და უხრწნელებად? ხოლო უკუეთუ უფროხსად მიზეზ სიბნელისა და სიმყრალისა ვექმნებოდით, რომელიდა სასოებად გუაქუნდეს ცხორებისად, ანუ ვითარ არა შეკრულნი ჴელით და ფერჴით გოდებთა და ღრჴენითა კბილთაფთა მივეცნეთ ცეცხლსა მას გეჴენისასა, უკუეთუ ესევითარსა ამაოებასა შინა იქმნას აღსასრული ჩუენი?

ამისთჳს გევედრები, რაფთა ესე ყოველი გულისჴმა-ვყოთ და განვიჴსნეთ თავნი ჩუენნი საკრველთა მათგან ესევითარისა მის საცთურისათა, რაფთა არა შევიკრნეთ საკრველითა მით ჯოჯოხეთისაფთა, არამედ უფროხსად ფრთოვან ვიქმნეთ სათნოებითა და საუკუნეთა მათ კეთილთა ღირს ვიქმნეთ დამკვდრებად მაღლითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა არს დიდებად თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თავი იბ

სიტყუად ესე: „მაშინ იესუ აღმოიყვანა უდაბნოდ სულისაგან გამოცდად ეშმაკისაგან“ (4,1).

რომელ არს ჟამი იგი აღყვანებისა მისისა უდაბნოდ, რომლისათვის იტყვს, ვითარმედ: „მაშინ იესუ აღიყვანა უდაბნოდ სულისაგან“? შემდგომად გარდამოსლვისა მის ზედა სულისა წმიდისა, შემდგომად ჳმისა მის ზეცით მოსრულისა, რომელი წამებდა: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ“,¹ აღმოიყვანა იგი უდაბნოდ სულმან წმიდამან; რამეთუ გესმას რად, ვითარმედ: „აღმოიყვანა უდაბნოდ სულისაგან“, გულისწმაცავ, ვითარმედ სულსა წმიდასა იტყვს აღმყვანებელად იესუსსა უდაბნოდ, რამეთუ ვინაფთვან ყოველსავე სწავლად ჩუენდა იქმოდა და თავს-იდებდა, თავს-იდვა აღსლვადცა უდაბნოდ სულითა წმიდითა, რომელი-იგი მარადის იყო მის თანა და არს და იყოს, ვითარცა ერთარსებით განუშორებელი.

და ესრეთ გულისწმაცავ: იშვებოდა რად ქალწულისაგან, მოვიდა ქალწულსა მას ზედა და ძალითა მადლისა თვისისაათა შეჰმზადა ტაძარი იგი ჳორცთა უფლისათვის, ვითარცა ახარებდა გაბრიელ, ვითარმედ: „სული წმიდად მოვიდეს შენ ზედა“.² ნათელს-ილებდა რად, იხილვა სახითა ტრედისაათა წამებად ღმრთეებისა მისისა და ჩუენებად ყოველთა, ვითარმედ ესე არს, რომლისათვის ჳმად ისმის მამისა მტყუელი ძედ საყუარელად. ეგრეთვე, აღვიდოდა რად უდაბნოდ, აღიყვანა, ვითარცა ესერა აღმოვიკითხეთ, ვითარმედ: „მაშინ აღმოიყვანა უდაბნოდ სულისაგან“. კუალად, აღასრულებდა რად ნიშებსა და სასწაულებსა, მის თანა იქცეოდა, რადთა ყოვლითურთ გულისწმაცავით განუშორებლობად მამისა და ძისა და სულისა წმიდისა.

ხოლო რადსათვის აღვიდა უდაბნოდ გამოცდად ეშმაკისაგანო? რამეთუ თავს-იდვა, ვითარცა ვთქუ, ესეცა ჩუენთვის და სწავლად ჩუენდა: აღსლვად უდაბნოდ და ბრძოლად ეშმაკისა ბუნებითა მით კაცობრივითა, რადთა ჩუენცა, რაჟამს შემდგომად ნათლის-ღებისა შეგუემთხვნენ უმეტესნი განსაცდელნი ბრძოლათანი, არა შევშფოთნეთ, ვითარცა მოულოდებელიმცა რადმე მონევენულ იყო ჩუენ ზედა, არამედ ახოვნად ყოველივე მოვითმინოთ და უწყოდით, ვითარმედ წესისაებრ თვისისა იქმნების საქმე იგი, რამეთუ ამისთვის მოგეცა შენ საჭურველი, ჳ ნათელღებულო, რადთა ჳბრძოდი, არა თუ რადთა უქმად სდგე შენ.

და ამისთვის არა დააყენებს ღმერთი ზედამოსლვასა მას ბრძოლათა და განსაცდელთასა: პირველად – რადთა სცნა, ვითარმედ ან უძლიერეს იქმენ ფრად, ვიდრე პირველ, ოდეს-იგი არღა მოგელო მადლი ნათლის-

¹ მათ. 3,17.

² ლუკ. 1,35.

ლებისაჲ; მეორედ – რაჲთა არა აღსზუავენე მოღებითა დიდებულისა მის ნიჭისაჲთა, არამედ ბრძოლითა მით განსაცდელთაჲთა სიმდაბლესა შინა ეგო; მესამედ – რაჲთა ბოროტი იგი ეშმაკი, რომელი იჭუეულ არს ჯერეთ ჯმნისა შენისათჳს მისგან, გამოცდითა მით ბრძოლათაჲთა გულსავსე იქმნეს, ვითარმედ ჭეშმარიტად სრულიად გიჯმნიეს მისგან, დაგიტევებიეს იგი და ბრძოლად მისა განწყობილ ხარ; მეოთხედ – რაჲთა გამოჭურვებითა მით განსაცდელთაჲთა ინდო და უმტკიცეს რკინისა გამოსჩნდე და უმკუთელეს მახვლისა მწყობრსა მას ვნებათასა; მეხუთედ – რაჲთა გულსავსე იქმნე შენ, ვითარმედ ჭეშმარიტად საუნჯენი დიდნი გერწმუნნეს შენ და პატივი მაღალი მოგეცა. რამეთუ უკუეთუმცა არა ეცნა ეშმაკსა, ვითარმედ დიდად პატივცემულ იქმენ, არამცა მოვიდა ბრძოლად შენდა; არამედ შეშურდა წარმატებაჲ შენი, ვითარცა-იგი ოდესმე ადამისი, რამეთუ იხილა რაჲ იგი ესრეთ დიდისა პატივისა ღირსქმნულად, და ამისთჳს აღიჭურა ბრძოლად მისა მოშურნე იგი მტერი. ამისთჳს იობსაცა ზედა განიწყო, იხილა რაჲ იგი წარმატებული მცნებათა შინა ღმრთისათა და ესმა მისთჳს წამებაჲ ღმრთისა მიერ სიმართლისა და ჭეშმარიტებისაჲ. ამათ ესევითართა საქმეთათჳს არა დააყენებს ღმერთი მოსლვასა ბრძოლათა და განსაცდელთასა, რაჲთა წინააღუდეგ მტერისა ზედამოსლვასა და მოილო გვრგვინი იგი ძლევისაჲ ბრწყინვალე. ამისთჳსცა თავს-იდებს იგი გამოცდად ეშმაკისაგან, რაჲთა სცნა, ვითარმედ ჯერ-არს შენდაცა გამოცდად და გამოჭურვებად განსაცდელთაგან ახოვნებით.

და ვითარ იტყჳს სხუასა ადგილსაო, ვითარმედ: „ილოცევდით, რაჲთა არა შეხვდეთ განსაცდელსა“?¹ – მეტყჳან ვიეთნიმე. არამედ გულისწმა-ყავთ, ვითარმედ ესე ამისთჳს ბრძანა, რაჲთა გულისწმა-ჰყოთ, ვითარმედ არა ჯერ-არს თავით თჳსით შთაგდებაჲ თავთა ჩუენთა განსაცდელად, არამედ ოდეს მოინინენ და ვინოდნეთ გამოცდად, მაშინ ახოვნად დავდგეთ. ამისთჳსცა არა თქუა, თუ: აღვიდა იესუ, არამედ: „აღმოიყვანაო სულისაგან“, წესითა მით და სახითა განგებულეებისაჲთა და ბუნებითა ჳორცთა მათ კაცობრივთაჲთა, რომელნი ცხორებისა ჩუენისათჳს შეიმოსნა. და იხილე, თუ სადა აღიყვანა იგი სულმან წმიდამან, არა ქალაქად და სოფლად, არამედ უდაბნოდ, რამეთუ ვინაჲთგან ენება ეშმაკისა ბრძოლად მოხდად, აღიყვანა უდაბნოდ, რაჲთა არა შიმშილისაგან ხოლო, არამედ უდაბნობისაგანცა ადგილისა მის მიეცეს მას მიზეზი ბრძოლად მოსლვისაჲ, რამეთუ წეს არს ესე ეშმაკისა: მაშინ უმეტესად ბრძოლისა აღდგინებად, ოდეს უდაბნოს თჳსაგან ვიყვნეთ; ხოლო ოდეს ზოგად ვიყოფებოდით, არა ესრეთ ცხარედ მოვალს ბრძოლად. და ამისთჳს წეს არს, რაჲთა რომელნი არა იყვნენ საზომსა ძლიერისა ახოვნებისასა მინევენულ და არა ესნაოს ჳელოვნად ბრძოლად ეშმაკისაჲ და არა მძლექმნილ იყვნენ მძლავრებისა მის

¹ მათ. 26,41.

ვნებათადასა, არა განვიდენ მარტოდმყოფებისა ასპარეზსა, რადთა არა ძლეულ იქმნენ მტერისაგან, არამედ უწყს მათ კრებულსა შორის მოღუანეთასა ყოფად, ვიდრემდის მიიწინენ საზომსა მას ვნებათა ძლევისასა.

ხოლო რადთა სცნა, ვითარმედ უდაბნოსა უფალსა განვიდა მაშინ უფალი, ისმინე, ვითარ იტყვს მარკოზ, ვითარმედ: „იყო მწეცთა თანა“.¹ და იქცეოდა რად იგი უდაბნოსა მას, იხილე, ვითარითა უკეთურებითა და მზაკუფარებითა მოუჭდა მას ეშმაკი და ვითარი ჟამი ძიება-ყო, რამეთუ იტყვს მახარებელი:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „და იმარხა ორმეოც დღე და ორმეოც ღამე და მერმე შეემშია“ (4,2).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ვინაფთაგან ყოველსავე ცხორებისა ჩუენისათჳს იქმოდა, ამისთვის იმარხულა, რადთა შენ ისწაო, ვითარ კეთილ არს მარხვად და ვითარ საჭურველი არს დიდი ბრძოლად ეშმაკისა, რადთა გულისგმა-ჰყო, ვითარმედ შემდგომად ნათლის-ღებისა არა შუებასა და მთრვალობასა, დაგებასა ტაბლათა ბრწყინვალეთასა ჯერ-არს შექცევად, არამედ მარხვისა წეს არს შეტკობად. ამისთვისცა არა თუ მისდა საწმარ იყო მარხვად, არამედ სწავლად ჩუენდა აღასრულა იგი; რამეთუ ვინაფთაგან ცოდვანი იგი პირველ ნათლის-ღებისა მოწვეწულნი ჩუენ ზედა მონებაჲმან მუცლისამან მოაწინა, ამისთვის თავადმან შემდგომად ნათლის-ღებისა მარხვად დააწესა; ვითარცა მკურნალმან პოის რად უძღური სენითა მწართა შეპყრობილი და ჳელოვნებით და წყალობით განკურნის იგი და, განკურნის რად, ამცნის არღარა შთავრდომად მიზეზთა მათ, რომელთაგან სენი იგი მოიწინა მის ზედა, ესრეთ უფალმანცა სახითა მით, რომელი აღასრულა, გკბრძანა ჩუენ, რადთა ვინაფთაგან ნათლის-ღებისა მიერ წყლულებანი იგი ცოდვათა ჩუენთანი განიკურნენ, არღარა მივაქციოთ შუებად და მთრვალობად, რომლისაგან წყლულებანი იგი შეგუემთხვნეს, არამედ მარხვითა და მოღუანებითა ვისწრაფოთ სიმრთელისა მის ჩუენისა უვნებლად დამარხვად; რამეთუ ადამცა უკრძალველობამან ჭამადისამან გამოწადა სამოთხით, და წყლითრლუნად იგი ნოეს ზე შუებაჲმან და ნაყროვანებაჲმან მოაწინა, და სოდომელთა ზედა ცეცხლი და წუნწუბა აჲმანვე ვნებაჲმან აწჳმა. რამეთუ დაღაცათუ სიძვისა და მამათმავლობისა ბრალი იყო მათ ზედა, არამედ ორისავე მის ბოროტისა ძირი შუებისა და ნაყროვანებისაგან იყო, რომელსაცა წინანარმეტყუელი ეზეკიელ მოასწავებს და იტყვს: „გარნა ესე ურჩულოებად სოდომელთად არს, რამეთუ ანჳარტავნებითა და სიმაძღრითა პურისადა და ფუფუნებითა სანოაგეთადა იშუებდეს“.² ეგრეთვე ჰურიათა მაშინ ქმნეს დიდნი იგი ბოროტნი, ოდეს შუებითა და მთრვალობითა ურჩულოებად მიდრკეს.

¹ მარკ. 1,13. ² ეზეკ. 16,49.

ამისთვის იმარხა უფალმან ორმეოც დღე, რადთა გკჩუნოს ჩუენ ნა-
მალი ცხოვრებისა, და არა გარდაჰმატა უმეტეს ამისა, რადთა არა გარდა-
მატებულებითა მით საკურველებისადა ურწმუნო იქმნენ ვიეთნიმე ჭეშ-
მარიტებასა მას განკაცებისა და განგებულებისა მისისასა. რამეთუ ორ-
მეოცისა მის დღისათჳს არა შემოვიდოდა ურწმუნობაჲ ესე, ვინადთგან
პირველ ამისაცა მოსე და ელია იმარხეს ორმეოც დღე, განმტიციებულთა
ძალითა მით ღმრთისამიერიითა. ხოლო უკუეთუმცა უმეტეს ამისსა ქმნა
მარხვად იგი, ურწმუნომცა ვიეთნიმე იქმნეს, ვითარცა ვთქუ ჳორცთშეს-
ხმისა მისისათჳს.

ხოლო იმარხა რად ორმეოც დღე და ორმეოც ღამე, მერმე შეემშია, რად-
თა ადგილ-სცეს ეშმაკსა მოსლვად და ბრძოლად მისდა, რადთა ჰბრძოდის
მას და გკჩუნოს, თუ ვითარ ჯერ-არს ბრძოლად და ძლევად; ვითარცა იქმან
მორკინალთა მთავარნიცა, ენების რად სწავლად მონაფეთა თჳსთა, თუ ვი-
თარ უჴმს რკინობაჲ, შევიდიან სარკინობელად ნეფსით თჳსით და აღასრუ-
ლებდიან ლუანლსა მას რკინობისასა, რადთა ხედვიდენ მოსწავლენი იგი და
ისწაონ, ვითარ ჯერ-არს რკინობაჲ და ძლევად წინააღმდეგომთაჲ; ეგრეთვე
მაცხოვარმანცა ქმნა: ენება ჩუენებად წესი ბრძოლისა ეშმაკისაჲ, ამისთჳს
ადგილ-სცემს მას, რადთა მოუჴდეს ბრძოლად, და შიშმილი იგი აუწყა მას;
და მო-რად-უჴდა, არა მეყსეულად უჩინო-ყო, რომელი-იგი ადვილ იყო წი-
ნაშე მისა, არამედ ადგილ-სცა მას, და ვითარმცა ვინ თქუა, თუ შეიტყუ-
ვა და მიუშუა, ვიდრემდის ეკუეთა მას ერთგზის და ორგზის და სამგზის
და მერმელა დააკუეთა იგი, ვითარცა შეჴგვანდა. დააკუეთა და შემუსრა
უძლური იგი და სანყალობელი, რომელი შეეკუეთა, ვითარცა პირველსა
ადამს, და დაეცა დაცემითა მით აღუდგომელითა, საცინელ იქმნა და სა-
კიცხელ, საძლეველ და ფერწისსაცემელ მონათა უფლისათა, ანჰარტავანი
იგი და მზაკუვარი. გარნა ნუმცა ესრეთ ზედამოსლვით თანანარჴჴედებით
ბრძოლასა მას და ძლევასა, რომელი იქმნა უფლისა მიერ, რადთა არა და-
გაკლნეთ თქუენ სარგებელისაგან, არამედ თითოეული იგი ძლევად კეთი-
ლად განვიცადოთ, ვითარცა-ესე მოგვთხრობს მახარებელი:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „და მერმე შეემშია. მოუჴდა მას გამომცდელი იგი და
ჰრქუა: უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაჲ, თქუ, რადთა ქვანი ესე პურ იქმნენ“
(4,2-3).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ვინადთგან ესმა ჴმად იგი ზეცით მოსრული, რომელი იტ-
ყოდა: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი“,¹ და ესმა იოვანესიცა იგი მისთჳს ნა-
მებაჲ, ვითარმედ: „აჰა ტარიგი ღმრთისაჲ, რომელმან აიხუნეს ცოდვანი
სოფლისანი“,² და სხუად იგი მსგავსი ამისი, და მერმე იხილა იგი, ვითარ
შეემშია, განცუპრებულ იყო და ვერცა ამისი ეძლო დარწმუნებად, თუ კა-

¹ მათ. 3,17. ² იოან. 1,29.

ცი არს ლიტონი, წამებისა მისთვის, რომელი ასმიოდა მისთვის ზეცით და იოვანესგან, ვერცა ამას დაამტკიცებდა, თუ ძე ღმრთისაჲ არს, რაჟამს-იგი ხედვიდა მას მშიერად. ამისთვისცა, განკვრეულ რაჲ იყო მლევანისა მის საქმისათვის, მოუჭდა მას და იჭუეულნი სიტყუანი წინაუყვნა, ვითარცა-იგი ოდესმე ადამს ჰრქუა სიტყუად მოპოვნებული არაარსი, რაჲთა ცნას არსი იგი. ეგრეთვე აქა, ვინაჲთგან არა იცოდა ცხადად მიუწომელი იგი განგებულებისა ქრისტეს საიდუმლოდ და თუ ვინ არს, რომელსა ხედავს, მრავალღონეთა იწყო ბადეთა თხზვად, რომლითა ჰგონებდა დაფარულისა მის საიდუმლოდსა ცნობად.

და ისმინეთ, ვითარი სიტყუად წინაუყო: „უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაჲ, თქუ, რაჲთა ქვანი ესე პურ იქმნენ“. არა თქუა, თუ: ვინაჲთგან გშიის, თქუ, რაჲთა ქვანი ესე პურ იქმნენ, არამედ: „უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაჲ“, რამეთუ ამისა ცნობად იყო მოსწრაფებაჲ მისი. ამისთვის ესრეთ ჰრქუა, რამეთუ ჰგონებდა სიტყვთა მით საქებელითა ლიქნად მისა, და შიმშილი იგი არა ავსენა, რაჲთა არა ვითარცა მაცუედრებელად ჩნდეს. რამეთუ არა იცოდა სიმაღლე იგი განგებულებისა მის და ჰგონებდა, თუ შეურაცხება არს მისა შიმშილი იგი. ამისთვისცა არა ავსენა სიტყუასა მას შინა ლიქნისასა შიმშილი, არამედ ძეობაჲ ღმრთისაჲ შორის შემოიღო. ხოლო ქრისტემან პირველსავე სიტყუასა ზედა დაამჭუა მისი იგი ზუაობაჲ და გამოაჩინა, ვითარმედ არა სირცხვლისა ღირს არს საქმე იგი, არცა სიბრძნისა მისა უღირს. და რომელი-იგი მან, ვითარცა შეურაცხი რაჲმე, დაიღუმა, ესე შორის შემოიღო თავადმან და ჰრქუა მას:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა დ: „წერილ არს: არა ხოლო თუ პურითა ცხონდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვთა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა“ (4,4).

თ ა რ გ მ ა ნ ი: იხილე მანქანებაჲ უკეთურისა მის ეშმაკისაჲ, ვინაჲ ყო დასაბამი ბრძოლისაჲ მის და ვითარ არა დაივინყა თვისი იგი ჳელოვნებაჲ. რამეთუ რომლითა სახითა პირველი იგი კაცი გამოწადა სამოთხით და ბევრეულთა მათ ბოროტთა შთააგდო, მისვე საქმისაგან აქაცა ყო დაწყებაჲ ბრძოლისაჲ. მონებასა მას ვიტყვ მუცლისასა, ვითარცა ანცა ჩუეულეზა არს სოფელსა შინა უმეცართაცა მიერ ესევითარისა სიტყვსაჲ: ბევრეული ბოროტი მუცლისათსო. ხოლო ქრისტემან გამოაჩინა, ვითარმედ მოყუარეთა ღმრთისათა და მოქმედთა სათნოებისათა ვერცა თუ ესევითარი იგი მძლავრობაჲ აიძულეზს უჯეროდსა რაჲსამე ქმნად. ამისთვისცა დაღაცათუ შიოდა, არავე ერჩდა სიტყუასა მას, რაჲთა გუასწაოს ჩუენ არარასა ზედა მორჩილებაჲ ეშმაკისაჲ. რამეთუ ვინაჲთგან პირველი იგი კაცი ამით სახითა გარდაჰვდა რჩულსა და შესცოდა ღმერთსა, ამისთვის გუასწავლის უფალი, რაჲთა დაღაცათუ არა გარდასლვად მცნებისაჲ იყოს, რომელსა ეშმაკი გუანუევედეს ქმნად, არავე მივერჩედეთ მათ, და უფროდსად, დაღაცათუ კეთილსაცა რასმე გუეცყოდის მტერი, არა ჯერ-არს ყოვლადვე სმენად

მისი. და იხილე, ვითარ ოდეს ძედ ღმრთისა ეტყოდეს უფალსა ეშმაკნი, პირსა დაუყოფდა მათ;¹ და პავლეცა შეჰრისხნა, ამას ესევეთარსავე ღალადებდეს რად, დაღაცათუ რომელსა-იგი იტყოდეს, არა ბოროტ იყო, არამედ უფროსად კეთილ და სავმარ; არამედ რადთა სრულიად შეურაცხ-ყენეს იგინი და შორს-ყოს ჩუენგან ზრახვად მათი და გუასწაოს ჩუენ სრულიადი მათა მიმართ მტერობად, ამისთვის სდევნიდა მათ და პირსა დაუყოფდა და დუმილსა უბრძანებდა.²

ამისთვისვე წესისა და ამისვე სახისათვის არცა აქა თავს-იდვა სიტყუად მისი, არამედ ჰრქუა მას: „არა ხოლო თუ პურითა ცხონდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა“. ხოლო ესე ესრეთ არს, ვითარმედ: ძალ-უც ღმერთსა თვნიერ პურისაცა სიტყვითა თვისითა გამოზრდად მშვიერისა. ძუელისა წერილისაგან მოართუა მას წამებად, რადთა ჩუენ ვისწაოთ, გინა თუ გუშვიოდის, გინა თუ სხუასა რასმე ძნელოვანსა მივეცნეთ, არაოდეს განყენებად სასოებისაგან ღმრთისა.

ხოლო იტყვან ვიეთნიმე, ვითარმედ: რად არა, რომელი-იგი ვითარცა შეუძლებელი მტერმან წინაუყო გამოსაცდელად, – გარდაქცევად ქვათად პურად, – ქმნა ესე უფალმან, რადთამცა უმეტესად ჰრცხუნა მას? ვჰრქუა ესევეთარისა მეტყუელთა მათ, ვითარმედ: რადსათვსმცა ქმნა ესე? არა თუ ეშმაკსა სარწმუნოებად მოსლვად ეგულებოდა და ამისთვის ეძიებდა სასწაულისა მის ხილვად, არამედ რადთა უკუეთუ ქმნას სასწაული იგი, ანუ შეუძლოს ცნობად, უკუეთუ ნანდკლვე ჭეშმარიტად ძე ღმრთისა არს, ანუ უკუეთუ არა ბუნებითი იგი ძე ღმრთისა არს, არამედ ესრეთ ხოლო ეწოდა, რადთა ამხილოს მას ურწმუნოებად, რომელ არა ჰრწმენა, თუ ძალ-უც ღმერთსა გამოზრდად მისა. ამისთვისცა უფალმან ბოროტისა მის მზაკვარებისა მისისა დაწსნად ესევეთარი მიუგო პასუხი, რომლითა ვერცა, რასა-იგი ეძიებდა ცნობად, უძლო, ვერცა, რომელსა ზედა ისწრაფდა მხილებად მისა, მიემთხვა, ვითარ-იგი პირველქმნულთა მათ უყო და რომელნი-იგი ამით ესევეთარითა სახითა აცთუნნა და ამხილა, ვითარმედ არა აქუს ღმრთისა მიმართ სასოებად მტკიცე. ამისთვისცა წინააღმდეგომ სიტყუათა ღმრთისათა აღუთქუა მათ ეშმაკმან, და რომლისაგან ებრძანა ღმერთსა, ვითარმედ: „უკუეთუ შჭამოთ ხისა მისგან, სიკუდილითა მოსწყდეთო“,³ მან უფროსად ჭამითა მისითა უქადაგა მათ უკუდავებად და განღმრთობად და ესრეთ ამაოვითა სასოებითა აცთუნნა და ურწმუნოებად შთაყარნა და მერმე კეთილთა მათგან სამოთხისათა განწადნა; ეგრეთვე ენება აქაცა ქმნად, არამედ იძლია; და გამოაჩინა ქრისტემან, ვითარმედ არცა მაშინ სიტყვსათვის ეშმაკისა, არცა უკუანასკნელ, ოდეს თანამზრახველნი ეშმაკისანი – მზაკუვარნი ჰურიანი – ეძიებდენ სასწაულსა, ჯერ-არს თანამიყოლად სიტყვსა მის და ამაოვსა მის გამოსაცდელად თქუმულისა სათხოელისა; რადთა ვითარ-

¹ მარკ. 3,11-12; ლუკ. 4,41.

² საქმე 16,16-18.

³ დაბ. 2,17.

ცა ყოვლისა კეთილისა სახე გუექმნა, ესეცა გუასწაოს, რაფთა დაღაცათუ ძალ-გუედვას სასწაულისა ანუ სხვსა რაფსამე დიდებულისა საქმისა ქმნად, ოდეს ვხედვიდეთ, ვითარმედ არარაფ არს სარგებელი საქმისა მისგან, არამედ ცუდად და ამოდ იქმნების, არა ვინებოთ ქმნად საქმისა მის და არცა კუალად თავს-ვიდვათ რასავე ზედა სმენაფ განძრახვათა ეშმაკისა, დაღაცათუ კეთილსა რასმე გუანუევდეს, დაღაცათუ ჭირსა და ინროებასა შინა ვიყვნეთ, ყოვლაფვე არა ვერჩდეთ მას. ესრეთ უკუე იძლია რაფ ბილნი იგი და მედგარი და ვერ უძლო დარწმუნებად, რაფთამცა ქმნა უფალმან, რომელსა-იგი ეტყოდა, და უფროფსად, ვიდრელა შიმშილიცა წინამდებარე იყო მანუეველად საქმისა მის, სხუაფ სახე ბრძოლისაფ შემოილო სართულსა მას ზედა ტაძრისასა და ჰრქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ფ: „უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაფ, გარდაიგდე თავი შენი ამიერ ქუეყანაფ, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: ანგელოზთა მისთა უბრძანებიეს შენთვს, და ჴელთა ზედა აღგიპყრან შენ, რაფთა არა წარსცე ქვასა ფერვი შენი“ (4,6).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ვინაფთგან ერთგზის ადგილ-სცა უფალმან მოსლვად ეშმაკისა და ბრძოლად მისა, რაფთა ჩუენ სახე წინააღდგომისა მისისაფ გუასწაოს, არა ინება ყოვლაფვე ჩუენებად მისა ძალი ღმრთეებისა მისისაფ და უჩინო-ყოფაფ მისი ანუ ქუესკნელთა შთაჴდაფ და გეჴენიასა ცეცხლისასა შეყენებაფ, რომელ-იგი ადვილ იყო წინაშე მისა, ვიდრელა დაკამკამებაფ თუალისაფ. არამედ ენება, რაფთა ყოველივე ღონე ბრძოლისა მისისაფ წარმოილოს მის ზედა და ყოველსა ზედა მძლე ექმნეს ბუნებითა მით კაცობრივითა, რამეთუ ვითარცა ვიტყვოთ, ვითარმედ ბუნებითა მით ჴორცთაფთა ჴამა და სუა და დაიძინა და დაშურა, ეგრეთვე ბრძოლაფცა ეშმაკისაფ თავს-იდვა, რაფთა ჩუენ ძღვევისა მისისა სახე მოგუცეს და ძღუელებაფ იგი ადამისი განკურნოს. ამისთვს ადგილ-სცა ყოვლითავე ღონითა კუეთებად მისა, რაფთა ყოვლით კერძო შეიმუფსროს ძალი მტერისაფ. ხოლო რაფსათვს თვთოეულსა მას ბრძოლასა ზედა ამას სიტყუასა ჴყოფს მტერი დასაბამაფ: „უკუეთუ ძე ხარ უფლისაფ?“ რაფ-იგი პირველთა მათ კაცთა ზე ქმნა, მასვე ჰბრძავს აქა ქმნად, რამეთუ ვითარცა მაშინ შეასმინა ღმერთი მათა მიმართ და ჰრქუა: „იცოდა ღმერთმან, რამეთუ რომელსა დღესა შჴამოთ ხისა მისგანი, აღგეხილნენ თუალნი თქუენნი და იყვნეთ თქუენ, ვითარცა ღმერთნი, მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა“,¹ რაფთამცა დაარწმუნა, ვითარმედ არარაფ კეთილი უყო მათ ღმერთმან, არამედ აცთუნნა და არაარსი ამცნო, ეგრეთვე აქა ესევითარსავე გულისსიტყუასა მოასწავებს, ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: გამოაჩინე და საქმით დამარწმუნე, უკუეთუ გაქუს ძალი შემსგავსებული ძესა ღმრთისასა. უკუეთუ არა, ცან, ვითარმედ ცუდად გინო-

¹ დაბ. 3,5.

და ძედ საყუარელად და გაცთუნა, ალგითქუა რაჲ ესევეთარი იგი ნიჭი და არა მოგცა. უკუეთუ კულა მიუცემიეს, საქმით გულსავსე-მყავ. ესევეთარი ჳელოვნება იჳმარა მზაკუვარმან მან და საძაგელმან, ბოროტმან მან მონა-მან და განდგომილმან, რაჲთამცა ცნა, თუ ნანდკლვე იგი არს ძე ღმრთისაჲ, რამეთუ განგებულებითა ღმრთისაჲთა დაეფარა მას საქმე იგი დიდებული და საღმრთოდ. ამისთჳს ღონის-ძიებით მოიპოვნა სიტყუანი იგი და წამებაჲ წერილთაგან მოიღო სიტყუსა თჳსისა დასამტკიცებელად. ხოლო უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტე არავე შეჳრისხნა, არცა დაწუა ცეცხლითა გულის-წყრომისა მისისაჲთა, რამეთუ ენება, რაჲთა ყოველივე ღონე ბრძოლისა თჳსისაჲ შემოიღოს გამომცდელმან მან, არამედ ფრიადითა სიმჳკდითა კუ-ალადცა სიტყუად წერილისაჲ წინაუყო და ჳრქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „წერილ არს: არა განსცადო უფალი ღმერთი შენი“ (4,7).

თ ა რ გ მ ა ნ ი : რაჲთა გუასნაოს ჩუენ, ვითარმედ ბრძოლად ეშმაკისაჲ და ძღვევად არა სასწაულთმოქმედებითა გკლირს, არამედ სიმდაბლითა, სიმჳკდითა და სულგრძელებითა, და რაჲთა არარას ვიქმოდით მაჩუენებ-ლობით და ზუაობით. ხოლო იხილე მზაკუვარებასა თანა და უკეთურებასა წარწყმედილისა მის და შეჩუენებულისა ფრიადიცა იგი უგუზურებაჲ მისი სიტყუათა მათგანცა, რომელნი შემოიხუნა წამებაჲ თჳსა, რამეთუ ესმა რაჲ, ვითარ მოიღო უფალმან წამებაჲ წერილთაგან სიტყუანი ჯეროანნი და შემ-სგავსებულნი, მოიღო მანცა წამებაჲ ცუდი და შეუმსგავსებელი წინამდებ-არისა მის პირისა. რამეთუ არა თუ წერილი იგი, ვითარმედ: „ანგელოზთა მისთა უბრძანებიეს შენთჳს“,¹ ამას აწუევს: შთაგდებაჲ თავისა სიღრმედ აწუ გარდაგდებაჲ სიმალღეთაგან, და არცა უფლისათჳს თქუმულ არს სიტ-ყუად ესე, ვითარ სხუანი იგი უფლისათჳს თქუმულნი სიტყუანი.

ხოლო უფალმან არავე ამხილა, არცა შეჳრისხნა ესევეთარისა უგუ-ზურისა და ამოღსა სიტყუსათჳს და ფრიად წინააღმდგომისა, რამეთუ არა არს საქმე ესე ძისა ღმრთისაჲ, გარდაგდებაჲ თავისაჲ, არამედ ეშმაკისაჲ და მსახურთა მისთაჲ, ხოლო ღმრთისა საქმე არს უფროჲსად დაცემულთაცა და ქუემდებარეთა აღდგინებაჲ, რამეთუ დაღაცათუმცა სასწაულისა ჯერ-იყო ჩუენებაჲ, არა გარდაგდებაჲ თავისაჲ ჯერ-იყო, რომელ-იგი ეშმაკთა ბანაკისა საქმე იყო, არამედ სხუათაცა ცხორებისა მინიჭებაჲ.

ესრეთ უგუზურებითა სავსე იყვნეს სიტყუანი იგი მტრისანი. ხოლო ამას ყოველსა ზედა არა გამოაჩინა ქრისტემან თავი თჳსი, არამედ ვითარ-ცა კაცი ეტყოდა მას, ვითარმედ: „არა ჳურითა ოდენ ცხონდების კაცი“, და „არა განსცადო უფალი ღმერთი შენი“, და ბუნებითა მით ჩუენითა სძლო მას, რომლისათჳსცა, ვითარ-იგი მოუჳდის რაჲ უძღური ვინმე მჳედარსა ახოვანსა ბრძოლად და მოიწყლის მის მიერ ძლიერად და ტკივილისა მის-

¹ ფსალმ. 90,11.

გან და სისხლისა დაბნელებული აქა და იქი ეკუთვებიან, ეგრეთვე უძლურსა მას და უბადრუკსა შეემთხვა, შებმა-უყო რად უფალსა და იძლია ერთგზის და ორგზის და მოიწყლა ძლიერად, ცნობამიღებული წარჰრევდა და ჴელ-ყო სხუასაცა მესამესა სახესა ბრძოლისასა, ვითარცა იტყვს მახარებელი:

სახარება: „**კუალად წარიყვანა იგი მთასა მალალსა და უჩუენნა ყოველნი სუფევანი სოფლისანი და დიდება მათი და ჰრქუა მას: ესე ყოველი მიგცე, უკუეთუ დაჰვარდე და თაყუანის-მცე მე. მაშინ ჰრქუა მას იესუ: წარვედ ჩემგან მართლუკუნ, ეშმაკო, რამეთუ წერილ არს: უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანის-სცე და მას მხოლოსა ჰმსახურებდე“ (4,8-10).**

თარგმანი: ვინაფთვან სიტყუად გამობისად თქუა და იკადრა თვსად ნოდებად, რომელსა ზედა არად აქუს ჴელმწიფებად, რამეთუ ყოველივე ჴელმწიფებასა შინა ღმრთისასა არს, და ენება ურცხვნოსა მას და დაწყეულსა ჩემებად თავისა თვისა პატივისა მას საღმრთოსა, მერმელა შეჰრისხნა და არავე რისხვით, არამედ მიუგო სიმშკდით: „წარვედ მართლუკუნ ჩემგან, ეშმაკო“, რომელ-იგი ბრძანებად იყო უფროსად, ვიდრელა შერისხვა. რამეთუ ჰრქუა რად: „წარვედ ჩემგან მართლუკუნ“, მუნქუესვე იოტა იგი და განდევნა და ვერლარა უძლო განცდად.

ხოლო ვითარ იტყვს ლუკა, ვითარმედ: „აღასრულნა ყოველნი განსაცდელნი“?¹ ესე ამისთვის, რამეთუ თავნი რად და დასაბამნი ყოველთა ბრძოლათა და განსაცდელთანი თქუნა, ამისთვის დაურთო, ვითარმედ: „ყოველნი განსაცდელნი“. სამთა ამათ ყოველთა სახელი უწოდა, რამეთუ ესენი არიან შესაკრებელნი ყოველთა ბრძოლათა და ყოველთა განსაცდელთანი: მონებად მუცლისად და ცუდადმზუაობრობად და სიყუარული საფასეთა და საჯმართად, რომელ-ესე, ვითარცა უძლიერესი ბრძოლად, უკუანადსკნელ წინაუყო; რამეთუ ესრეთ არს წესი ბრძოლისა მისისად, რადთა რომლითა ჰგონებდეს ძლევად, იგი უკუანადსკნელ ყოვლისა შემოიღოს, ვითარცა იობის ზე ქმნა. ეგრეთვე აქა უდარესთაგან იწყო და უძლიერესთა მიმართ აღვიდა.

ვითარ უკუე ჯერ-არს ძლევად ბრძოლათა მისთად? ესრეთ, ვითარცა უფალმან გუასწავა, რადთა მარადის ღმრთისა მივივლტოდით და არცა ჟამსა სიყმილისასა დავიწსნებოდით, არამედ გურწმენეს მისი, რომელსა ჴელ-ენიფების სიტყვით ოდენ გამოზრდად ჩუენდა. არცა ნიჭთა მათ ზედა მოცემულთა ღმრთისაგან გამოვსცდიდეთ მას, არამედ ზეცისა დიდებასა ვეძიებდეთ და კაცობრივი ყოვლადვე შეურაცხ იყოს წინაშე ჩუენსა. არცა კუალად საფასეთა და საჯმართათვს მეტთა და გარდარეულთა მეძიებელ ვიყვნეთ, რამეთუ არარად ესრეთ დაამორჩილებს კაცსა ეშმაკისა, ვითარ ანგაჰრებად და უმრავლესისა ძიებად, და ესე საცნაურ არს აწინდელთაცა საქმეთაგან, რამეთუ აწცა მრავალნი არიან, რომელნი იტყვან, ვითარმედ:

¹ ლუკ. 4,13.

„ესე ყოველი მიგცე, უკუეთუ დაჰვარდე და თაყუანის-მცე“, რომელნი-იგი კაცნი არიან ბუნებითა, არამედ ჭურჭელ ეშმაკისა უქმნიან თავნი თვსნი. და მაშინცა არა თავით თვსით ხოლო ჰბრძოდა ეშმაკი უფალსა, არამედ კაცთა მიერცა, რომელნი ჭურჭელ მისისა მის უკეთურებისა ქმნილ იყვნეს; და ამას მოასწავებს ლუკა, რომლისათვისცა იტყვს, ვითარმედ: „განემორა მას ვიდრე ჟამ რავდენმე“;¹ რაფთა გამოაჩინოს, ვითარმედ ამისა შემდგომად ეგულებოდა კულადცა ბრძოლად მისა, არა თავით თვსით, არამედ მსახურთა მათ და ჭურჭელთა მისთა მიერ, რომელ იყვნეს ჰურიანი. ხოლო ან ძლეული ივლტოდა, ვითარცა ესერა აღმოვიკითხეთ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე : **„მაშინ დაუტევა იგი ეშმაკმან მან, და ანგელოზნი მოვიდეს და ჰმსახურებდეს მას“ (4,11).**

თ ა რ გ მ ა ნ ი : ვიდრემდის ბრძოლად იგი აღესრულებოდა, არა შეუნდო ანგელოზთა გამოჩინებად, რაფთა არა განაფროთხოს ნადირი იგი, რომლისა მონადირებად ენება. ხოლო ვინაფთაგან ყოვლით კერძო არცხვანა მტერსა მას და იოტა, მაშინლა გამოჩნდეს ანგელოზნი, რაფთა სცნა შენ, ღმრთის-მოყუარეო, ვითარმედ ოდეს მძლე ექმნა ბრძოლასა ეშმაკისასა მადლითა ქრისტესითა, შენ ზედაცა ანგელოზნი მოვიდენ მაქებელად და გკრგვნოსანმყოფელად. ეგრეთ წერილ არს ლაზარესთვისცა, ვითარმედ შემდგომად გამოკურვებისა მის საჯუმილითა გლაზაკობისა და სიყმილისა და ინროები-საფთა წარიყვანეს იგი ანგელოზთა და მიიყვანეს წიაღთა აბრაჰამისთა. რამეთუ, ვითარცა მითქუამს, უმრავლესთა მათ საქმეთა სამოდღურებელად ჩუენდა იქმოდა უფალი, რაფთა გკჩუენოს, ვითარმედ ჩუენ ზედაცა ესრეთ იქმნების.

სწავლად იბ

რაფთა არა პირსა მეტყუელთასა ვხედვიდეთ, არამედ სიტყუათა მათთა გულისწმა-ვჰყოფდეთ; და სასუფეველისათვს და სატანჯველთა მათთვს მერმეთა

ან უკუე ვინაფთაგან ესე ყოველი შენთვს იქმნა, ჰბაძევი შენცა, მორწმუნეო, სახესა მას ძლევისასა. დაღაცათუ მოგიწდეს ვინ მონათაგანი მის ეშმაკისათა და გეტყოდის, ვითარმედ: უკუეთუ ძალ-უც სარწმუნოებასა შენსა, არქუ მთასა ამას, რაფთა იცვალოს ამიერ, ნუ შეშფოთნები, ნუცა შეორგულდები, არამედ არქუ მას, რაფთა-იგი გესმა მეუფისაგან შენისა: „არა განსცადო უფალი შენი“.² დაღათუ წინაგიყოს შენ გამომცდელმან მან დიდებად და ძლიერებად და სიმრავლე საფასეთა და გეტყოდის, ვითარმედ: „ესე ყოველი მიგცე შენ, უკუეთუ დაჰვარდე და თაყუანის-მცე მე“;³ დადეგ

¹ ლუკ. 4,13.

² მათ. 4,7.

³ მათ. 4,9.

ახოვნებით და წინააღმდეგ და არქუ: „წარვედ ჩემგან მართლუკუნ, ეშმა-
კო“;¹ რამეთუ არა თუ ხოლო მეუფესა ჩუენსა წინაუყო ეშმაკმან ესევეითარ-
ნი განსაცდელნი, არამედ დლითი-დღეცა მონათა მისთა ესევეითართა სა-
ხითა ებრძვის არა მათათა შინა ხოლო და უდაბნოთა, არამედ სოფელთაცა
შინა და ქალაქთა და სადაცა პოოს მონად უფლისად.

რად-მე უკუე ჯერ-არს ქმნად? გარემიქცევაჲ ყოვლადვე ზრახვათა
მისთად და მოძულებაჲ მისი ყოვლითა გულითა და დაყოფად ყურთად არა
სმენად სიტყუათა მისთა, და რაოდენ უმეტესსა რასმე გკქადებდეს, უმეტე-
სად სივლტოლად მისგან, რამეთუ ევასცა ოდეს უმეტესი უქადა, მაშინ სრუ-
ლიად წარწყმიდა. რამეთუ მტერი არს დაუგებელი და მბრძოლი არს ჩუენი
სამარადისოდ, და არა მოსწრაფე ვართ ჩუენ ესრეთ ცხორებად, ვითარ მოს-
წრაფე არს იგი წარწყმედად. გარემივიქცეთ უკუე მისგან და განვეშორნეთ
მას ნუ სიტყუთა ხოლო და გონებითა, არამედ საქმითაცა, და ნუმცა რას
ვიქმთ ყოვლადვე ნებასა მისსა, არამედ ნებასა მეუფისა ჩუენისასა შეუდ-
გეთ, რამეთუ გკქადებს იგი მრავალსა, რადთა უმრავლესი წარგვლოს და
ჩუენ არცა ერთი რად მოგუცეს; გკქადებს ანგაჰრებისა მიერ სიმდიდრესა,
რადთა გამოგუყარნეს სასუფეველისაგან და განგუაშორნეს სიმართლისა-
გან, დაგკრწყავს მახეთა და ბადეთა საუნჯეთა მიერ სოფლისათა, რადთა
საუნჯეთა მათგან ზეცისათა გამოგუაჭუნეს; ჰნებავს აქა სიმდიდრე ჩუენი,
რადთა მუნ გლახაკ ვიპოვნეთ, და ოდეს ვერ უძლოს სიმდიდრისა მიერ წარ-
ტყუენვად ჩუენი, სხუასა ღონესა მოიპოებს და სიგლახაკითა ჴელ-ჴყოფს
ბრძოლად, ვითარცა-იგი ქმნა იობის ზე, რამეთუ იხილა რად, ვითარმედ
სიმდიდრისაგან არა ევნების, სიგლახაკისა მიერ ენება შეყენებაჲ ბადეთა
თვსთა. და რადმცა იყო ამის საქმისა უცოფეს, რომელ ესეცა ვერ გულის-
წმა-ყო, თუ რომელმან-იგი სიმდიდრე ღმრთისმოშიშებით წარიწადა, არა
უფროსად სიგლახაკესა შინამცა აჩუენა სიკეთე მისი? უკუეთუ სიძნელე-
მან მან სიმდიდრისამან ვერ ავნო, ვითარმცა ავნო სიგლახაკემან, რომე-
ლი-იგი უფროსად თანაშემწე არს სათნოებისად? ამისთვისცა დაღაცათუ
სიმდიდრესა შინა მართალ და ჭეშმარიტ იყო ნეტარი იგი და განშორებულ
ყოვლისავე ბოროტისაგან, არამედ ფრიად უბრწყინვალესად გამოჩნდა
სიგლახაკესა შინა, რამეთუ საფასეთა მისთა უძლო უკეთურმან მან წარ-
ტაცებად, ხოლო სიყუარულსა ღმრთისასა არა თუ წარტაცებად ვერ უძ-
ლო, არამედ უფროსად განმრავლებულსა და აღორძინებულსა ხედვიდა.
და რაოდენ ჴორციელისა სიმდიდრისაგან განაშიშულა, უმეტეს შეიმკო იგი
სიმდიდრითა მით სულიერითა, და რავდენცა უმეტესნი წყლულებანი დას-
ხნა მის ზედა, იხილა იგი უმეტესად განძლიერებული. ამისთვის ვითარცა
ყოველი ღონე მანქანებისა თვისსად აღძრა და ყოვლით კერძო იძლია, ძუე-
ლი იგი ღონე თვისი მოიპოა – დედაკაცი, რომლისა მიერ ადამი აცთუნა; და

¹ მათ. 4,10.

შეჰმოსა მას სახე წყალობისად, რომელი-იგი მოუჭდა მეუღლესა და სალ-
მობათა მათ მისთა და მწუხარებათა საწყალობელად წარმოიტყოდა. მერ-
მე განრომისათჳს ესევეთართა მათ და ესოდენტა ბოროტთაგან შემოილო
განზრახვაჲ იგი ბოროტი. არამედ ცუდ იქმნა ღონე იგი მზაკუვარისად, რა-
მეთუ გულისწმა-ყო საკრველმან მან კაცმან მახეთა მათ მისთა მალული
და სიტყუანი იგი, სავსენი ფრიადითა სიბრძნითა, წინაუყვნა დედაკაცსა
მას, რომელთა მიერ სირცხულელ იქმნა მტერი.

ეგრეთ გკლირს ჩუენცა ყოფად, რაჲთა გინა თუ ძმად, გინა თუ მეგობა-
რი, გინა თუ მეუღლე ბირებითა ეშმაკისაჲთა გუეტყოდის რასმე სავნებელ-
სა სულისასა, არა პირსა მას მეტყუელისასა ვხედვიდეთ, არამედ ძალსა მას
სიტყუათასა გულისწმა-ვჰყოფდეთ, და უკუეთუ სავნებელ სულისა იყვნენ
სიტყუანი იგი, გარემივაქცევდეთ ჩუენგან და ყოვლადვე ნუმცა ვისმენთ
მათ. რამეთუ ანცა მრავალსა ესევეთარსა იქმს ეშმაკი და წყალობისათჳს
შვილთა და თვსთაჲსა მიგვზიდავს შუებად და სიმდიდრედ და ჩანს იგი, ვი-
თარცა ერთგული განმზრახი, არამედ არს ფრიად ორგულ და მბრძოლ, რა-
მეთუ მისი არს ესე საქმე, რაჲთა ღონის-ძიებით შთაგუყარნეს შუებათა და
გულისთქუმათა.

ნუმცა უკუე მივერჩდებით მას, ნუცა შევიყუარებთ შუებასა და განსუ-
ენებასა სოფლისასა, არამედ უფროჲსად ჭირი შევიყუაროთ სოფელსა ამას,
რაჲთა მუნ ვპოოთ განსუენებაჲ, რამეთუ ღმერთიცა მრავალგზის ცხორე-
ბისათჳს ჩუენისა მოავლენს სოფელსა ამას ჭირსა რასმე, რაჲთა ღირს-
მყვნეს საუკუნესა მას განსუენებასა, ვითარცა წერილ არს: „რომელი უყუ-
არნ ღმერთსა, სწავლის; და ტანჯის ყოველი შვილი, რომელი შეიყუარის“.¹
ან უკუე ოდეს შუებით და განსუენებით ვიყვნეთ, უფროჲსად მაშინ გუ-
ელმოდენ და ვძრწოდით, რამეთუ უკუეთუ თანამდებ ცოდვათა მრავალთა
ვიყვნეთ და არარაჲ შეგუემთხვოს ჭირი ანუ განსაცდელი სოფელსა ამას
შინა, შიშისა ღირს არს ესე და ძრწოლისა ფრიადისა: ნუუკუე მერმესა მას
კუალადგებასა დამარხულ არს ჩუენდა ნაცვალი ბოროტთა ჩუენთაჲ? რა-
მეთუ ოდეს აქავე მცირედ რაჲმე მიგუეწადოს სასჯელი, მუნ აღგკსუბუქ-
დების განმზადებული იგი მოსაგებელი ცოდვათა ჩუენთაჲ. ხოლო ოდეს
ყოველსავე ზედა სულგრძელ გუექმნებოდის ღმერთი და ჩუენ უნანელო-
ბასა და ცოდვასა ზედა ვეგნეთ, დიდი სასჯელი დამარხულ არს ჩუენთჳს;
რამეთუ უკუეთუ ღირსთა და სათნოთა ღმრთისათა დიდად სარგებელ ექ-
მნებიან მწუხარებანი და ჭირნი, რაჲდენ უფროჲს ცოდვილთა სარგებელ
ექმნენ? ხოლო ცოდვილისა კაცისაჲ უტანჯველად და განუწურთელად ყო-
ფად მერმეთა მათ სატანჯველთა მომატყუებელ არს.

იხილე ფარაო და ნაბუქოდონოსორ, ვითარ სულგრძელ ექმნა ღმერთი,
და რაჲამს თვსსავე უკეთურებასა ზედა ეგნეს, უკუანადსკნელ უძკრე-

¹ იგავ. 3,12.

სი პატიჟი მიეწადა. და მდიდარსა მას ვინაფთგან აქა არარად ძკრი შეემ-
თხვა, ამისთვის მუნ უსანყალობელეს ყოველთასა იპოა, რამეთუ წარვლო
სანუთროფსა ამის ცხორებად შუებით და მუნ მიეწადა სასჯელი ყოვლი-
სადვე, სადა-იგი არლარად იპოებოდა ნუგეშინის-ცემად მიწეწულთად მათ
მის ზედა ბოროტთად. გარნა არიან ვიეთნიმე ესოდენ უგუნურ და ცოფ,
რომელ ყოველსავე ამის სანუთროფსასა ხოლო ეძიებენ და სიტყუათა მათ
უგულისწმოებისათა იტყვან: ვიშუებდე ნუთლა საშუებელითა ამით წინა-
შე თუალთა ჩემთა მდებარითა და მერმე განვიზრახო უხილავისა მისთვის
და უცნაურისა, რამეთუ სანადელ არს აღვსებად მუცლისად, აღსრულებად
გულისთქუმათად, განცხრომად და სიხარული; დღეს ვიშუებდე, და ხვალე
რადცა იქმნას! † უგუნურებად ამათ სიტყუათად! ჭეშმარიტად არარადთა
განყოფილ არიან ღორთაგან მეტყუელნი იგი ესევითარისანი. თქუ შენ,
მეტყუელო და მოქმედო ამოებისაო, ურწმუნო ხარა უხილავთა მათთვის?
იჭუეულ ხარა სატანჯველთა მათთვის ჯოჯოხეთისათა? † შენდა, რამეთუ
უურწმუნოეს იქმენ ეშმაკთასაცა. იგინი აღიარებდეს, ვითარმედ ჯოჯო-
ხეთი განმზადებულ არს მათთვის. ამისთვისცა, განასხმიდა რად უფალი, ეტ-
ყოდეს: „მოხუედ პირველ ჟამისა ტანჯვად ჩუენდა“,¹ რომლითა შეინამეს,
ვითარმედ განმზადებულ არს მათთვის სატანჯველი იგი საუკუნე; და შენ,
რომელი ესევითარსა პატივისა ღირსქმნილ ხარ და მიუთხრობელთა მათ სა-
იდუმლოთა ზიარებად ჩინებულ ხარ, მათსაცა უუგუნურეს და უურწმუნო-
ეს ხარა? – და ვინ მოვიდაო ჯოჯოხეთით და გკთხრა ჩუენ ესე ყოველი? –
მეტყვან ცნობანარწყმედულნი იგი, რომელთაცა ვჰკითხო მე: ვინ მოვიდა
ზეცით და გკთხრა, ვითარმედ არს ღმერთი შემოქმედი ყოველთად, ვინად
გუეუნყა, ვითარმედ არს ჩუენ თანა სული ცხოელი? რამეთუ უკუეთუ ხი-
ლულნი ოდენ გრწამს და უხილავთა ყოველთათეს იჭუეულ ხარ, იჭუეულ
ვიდრემე იქმნე შენ ღმრთისათესცა და ანგელოზთათეს და სულისთესცა
შენისა და ესრეთ სრულიად ოკერ და წარწყმედილ იპოო. არამედ გულის-
წმა-ყავ, ვითარმედ უფროსად უხილავთა სარწმუნოებად მტკიცე არს და
ჭეშმარიტ, ვიდრელა ხილულთად. დაღაცათუ საკვრველად გიჩნს სიტყუად
ესე, არამედ ჭეშმარიტ არს ესე და სარწმუნო. რამეთუ თუალნი ფრიად
სცთებიან არა თუ უხილავთა მათ ზედა ოდენ, რამეთუ იგინი ყოვლადვე
არა უხილვან, არამედ ხილულთაცა ამათ საქმეთა ზედა მრავალსა სცთები-
ან, ანუ სიშორისაგან ადგილისა, ანუ სიბნელისაგან ჰაერისა, ანუ გონები-
სა სხუად შექცევისაგან და სხვა მრავლისა საქმისაგან შემამფოთებელისა
თუალთადსა. ხოლო გონებამან შეინყნაროს რად ნათელი იგი ზეცისად, არა
იქმნების ყოლადვე ცთომად. ან უკუე წმიდათა მათ წინანარმეტყუელთა
და მოციქულთა, განწმიდნეს რად გონებანი თჳსნი, ყოველივე უცთომელად
იხილეს, ეგრეთვე ჩუენ, უკუეთუ განვიწმიდნეთ ვნებათაგან და განვნათ-

¹ მათ. 8,29.

ლდეთ ნურთითა წმიდათა წერილთადათა, ვიხილოთ ყოველივე ჭეშმარიტებით და უცთომელად, თუ რაბამნი კეთილნი განმზადებულ არიან მართალთათჳს, ანუ ვითარნი სატანჯველნი ელიან ცოდვილთა.

ამისთჳს გევედრები, საყუარელნო, ნუ ვაცთუნებთ თავთა ჩუენთა, ნუცა ბოროტთა მათ ზრახვათა შემოვიღებთ, რადთა არა ცეცხლისა მის საუკუნოდასა საჯუმილი უძკრესად დავიკრიბოთ თავთა ჩუენთა ზედა. რამეთუ უკუეთუ არა არს სასჯელი და სატანჯველნი ცოდვილთათჳს, არცა მართალთათჳს ვიდრემე განმზადებულ არს განსასუენებელი. იხილეთლა, სადა მიინვეის სიტყუად იგი გმობისად თქუმად, ვითარმედ უგულბელს-ყვნეს ღმერთმან ოფლნი იგი და შრომანი მონათა თჳსთანი. და ვითარმცა შესაძლებელ იყო ესე? რამეთუ უკუეთუ კაცმან, რაოდენცა უწყალო იყოს და ფიცხელ, არა უგულბელს-ყვის მონად ერთგული და დიდად დამაშურალი მსახურებასა შინა მისსა, არამედ ცხორებასაცა თჳსსა კეთილი უყვის მას და, აღესრულებინ რად, აზნაურებითა პატივ-სცის და საფასე დაუტევის; და შვილთა თჳსთა ანუ ვინცა შემდგომად მისა დაშთებინ, მიანდვის საურავი მისი და კეთილის-ყოფად; უკუეთუ კაცმან ესე ყვის, ღმერთმანცა სახიერმან და მონყალემან, ნყარომან მან სიტკბოებისა და კაცთმოყუარებისამან, უგულბელმცა-ყვნა მონანი თჳსნი: პეტრე და პავლე და იაკობ და იოვანე და სხუანი მსგავსნი მათნი, რომელნი სახელისა მისისათჳს მოსწყდეს და მიეცნეს სიყმილსა, საპყრობილესა, მჯეცთა, მახვლსა და ესოდენი თავსიდედეს ჭირი, რომელ არცა თუ რიცხჳ არს ღუანლთა მათთად? იგინი არა გვრგვინოსან-ყვნეს, არამედ დაივიწყნესა ღუანლნი მათნი და ესოდენი იგი შრომად მათი ცუდ იქმნესა? ვითარ შესაძლებელ არს ესე, ანუ რომელმანცა უგუნურმან მოიგონა ესევეთარი ცუდი და ამაოდ ზრახვად? რამეთუ ამას გულისსიტყუასა გამოაჩინებენ ზემოთქუმილნი იგი სიტყუანი. და უკუეთუ არა არს მისაგებელი ცოდვილთად მას საუკუნესა, არცა ვიდრემე მართალთად არს; და იპოვნენ ამით წესითა მოქმედნი იგი ურჩულოებისანი უმჯობეს ღმრთისმსახურთა მათ და სანატრელთა კაცთა, რამეთუ მათ წარვლეს საწუთროდ ესე შუებით და განცხრომით, ხოლო წმიდათა – ჭირით და ურვით, და მერმე, წარვიდეს რად მას საუკუნესა, არცა რად მათ მიიღეს მისაგებელი შუებისა მის და უნესობისად, არცა ამათ – შრომისა მის თჳსისა და მოლუანებისად. რომელმანმცა მძლავრმან და უწყალომან კაცმან ქმნა ესევეთარი უსახური განკითხვად მონათა შორის თჳსთა? ხედავა, ვითარსა ძნელსა და უჯეროსა საქმესა მიინვეის სიტყუად იგი უგუნურებისად?

კუალად ესე ყოვლადვე მოუგონებელ არს, უკუეთუმცა ვინ თქუა, თუ მართალთა მიიღონ სასყიდელი შრომათა მათთად, ხოლო ცოდვილნი დაშთენ უტანჯველად; რამეთუ უკუეთუ მართალთა სასყიდელი მიეცემის უეჭუელად, ცოდვილნიცა იტანჯვიან, ვითარცა გურნამს და ვიცით, ვითარმედ ესე ესრეთ არს, და არა ეგების სხუად რადმე ყოფად, გარნა მიღებად კაცად-კაცადისა საქმეთაებრ თჳსთა: კეთილი გინა ბოროტი.

ან უკუე თითოეულმან ესე გულისჴმა-ყავნ და ჰრწმენენ, და ნუვინ აც-
თუნებნ თავსა თვსსა, თუმცა ამას სანუთროსა შინამცა ხოლო იყო ცხორებად
ჩუენი და არამცა საუკუნოდცა წინაგუედვა მოსაგებელი; არამედ ივლტო-
დენ ყოვლისაგან ცოდვისა და შეუდეგინ გზასა მას მცნებათა ღმრთისა-
თასა, რადთა მას საუკუნესა არა ცეცხლად მიეცეს, არამედ სასუფეველი
ცათად დაიმკვდროს. უკუეთუ ვინმე თქუას, თუ: ვინ მოვიდა და გვთხრა
მის საუკუნოხსათვს, ვჰრქუათ მას: კაცი არავინ მოსრულ არს, რამეთუ და-
ლაცათუმცა მოვიდა, არამცა ვინ შეინყნარა სიტყუად მისი; არამედ მოვიდა
მეუფე იგი და უფალი ანგელოზთა და კაცთად, შემოქმედი ხილულთა და
უხილავთად. მან ყოველივე ჭეშმარიტებით გუაუწყა; რასა უკუე ვეძიებთ
კაცისა მიერ მოსლვასა, მითხარლა? თავადი იგი, ღმერთი და მსაჯული ყო-
ველთად, დღითი-დღე ჴმობს ჩუენდა მომართ, ვითარმედ სასუფეველი გან-
მზადებულ არს მართალთათვს, და ცეცხლი გეჴენიისად აღტყინებულ არს
ურჩულოთა და ცოდვილთათვს. და ესე საცნაურ არს ამისგანცა, რომელ
ვხედავთ, ვითარმედ მრავალნი ურჩულოთაგანნი აქავე იტანჯნეს, რამეთუ
ესე შეუძლებელ არს, რადთამცა რომელნიმე ცოდვილნი იტანჯებოდეს და
რომელნიმე უტანჯველადმცა დაშთეს. ვინადთგან ჭეშმარიტად თუალუხუ-
ავ არს ღმერთი და მართლმსაჯული, ვითარ ეგების ესე ყოვლადვე?

ვითარ უკუე რომელნიმე უკეთურნი იტანჯებიან აქა და რომელნიმე
უტანჯველად წარვლენ? ესე ამისთვს, რამეთუ არცა ყოველნი აქა მიიღებენ
მისაგებელსა, რადთა არავინ თქუას, თუ არღარა არს აღდგომად მკუდარ-
თად და სასჯელი, არამედ ყოველთა მიუღებთეს აქავე მისაგებელი მათი,
არცა ყოველთა დაუტეობს უტანჯველად წარსლვად, რადთა ვერვინ მოი-
გონოს, თუ არა არს მისაგებელი ცოდვათად, არამედ ესრეთ განუგებელად
არს ყოველივე. ამისთვსცა რომელთამე სტანჯავს აქავე და რომელთამე
არა, რადთა სცნა, ვითარმედ ჭეშმარიტად განმზადებულ არს შემდგომად
ამიერ წარსლვისა მისაგებელი და სამსჯავროდ საშინელი; ამისთვსცა ვხე-
დავთ აქავე სახეთა კეთილისათაცა და სატანჯველისათა.

ჰხედავა, ვითარი ცად გარდაართხა ჩუენთვს, მზე აღმოაბრწყინვა, ქუე-
ყანად დაამყარა და ზლუად განჰფინა, ჰაერი შეჰმზადა, მთოვარე და ვარ-
სკულავნი შექმნნა, ჟამთა წელიწდისათა უცთომელი განუწესა წესიერე-
ბად, და ყოველთა წამის-ყოფითა მისითა შეუცვალებელად უპყრიეს წესი
თვსი. რამეთუ ბუნებად ჩუენი და პირუტყუთად, მჴეცთა და მფრინველთად,
თევზთა და ქუენარმავალთად, მდინარეთა და ზლუათა და წყაროთად, მცე-
ნარეთად მათთა შინა და ველთა, უნაყოფოთა და ნაყოფიერთად – ყოველ-
ნივე ყოვლადღლიერითა მით ჴელითა მისითა დამტკიცებულნი შემამკობე-
ლად სოფლისა და მსახურებად ცხორებისა ჩუენისა განწესებულ არიან და
საჴმრად და პატივად ჩუენდა განგებულ არიან, და არცა თუ აურაცხელისა
მისგან მცირედი რადმე მითქუამს. ან უკუე რომელი-ეგე ესოდენსა ამას წე-
სიერებასა ჰხედავ, იკადროა თქუმად, ვითარმედ რომელმან გარენარი ესე

ესრეთ შუენიერად განაგო ჩუენთვს და ესრეთ დიდებულად განანესა წარ-
მავალი ესე ცხორებად ჩუენი, ჭემმარიტსა და საუკუნესა მას ცხორებასა
შინა ესრეთ განუგებელადმცა დაუტევა ბუნებად ჩუენი, რადთამცა მსგავ-
სად პირუტყუთა წარვცედით თვნიერ მოსაგებელისა და თვნიერ სასყიდე-
ლისა და სიმრავლისა ნიჭთადასა? ვითარ შესაძლებელ არს ესე? დალაცათუ
ჩუენ დავიდუმოთ, ქვანი ღალადებდენ, რამეთუ ცხად არს ესე და მზისა
უბრწყინვალეს.

ესე ყოველი გულისწმა-ვყოთ და ვცნათ უეჭუელად, ვითარმედ შემდგო-
მად ამიერ წარსლვისა თანაგუაც წარდგომად წინაშე საყდრისა მის საშინე-
ლისა და მიგებად სიტყვსად ყოველთათვს საქმეთა ჩუენთა და მოლებად მო-
საგებელისა ღირსად საქმეთა მათ: გინა თუ კეთილთადა, გინა თუ ბოროტ-
თადა. ამას ზედა უკუეთუ ვინ სიტყუა-გვგებდენ, პირი დაუყოთ მათ და ჩუენ
დაუცხრომელად გზასა მას სათნოებისასა ვიდოდით, რადთა კადნიერებით
წარვიდეთ საუკუნეთა მათ მიმართ სავანეთა და მივემთხვნეთ კეთილთა
მათ გამოუთქუმელთა მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა
იესუ ქრისტესითა, რომლისადა არს დიდებადა და სიმტკიცე თანა მამით და
სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თავი იღ

სიტყუად ესე: **„ვითარცა ესმა იესუს, რამეთუ იოვანე მიეცა, განეშორა და წარვიდა გალილეად. და დაუტევა ნაზარეთი და მოვიდა, დაემკვდრა კაპერნაუმს, საზღვართა ზაბულონისთა და ნეფთალემისთა“** (4,12-13).

თარგმანი: რადსათჳს წარვიდა და განეშორა კერძოთა მათგან? კულადცა გუასწავებს ჩუენ, რადთა არა წარმდებებით და ცხარედ შთავადებდეთ თავთა ჩუენტა განსაცდელთა, არამედ ადგილ-ვსცემდეთ და ვეკრძალებოდით, რამეთუ არა საბრალობელ არს რიდობაჲ განსაცდელთაგან და არამიცემაჲ თავთა თჳსთაჲ, არამედ ოდეს მივეცნეთ განსაცდელად, უკუეთუ არა ახოვნად დავდგეთ, იგი არს საბრალობელ. ამის უკუე წესისა სწავლად და შურისა მისგან ჰურიათაჲსა ნუგეშინის-ცემაჲ წარვიდა კაპერნაუმს, და მუნ მისლვაჲცა მისი ჯეროვან იყო და კეთილ, რამეთუ მივიდა კაპერნაუმს: ერთად – რადთა სიტყუანი იგი წინაწარმეტყუელთანი აღესრულნენ, და მეორედ – რადთა მოძღუარნი იგი ყოვლისა სოფლისანი მოინადირნეს; და მუნ იქცეოდეს იგინი ჴელოვნებისა მის მათისა საქმედ.

იხილეთ უკუე, ვითარ ოდესცა მახლობელად კერძოთა მათ წარმართთასა მივიდოდის, ჰურიათაგან მიიღებს მიზეზსა, რამეთუ აქაცა, აღდგეს რად წინამორბედსა ზედა და მისცეს იგი საპყრობილედ, მომატყუებელ იქმნეს უფლისა წარსლვად გალილეად წარმართთა. ამისთჳსცა წინაფთვე ქადაგებდა ესაია წინაწარმეტყუელი მისლვასა მისსა და იტყოდა:

სახარებაჲ: **„ქუეყანაჲ ზაბულონისი და ქუეყანაჲ ნეფთალემისი, გზაჲ ზღვსაჲ წიაღ იორდანესა, გალილეაჲ წარმართთაჲ. ერი რომელი სხდა ბნელსა, იხილა ნათელი დიდი, და რომელი სხდეს ბნელსა და აჩრდილთა სიკუდილისათა, ნათელი გამოუჩნდა დიდი“** (4,15-16).

თარგმანი: ბნელსა არა ხილულსა იტყვს, არამედ ბნელსა მას საცთურისასა და არმურსა უღმრთოებისასა. ამისთჳსცა თქუა: „რომელი სხდეს ბნელსა და აჩრდილთა სიკუდილისათა, ნათელი გამოუჩნდა დიდი“, რამეთუ რადთა სცნა, ვითარმედ არცა ნათლისა ხილულისათჳს იტყვს, არცა ბნელისა ამისთჳს. ოდეს-იგი ნათლისათჳს იტყოდა, ესრეთ თქუა: „ნათელი გამოუჩნდა დიდი“, რომელ-იგი სხუასა ადგილსა „ნათელი ჴეშმარიტი“¹ თქუა მახარებელმან, ხოლო ბნელი რად აჴსენა, „აჩრდილად სიკუდილისა“ სახელ-სდვა მას. ხოლო რადთა გამოაჩინოს, ვითარმედ არა მათ ძიება-ყვეს ხილვად ნათელი იგი ბრწყინვალე, არამედ თჳსით აღმოუბრწყინდა მათ სი-

¹ იოან. 1,9.

მართლისა მზე, ამისთვის ღალად-ყო, ვითარმედ: „ნათელი გამოუჩნდა მათ დიდი“. არა იგინი მირზიოდეს ნათლისა, არამედ ნათელი წყალობით გამო-უბრწყინდა.

და ნანდკლვე სრულად განწირულ იყო ნათესავი კაცთაჲ პირველ ქრისტეს მოსლვისა, რამეთუ არცა თუ ვიდოდეს ბნელსა, არამედ სხდეს ბნელსა სასონარკუეთილნი და განწირულნი ესოდენ, რომელ ყოვლად-ვე ვერ ეძლო ზეაღბილვად ანუ აღდგომად, რამეთუ უკუნი იყო ბნელი იგი, უკუნი და „აჩრდილი სიკუდილისაჲ“. რაჲ არს „აჩრდილი სიკუდილისაჲ“? ჴელმწიფებაჲ და უფლებებაჲ მისი, რამეთუ დაღაცათუ ქუეყანასა ზედა იყ-ვნეს, არამედ მისსა უფლებასა ქუეშე იქცეოდეს შეწყუდეულნი ბნელსა შინა, ვინაჲცა ჴელმწიფებაჲ აქუნდა მას კაცად-კაცადისა წარტაცებად და დილეგსა მას ჯოჯოხეთისასა შეყენებად, რომლისათჳს იგივე წინაწარმეტ-ყუელი ესაია ღალადებს და იტყჳს: „ვყავთ აღთქუმად ჯოჯოხეთისა თანა და სიკუდილისა თანა ნაძლევნი“;¹ რომლითაცა მოასწავებს ჩუენსა მას სი-კუდილისადა დამორჩილებასა, რომელსა აქა აჩრდილად უწოდა. არამედ გამობრწყინდა რაჲ დიდი იგი და მიუაჩრდილებელი ნათელი, განქარდა წყუდიადი, ბნელი სიკუდილისაჲ, რამეთუ მოვიდა უფალი, მოვიდა ცხორე-ბად, მოვიდა და მაცხოვნა ჩუენ.

ს ა ხ რ ე ბ ა ჲ : **„მიერთგან იწყო იესუ ქადაგებად და სიტყუად: „შეი-ნანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათაჲ“ (4,17).**

თ ა რ გ მ ა ნ ი : „მიერთგან იწყო“. ოდითგან? ვინაჲთგან მიეცა იოვანე საპყრობილედ. და რაჲსათჳს პირველითგან არა ქადაგებდა, ანუ რად საჯ-მარ იყო მისა ქადაგებაჲ იოვანესი, ვინაჲთგან აქუნდა თანამსობოლად ქა-დაგებაჲ იგი საქმეთა მისთაჲ? რაჲთა მისიცა დიდებაჲ უმეტესად ბრწყინ-ვიდეს და საცნაურ იქმნას, ვითარმედ მისთვის ქადაგებდეს სხუანიცა წინა-წარმეტყუელნი, და ვითარმედ იგი არს უფალი ყოველთაჲ; ვითარცა ეტყო-და ზაქარია იოვანეს: „და შენ, ყრმაო, წინაწარმეტყუელ მალლის იწოდო, რამეთუ წარსძლუე შენ წინაშე პირსა უფლისასა განმზადებად გზათა მის-თა“;² და რაჲთა არცა ერთი რაჲ მიზეზი აქუნდეს ურცხვნოთა მათ და მედ-გართა ჰურიათა, ვითარცა უფალმან ბრძანა, ვითარმედ: „მოვიდა იოვანე, არცა ჭამდა, არცა სუმიდა, და იტყჳან, ვითარმედ: ეშმაკეულ არს. მოვიდა ძე კაცისაჲ, ჭამს და სუამს, და იტყჳან: აჰა კაცი მჭამელი და ღვნისმსუმე-ლი, მეგობარი მეზუერეთა და ცოდვილთაჲ. და განმართლდა სიბრძნე შვილთაგან თჳსთა“.³

და კუალად შუენიერცა იყო და ჯეროვან სხჳსა მიერ წამებაჲ და ქა-დაგებაჲ მისთვის, და უფროჲსად ესევითარისა საკურველისა კაცისაგან, რამეთუ უკუეთუ ესოდენტა და ესევითართა წამებათა ზედა ეტყოდესვე

¹ესაია 28,15. ²ლუკ. 1,76. ³მათ. 11,18-19.

ურჩულონი იგი, ვითარმედ: „შენ თავისა შენისათვის სწამებ, წამებად შენი არა არს ჭეშმარიტ“;¹ უკუეთუმცა ყოვლადვე არარად ეთქუა იოვანეს, არამედ თავადსამცა ენყო პირველითგანვე თავისა თვისისათვის ქადაგებად, რავდენ უმეტესიმცა და უძკრესი თქუეს სავესეთა მათ ყოვლითავე საეშმაკოათა საქმითა.

ამისთვის არა ქადაგა პირველ მისა, არცა სასწაული ქმნა, ვიდრემდის მიეცა იგი საპყრობილედ, რადთა არა იქმნას განწვალებად ერისად, არამედ ყოველნი მივიდოდინ იოვანესა და ისმენდენ ქადაგებასა, რომელსა ქადაგებდა და წამებდა უფლისათვის და ეტყოდა ყოველთა, ვითარმედ იგი არს ჭეშმარიტად ქრისტე, ძე ღმრთისად, რადთა უკუანადსკნელ არა აქუნდეს სიტყუად თქუმად, ვითარმედ არავინ წამებს მისთვის. რამეთუ ამისთვის არცა ერთი სასწაული ქმნა იოვანე, რადთა უაღრესი იგი საქმე უფლისა მიერ აღესრულოს და ცნან ყოველთა, ვითარმედ უზეშთაეს არს იოვანესა. რამეთუ უკუეთუ ამას ყოველსა ზედა მოშურნედ იყვნეს მისა მიმართ მონაფენი იოვანესნი და მრავალნი ჰგონებდეს იოვანესთვის, თუ იგი არს ქრისტე, უკუეთუმცა არა ესრეთ განგებულ იყო საქმე იგი, არამცა უძკრესსა წარემატნესა უგულისწმონი იგი? ამისთვისცა აცადა, რადთა ვიდრემდის იქცეოდის იოვანე, იგი ქადაგებდეს და წამებდეს მისთვის. ხოლო მიეცა რად იგი, ვითარცა მათე გუასწავებს, „მიერთგან იწყო იესუ ქადაგებად“; და იწყო რად, იგივე ყო დასაბამად ქადაგებისა, ვინადაცა იოვანე იწყო, რადთა ცნან, ვითარმედ ამისთვის წამებდა იგი და ვითარმედ ამისი მონად იყო და მსახური. ხოლო დაწყებასა სიტყვასა თვისისასა არარად თქუა ფიცხელი და მძიმე, ვითარ-იგი მან აწსენა ცული და მოკუეთად ხისად და ნიჩაბი და კალოდ და ცეცხლი უშრეტი, არამედ სიტკბოებისა ქადაგება წინაუყო: „შეინანეთო, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათად“; ვინადთგან წსნად ცოდვითა მოსრულ იყო და შეწყნარებად მონანულთა, ამისთვის სინანულისათვის ყო დასაბამი ქადაგებისად.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „და იქცეოდა რად იესუ ზღვსკიდესა მას გალილეადასა, იხილნა ორნი ძმანი: სიმონ, რომელსა ეწოდა პეტრე, და ანდრეა, ძმა მისი, ისათხველიდეს რად სათხვევლითა ზღუასა მას, რამეთუ იყვნეს მესათხველე. და ჰრქუა მათ: მოვედით, შემომიდეგით მე, და გყვნე თქუენ მესათხველე კაცთა. ხოლო მათ მეყსეულად დაუტევეს ბადე იგი და შეუდგეს მას“ (4,18-20).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ვითარ უკუე იოვანე სხვთა სახითა იტყვს წოდებასა მათსა, ვითარმედ: ანდრეას, ძმასა პეტრესსა, ესმა წინამორბედისაგან, ვითარ იტყოდა იესუსთვის, ვითარმედ: „აჰა ტარიგი ღმრთისად“;² და მისდევდა მას; და მან პოვა ძმა თვისი სიმონ და მოიყვანა იგი იესუსა. ხოლო ან

¹ იოან. 8,13. ² იოან. 1,29.

ესერა ამან მახარებელმან ესე თქუა, ვითარცა გესმა. საცნაურ არს უკუე, ვითარმედ მეორე არს წოდებად ესე, და ესე ცხად არს მრავალკერძო, რამეთუ ოდეს იქმნა იგი, რომელსა იოვანე იტყვს, არღა მიცემულ იყო ნათლისმცემელი საპყრობილედ. ხოლო ესე წოდებად, მათეს მიერ აღწერილი, შემდგომად იოვანეს წინამორბედისა მიცემისა იქმნა, და მუნ ანდრეა უწოდა პეტრეს, ხოლო აქა ორთავე – იესუ. და კუალად იოვანე იტყვს, ვითარმედ: „მიხედნა იესუ სიმონს და ჰრქუა: შენ ხარ სიმონ, ძე იონაფისი, შენ გენოდოს კეფა, რომელი ითარგმანების: კლდე“.¹ ხოლო ვითარცა აქა მათე გუაუწყებს, პირველვე წოდებულ იყო პეტრე, რომელ არს კლდე, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „იხილნა ორნი ძმანი: სიმონ, რომელსა ეწოდა პეტრე, და ანდრეა, ძმა მისი“. და კუალად იგი წოდებად სხუასა ადგილსა იყო და ესე – სხუასა. და ესრეთ მრავლით სახით საცნაურ არს, ვითარმედ ესე წოდებად მეორე იყო. რამეთუ მაშინ ესმნეს სიტყუანი უფლისანი და შეუდგეს და მერმე, იხილეს რად იოვანე საპყრობილეს შეყენებული და იესუ განემორა მათ ადგილთაგან, დაუტევეს იგი და კუალად თვსსა ჴელოვნებასა მიექცეს. ამისთვის პოვნა იგინი, ისათხევილდეს რად.

და იხილე მორჩილება მათი და სარწმუნოებად, რამეთუ ჴელთა რად შინა მათთა იყო საქმე იგი და უბრძანა მათ, მეყსეულად დაუტევეს და შეუდგეს მას. არა დრო-სცეს, არცა თქუეს: წარვიდეთ სახედ ჩუენდა და ვეზრახნეთ თვსთა ჩუენტა, არამედ ყოველივე დაუტევეს, ყოველივე უგულბელს-ყვეს და შეუდგეს მას. რამეთუ ესევითარსა მორჩილებასა ეძიებს ჩუენგან ქრისტე, რადთა არცა თუ წამსა თუალისასა ვადროებდეთ შედგომასა მისსა, დაღაცათუ რადმე საჭიროდ საქმე მიგვზიდვიდეს, ყოველივე უგულბელს-ყვით და შეუდგეთ უფალსა. ამისთვისცა სხუად ვინმე ეტყოდა წარსლვად და დამარხვად მამისა თვსისა და ესრეთ მოსლვად მისა, და არა შეუნდო ამისაცა ქმნად, რადთა გვჩუენოს, ვითარმედ უფროდს ყოვლისა საქმისა შედგომად უფლისად თანანადებ არს ჩუენდა და პატიოსან, ვითარცა ესერა ნეტართა ამათ ქმნეს: ყოველივე დაუტევეს და მისდევდეს მას. დაღაცათუ რომელი-იგი დაუტევეს, არა დიდ იყო, არცა მრავალ, არამედ გულსმოდგინებად მათი და სიკეთე გონებათად ესევითარი იყო, რომელ დაღაცათუმცა ყოვლისა სოფლისა უფალ იყვნეს, ესრეთ დაუტეობდეს ყოველსა, ვითარცა სათხეველნი იგი და თევზობად დაუტევეს.

იტყვან ვიეთნიმე, ვითარმედ: დიდი იყო აღთქუმად იგი, რომელი აღუთქუა, ვითარმედ: „გყვნე თქუნ მესათხეველე კაცთა“. არამედ უმეტესად ამისთვის საკრველ არს სარწმუნოებად მათი და სიკეთე გონებათად, რომელ არღა ეხილვა ერთიცა სასწაული და ესრეთ ჰრწმენა სიმაღლეცა იგი სიტყვსად მის და ყოველივე შეურაცხ-ყვეს. რამეთუ ვითარცა იგინი სიტყვთა ხოლო უფლისადთა მოინადირნეს, ესრეთ ჰრწმენა, ვითარმედ მათ მიერცა

¹ იოან. 1,42.

მოინადირნენ კაცნი, და ეგრეთცა იქმნა მადლითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა.

სახარება: „და წარვიდა მიერ და იხილნა ორნი ძმანი: იაკობ ზებედესი და იოვანე, ძმა მისი, ნავსა შინა ზებედეს თანა, მამისა მათისა, განრაჲ-აგებდეს ბადეთა მათთა, და უწოდა მათ. ხოლო მათ დაუტევეს ნავი იგი და მამად მათი და მისდევდეს მას“ (4,21-22).

თარგმანი: პეტრეს და ანდრეას ჰრქუა: „შემომიდეგით მე, და გყვნე თქუენ მესათხეველე კაცთა“; ხოლო ამათ არარად ესევეითარი აღუთქუა, არამედ უწოდა ხოლო, და მეყსეულად დაუტევეს ნავი იგი და მამად თჳსი და მისდევდეს მას. უმეტესილა აჩუენეს მჭურვალეზაჲ, რომელ არცა მესათხეველე-ყოფად კაცთა ესმა, არცა სხუად რად ესევეითარი, და არავე ჰრიდეს, არცა მცონარ იქმნეს მამისა თჳსისა დატეობად, არამედ მეყსეულად მძლედ ბუნებისა გამოჩნდეს.

ხოლო იხილე, ვითარ წარმოიტყჳს მახარებელი ჳორციელსა სიგლახაკესა მათსა და სულიერსა სიმდიდრესა: განაგებდესო ბადეთა, დაძუელეზულთა და დახეულთა, რამეთუ არცა თუ ახალნი აქუნდეს; ხოლო მდიდარ იყვნეს სათნოებითა. ამისთჳსცა საქმითა ჳელთა მათთაჲთა მოირენდეს საზრდელსა და შეკრულ იყვნეს სიყუარულითა ურთიერთას კეთილნი იგი ძმანი და იქცეოდეს განუშორებელად მამისაგან თჳსისა, ჳმსახურებდეს და ჳფუფუნებდეს მას. ამისთჳსცა ღირსი მოქალაქობისა მის საღმრთოჲსა აქუნდა გონებაჲცა, წმიდაჲ და განათლებული, არა შეშფოთებული და დაბნელებული ვნებათა მიერ, არამედ განწმედილი ყოვლისაგან ბინისა შრომითა მით ჳორცთაჲთა და სიყუარულითა და მორჩილებითა მამისაჲთა.

ვინაჲთგან უკუე ესევეითარი აქუნდა წმიდაჲ და სიბრძნითა სავსე გონებაჲ, ამისთჳს, იხილეს რად უფალი და ესმნეს სიტყუანი მისნი, მეყსეულად შევიდა მადლი მისი გულად მათდა. რამეთუ არა იყო ნისლი ვნებათაჲ გარემოხუეულ, რადთამცა არა შეუწდო მადლსა მას შინაგან შესლვაჲ; არამედ ჰოა ნათელმან მან საღმრთომან გზად წრფელი და განწმედილი და შევიდა გულად მათდა. და მეყსეულად ცნეს, ვითარმედ ესე არს, რომლისათჳს წამებდა იოვანე, ესე არს, რომლისათჳს ცანი განეხუნეს და სული წმიდაჲ გარდამოჳდა და ჳმად მამისაჲ ზეცით ისმოდა. ცნეს გონიერად და ჳრწმენა, ვითარმედ ესე არს ქრისტე, ძე ღმრთისაჲ, და მეყსეულად დაუტევეს მამად თჳსი ნავსა შინა, არცა თანაშემწე უზრუნეს, არცა თქუეს, თუ: წარვიყვანოთ მამად ჩუენი სახედ თჳსა და ეგრეთ მოვიდეთ; არამედ ვიდრე არლა ეხილვა უფალი, მორჩილებით ჳმსახურებდეს და განუსუენებდეს მას, ხოლო ვინაჲთგან უაღრესი იგი იხილეს და წოდებად მისი ესმა, გულისჳმა-ყვეს, ვითარმედ არცალა მამისაჲ ჯერ-არს რიდობაჲ, არცა – დედისაჲ. ამისთჳს მსწრაფლ დაუტევეს ყოველივე და მისდევდეს მას.

ს ა ს ნ ა რ ე ბ ა დ: „და მოჰვლიდა იესუ ყოველსა გალილევასა და ასწავებდა შესაკრებელთა შორის მათთა და ქადაგებდა სასუფეველსა და განჰკურნებდა ყოველსა უძღურებასა ერისასა. და განითქუა ჰამბავი მისი ყოველსა მას ასურეთსა. და მოჰგურიდეს მას ყოველთა ბოროტად სწეულთა თითოსახეთაგან სენთა და გუემითა შეპყრობილთა და ეშმაკეულთა და ცისად-ცისად გუემულთა და განრღუეულთა, და განკურნნა იგინი. და მისდევდა მას ერი მრავალი გალილევით და ათქალაქით და იერუსალჴმით და წიად იორდანისაჲთ, და განკურნნა იგინი“ (4,23-25).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ვინაჲთგან მოძღუარნი იგი და მეთევზურნი ყოველისა სოფლისანი მოინადირნა, მიერთგან იწყო ქმნად სასწაულთა, რაჲთა ნამებაჲცა იოვანესი დაამტკიცოს და ერი იგი სარწმუნოებად მოიყვანოს. ხოლო ზედაჲსზედა მოჰვლიდა ქალაქებსა და სოფლებსა და შესაკრებელთა მათთა შორის ასწავლიდა, რაჲთა უჩუენოს, ვითარმედ არა წინააღმდეგომ არს მამისა, არცა ცთუნებად ერისა მოსრულ არს, არამედ ჭეშმარიტებისა გამოჩინებად. ამისთვისცა სასუფეველსა ქადაგებდა, რომლისა ქადაგებასა უმეცარლა იყვნეს, და სიტყუათა თჳსთა სასწაულთა მიერ დაამტკიცებდა. რამეთუ ესრეთ იქმს მარადის ღმერთი: ოდეს უცხოჲ რაჲმე იქმნებოდის და ახლისა რაჲსამე მოქალაქობისა დაწყებაჲ შემოვიდოდის, სასწაულთა საქმესა აჩუენებს დასამტკიცებელად ყოფადისა მის საქმისა და გულისწმის-საყოფელად ძლიერებისა მისისა.

ესრეთ უკუე პირველვე, ოდეს-იგი ეგულებოდა დაბადებაჲ კაცისაჲ, ყოველივე სოფელი დაჰბადა და მერმელა ქმნა კაცი და მისცა რჩული იგი, რომელი განაწესა სამოთხესა შინა. და კუალად, ოდეს ნოესდა ეგულებოდა რჩულის-დებაჲ, დიდნივე საკვრველებანი ქმნნა და ნივთნი სოფლისანი შეცვალნა და უცხოჲ იგი ზღუაჲ საშინელად წელიწად ერთ ქუეყანასა ზედა მოჰვინა და აღწოცა ყოველივე აღმდგომი ქუეყანით, ხოლო მართალი იგი და მისთანანი ესოდენსა მას სიმძაფრესა შინა ღელვათასა უვნებელად დაიცვნა. და კუალად, აბრაჴამის ზე ეგულებოდა რაჲ რჩულის-დებაჲ, დიდნივე სასწაულნი უჩუენნა: ძლევად იგი მბრძოლთაჲ, წყლულებაჲ ფარაოჲსი, განრინებაჲ მისი განსაცდელთაგან, ჩუენებანი თითოსახენი და საკვრველნი. და რაჴამს-იგი მოსეს მიერ შჯულს-უდებდა ჴურიათა, ნიშები იგი საკვრველები და სასწაულნი მიუთხრობელნი აღასრულნა და მერმელა მოსცა რჩული მთასა მას ზედა მკმომლვარესა და მოტყინარესა. ეგრეთვე აქაცა, ეგულებოდა რაჲ დიდისა მის და მალლისა მოქალაქობისა და ახლისა რჩულისა სოფლად შემოღებად და სწავლად კაცთა, რაჲ-იგი არლასადა ასმიოდა, სასწაულთა ჩუენებითა დაამტკიცებს სიტყუათა თჳსთა და ახლისა მის შჯულისა წესსა. რამეთუ ვინაჲთგან სასუფეველსა მას რომელსა ქადაგებდა, უხილავ იყო, ხილულთა მათგან საკვრველებათა უხილავსა მას გულისწმა-უყოფს და დაარწმუნებს.

ხოლო შენ იხილე მახარებელისა მის გონიერი და შემოკლებული სიტყუად, ვითარ არა თითოეული იგი სენთა კურნებად და სასწაულთა საქმე წარმოთქუა, რამეთუ სიგრძე სიტყვსად აღურაცხელი უჭმდა თითოეულისა თქუამდ, არამედ მოკლითა სიტყვთა ურიცხუთა მათ სასწაულთა თანაწარ-ჰჴდა და თქუა: „მოჰგურიდეს ყოველთა ბოროტად სნეულთა თითოსახეთაგან სენთა და გუემითა შეპყრობილთა და ეშმაკეულთა და ცისად-ცისად გუემულთა და განრლუეულთა, და განკურნა იგინი“¹. და არავისგან ძებნა მაშინ სარწმუნოებად, არცა ვის ჰრქუა, ვითარ-იგი ამისა შემდგომად ეტყოდა: „გრნამსა, ვითარმედ ძალ-მიც ესე ყოფად?“¹ რამეთუ არღა ერუენა მათდა სახე ძლიერებისა თვისსად. არამედ იგი მისლვად და მოგურად უძლურთად სარწმუნოებად შეჰრაცხა, რომელნი შორით მოვიდოდეს, რამეთუ ყოველსა მას ქუეყანასა განისმა ჰამბავი მისი, „და მისდევდა მას ერი მრავალი გალილეათ და ათქალაქით და იერუსალჴმით და წიად იორდანისადთ, და განკურნა იგინი“.

სწავლად იდ

ვითარმედ ჯერ-არს მარადის ჴსენებად ცოდვათა ჩუენთად და ვედრებად ღმრთისად, რათა შეგკნდოს; და საუკუნოზსა მისთჴს სასჯელისა

და აწ ჩუენცა, მორწმუნენო, მივსდევდეთ მას, რამეთუ მრავალნი გუქონან სნეულებანი და უძლურებანი სულიერნი, და ჴნებავს სახიერსა მას ყოველთა განკურნებად. მოუჴდეთ მას, შეუვრდეთ და ვევედრებოდით; ნუმცა რას ჴორციელსა ვითხოვთ, არამედ მოტევებად ცოდვათად ვითხოვთ, რამეთუ მზა არს მოცემად, უკუეთუ მჴურვალედ ვითხოვთ. მაშინ განისმა ჰამბავი მისი ასურეთსა, და ყოველნი შემოკრებოდეს კურნებად, ხოლო აწ ყოველსა სოფელსა ქადაგებულ არს დიდებად მისი, და ყოველთა გურნამს ძალი მისი და სახიერებად; ვითარ არა მოსწრაფებით შეუვრდები მას, არამედ უდებ ხარ და სდროებ? იგინი ჴორციელთა სენთა კურნებად შორით მოვიდოდეს, ხოლო შენ სულიერთა სენთა კურნებისათჴს არა გიჴმს გზათა შორთა წარსლვად, არამედ ჩუეულებანი ბოროტნი მოიწყდენ და კეთილისა ქმნად იწყე და ესრეთ შეუვრდი მას მჴურვალედ და სცხონდე. არა ჴხედავა, ოდეს ჴორციელი რამე სენი შეგემთხვოს, რავდენთა ღონეთა ეძიებ განკურნებად? ხოლო სულისა სნეულებათათჴს ესრეთ უდებ ხარ და არა ეძიებ კურნებასა. და შინაგანი იგი გაქუს გარენარად და გარენარი იგი – შინაგანად. დაუტეობ წყაროსა მას ბოროტთასა და ჴვენებსა სწმენდ. არა უწყია, ვითარმედ ჴორციელთაცა სნებათა მიზებ ცოდვანი სულისანი არიან? და ესე გულისჴმა-ყავ განრლუეულისა მისგან ოცდაათრვამეტისა

¹მათ. 9,28.

წლისა, და პირველ მისა კაენისაგან და სხუათა მრავალთაგან. განკურნენ უკუე სენნი სულისანი, და ყოველივე მდინარე ბოროტთა და განჯმეს, და მერმე, დადაცათუ ჯორცნი უძღურ იყვენენ, მომატყუებელ გკრგკნისა გექმნას, რამეთუ ქვემარტი სნება უძღურება იგი სულისა არს, რომელი იქმნების ცოდვათაგან, ხოლო ჯორცთა ამათ უძღურება არცა ბოროტ არს, არცა საბრალობელ ჩუენდა.

შეუვრდეთ უკუე სახიერსა მას სულთა და ჯორცთა მკურნალსა, ვევედრნეთ, რაათა განკურნოს განრღუეულებად იგი სულთა ჩუენთა, დაუტეოთ ჯორციელი ყოველივე და სულიერსა ვზრუნვიდეთ, სულთ-ვითქუნეთ და ვცრემლოოდით ცოდვათა ჩუენთათკს. ნუ ამისთკს უზრუნველ ვიქმნებით, რომელ არა გუელმის ცოდვათა ჩუენთათკს, არამედ ამისთკს უფროსად ვიგლოვდეთ, რომელ ფრიადისა სიზრქისაგან სალმობასა მასცა ბოროტსა უმეცარ ვართ. არა თუ ულმობელობად იგი ამისთკს არს, რამეთუ არა შემაურვებელ არს ცოდვა, არამედ ამისთკს, რამეთუ უგულისჯმო არს სული. გულისჯმა-ყვენლა იგინი, რომელნი მეცნიერ არიან ცოდვათა თკსთა, თუ ვითარ უმნარეს მათსა გოდებენ, რომელნი ცეცხლითა ინუვიედ ანუ იჭრებოდნიედ მახკლითა. რაოდენ იგლოენ, რაოდენთა ცრემლთა დასთხევენ, რაათამცა მწიკულებანება იგი ბრალთა და განიბანეს, რომელი-იგი დიდისა მწუხარებისა და გლოისაგან იქმნების. უმჯობეს არს და უაღრეს, რაათა არა შთავარდეს კაცი ყოვლადვე ცოდვასა, ხოლო ამისა შემდგომად კულად ესე არს, რაათა შეემთხვოს რა ცოდვა, შეინანოს და ცრემლითა განინმიდოს და ცნას ნყლულებად იგი თკსი და ისწრაფოს განკურნებად იგი; უკუეთუ კულა არა გულისჯმა-ყოს, ვითარ ვევედროს სახიერსა მას მკურნალსა ლხინებისა მიღებად?

ან უკუე, საყუარელო, გულისჯმა-ყვენ ცოდვანი შენნი, მოიჯსენენ იგინი და აღიარენ, რაათა მიილო შენდობად. არა უწყია, ვითარმედ უკუეთუ ვინმე მთავართაგანი სოფლისათა განარისხი, მეხუადშენნი აღადგინნი და საკუთარნი მისნი მოიქრთამნი შუამდგომელ-ყოფად და მრავალი ხარკებად აჩუენი, მრავალი შრომად და ქირი თავს-იდვი დაგებად მისა. ხოლო ოდეს ყოველთა მეუფე განვარისხით ცოდვათა სიმრავლითა, არარად გუელმინ, არამედ უზრუნველად ვიშუებთ და ვითრვებით და გუძინავს. ვითარ უკუე უძღოთ დატკობად მისა, ანუ ვითარ არა უმეტესად შემრისხნეს? რამეთუ ვიდრელა შეცოდებად შეცოდებასა ზედა, ულმობელობად უმეტესად განარისხებს მას.

ამისთკს ღირს არს, რაათამცა მღკმესა რასმე შინა და ბნელსა შევანყუდიენით თავნი ჩუენნი, რაათა არცალა მზესამცა ვხედევდით, რომელ ესრეთ სახიერი მეუფე გუაქუს და ფრიად ტკბილი, და უკეთურებითა ჩუენითა განვარისხებთ მას; და განვარისხით რად, არავე გუტანჯავს, არცა ღირსად საქმეთა ჩუენთა მოგუაგებს, არამედ მოელის სინანულსა და მიმინოდს სახიერებით მოქცევად მისა, და ჩუენ არა შევიგონებთ. გარნა ნუმცა

ესევეთარსა მას გულფიცხელობასა ზედა დავადგრებით, ჰე, გევედრები, არამედ ვაჩუენოთ სინანული მჭურვალე, ვიდრელა არა მოწვენულ არს დღე იგი, ოდეს არღარად იყოს სარგებელი სინანულისაჲ. რამეთუ ან ყოველივე ჩუენსა ჯელმნიფებასა შინა არს, ხოლო მაშინ მსაჯული იგი საშინელი უფალ არს განჩინებისა მიცემად, ვითარცა ჯერ-იყოს.

ვისწრაფოთ წინასწრობად დღისა მის და აღსარებითა კეთილად განვაგოთ ცხორებაჲ ჩუენი, ვტიროდით და ვიგლოვდეთ. უკუეთუ ვევედრნეთ მსაჯულსა მას პირველ მოწვენადმდე დღისა მის, ყოვლადვე არა გამოცხადნენ დაფარულნი ბრალნი ჩუენნი. ხოლო ესე თუ არა იქმნას და ვიპოვნეთ უნანელნი, განცხადებულად წინაშე ყოვლისა სოფლისა განვიქიქნეთ, და არღარა იყოს სასოებაჲ მოტევებისაჲ, რამეთუ არავინ არს, რომელმან-მცა აქა არა შეინანა ცოდვად თვისი და შეუძლომცა მუნ მისაგებელისა მათისაგან განრომად; არამედ ვითარცა სოფლითა ამათ სამსჯავროთა შინა დასასჯელნი იგი და შეცოდებულნი ჯაჭვთა შეკრულნი მიიყვანებიან საპყრობილით სამსჯავროდ, ეგრეთვე სულნი ცოდვილთანი, გან-რად-ვიდენ ამიერ თითოფერითა მით ცოდვათა საკრველითა შეკრულნი, მიიყვანებიან სამსჯავროსა მას საშინელსა. რამეთუ ჭეშმარიტად საპყრობილე არს და დილეგი ბნელი საწუთროჲ ამოჲ. და ვითარცა შევიდით რად დილეგსა მას ძვრისმოქმედთა და კაცისმკლველთასა, ვიხილნით მუნ თითოსახითა საკრველითა შეკრულნი ყოველნივე, ეგრეთვე აქა, უკუეთუმცა უცნებაჲ ესე გარეშე განაქარვა ვინ და კაცად-კაცადისა ცხორებასა, კაცად-კაცადისა სულსა შეგიყვანა ვინ, იხილენმცა ჯაჭვსა და ბორკილისა უძვრესითა საკრველითა შეკრულნი, და უფროსად, უკუეთუმცა მდიდართა და დიდებულთა სულებსა ვინ შეგიყვანა, რამეთუ რავდენ-იგი უმეტესი შეუმოსიეს დიდებაჲ, ეგოდენ უძვრესითა შეკრულ არიან საკრველითა; და ვითარცა პყრობილი იხილი რად, ჯელით და ფერჯით შებორკილებული და ყელსა ჯაჭვ მოდებული, რავდენცა უმეტესნი საკრველნი იყვიან მის ზედა, ეგოდენ უმეტესად საწყალობელად გიჩნნ, ეგრეთვე მდიდარნი, რავდენცა უმდიდრეს იხილნე და უმრავლესითა დიდებითა შემოსილ, ეგოდენ უსაწყალობელეს გიჩნდინ, რამეთუ ამათ საკრველთა ზედა, საპყრობილესა, რომელსა შეწყუდეულ არს, მესაპყრობილეთმთავარიცა აქუს სასტიკი: ბოროტი იგი ტრფიალებად საფასეთად, რომელი არა შეუნდობს საკრველთა მათ განწინად, არამედ დღითი-დღე უძვრესად შეჰკრავს და შინაგანსა მას დილეგსა შეაყენებს. და უძვრესი ესე არს, რომელ უცხოთა რადთმე მანქანებითა უფროსლა დაუტკობს საკრველთა მათ ვიდრე დღემდე, ოდეს ეგულეზნი სამსჯავროდ განყვანებაჲ. მაშინლა ცნის სიმწარე მათი, მაშინლა იხილის უბადრუკებაჲ თვისი, ვითარ არა შეკრულ ოდენ არნ, არამედ სავსე ბაყლითა და ტილითა და მრავლითა მით სიმყრალითა დილეგისაჲთა. და ჭეშმარიტად უძვრეს ყოვლისავე ბაყლისა და სიმყრალისა არიან გულის-თქუმანი და საშუებელნი სოფლისანი.

ან უკუე, მორწმუნენო, განვიფრთხოთ ძილისა მისგან მცონარებისა და შეუვრდეთ მწსნელსა მას და მაცხოვარსა სულთა ჩუენთასა, რადთა საკრველნიცა იგი განხეთქნეს და ბოროტი იგი მცველი განგუამოროს და ტკრთი მძიმეთა მათ ბორკილთად აღგკსუბუქოს, რადთა შეუძლოთ სლვად გზასა მცნებათა მისთასა. ხოლო ვედრებასა თანა მოლუანებაცა ვაჩუენოთ და მოსწრაფებად კეთილი, რადთა ესრეთ განვერნეთ სრულიად ბოროტთა მათ ჩუენთაგან და მწარისა მის წილ მონებისა ვნებათაჲსა ვპოოთ აზნაურებად იგი სრული და ჭეშმარიტი, რომელსა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხუევად მაღლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა არს დიდებად და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.